სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL – DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

თანამედროვეობის გლობალური გამოწვევები

GLOBAL CHALLENGES OF MODERNITY

სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF PAPERS OF THE SCIENTIFIC CONFERENCE
გორი, GORI 2025

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE
ACADEMY OF GEORGIA

თანამედროვეობის გლობალური გამოწვევები

GLOBAL CHALLENGES OF MODERNITY

სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF PAPERS OF THE SCIENTIFIC CONFERENCE

გორი, GORI
2025

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართ-ველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე
სარედაქციო კოლეგიის წევრები პოლკოვნიკი ირაკლი უჩაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართ-ველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტ-რატურის ხელმძღვანელი
ვიცე-პოლკოვნიკი არკადი ანთია	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართ-ველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების უფროსი
ნიკოლოზ სამხარაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართ-ველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტ-რატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების პროფესორი
არჩილ ჩაჩხიანი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ნინო ოხანაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართ-ველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგის-ტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების ასისტენტ პროფესორი
ვიცე-პოლკოვნიკი ლევან გოზალიშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართ-ველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების უფროსი
ლევან ნიკოლეიშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართვ-ელოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი
შადიმან ბიწაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართ-ველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტ-რატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართუ-ლების ასოცირებული პროფესორი

© საავტორო უფლებები დაცულია

გამომცემლობა:
სსიპ - დავით აღმაშენებლის
სახელობის
საქართველოს ეროვნული
თავდაცვის აკადემია 2025
ISBN-978-9941-8-6033-1

ქეთევან ჩახავა	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ასისტენტ პროფესორი
პოლკოვნიკ ჯაბა ზალოშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების უფროსი
გიორგი კბილცეცხლაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების პროფესორი
ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ხელმძღვანელი
ვიცე-პოლკოვნიკი ზვიად აბუთიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ალექსი ბურდულაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართვე¬ლოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების პროფესორი
ნანი არაბული	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
რომეო გალდავა	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
გიორგი კაკაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ლევან ჭოლიკიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ტურაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების უფროსი
ქეთევან ჭიაბრიშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების პროფესორი

რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქარ-თველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
თინათინ ჟორჟოლიანი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
შალვა კვეზერელი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
გივი დუჩიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ვიცე-პოლკოვნიკი ომარ თურმანიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი
ლევან გეგეშიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების პროფესორი
პოლკოვნიკი გიორგი ლაღიაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართვე¬ლოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი
ნიკოლოზ ესიტაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
თინათინ კროპაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ქეთევან კვესელავა	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართვ-ელოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ზურაბ სამხარაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
კომპიუტერული დიზაინერი მარიშა ძულიაშვილი	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სოციალური მედია მარკეტინგის და გრაფიკული დიზაინის მთავარი სპეციალისტი

EDITORIAL BOARD

Head of the Editorial Board
Colonel Zurab Zerekidze — Deputy Rector of LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Members of the Editorial Board
Colonel Irakli Uchadze — Head of MA Program of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Lieutenant Colonel Arkadi Antia — Head of MA Program in Defence Analysis at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Nikoloz Samkharadze — Professor of MA Program in Defense Analysis at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Archil Chachkhiani — Associate Professor of MA Program in Defense Analysis at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Nino Okhanashvili — Assistant Professor of MA Program in Defense Analysis at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Lieutenant Colonel Levan Gozalishvili — Head of MA Program in Security Studies at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Levan Nikoleishvili — Professor of MA Program in Security Studies at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Shadiman Bitsadze — Associate Professor of MA Program in Security Studies at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

© ALL RIGHTS RESERVED
PUBLISHING:
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA 2025
ISBN-978-9941-8-6033-1

Ketevan Chakhava	Assistant Professor of MA Program in Security Studies at LEPL–David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Colonel Jaba Zaloshvili	Head of MA Program in State Resource Management at LEPL–David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Giorgi Kbiltsetskhlashvili	Professor of MA Program in State Resource Management at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze	Head of the Bachelor's at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Zviad Abutidze	Acting Chief of the Bachelor's program in Informatics at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Aleksi Burduladze	Professor of the Bachelor's Program in Informatics at LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Nani Arabuli	Associate Professor of the Bachelor's Program in Informatics at LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Romeo Galdava	Associate Professor of the Bachelor's Program in Informatics at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Giorgi Kakashvili	Associate Professor of the Bachelor's Program in Informatics at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Levan Cholikidze	Associate Professor of the Bachelor's Program in Informatics at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Ioseb Turashvili	Head of the Bachelor's Program in Management at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Ketevan Chiabrishvili	Professor of the Bachelor's Program in Management at LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Rusudan Dalakishvili-Chichinadze	Associate Professor of the Bachelor's Program in Management at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Tinatin Jorjoliani	Associate Professor of the Bachelor's Program in Management at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Shalva Kvezereli	Associate Professor of the Bachelor's Program in Management at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Givi Duchidze	Associate Professor of the Bachelor's Program in Management at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Omar Turmanidze	Head of the Bachelor's Program in Defence and Security at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Levan Gegeshidze	Professor of the Bachelor's Program in Defence and Security at LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Colonel Giorgi Laghiashvili	Head of the Scientific Research Center of LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Nikoloz Esitashvili	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Tinatin Kropadze	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Zurab Samkharadze	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Ketevan Kveselava	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Computer Designer Marisha Dzuliashvili	SMM and Graphic Design Main Specialist of PR Department of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

შინაარსი

ქეთევან მესხიძე
ჩინეთის სამხედრო პოლიტიკა, ამბიციები და სტრატეგიული სვლა კონტინენტური სახელმწიფოდან საზღვაო ჰეგემონობამდე.....12

რამაზ ჩიჩუა
კონფლიქტები ორგანიზაციებში 23

ივანე ბალახაშვილი
აღსრულებად გადაწყვეტილებასა და სარჩელების შეყოვნებითი ეფექტის არარსებობას შორის კავშირი (საფრანგეთის მაგალითზე).....31

ქეთევან კვესელავა, ზურაბ სამხარაძე, ირაკლი ბოჭორიშვილი,
ლიანა თედეშვილი, ლევან ჯიქიძე
ხელოვნური ინტელექტის როლი ვებსაიტების შექმნაში.....39

პოლკოვნიკი ჯამბულ ზალოშვილი
ხელოვნური ინტელექტი და მისი გავლენა გლობალურ ეკონომიკასა და საზოგადოებაზე.....46

პოლკოვნიკი მამუკა სამხარაძე, შადიმან ბიწაძე
„თურქული სამყარო“ გლობალური გეოპოლიტიკური ცვლილებების ჭრილში - პერსპექტივები და გამოწვევები.....53

ნინო მაღრაძე, ზურაბ გარაყანიძე
ტურიზმის სექტორის ფინანსური გამოწვევები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში: ხელმისაწვდომობისა და მდგრადი განვითარების პერსპექტივა 64

რომეო გალდავა, ნანა არაბული, გიორგი კოხრეიძე
ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICT) სფეროს განვითარების დინამიკა და ძირითადი ტენდეციები.....72

ნინო ოხანაშვილი
რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია ნეოკლასიკური რეალიზმის ჭრილში.....86

პეტრე გელაშვილი
საინფორმაციო-ფსიქოლოგიური დაპირისპირება საქართველოში 94

თორნიკე ზედელაშვილი
აშშ-ს ახალი ხედვა ტექნოლოგიური განვითარებისთვის.....101

ვიცე პოლკოვნიკი ლევან გოზალიშვილი
ნატოს კრიზისი და ძალაუფლების გადანაწილება მსოფლიო პოლიტიკაში 107

სოფიკო მეტრეველი
კონფლიქტები და სოციალური დესტრუქცია: თანამედროვეობის გლობალური პერსპექტივა 117

შოთა ოთხოზორია
რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა თანამედროვე საერთაშორისო სისტემაზე 125

გიორგი კაკაშვილი
ბლოკჩეინთა ინტერპერაბელურობა: CHAINLINK-ის CCIPდა მისი მნიშვნელობა..... 141

ბესიკ ჯაჯანიძე
ინდივიდის ოპერაციული კოდი ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური რწმენების
სისტემის გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე 149

ქეთევან ჭიაბრიშვილი, რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე, შალვა კვეზერელი
პიროვნების ძირითადი მახასიათებლები და გავლენა სამუშაოს შესრულებაზე..... 161

ლაშა ნოზაძე, ლევან ჭოლიკიძე
ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სამხედრო დანიშნულებით 172

გიორგი ჯინჭარაძე
ტექნოლოგიური განვითარების გავლენა სამხედრო ოპერაციაზე, დრონები
და ხელოვნური ინტელექტი..... 181

სოფიკო ცხელიშვილი
დიდი ენობრივი მოდელების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში,
გამოწვევები და პერსპექტივები 187

არჩილ ჩაჩხიანი
საქართველოსა და ამიერკავკასიის ადმინისტრაციული და ეთნოპოლიტიკური
მოწყობის ერთი რუსულ-ბოლშევიკური გეგმისა და ვერსიის შესახებ..... 199

თინათინ ჟორჟოლიანი
კულტურისა და ინოვაციის ურთიერთქმედება ქართულ ბიზნესში 214

თათია მარდალეიშვილი
ჰოლოკოსტის უარყოფისა და დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლა ციფრულ ეპოქაში:
საგანმანათლებლო სტრატეგიები 229

იოსებ გაბარაევი
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიმოხილვა
პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების კონტექსტში 237

ლევან ნიკოლეიშვილი
ომის შემდგომი ევროპული უსაფრთხოების დისკუსიები 248

ლევან გეგეშიძე, ვიცე-პოლკოვნიკი ომარ თურმანიძე
ინდოეთის დიდი სტრატეგია 255

გიგი დუჩიძე
კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა და მდგრადი
განვითარების სტრატეგიები 263

გიორგი ბერიძე
საქართველოს სამხედრო სტრატეგიის პერიოდიზაცია 270

თეა ბიძინაშვილი, გენო მორჩილაძე, ირმა ბახტურიძე
გლობალური კრიზისები და მათი გავლენა თავდაცვის პოლიტიკაზე 285

CONTENTS

Ketevan Meskhidze
China's Military Policy, Ambitions and Strategic Move from Mainland Power to Maritime Hegemony 13

Ramaz Chichua
Conflicts in Organizations 24

Ivane Balakhashvili
The Repationship Between an Enforceable Decision and the Absence of a Delay Effeqt of Lawsuits (on the example of Franse) 32

Ketevan Kveselava, Zurab Samkharadze, Irakli Bochorishvili, Liana Tedeshvili, Levan Jikidze
The Role of Artificial Intelligence in the Development of Websites 40

Colonel Jambul Zaloshvili
Artificial Intelligence and its Impact on the Global Economi and Society 47

Mamuka Samkharadze, Shadiman Bitsadze
The Turkish World in the Cantext of Global and Geopolitical Changes – Perspectives and Challenges 54

Nino Maghradze, Zurab Garakanidze
Financial Challenges in the Tourism Sector in eastern European Countries: Accessibility and Sustainable Development Perspectives 65

Romeo Galdava, Nana Arabuli, Giorgi Kokhreidze
Dynamics and Main Trends in the Development of the Field of Information and Communication Technologies (ICT) 73

Nino Okhanashvili
Annecsation of Crimea by the Russia in the Context of Neoclassical Realism 87

Petre Gelashvili
Informational and Psychological Warfare in Georgia 96

Thornike Zedelashvili
The US's New Vision for Technological 102

Lieutenant Colonel Levan Gozalishvili
NATO Crisis and the Redistribution of Power in World Politics 108

Sofiko Metreveli
Conflicts and Social Destruction: a Global Perspective of Modernity 1.18

Shota Otkhozoria
The Impact of the Russia-Ukraine War on the Contemporary International System 126

Giorgi Kakashvili
Blockhain interoperability: the significance of chainlink's CCIP 142

Besik Jajanidze
The Individual's Operational Code Influence of Psychological and Ideological
Belief Systems on the Decision-making process 150

Ketevan Chiabrishvili, Rusudan Dalakishvili-Chichinadze, Shalva Kvezereli
Key Personality Traits and Their Impact on Job Performance 1.62

Lasha Nozadze, Levan Cholikidze
The USA of Artificial Intelligence for Military Purposes 174

Georgi Jintcharadze
The Impact of Technological Developments on Military Operations
Drones and Artificial Intelligence 182

Sofiko Tskhelishvili
The Usage of Great Linguistic Models in the Teaching-learning Process 188

Archil Chachkhiani
On a One Russian-Bolshevik Plan and Version of the Administrative and
Ethnopolitical Arrangement of Georgia and Transcaucasia 200

Tinatin Zhorzholiani
The Intersection of Culture and Innovation in Georgian Businessin Business ..... 21.5.

Tatia Mardaleishvili
Countering Holocaust Denial and Distortion in the Digital Age: Educational Strategies 230

Ioseb Gabaraevi
Overview of Georgian Constitutional Court Decisions in the Context of the
Rightcourt Right to Respect for Private and Family Life 2.38

Levan Nikoleishvili
Post-war European Security Discussiondiscussion 249

Levan Gegeshidze, Lieutenant Colonel Omar Turmanidze
Grand Strategy of India 256

Givi Duchidze
Corporate Social Responsibility and Sustainable Development Strategiesstrategies 264

Giorgi Beridze
Periodization of Georgia's Military Strategymilitary Strategy 271

Thea Bidzinashvili, Geno Morchiladze, Irma Bakhturidze
Global Crises and Their Impact on Defense Policy 287

ჩინეთის სამხედრო პოლიტიკა, ამბიციები და სტრატეგიული სვლა კონტინენტური სახელმწიფოდან საზღვაო ჰეგემონობამდე

ქეთევან მესხიძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ასოცირებული პროფესორი,
საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მმართველი თაობების ცვლასა და სი ძინპინის ხელმძღვანელობით ჩინეთის მეხუთე თაობის ლიდერებისთვის ძალაუფლების საბოლოო გადაცემასთან ერთად, გააქტიურდა დისკუსია უმაღლეს ეშელონებში ქვეყნის საგარეო ვექტორისა და სამხედრო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით. ახალი ხელისუფლების პირველი ნაბიჯები, მაგალითად, ჩინეთის მკვეთრი გააქტიურება და გამკაცრებული ქცევა აღმოსავლეთ და სამხრეთ ჩინეთის ზღვების სადავო ტერიტორიულ ზონებში, პეკინის სამხედრო პოლიტიკის განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისზე საუბრის საშუალებას იძლევა.

გასული ათწლეულების განმავლობაში, ჩინეთი, საერთაშორისო ასპარეზზე ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა, თავს არიდებდა ლიდერობას, პრინციპულად არ ერთიანდებოდა სამხედრო ალიანსებში და არ აყალიბებდა სამხედრო ბაზებს საზღვარგარეთ. ამჟამად ეს პრინციპები შეცვლილია და გადახედვას ექვემდებარება, რაც ლოგიკურად განპირობებულია პეკინის საგარეო და სამხედრო პოლიტიკის ევოლუციით. აქედან გამომდინარე, დღესდღეობით სწორედ ჩინეთი განიხილება უდიდეს გამოწვევად შეერთებული შტატებისთვის, რომლის სიძლიერის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს მისი სამხედრო-საზღვაო ფლოტი წარმოადგენს. იგი უძლიერესია მსოფლიოში. მისი საშუალებით ვაშინგტონს შეუძლია საკუთარი სამოხედო დომინირების გაფართოვება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში და საკვანძო საზღვაო-სატრანსპორტო მარშრუტების ბლოკირება მსოფლიოს მასშტაბით. პეკინს კარგად ესმის და გაცნობიერებული აქვს, რომ შერთებულ შტატებთან კონკურენციაში, მას ამავდროულად მოუწევს სწორედ მის სამხედრო-საზღვაო ძალებთან დაპირისპირება. აქედან გამომდინარე, ძალისხმევას არ იშურებს და აქტიურად აძლიერებს სამხედრო-საზღვაო ძალებს, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჩინეთმა საზღვაო ხომალდების რაოდენობით გადააჭარბა კიდეც შეერთებული შტატების საზღვაო ფლოტს. 2017-2019 წლებში მან შეავსო საკუთარი ფლოტი იმაზე მეტი რაოდენობის გემებით, ვიდრე ინდოეთმა, იაპონიამ, ავსტრალიამ, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ერთად აღებულმა. მაგრამ, როგორც ამბობენ, „ეშაკი - დეტალებშია“. საინტერესოა, დაასრულებს თუ არა ჩინეთი შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის დომინირებას?

სტატიაში განხილულია ჩინეთის სამხედრო პოლიტიკა, ამბიციები და მისწრაფება კონტინენტური სახელმწიფოდან საზღვაო ძალად გარდაქმნასთან დაკავშირებით, რასაც ქვეყანა ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად ახორციელებს. ნაშრომში აქცენტირება ხდება პეკინის სტრატეგიაზე, რომელიც შესაძლოა განხილულ იქნას ორ ფაზად: საზღვაო დომინირება - პირველ კუნძლთა ჯაჭვში 2023 წლამდე და უზენაესობა მეორე კუნძულთა ჯაჭვში - 2050 წლისთვის. გადის რა პეკინი ერთმანეთის მიყოლებით ამ სტრატეგიულ საფეხურებს, შეერთებულ შტატებში განგაშის სიგნალი ირთვება, რამდენადაც მშვიდობას ინარჩუნებს სწორედ ძალთა წონასწორობა, რომლის დარღვევასაც ჩინეთი ბოლო პერიოდში მიზანმიმართულად ცდილობს.

საკვანძო სიტყვები: სამხედრო-საზღვაო ფლოტი, საზღვაო მარშრუტები, საზღვაო ჰეგემონი, ავიამზიდები, „მარგალიტის სიმების“ ქსელი.

CHINA'S MILITARY POLICY, AMBITIONS AND STRATEGIC MOVE FROM MAINLAND POWER TO MARITIME HEGEMONY

KETEVAN MESKHIDZE

Associate Professor of Master's program in Security Studies of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Academic Doctor of International Relations

ABSTRACT

With the change of generations of Chinese leadership and the final transfer of power to China's fifth generation of leaders under the leadership of Xi Jinping, discussions regarding the country's foreign and military policies have intensified at the highest echelons of power. The first steps of the new government, for example, the sharp activation and tightening of China's behavior in the disputed territorial zones of the East and South China Seas, allow us to speak about the beginning of a new stage in the development of Beijing's military policy.

Over the past decades, China has preferred to remain in the shadows on the international stage, avoiding leadership, generally not joining military alliances or establishing military bases abroad. Currently, these principles have changed and are subject to revision, which is naturally due to the evolution of Beijing's foreign and military policy. Therefore, today China is considered the greatest challenge to the United States, one of the main instruments of its strength is its navy. It is the most powerful in the world. With it, Washington can extend its military dominance to any corner of the world and block key maritime transport routes around the world. Beijing understands and is aware that in competing with the United States, it will also have to confront its military and naval forces. Therefore, it spares no effort and actively strengthens its military and naval forces, which is confirmed by the fact that China has even surpassed the United States Navy in the number of naval vessels. Between 2017 and 2019, the country's fleet added more ships than the fleets of India, Japan, Australia, France and the UK combined. But, as they say, "the magic is in the details." Will China End US Navy Dominance?

The article discusses China's military policy, ambitions, and aspirations to transform from a continental state into a maritime power, which the country is implementing step by step. The paper focuses on Beijing's strategy, which can be considered in two phases: maritime dominance in the first island chain by 2023 and supremacy in the second island chain by 2050. As Beijing moves through these strategic steps one after another, alarm bells are ringing in the United States, as the peace in the world is maintained by a balance of power that China has been deliberately trying to upset in recent times.

Keywords: Navy, sea routes, maritime hegemon, aircraft carriers, "string of pearls" network.

შესავალი

გლობალიზაციის ეპოქაში ძალაუფლების ნამდვილ საზომს საზღვაო ფლოტი წარმოადგენს, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის საიმედო გარანტიაა. ამასთან, მთავრობები მიდრეკილნი არიან უფრო დელიკატურად აწარმოონ მოლაპარაკებები მოწინააღმდეგესთან, რომელსაც მათ სანაპიროებზე ჯარის დესანტირება შეუძლია. გარდა ამისა, ძლიერი საზღვაო ფლოტი იძლევა არა მხოლოდ დიპლომატიურ ბერკეტს მოლაპარაკებებში, არამედ ხელს უწყობს საზღვაო ვაჭრობის განვითარებას. იმის გათვალისწინებით, რომ გლობალიზაცია წარმოადგენს ბიზნესის წარმოების განუყოფელ ნაწილს, ეროვნული მიწოდების ჯაჭვები გადაჭმულია ოკეანეებსა და კონტინენტებზე. აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით თვალში საცემია ჩინეთთან მიმართებაში, რამეთუ მისი სავაჭრო ურთიერთობების დიდი ნაწილი სწორედ ზღვის საშუალებით ხორციელდება. ამიტომ იგი კონტინენტური სახელმწიფოდან საზღვაო ძალად გარდაქმნისკენ მიისწრაფის.

საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ პეკინის 2/3 და მსოფლიო საზღვაო ექსპორტის 1/3 - მალაკის სრუტეზე გადის. უფრო მეტიც, ჩინეთში ნავთობის მიწოდების 80 % სწორედ ამ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სრუტეზე შეუფერხებლად გავლაზეა დამოკიდებული. მთავარ საზღვაო მარშრუტების კვეთაზე ჩინეთის გეოგრაფიულ მდებარეობას, რომელიც მშვიდობიანობის დროს მისთვის კეთილდღეობის მომტანია, შესაძლოა ყველაზე მოწყვლადად გადააქციოს ქვეყანა კონფლიქტის აღმოცენების შემთხვევაში. ამდენად, ჩინეთი, რაც უფრო მეტად ინტეგრირდება მსოფლიო ეკონომიკაში, მით უფრო მეტად ექცევა საკუთარი გეოგრაფიული მდებარეობის ტყვეობაში. ამჟამად, მისი ვაჭრობის მოცულობის დაახლოებით 90% ხორციელდება ზღვის საშუალებით, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 70%-ს - სანაპირო რაიონების წარმოება ქმნის.

მსოფლიო საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ინფორმაციით, ჩინეთი ფლობს მსოფლიოს ოცი უმსხვილესი პორტის ნახევარს, რაც აშკარად მიუთითებს გახსნილობის პოლიტიკისა და რეფორმების დაწყებიდან ქვეყნის საზღვაო ეკონომიკის მნიშვნელოვან ზრდაზე.

თუმცა, ეკონომიკური მოღვაწეობის სანაპირო რეგიონებზე კონცენტრაციიდან გამომდინარე, ჩინეთი ვერ ახერხებდა საკუთარი ტერიტორიული სიღრმეების სრულად გამოყენებას, რამაც საფუძველი ჩაუყარა ახალი სტრატეგიული დოქტრინის შემუშავებას, რომელიც მიმართული იყო ამ ვითარების გამოსწორებისკენ.

ამდენად, უსაფრთხოებასა და ეკონომიკას შორის ურთიერთქმედება მოითხოვს ძლიერ საზღვაო ფლოტს, რაც ჩინეთს კარგად აქვს გაცნობიერებული და პეკნი - კონტინენტური სახელმწიფოდან საზღვაო ძალად გარდაქმნისკენ მიისწრაფის.

საკითხი მით უფრო აქტუალურია XXI საუკუნეში ჩინეთის ამბიციებისა და აღზევების ფონზე, რაც მთელი მსოფლიოს შეშფოთებას იწვევს.

ჩინეთის სამხედრო-საზღვაო სტრუქტურისა და მისი მიზნების გასაგებად, საჭიროა ჩავწვდეთ მისი გეოსტრატეგიული ვითარების განმსაზღვრელ ფაქტორებს. აქ უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას კუნძულების პირველი ჯაჭვის კონცეფციაზე, რომელიც ჯერ კიდევ ათწლეულების წინ ჩინელი დამგეგმარებლებისთვის ძირითად მიმართულებად იქცა.

კუნძულების ჯაჭვის კონცეფცია შემოღებულ იქნა 1980-იან წლებში ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ადმირალის ლიუ ჰუანცინის მიერ, რომელსაც შემდგომ თანამედროვე ჩინეთის საზღაო ფლოტის „მამასაც“ უწოდებდნენ. აღნიშნული ჯაჭვი განსაზღრავს შეერთებული შტატების საზღვაო ძალების მოქმედების ოპერატიულ რესურსს და ამავდროულად, ჩინეთის სამხედრო ფლოტის მთვარ შეზღუდვებს. აღნიშნული კუნძულების

ჯაჭვიდან საკვანძო მნიშვნელობის მატარებელია ორი მათგანი. პირველი, რომელიც გადაჭიმულია იაპონიის კუნძულებიდან - რიუკიუს (ნანსეი), ტაივანსა და ფილიპინების ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე, უხვევს ბორნეოსთან და მიემართება ვიეტნამისკენ. მას ჩინეთი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოს ფუნდამენტური ინტერესების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ინტერპრეტაციიდან გამომდინარე, იგი შესაძლოა ასევე განხილულ იქნას როგორც გავლენის სფერო ან ბუფერული ზონა. რიგი ანალიტიკოსებისა, მას ჩინეთის დიდ კედელსაც კი ადარებენ, რომელიც აკავებს ჩინეთის საზღვაო ექსპანსიას. იმის გათვალისწინებით, რომ კუნძულების პირველ ჯაჭვში შემავალი ქვეყნების უმეტესობა შეერთებული შტატების მოკავშირეები ან პარტნიორები არიან, პეკინი მას ღიად განიხილავს როგორც შეკავების სიმბოლოს და ვაშინგტონს ადანაშაულებს მეორე ცივი ომის გაღვივებაში. ამავდროულად, კუნძულების პირველი ჯაჭვი ეფექტურად ბლოკავს ჩინეთის წვდომას ღია ოკეანეში და ზრდის ეფექტური ბლოკადის რისკებს კონფლიქტების აღმოცენების შემთხვევაში.

მისი სტრატეგია შესაძლოა განხილულ იქნას ორ ფაზად. საზღვაო დომინირება - პირველ კუნძულთა ჯაჭვში - 2030 წლისთვის და საზღვაო უზენაესობა მეორე კუნძლთა ჯაჭვში - 2050 წლისთვის[1]. როდესაც პეკინი ერთმანეთის მიყოლებით ამ სტრატეგიულ საფეხურებს გადის, შეერთებულ შტატებში განგაშის სიგნალი ირთვება, რადგან მშვიდობას ინარჩუნებს სწორედ ძალთა წონასწორობა და ეს მშვიდობა გაგრძელდება იქამდე, ვიდრე ეს წონასწორობა იარსებებს.

კვლევის მეთოდოლოგია:

ნაშრომი დაფუძნებულია სოციალური კვლევის თვისებრივ მეთოდზე. კერძოდ, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მიზნით კვლევა განხორციელებულ იქნა პროცესის მიდევნების (Process Tracing), შემთხვევის შესწავლისა (Case Study) და თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდებზე დაყრდნობით. აგრეთვე, კვლევის პროცესში მოხდა მეორეული სამეცნიერო-ლიტერატურული წყაროების ანალიზი, რათა შექმნილიყო ბაზისი შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით კვლევის გასაგრძელებლად.

ძირითადი ნაწილი

ჩინეთის 3000 წელზე მეტი ხნის ისტორიის განმავლობაში, სამხედრო-საზღვაო ფლოტს არასოდეს უთამაშია წამყვანი როლი მის სტრატეგიაში, თუ არ ჩავთვლით ექსპედიციებთან დაკავშირებულ XV საუკუნის დასაწყისს, რომელიც 30 წელზე ნაკლები გრძელდებოდა. ჩინეთის იმპერატორები, როგორც წესი, ორიენტირებულნი იყვნენ სახმელეთო ძალების განვითარებაზე, რაც განპირობებული იყო ციური იმპერიის გეოგრაფიული ფაქტორითა და ქვეყნის შიდა პრობლემებით. დროთა განმავლობაში ევროპულ სახელმწიფოთა დინამიურ განვითრებასთან ერთად, ყურადღების მიღმა დარჩენილი სამხედრო-საზღვაო ძალები ჩინეთისთვის დიდ პრობლემად იქცა. სწორედ საზღვაო სამხედრო მოქმედებათა თეატრში სისუსტე და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა გახდა დამცირების საუკუნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომლის სიმბოლურ დასაწყისად განიხილება XIX საუკუნის ორმოციანი წლები - ბრიტანეთის იმპერიასთან დამარცხება ოპიუმის ომში. შედეგად, აქედან მოყოლებული, ათწლეულების განმავლობაში, ჩინელები იძულებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ არა მხოლოდ დასავლეთის სახელმწიფოთა დიქტატს, არამედ იაპონიის დიქტატურასაც, რომელმაც 1894-95 წლების ომის შემდეგ ხელში ჩაიგდო კონტროლი ფორმოზასა (კუნძულ ტაივანის პორტუგალიური სახელწოდება) და კორეაზე, რამაც შეცვალა ძალთა ბალანსი აზიაში და საფუძველი ჩაუყარა კიდევ ერთ, ბევრად უფრო სისხლიან - ჩინეთ-იაპონიის მეორე ომს.

1839 წლის პირველი ოპიუმის ომის შემდეგ, ჩინეთი ძლზე უკმაყოფილო დარჩა, რამდე-

1 Bernard D. Cole, „The Great Wall at Sea: China's Navy in the Twenty-First Century," 2nd edition, (Annapolis, MD: Naval Institute Press, 2010), p. 176

ნადაც ბრიტანეთის საზღვაო ძალების შემოჭრამ გამოიწვია მთელი რიგი ინციდენტები, რამაც ძალადობრივი კონფლიქტი გააღვივა ძლიერ კოლონიალურ ძალებსა და დაუცველ ჩინეთს შორის[2], მაგრამ ამბავი ამით არ დასრულებულა. ფრანგების ძლიერმა შეტევებმა გამოიწვია მეორე ოპიუმის ომი. მოგვიანებით კი, იაპონია არაერთხელ შეიჭრა ჩინეთის ტერიტორიაებზე. ლოგიკურად ჩნდება კითხვა: როგორ აღმოჩნდნენ უცხო ქვეყნები ჩინეთში? ისინი მოვიდნენ ზღვით. ამ კოლექტიურ მეხსიერებას ჩინელები დამცირების საუკუნესაც კი უწოდებენ, რომელიც თანამედროვე საზღვაო ძალების არ არსებობის გამო დაიწყო. თეორიულად, დამცირების საუკუნე დასრულდა 1949 წელს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადებით. თუმცა, ეს არ ნიშნავდა ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის აღორძინებას. იგი იყო სუსტი, თავისი ჩამორჩენილობიდან გამომდინარე და დარჩა სახმელეთო ძალების დაქვემდებარებაში, რაც ქმნიდა გარკვეულ პრობლემებს, რამდენადაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნით ტაივანზე ჩამოყალიბებულ იქნა ჩინეთის რესპუბლიკაც.

ჯერ კიდევ 1996 წელს, შეერთებული შტატების საზღვაო ძალებმა გაგზავნეს ავიამზიდების ორი საბრძოლო ჯგუფი ტაივანის სანაპირო წყლებში პატრულირებისთვის, რადგან ავტონომიური კუნძული პირველი დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად ემზადებოდა[3]. ავიამზიდები იყვნენ ამერიკის უზენაესობის დემონსტრირების საუკეთესო მაგალითი. ჩინეთის მცირე ფლოტს საზღვაო ამფიბიური ოპერაციების (საზღვაო დესანტის გადასხმის) ჩატარების შესაძლებლობაც კი არ ქონდა[4]. ამიტომ, უკან დაიხიეს და ტაივანში განვითარებულ მოვლენებს გვერდიდან უმწეოდ აკვირდებოდნენ. ეს ეპიზოდი დამცირების საუკუნის ექოსავით გაისმა და გარდამტეხიც აღმოჩნდა პეკინისთვის.

ჩინეთის გაერთიანება კომუნისტებისთვის გრძელვადიან, მაგრამ იმ დროისთვის მიუღწეველ მიზნად იქცა, საზღვაო ამფიბიური ოპერაციების (საზღვაო დესანტის გადასხმის) ჩატარების შესაძლებლობების არ ქონის გამო.

ახლა ჩინეთი ცდილობს ძველი შეცდომების გამოსწორებას. პეკინის საზღვაო მისწრაფებები უსაფუძვლო ნამდვილად არ არის და მხოლოდ ისტორიული გაკვეთილების ნაწილად არ უნდა იქნას განხილული.

1970-იანი წლების დასასრულს, დენ სიაოპინის მიერ ინიცირებული გახსნილობის პოლიტიკისა და რეფორმების პერიოდში დაიწყეს ჩინელმა სტრატეგებმა სამხედრო-საზღვაო ფლოტისთვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება. მთავარი ფაქტორი, რამაც დააჩქარა ფლოტის განვითრება, იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შესვლა გლობალიზაციის სტრუქტურებში და მისთვის საზღვაო ვაჭრობისთვის შესაძლებლობების გახსნა. 2001 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისა და დასავლური ინვესტიციების შემოდინების შემდეგ, ჩინეთის კეთილდღეობა, რაც პარტიის ლეგიტიმურობის მთავარ ელემენტს წარმოადგენდა, დამოკიდებული გახდა საზღვაო მარშრუტებზე თავისუფალ წვდომაზე. აღნიშნული სტრატეგიული მოწყვლადობის კარგ ილუსტრაციას წარმოადგენს 2003 წელს შეერთებული შტატების ერაყში შეჭრის შემდეგ ჰუ ძინტაოს მიერ გაკეთებული განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებული ჩინეთი მალაკის დილემის წინაშე აღმოჩნდა.

საჭირო იყო მოქმედება და მართლაც, ტაივანის სრუტის კრიზისის შემდეგ, ჩინეთმა დაიწყო

2 Richard S. Horowitz, „East Asia in the World, Twelve Events That Shaped the Modern International Order,“ Part III, - The Opium Wars of 1839-1860, Published by Cambridge University Press, 2020, pp.164-187

3 Joel Wuthnow Derek Grossman Phillip C. „Saunders Andrew Scobell Andrew N.D. Yang, Crossing The Strait, China's Military prepares for War with Taiwan,„ National Defense University Press, Washington, D.C. 2022, p.21;

4 Weuve C., Li Nan. „China's aircraft carrier ambitions“ // Naval War College Review. 2010. Vol. 63. № 1. Available at: http://www.usnwc.edu/getattachment/ 99679d4b-cbc1-4291-933e-a520ea231565/China-s-Aircraft-Carrier-Ambitions--An-Update (გადამოწმებულ იქნა: 25.02.2025);

თანამედროვე საზღვაო ძალების აღმშენებლობა[5]. ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის ფლოტი ყიდულობდა რუსულ გამანადგურებლებსა და ტექნოლოგიებს, რათა თვად შეექმნა საზღვაო გემების ქარხნები და დაეწყო მასობრივი წარმოება. უზრუნველყვეს ტექნოლოგიების გადაცემა, შექმნეს საზღვაო გემთმშენებლობის ინდუსტრია, დააპროექტეს საბრძოლო ხომალდები მასობრივი წარმოებისთვის[6] და ა.შ. ეს პროცესი იმდენად ეტაპობრივი და გარკვეულწილად, ექსპერიმენტულიც იყო, რომ მისი დიდი ნაწილი მედია-საშუალებების ყურადღების მიღმა დარჩა.

ამ დროიდან მოყოლებული, ჩინეთმა ააშენა სრულიად თანამედროვე არმადა[7]. პეკინის ამჟმინდელი საზღვაო პოლიტიკა ითვალისწინებს სანაპირო ზოლის გასწვრივ მოწინააღმდეგის ხომალდების არ დაშვებას შესაბამისი თავდაცვითი კომპლექსების გამოყენებით. ამ კომპლექსურ მიდგომაში შედის სხვადასხვა ტიპის რაკეტები, საჰაერო თავდაცვის სისტემები, ისევე, როგორც ელექტრონული ბრძოლის მექანიზმები, რომლებსაც შეუძლიათ მოწინააღმდეგის ძალების განეიტრალება. ამერიკულ და ჩინურ სამხედრო გემებს შორის ტექნოლოგიური უფსკრული ძალზე მცირეა. განსაკუთრებით კი გამანადგურებლებსა და კრეისერებს შორის. არსებობს მცდარი წარმოდგენები იმასთნ დაკავშირებით, რომ ჩინეთი მოძველებულ ხომალდებს უკეთებს რესტავრაციას, მაგრამ რეალობა ცხადყობს, რომ იგი აშენებს ახალ, თანამედროვე ხომალდებს, რომელიც სრულად შეესაბამება მომავალი საზღვაო ჰეგემონის ამბიციებს[8]. ამის ნათელი მაგალითია ახალი თაობის ავიამზიდი - „ფუძიანი“, აღჭურვილი უახლესი იარაღითა და ტექნოლოგიებით. ტონაჟის მიხედვით, იგი თითქმის 40%-ით აღემატება აქამდე არსებულ ჩინურ ავიამზიდებს, რის გამოც შეერთებულ შტატებს იგი სუპერავიამზიდების კატეგორიებში შეჰყავს. „ფუძიანი“ ასევე წარმოადგენს ჩინეთის პირველ შიდა დაპროექტებულ და აშენებულ ავიამზიდს, რაც მნიშვნელოვანი ეტაპია ჩინეთის სამხედრო ინდუსტრიული კომპლექსისთვის[9]. მას ახლა ოფიციალურად შეუძლია აწარმოოს საზღვაო-საბრძოლო ხომალდების სრული სპექტრი, რომლებიც დაკავშირებულია თამამედროვე საზღვაო ომებთან. შეერთებული შტატების საზღვაო ძალები, რა თქმა უნდა, ლიდერობს და კვლავაც რჩება მსოფლიოს უძლიერეს ძალთა ჯაჭვის სათვეში, მაგრამ ჩინეთის მზარდი საზღვაო ძალა ცდილობს არსებულ მოცემულობის შეცვლას.

ოფოციალურად, ჩინეთის საზღვაო ძალები მსოფლიოში ყველაზე დიდია. შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის მიერ 2020 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის თნახმად, ჩინეთის საზღვაო განმათავისუფლებელი არმიის საზღვაო ძალებმა გადააჭარბა შეერთებული შტატების საზღვაო ძალებს სამხედრო ხომალდების რაოდენობით[10]. ჩინეთს 360 ხომალდი ჰყავს, ხოლო შეერთებულ შტატებს - 297 და ეს სხვაობა დროთა განმავლობაში სავარაუდოდ, უფრო გაიზრდება. მიუხედავად იმისა, რომ რიცხვები არ ასახავს ძალაუფლების რეალურ დონეს და შეერთებული შტატების საზღვაო ძალები კვლავაც ყველაზე ძლიერია, მომავალში, 2050 წლისთვის, ჩინეთის მზარდი საზღვაო ძალა დიდი ალბათობით რადიკალურდ შეცვლის ძალთა ბალანსს, შესაბამისად, კონტინენტური მნიშვნელობის სახელმწიფო გადაიქცევა

5 Anthony H. Cordesman, Joseph Kendal, „Chinese Military Modernization,“ A Comparative Analysis, Center for Strategic and International Studies (CSIS), 2016, pp.501-554,

6 Friedman Norman, „World Naval Developments: China Buys Russian Destroyers,“ Volume 123/3/1,129, 1997, https://www.usni.org/magazines/proceedings/1997/march/world-naval-developments-china-buys-russian-destroyers, (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 02.02.2025);

7 B.D. Cole, „Naval developments in China. The last decade and the future“ // Proceedings of «PLA in the next decade» conference. 2011. 31 October – 1 November;

8 Sandeep Dewan, „China’s Maritime Ambitions and the PLA Navy“ (New Delhi, India: Vij Books, 2013), p. 18.

9 „ჩინეთმა მესამე ავიამზიდი შეიყვანა ექსპლუატაციაში“, News hub, 2022, https://newshub.ge/news/msoflio/chinetma-me-same-aviamzidi-sheikvana-eksploatatsiashi (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 02.02.2025);

10 „Military and Security Developments Involving The People’s Republic of China 2020“, Annual Report ti Congress, Office of The Secretary of Defense https://media.defense.gov/2020/sep/01/2002488689/-1/-1/1/2020-dod-china-military-power-report-final.pdf (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 02.02.2025);

საზღვაო სახელმწიფოდ და ჩინეთი დაიკავებს 21-ე საუკუნის საზღვაო სახელმწიფოს კვარცხლბეკს.

პეკინის საზღვაო ძალების ბირთვი არის ის, რასაც ჩვეულებრივ, წვდომისა და მანევრირების შეზღუდვის სისტემებს[11] უწოდებენ. სარაკეტო, საჰაერო თვდაცვისა და ელექტრონული საშუალებების ამ მრავალრიცხოვან სისტემებს შეუძლიათ მოწინააღმდეგის სამხედრო ხომალდების, სახმელეთო ჯარების, თნამგზავრებისა თუ ლოგისტიკური კერების განადგურება და განეიტრალება. ჩინეთმა დიდი ინვესტიცია ჩადო სისტემაში, რომელიც ზღუდავს წვდომასა და მანევრის საშუალებას მის სანაპიროსთან და ამ პროცესში შეიმუშავა ტრადიციული ლეტალური იარაღიც, რომელსაც შეუძლია სისტემის მიერ შექმნილი ხარვეზების გამოიყენება დამანგრეველი კონტრშეტევისთვის.

სიცხადისთვის უნდა ითქვას, რომ 1996 წელს, ტაივანის სრუტიის კრიზისის დროს, ჩინეთის თავდაცვითი იარაღი ქვეყნის სანაპირო ზოლის დასაცავადაც კი არ იყო საკმარისი. მცირე ზომის სარაკეტო არსენალის ეფექტიანობა მხოლოდ ტაივანსა და სამხრეთ კორეაში არსებულ ამერიკულ ბაზებზე შესაძლებელი იერიშით შემოიფარგლებოდა. თუმცა, 2003 წლისთვის ჩინეთმა გააფართოვა თავისი არსენალი ასობით რაკეტით, რაც უკვე სრულად უზრუნელყოფს მისი სანაპირო ზოლის დაცავას. 2010 წლისთვის კი მათი ინვენტარი გაიზარდა და მოკლე დისტანციაზე მოქმედი ბალისტიკური რაკეტების რაოდენობამ 1000-ს გადააჭარბა. ასევე აღსანიშნავია, რომ 2016-დან 2018 წლამდე ჩინეთის ხარჯებმა თავდაცვის სფეროში კოლოსალურ მაჩვენებელს მიაღწია, რამაც სწრაფი სამხედრო მოდერნიზაციის გახორციელების საშუალება მისცა მათ. სამხედრო ანალიტიკოსთა შეფასებით, ამჟამად ჩინეთის სამხედრო-სარაკეტო ძალებს შესაძლოა შეიარაღებაში ჰქონდეთ დაახლოებით 1500 მცირე (შორ დისტანციაზე), 450 საშუალო და 160 ერთეული მცირე რადიუსის მოქმედების ბალისტიკური რაკეტა; ასევე, სახმელეთო ბაზირების ასობით შორი მოქმედების ფრთოსანი რაკეტა, რომელთა მოქმედების სავარაუდო დიაპაზონი 1700 კმ-ია და შეუძლია სამიზნეების განადგურება როგორც კუნძულების მთელი პირველი ჯაჭვის გასწვრივ, ისე მის ფარგლებს გარეთ - იაპონიის, სამხრეთ კორეის, ტაივანისა და ფილიპინების ჩათვლით[12]. ამრიგად, ჩინეთის სამხედრო არსენალშია ათასობით მოკლე და ასობით საშუალო მანძილზე მოქმედი ბალისტიკური რაკეტა[13], რომლებსაც შეუძლია ამერიკულ გუამამდე მიღწევა.

1996 წელთან შედარებით, ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა და 2008 წლიდან, ამერიკული ავიამზიდები ტაივანის სრუტეში ვეღარ შედიან. უცხოური სამხედრო გემები, რა თქმა უნდა უახლოვდებიან კონტინენტურ ჩინეთს, მაგრამ მხოლოდ წყლულში, რადგან არ შექმნან ზედმეტი პროვოკაციები. ამჟამად ჩინეთის საზღვაო ფლოტილიის ძალა გამყარებულია სახმელეთო ბაზირების რაკეტებით, რაც ფლოტს საერთაშორისო წყლებში საკუთარი პრეტენზიების ღიად დემონსტრირებასთან ერთდ, ყვითელ, აღმოსავლეთ ჩინეთისა თუ სამხრეთ ჩინეთის ზღვების წყლებში მოქმედების სულ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს[14]. უხეში შეფასებით, ჩინეთს ამჟამად აქვს მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი საზღვაო ფლოტი, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს სტატისტიკა საკმაოდ ფარდობითი და გაბერილია პატარა საპატრულო გემებით. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ დიდ ხომალდებს, ჩინეთის საზღვაო ძალები ამჟამად 121 ხომალდისგან შედგება, ხოლო

11 იქვე

12 Townshend A., Thomas-Noone B., Steward M., „Averting Crisis: American strategy, military spending and collective defence in the Indo-Pacific“, United States Studies Centre; 2019. URL: https://www.ussc.edu.au/analysis/averting-crisis-american-strategy-military-spending-and-collective-defence-in-the-indo-pacific, (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 02.02.2025);

13 იქვე, Sandeep Dewan, 2013, p. 18;

14 M.Daniel Hartnett, „China's Evolving Interests and Activities in the East China Sea,“ in Michael A. McDevitt et al., The Long Littoral Project: East China and Yellow Seas—A Maritime Perspective on Indo-Pacific Security (Alexandria, VA: CNA, September 2012), pp. 83-86,

აშშ-ის იგივე სეგმენტი - 162 გემს ითვლის. ფლოტის ზომისა და შესაძლებლობების უკეთ აღსაქმელად, მიზანშეწონილია მათი შედარება ტონაჟის მიხედვით. ამ თვალსაზრისით, 2019 წლის მონაცემებით, მთლიანი ტონაჟის შესაბამისად, შეერთებული შტატების საზღვაო ძალები ორჯერ აღემატებოდა ჩინეთის საზღვაო ძლებს: 4,6 მილიონ ტონა - 1, 8 მილიონი ტონის წინააღმდეგ, რაც იმას ნიშნავს, რომ შეერთებული შტატების საზღაო საბრძოლო ფლოტი კვლავ საუკეთესოა და ლიდერობს საბრძოლო შესაძლებლობების თვალსაზრისით[15].

მიუხედავად ამისა, ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის ფლოტის ზრდა საკმაოდ შთამბეჭდავია და პეკინის მთავრობა სავარაუდოდ, აქ არ გაჩერდება. ამ ყველაფერთან ერთად, ჩინეთის საზღვაო ძალების გეგმების უმეტესი ნაწილი რჩება სახელმწიფო საიდუმლოდ, მაგრამ წარსულის გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელია მომდევნო ათწლეულის პროგნოზირება. სავარაუდოდ, თუ გემთმშენებლობის ინდუსტრია არ დააგდებს ტემს, ჩინეთს, დიდი ალბათობით, ეყოლება 5 ან 6 ავიამზიდი 2030 წლისთვის[16], რაც მნიშვნელოვანი ზრდაა არსებულ ვითარებასთან შედარებით. რა თქმა უნდა, ეს რიცხვი ჩამოუვარდება 11 ამერიკულ ავიამზიდს, მაგრამ საგულისხმოა, რომ ჩინეთის სტრატეგიული მიზნები უფრო ლოკალურია. აშშ-ის საზღვაო ძალები მოქმედებენ მსოფლიოს ყველა საბრძოლო მოქმედებათა თეატრში, მაშინ, როდესაც ჩინეთის საზღვაო ძალები უმთვრესად ფოკუსირებულნი არიან კუნძულების პირველ ჯაჭვზე - არქიპელაგთა ხაზზე, რომელიც გადაჭიმულია ბორნეოდან ფილიპინებამდე, ტაივანსა და იაპონიამდე. 2030 წლისთვის, სავარაუდოდ, ჩინეთის საზღვაო ძალები სწორედ ამ სივრცეში გეგმავენ გაბატონებას. ანუ, დომინირებას მოიპოვებენ ყვითელ, აღმოსავლეთ ჩინეთსა და სამხრეთ ჩინეთის ზღვების წყლებში. კუნძლების პირველ ჯაჭვში უპირატესობის მისაღწევად პეკინს არ სჭირდება ვაშინგტონთან გემების რაოდენობისა თუ ტონაჟის თვალსაზრისით ჭიდილი. მისთვის საკმარისი იქნება მხოლოდ ამ სივრცის დაფარვა, სადაც კონფლიქტის შემთხვევაში ჩინეთის არმია დიდი ალბათობით, იმოქმედებს სახმელეთო ბაზირების რაკეტებისა და კონტინენტიდან გამოფრენილი სამხედრო თვითმფრინავების საფარქვეშ. მოწინააღმდეგის ნებისმიერი ფლოტი კი პირველი კუნძულის ჯაჭვში მუდმივად იქნება რაკეტებისა და ტორპედირების სამიზნე. ჩინეთის სადავო ტერიტორიები იქნება ეს ყვითელ, აღმოსავლეთ ჩინეთისა თუ სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, ამ სტრატეგიულ მიზანს ემსახურება. ამასთან, პეკინის კონტროლქვეშ მყოფი თითიეული კუნძული წარმოადგენს კიდევ ერთ დამატებით პლაცდარმს გამანადგურებელი იარაღის განსათავსებლად, რაც შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც ერთ-ერთი ეფექტური ბერკეტი უცხოური საზღვაო ძალების გაძევებისა და მანევრის თავიდან ასაცილებლად იმ ტერიტორიებიდან, რომელებსაც ჩინეთი თავის საკუთრებად მიიჩნევს[17].

მოცემული სტრატეგიის პირველი ეტაპის წყალობით, პეკინი იმედოვნებს 2030 წლისთვის საზღვაო დომინირების მიაღწევას. უფრო შორეული სტრატეგიის გათვალისწინებით, გემთმშენებლობის ამჟამინდელი ტემპის მხედველობაში მიღებით, 2050 წლისთვის პეკინში ვარაუდობენ, რომ მათ არსენალში იქნება 10 ავიამზიდი, ხოლო სახალხო განმათავისუფლებელი არმიის საზღვაო კორპუსის რაოდენობა 100 000-მდე გაიზრდება.

აღნიშნული მომენტისთვის ჩინეთის საზღვაო ძალები თავისი შესაძლებლობების თვალსაზრისით, დაემსგავსება აშშ-ის საზღვაო ფლოტს, რომლის წყალობითაც მას შეეძლება უფრო თამამი პოლიტიკის გატარება. კერძოდ, პეკინი შეძლებს მისი საზღაო ხომალდების,

15 იქვე, Sandeep Dewan, 2013, p. 18.ნ

16 Peter Suciu, „China's Navy: 6 Aircraft Carriers and 370 Warships by 2030," published by U.S. Department of Defense, 2024, ,https://www.19fortyfive.com/2024/12/chinas-navy-6-aircraft-carriers-and-370-warships-by-2030/, (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 02.02.2025

17 „Military and Security Developments Involving The People's Republic of China 2020", Annual Report ti Congress, Office of The Secretary of Defense, https://media.defense.gov/2020/sep/01/2002488689/-1/-1/1/2020-dod-china-military-power-report-final.pdf, (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 02.02.2025);

ავიამზიდებისა თუ ამფიბიების შესაძლებლობების საზღვრების გამოცდას. მათი საზღვაო ძალები სავარაუდოდ, გააქტიურდება ინდოეთისა და წყნარ იკეანეებში. პეკინი გააფართოვებს ლოგისტიკურ შესაძლებლობებს მთელ მსოფლიოში, რაც ოკეანეში მყოფი საზღვაო ფლოტის ძირითადი კომპონენტია. მათ უკვე აქვთ ბაზა ჯიბუტიში და მიმდინარეობს მოლაპარაკებები მსგავსი ბაზების შექმნასთან დაკავშირებით კამბოჯაში, შრილანკასა და სოლომონის კუნძლებზე[18]. მეორე ფაზისთვის ჩინეთს ექნება ბაზების ვრცელი სია, რომელიც იქნება მისი ძალის პროეცირების მთავარი გასაღები.

პეკინის მიერ ძალაუფლების აქტიური დაგროვება ემსახურება გრძელვადიან გეოპოლიტიკურ მიზანს, კერძოდ, ჩინეთის საზღვაო ძალების მიერ ზღვაზე კონტროლსა და შესაძლებლობების შექმნას ოკეანეში მანევრებისა და შემაკავებელი მოქმედებების საწარმოებლად, რამდენადაც კარგად აცნობიერებენ, რომ მთავრობები მოწინააღმდეგესთან უფრო დელიკატურად აწარმოებენ მოლაპარაკებებს, თუ ამ მოწინააღმდეგეს მათ სანაპიროებზე ჯარის დესანტირება შეუძლია. გარდა ამისა, საზღვაო ძალები ხელს უწყობს ბიზნესისა და საზღვაო ვაჭრობის განვითრებას. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ეროვნული მნიშვნელობის მიწოდების ჯაჭვები ვრცელდება მთლ მსოფლიოში. საერთაშორისო ეკონომიკის შეუფერხებელი ფუნქციონირება კრიტიკულია ჩინეთის სოციალური სტაბილურობისა და ეროვნული კეთილდღეობისთვის. ვაჭრობის უმეტესი ნაწილი საზღვაო გზით ხორციელდება და მალაკის სრუტის ბლოკადამ შესაძლოა სერიოზულად დააზიანოს პეკინის მთლიანი შიდა პროდუქტი. ამდენად, ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკა და უსაფრთხოება - მოითხოვს ოკეანეში მოქმედი ძლიერი ფლოტის შექმნას. 2050 წლისთვის ჩინეთის ფლოტი იქნება მნიშვნელოვანი ძალა მსოფლიო გეოპოლიტიკურ რუკაზე. მიუხედავად იმისა, თუ რა სტატუსით იქნება ტაივანში ჩინეთი, იგი შეეცდება ბუფერული ზონის შექმნას წყნარ ოკეანეში საზღვაო-საკომუნიკაციო ხაზებისთვის, რომელიც გაივლის ყვითელ აღმოსავლეთ და სამხრეთ ჩინეთის ზღვებში. შედეგად, ჩინეთის ფლოტი მიიღებს ტაქტიკურ უპირატესობას მეორე კუნძულების ჯაჭვის ათვისების შემდეგ, რომელიც გადაჭიმულია იაპონიიდან მიკრონეზიამზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გუამი, რომელიც მდებარეობს კუნძულების მეორე ჯაჭვის ცენტრში გახდება სტრატეგიული საყრდენი ძალის პროეცირებისთვის. საგულისხმოა, რომ გუამი ამჟამად მასპინძლობს ათასობით ამერიკელ სამხედროსა და სტრატეგიულ სამხედრო ბაზებს, მათ შორის საზღვაო და საჰაერო ძალების ბაზასაც. პეკინიც და ვაშინგტონიც შეეცდებიან ახალი ასეთი სამხედრო ობიექტების დაფუძნებას წყნარი ოკეანის მასშტაბით. ანუ, ამ სამხედრო ლოგისტიკის, როგორც უსაფრთხოების ქსელის გაზრდას, მიკრონეზიის კუნძულებზე ექსკლუზიური წვდომის შესანარჩუნებლად.

ამავდროულად, შეერთებული შტატების მოკავშირეები, როგორიცაა იაპონია და სამხრეთ კორეა, რომლებსაც ჰყავთ საკუთარი საკმაოდ ძლიერი ფლოტები, სავარაუდოდ, უფრო გააქტიურდებიან. ეს ყველაფერი ერთად მიუწვდომელს ხდის მესამე კუნძულების ჯაჭვს, რომელიც გადის წყნარი ოკეანის ცენტრზე. აქ არის ჰავაის კუნძულები, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტია ამ მონაკვეთში. ნაკლებსავარაუდოა, რომ ჩინეთის საზღვაო შესაძლებლოიბები გაფართოვდეს ჰავაის კუნძულებამდე, მაგრამ როგორც ამერიკული ხომალდები შედიან ჩინეთის სანაპირო წყლებში თავისუფალი საზღვაო გადაადგილების ეგიდით, ასევე ჩინური გემებიც შევლენ ამერიკულ სანაპირო წყლებში, ანუ მათი ინტერესის სფეროში - ნავიგაციის თავისუფლების დემონსტრირებისთვის. თუმცა, მთავარი დაპირისპირება მათ შორის სავარაუდოდ, მოსალოდნელია სადღაც პირველ და მეორე კუნძულების ჯაჭვებს შორის არსებულ სივრცეში. ამავდროულად, ინდოეთის ოკეანეშიც

18 Alexander Wooley, „Beijing is Going Places – and Building Neval Bases“, 2023, https://foreignpolicy.com/2023/07/27/china-military-naval-bases-plan-infrastructure/, (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 02.02.2025

არსებობს ორი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის კუნძულების ჯაჭვური ხაზი. პირველი - გვადარიდან მალდივის კუნძულების გავლით დიეგო გარსიამდე და მეორე - ჯიბუტიდან კენიის გავლით მოზამბიკამდე. ამ ხაზებს, რომლებსაც მე-4 და მე-5 კუნძულების ჯაჭვს უწოდებენ, დიდი სტრატეგიული დატვირთვის მატარებელია[19]. დიეგო გარსია - ბრიტანეთის ტერიტორიაა და ერთ-ერთი ყველაზე მნიშნელოვანი კუნძულია ინდოეთის ოკეანეში. აქ არის დიდი ამერიკული ბაზა და სავარაუდოდ, ეს კუნძული იქნება წამყვანი როლის შემსრულებელი და საკონტროლო პუნქტი მომავალი საზღვაო ოპერაციების დროს.

თავის მხრივ, ჩინეთი - ე.წ. „მარგალიტის სიმების“ ქსელის სტრატეგიის[20] გამოყენებით შეეცდება ჩინური გემებისთვის ხელმისაწვდომი პორტების რაოდენობის გაზრდას, რომლებიც მის დაქვემდებარებაში იქნება და მათი გამოყენებით პეკინი შეძლებს გემების საწვავითა და ტექნიკური მომსახურებით უზრუნველყოფას. მიანმარი, ომანი, პაკისტანი, შრილანკა, კენია და მოზამბიკი - ახალი ჩინური ბაზების ყველაზე სავარაუდო განლაგების ადგილებია. ასეა თუ ისე, რაც უფრო დიდია პეკინის საზღვაო წარმომადგენლითობა, მით უფრო მეტი დიპლომატიური ბერკეტი აქვს მას მოლაპარაკებებში, რაც განსაკუთრებით სასარგებლოა სტრატეგიული რესურსების კონტროლის უზრუნველსაყოფად. თუმცა, აქვე აღნიშნულ უნდა იქნას, რომ მიუხედავად ამისა, ჩინეთის გაფართოვება ინდოეთის ოკეანეში დამოკიდებული იქნება ინდოეთის პოლიტიკურ ნებაზე. ჩვენთვის ჯერ არ აროს ცნობილი როგორ ჩამოყალიბდება ინდოეთის გეოპოლიტიკური სცენა. აქ ბევრი რამაა დამოკიდებული მის მზადყოფნაზე დიდი „საზღვაო თამაშების“ დასაწყებად. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს ოთხი წამყვანი სახემწიფოს - ინდოეთის, ავსტრალიის, იაპონიისა და შეერთებული შტატების სტრატეგიული კოალიციის - QUAD-ას როლი და მნიშვნელობა, ანუ უსაფრთხოების ოთხმხრივი დიალოგი, რომელსაც სათავეში უდგას ვაშინგტონი და მიზნად ისახავს სწორედ ჩინეთის მზარდი საზღვაო მისწრაფებების შეკავებას აღნიშნული ქვეყნების რესურსების გამოყენებით[21]. მოცემული „ოთხეულის“ სტრატეგიული კოალიცია, ფაქტიურად, შესაძლოა განხილულ იქნას როგორც პასუხი ჩინეთის საგარეო პოლიტიკასა და ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურის საფუძველი. მას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს მომავალში, მაგრამ ამ ეტაპზე, ცხადია, ჩინეთის საზღვაო ძალები არსებულ ბალანსში საკმაო ქაოსის შემოტანას ცდილობს.

დასკვნა

ამრიგად, შეჯამების სახით შესაძლოა ითქვას, რომ ამ ეტაპზე ჩინეთის საზღვაო ძალები პრიორიტეტს ანიჭებენ კუნძულების პირველ ჯაჭვში გაბატონებას და პარალელურად, პრეტენზიების უფლებას იმყარებენ მეორე კუნძლების ჯაჭვში. ანუ, 2050 წლისთვის ჩინეთის საზღვაო ძალები სავარაუდოდ, შეეცდებიან კონტროლის დამყარებას საზღვაო-საკომუნიკაციო ხაზებზე, რაც პრიორიტეტს მიანიჭებს წვდომისა და მანევრირების შეზღუდვებს პირველ მთავარ ჯაჭვზე, ხოლო მეორე მთავარ ჯაჭვზე უფრო ცხადი პრეტენზიები გაჩნდება და ჩინეთი დაიწყებს მე-3, მე-4 და მე-5 კუნძულთა ჯაჭვებს შორის წყლების შესწავლას მომავალი გეოპოლიტიკური მიზნებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის საზღვაო ძალები რჩება მსოფლიოს დომინანტურ საზღვაო ძალად, ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯებით ჩინელები დროთა განმავლობაში გახდებიან მიმდებარე ტერიტორიების ჰეგემონები, რადგან

19 Kyrylo Cyril Kutcher, „China in the Indo-Pacific: Alfred Mahan and the Island Chains, Australian Institute of International Affairs,“ 2024, https://www.internationalaffairs.org.au/australianoutlook/china-in-the-indo-pacific-alfred-mahan-and-the-island-chains/#:~:text=Thus%2C%20another%2C%20the%20fourth%2C,Ocean%20will%20constitute%20the%20fifth, (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 02.02.2025);

20 A. Sterioti, „The Significance of China's 'String of Pearls Strategy',“ University of San Diego School of Law, pdf, 2017;

21 Scott W. Harold. (2020). U.S.- Japan Alliance Conference. Regional Perspectives on the Quadrilateral Dialogue and Free and Open Indo-Pacific. https://www.rand.org/pubs/conf_proceedings/CF414.html, (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 02.02.2025)

კარგად აცნობიერებენ, რომ გამარჯვება წყალზე - გამარჯვებაა ხმელეთზე გადაულახავი დაბრკოლებების შესაქმნელად.

ბიბლიოგრაფია

სტატია: „ჩინეთმა მესამე ავიამზიდი შეიყვანა ექსპლუატაციაში“, News hub, 2022, https://newshub.ge/news/msoflio/chinetma-mesame-aviamzidi-sheikvana-eksploatatsiashi, (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 02.02.2025)

Anthony H. Cordesman, Joseph Kendal, Chinese Military Modernization, A Comparative Analysis, Center for Strategic and International Studies (CSIS), 2016, pp.501-554,

Anthony Sterioti, The Significance of China's 'String of Pearls Strategy', University of San Diego School of Law, pdf, 2017;

Bernard D. Cole, The Great Wall at Sea: China's Navy in the Twenty-First Century, 2nd edition, (Annapolis, MD: Naval Institute Press, 2010), p. 176.

Darshana M. Baruah, Nitya Labh, and Jessica Greely. Mapping the Indian Ocean Region, 2023, rb.gy/8bd37b, (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 02.02.2025)

Daniel M. Hartnett, „China's Evolving Interests and Activities in the East China Sea,“ in Michael A. McDevitt et al., The Long Littoral Project: East China and Yellow Seas—A Maritime Perspective on Indo-Pacific Security (Alexandria, VA: CNA, September 2012), pp. 83-86,

Friedman Norman, World Naval Developments: China Buys Russian Destroyers, 1997, Volume 123/3/1,129, rb.gy/guxq37, (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 02.02.2025)

Joel Wuthnow Derek Grossman Phillip C. Saunders Andrew Scobell Andrew N.D. Yang, Crossing The Strait, China's Military prepares for War with Taiwan, National Defense University Press, Washington, D.C. 2022, p.21;

Kyrylo Cyril Kutcher, China in the Indo-Pacific: Alfred Mahan and the Island Chains, Australian Institute of International Affairs, 2024, rb.gy/l7qei3, (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 02.02.2025)

Military and Security Developments Involving The People's Republic of China 2020, Annual Report ti Congress, https://media.defense.gov/2020/sep/01/2002488689/-1/-1/1/2020-dod-china-military-power-report-final.pdf, (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 02.02.2025)

Peter Suciu, China's Navy: 6 Aircraft Carriers and 370 Warships by 2030, published by U.S. Department of Defense, 2024, https://www.19fortyfive.com/2024/12/chinas-navy-6-aircraft-carriers-and-370-warships-by-2030/, (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 02.02.2025)

Richard S. Horowitz, East Asia in the World, Twelve Events That Shaped the Modern International Order, Part III, - The Opium Wars of 1839-1860, Published by Cambridge University Press, 2020, pp.164-187

Robert Farly, „What Makes a Real „Blue Water Navy“? Here's a List,“ 2021, https://nationalinterest.org/blog/reboot/what-makes-real-blue-water-navy-heres-list-183441 (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 02.02.2025)

Sandeep Dewan, China's Maritime Ambitions and the PLA Navy (New Delhi, India: Vij Books, 2013), p. 18.

Scott David., the Indo-Pacific in US Strategy: responding to Power Shifts. Volume 3, Issue 2 (The „Indo-Pacific“ - Regional Dynamics in the 21 st Century's New geopolitical Center of Gravity), 2018, pp. 19-43;

Scott W. Harold., U.S.- Japan Alliance Conference. Regional Perspectives on the Quadrilateral Dialogue and Free and Open Indo-Pacific, 2020, https://www.rand.org/pubs/conf_proceedings/CF414.html, (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 02.02.2025)

Townshend A., Thomas-Noone B., Steward M., Averting Crisis: American strategy, military spending and collective defence in the Indo-Pacific // United States Studies Centre. 2019. rb.gy/e1tinm, (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 02.02.2025);

Wooley Alexander, Beijing is Going Places – and Building Neval Bases, 2023, https://foreignpolicy.com/2023/07/27/china-military-naval-bases-plan-infrastructure/, (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 02.02.2025).

კონფლიქტები ორგანიზაციებში

რამაზ ჩიჩუა

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მოწვეული სპეციალისტი,
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია პრობლემა, რომელიც აქტუალურია ჩვენს დროში - კონფლიქტები ორგანიზაციებში. ნაშრომში განხილულია ორგანიზაციული კონფლიქტების ძირითადი მიზეზები, მათი კლასიფიკაცია, ასევე კონფლიქტების მართვის დადებითი და უარყოფითი მხარეები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონფლიქტის მართვის სტრატეგიებს, როგორიცაა თავიდან აცილება, კონკურენცია, კომპრომისი და თანამშრომლობა. გაანალიზებულია კონფლიქტების კონსტრუქციული მოგვარების მეთოდები. ორგანიზაციაში თანამშრომლობა ბუნებრივი მოვლენაა, რომელიც წარმოიქმნება ორგანიზაციის შიგნით თანამშრომლებსა და განყოფილებებს შორის ურთიერთქმედების პროცესში. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მიზნების, ღირებულებების, რესურსების და მართვის სტილის განსხვავებებით. ავტორს მიერ განხილულია კონფლიქტების ძირითადი ცნებები და არსი. გაანალიზებულია მათი გადაჭრისა და კონფლიქტური სიტუაციების პრევენციის მეთოდები, რადგან კონფლიქტოლოგიაში არსებობს კონფლიქტების მართვის მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც თავის მხრივ იყოფა ჯგუფებად გამოყენების სფეროების მიხედვით. სტატიაში ასევე განხილულია ორგანიზაციებში კონფლიქტების თავისებურებები, მათი წარმოშობის მიზეზები. გამახვილებულია ყურადღება, რომ კონფლიქტის ეფექტურად მართვის უნარი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე: დისფუნქციური შედეგების მასშტაბები, კონფლიქტის მიზეზების აღმოფხვრა ან შენარჩუნება, ახალი კონფლიქტის წარმოშობის ალბათობა. ნაშრომში ასახულია კონფლიქტურ სიტუაციებში ქცევის ძირითადი წესები. ამ სტატიაში გაეცნობით კონფლიქტის მიზეზებს, ტიპებს და როგორ მართოთ იგი. ამის საფუძველზე შეგიძლიათ გადაწყვიტოთ კონფლიქტიდან გამოსვლის საუკეთესო სტრატეგია. კონფლიქტს ეფექტური მენეჯმენტი არა მხოლოდ ამცირებს კონფლიქტების სტრუქტურულ გავლენას, არამედ ხელს უწყობს კონფლიქტის რისკის შემცირებას.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტი, ორგანიზაცია, კონფლიქტური სიტუაცია, ინციდენტი, მენეჯერი.

CONFLICTS IN ORGANIZATIONS

RAMAZ CHICHUA

Invited specialist of Bachelor's Program of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Academic Doctor of Social Sciences

ABSTRACT

The article discusses a problem that is relevant in our time - conflicts in organizations. The paper discusses the main causes of organizational conflicts, their classification, as well as the pros and cons of conflict management. Special attention is paid to conflict management strategies such as avoidance, competition, compromise, and cooperation. Methods for constructive conflict resolution are analyzed. Collaboration in an organization is a natural phenomenon that arises in the process of interaction between employees and departments within an organization. This may be due to differences in goals, values, resources, and management styles. The author discusses the basic concepts and essence of conflicts. Methods for resolving and preventing conflict situations are analyzed, as there are a variety of conflict management methods in conflictology, which are in turn divided into groups according to their areas of application. The article also discusses the characteristics of conflicts in organizations and the causes of their occurrence. It is emphasized that the ability to effectively manage conflict depends on many factors: the scale of dysfunctional consequences, the elimination or maintenance of the causes of the conflict, the likelihood of a new conflict. The paper outlines the basic rules of behavior in conflict situations. In this article, you will learn about the causes, types, and management of conflict. Based on this, you can decide on the best strategy for resolving the conflict. Effective conflict management not only reduces the structural impact of conflicts, but also helps reduce the risk of conflict.

Keywords: conflict, organization, conflict situation, incident, manager.

შესავალი

კონფლიქტების პრობლემა ყოველთვის აქტუალური იყო და წარმოადგენს კვლევის ობიექტს სამეცნიერო საქმიანობის სხვადასხვა დარგში. ორგანიზაციებში, კონფლიქტების მოვლენები საკმაოდ ხშირია. იმისათვის, რომ ამან ზიანი არ მიაყენოს კომპანიას, ყველა თანამშრომლის განწყობას და მუშობის ეფექტუეობას, მენეჯერს უნდა ჰქონდეს გარკვეული ცოდნა და უნარები, რათა უშუალოდ მოახდინოს გავლენა წარმოშობილ კონფლიქტზე, რათა თავიდან აიცილოს იგი. ამ საკითხზე კვლევა ჩატაარა მენეჯმენტის, ფსიქოლოგიის და კონფლიქტოლოგიის როგორც უცხოელმა, ისე ადგილობრივმა მეცნიერებმა: შარანოვი იუ.ა., მალიშევი ა.ა., ზი.გერტ ვ., კიტოვი A.I., Trenev V.A. და მრავალი სხვა. კონფლიქტები კაცობრიობის ისტორიის განუყოფელი ნაწილია, რომელზედაც ემყარება ადამიანებს შორის ურთიერთობების მთელი განვითარება.[1] თანამედროვე სამყაროში ნებისმიერ ადამიანს, რა სფეროშიც არ უნდა მუშაობდეს, პირველ რიგში საქმე აქვს ადამიანებთან, რადგანაც მრავალი ისტორიული კონფლიქტი დაკავშირებულია ადამიანთა მსხვერპლთა დიდ რაოდენობასთან. აღსაღნიშნავია, რომ ყველა ისტორიული მომენტი დაკავშირებულია კონფლიქტებთან, რომლებიც ატარებენ ფსიქოლოგიურ, ემოციურ და კულტურულ დატვირთვას.

ძირითადი ნაწილი

ამჟამად არ არსებობს „კონფლიქტების“ ცნების მკაფიო ინტერპრეტაცია. მეცნიერები თანხმდებიან კონფლიქტების სტრუქტურული ელემენტების აღწერაზე, მაგრამ რადიკალურად განსხვავდებიან ამ კონცეფციის ინტერპრეტაციაში. ფსიქოლოგების თვალსაზრისით, კონფლიქტი არის სხვადასხვა ღირებულებების, ინტერესების, შეხედულებების, სურვილებისა და ემოციური მდგომარეობის მქონე ადამიანების ურთიერთქმედება. კონფლიქტის მიზეზები შეიძლება იყოს როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური. კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. კონფლიქტის განვითარებისა და ესკალაციის მამოძრავებელი ძალა კონფლიქტის გამომწვევი მიზეზებია.[2] მიზეზებს აქვს სტრუქტურა, ამ მიზეზებით აუცილებელია, რომ შევძლოთ განასხვავოთ პარამეტრების ცვლილებები თავად მიზეზებში, ზოგადად კონფლიქტის მიზეზებისგან.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოვლენილია მიზეზების ოთხი ძირითადი ჯგუფი:

1. სუბიექტური მიზეზები (პირადი);
2. ობიექტური მიზეზები;
3. სოციალური და ფსიქოლოგიური;
4. ორგანიზაციული მიზეზები.

ნაშრომში ჩვენს მიერ განხილულა ორგანიზაციული კონფლიქტის მიზეზები. ნებისმიერი ორგანიზაცია არის ერთგვარი საზოგადოება, რომელსაც აერთიანებს კონკრეტული საერთო მიზანი. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ორგანიზაციაში თითოეული ადამიანი ასევე მისდევს თავის კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებს. ყოველ ჯერზე ის მთელ თავის ძალისხმევას მიმართავს მათ მისაღწევად. მაშასადამე, ძნელი არ არის ვივარაუდოთ, რომ ინტენსიური ურთიერთქმედება „პიროვნება-ადამიანის“ სისტემაში გაჯერებულია ინტერპერსონალური და ჯგუფთაშორისი წინააღმდეგობებით. ინტერპერსონალური ურთიერთობები ხშირად ხდება კონფლიქტის პირობებში. პრობლემა ის არის, რომ კონფლიქტები ადამიანური ურთიერთობების აუცილებელი ნაწილია და ამიტომ იარსებებს მანამ, სანამ ადამიანი არსებობს.

1 В.И. Андреев Конфликтология: искусство спора, ведения переговоров, разрешения конфлик тов. 2005. С. 172
2 А.Я. Анцупов Конфликтология / А.Я. Анцупов, А.И. Шипилов. – М.: ЮНИТИ. – 2004. – С. 552

ბევრი კამათი მიმდინარეობს ორგანიზაციისთვის კონფლიქტების მნიშვნელობაზე, არის თუ არა ისინი ორგანიზაციის განვითარების ძრავა, თუ პირიქით, ანელებენ მის განვითარებას.

რა არის კონფლიქტი?

კონფლიქტი არის საპირისპიროდ მიმართული, ერთმანეთთან შეუთავსებელი ტენდენციების შეჯახება: ან ინდივიდის ცნობიერებაში, ან ინტერპერსონალურ ურთიერთობებში, ან ადამიანთა ჯგუფებში.[3] კონფლიქტი არის ინციდენტის შედეგი, რომელიც ხდება დაგროვილი წინააღმდეგობების გამო, რომლის მოგვარებასაც ადამიანები ცდილობენ დახმარებისა თუ მოქმედებების გზით. ორგანიზაციის შემდგომი წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია კონფლიქტების მოგვარება, ეს ნიშნავს, რომ აუცილებელია კონფლიქტური სიტუაციის აღმოფხვრა და ინციდენტის ამოწურვა.

როგორ მწიფდება კონფლიქტები ორგანიზაციაში? როგორც წესი, ეს პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: კონფლიქტური მიზნების არსებობა ორგანიზაციის შიგნით ინდივიდებს ან ჯგუფებს შორის. გარდა ამისა, ეს დაპირისპირება გაცნობიერებულია, თითოეული მხარე დარწმუნებულია, რომ მათი ოპონენტები აუცილებლად ჩაერევიან ან უკვე ჩაერიენ და ხელი შეუშალეს ამ მიზნების მიღწევაში. შემდეგ არის აშკარა მოქმედებები, რომლებიც რეალურად ქმნიან ამ ჩარევას. შედეგად, კონფლიქტი მოხსნილია ან მოგვარდება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა ეტაპზე არის შესაძლებელი წარმოშობილი კონფლიქტის თავიდანვე აღმოფხვრის.

კონფლიქტური სიტუაციის სწორად ჩამოყალიბება ფუნდამენტურ როლს თამაშობს კონფლიქტის გადაწყვეტაში.

კონფლიქტის ჩამოყალიბების ძირითადი წესები მოიცავს შემდეგს:

1. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ კონფლიქტური სიტუაცია არის ის, რაც უნდა მოგვარდეს.
2. კონფლიქტური სიტუაცია ყოველთვის ჩნდება კონფლიქტამდე.
3. კონფლიქტური სიტუაციის სწორი ფორმულირება შეიცავს მისი მოგვარების ალბათობის 80%-ს.
4. სანამ კონფლიქტური სიტუაციის ძირეული მიზეზი არ აღმოჩნდება, აუცილებელია მუდმივად დაუსვათ საკუთარ თავს კითხვები „რატომ?“ “რისთვის?”.
5. შეეცადეთ ჩამოაყალიბოთ კონფლიქტური სიტუაცია, თავიდან აიცილოთ სიტყვების გამეორება მომხდარი კონფლიქტის აღწერიდან.
6. ლაკონურობა- ნიჭის დაა. გამოიყენეთ ეს განცხადება კონფლიქტური სიტუაციის ჩამოყალიბებისას.

ორგანიზაციაში კონფლიქტების ძირითადი მიზეზები

აუცილებელია კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების გათვალისწინება, რადგან ისინი ავლენენ მათი წარმოშობის წყაროებს და წინასწარ განსაზღვრავენ მათი მიმდინარეობის ხასიათს, ასევე მოგვარების მეთოდებსაც.

კონფლიქტების წარმოშობის ძირითადი მიზეზები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ორგანიზაციის სტრუქტურასთან ან მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ფაქტორები და ინტერპერსონალური ურთიერთობები.

ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მიზეზად ითვლება რესურსებისთვის კონკურენცია. რესურსები ყოველთვის შეზღუდულია და მათი განაწილების აუცილებლობა თითქმის

3 К.В. Решетникова Конфликты в системе управления: Учеб. пособие / К.В. Решетникова. – М.: ЮНИТИ-ДАНА, 2013. – 175 с.

ყოველთვის იწვევს სხვადასხვა სახის კონფლიქტებს. უმსხვილეს ორგანიზაციებში რესურსი ლიმიტირებულია, ამიტომ ფინანსური, ადამიანური, ნედლეული და მატერიალური რესურსები სხვადასხვა ჯგუფს შორის მენეჯმენტის მიერ ისე უნდა იყოს დალაგებული, რომ ორგანიზაციის მიზნები ეფექტურად იყოს მიაღწეული.

შემდეგი ყველაზე გავრცელებული მიზეზი არის ამოცანების ურთიერთდამოკიდებულება. როდესაც ერთი ადამიანი ან ჯგუფი დამოკიდებულია სხვა ადამიანზე ან ჯგუფზე დავალების შესასრულებლად, ყოველთვის არის კონფლიქტის პოტენციალი. ყველა ორგანიზაცია არის სისტემა, რომელიც შედგება ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისაგან, თუ ერთი განყოფილება ან ადამიანი არ მუშაობს სწორად, ამოცანების ურთიერთდამოკიდებულებამ შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი. აუცილებლად გასათვალისწინებელია ორგანიზაციის რომელიმე ჯგუფისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება. როდესაც უსიამოვნება ხდება, თითოეული ჩართული მხარე ცდილობს სიტუაციიდან დისტანცირებას, რითაც ქმნის კონფლიქტს. ეს ასევე შეიძლება შეიცავდეს უზუსტობებს, ინფორმაციის დამახინჯებას ან მის სრულ არარსებობას. ამ მონაცემების უყურადღებობა იწვევს კონფლიქტის ბიძგის გაღვივებას.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისეთი ბანალური მიზეზი, როგორიცაა მიზნების განსხვავებები, კონფლიქტი მატულობს, როდესაც ორგანიზაცია იზრდება, სპეციალიზირდება და იყოფა სხვადასხვა განყოფილებებად, სპეციალიზებული დანაყოფები, თავის მხრივ, აყალიბებენ საკუთარ მიზნებს და შეუძლიათ მეტი ყურადღება დაუთმონ მათ მიღწევას, ვიდრე მთელი ორგანიზაციის მიზნებს.

რაც შეეხება ინტერპერსონალურ კონფლიქტებს, მათი წარმოშობის მიზეზი საკმაოდ მარტივია-თითოეულ ადამიანს აქვს გარკვეული ტემპერამენტი, ხასიათი, საჭიროებები, დამოკიდებულებები, ჩვევები და ა.შ. ზოგჯერ მონაწილეებს შორის ფსიქოლოგიური განსხვავებები იმდენად დიდია, რომ ხელს უშლიან მის განხორციელება. რა თქმა უნდა კონფლიქტის ძალიან გავრცელებული მიზეზია ადამიანთა განსხვავებული იდეებისა და ღირებულებების ქონა. ადამიანების აღქმა მოცემულ სიტუაციაზე შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს მათი მიზნებიდან გამომდინარე. ვითრების ღირებულებების განსასაზღვრად, ადამიანებს შეუძლიათ გაიაზრონ ვითარების ის საკითხები, რაც ხელშემყწყობია ჯგუფისათვის და პირადად პიროვნებისათვის.

გამოცდილება აჩვენებს, რომ მენეჯერების მიერ დაშვებული შეცდომები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორგანიზაციაში კონფლიქტების წარმოქმნაში.

გამოყოფენ მენეჯერების მიერ დაშვებულ რიგ ტიპიურ შეცდომებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შიდა დაძაბულობა ორგანიზაციის თანამშრომლებს შორის.

მაგალითად, ყველაზე გავრცელებულ შეცდომად ასახელებენ, ზემდგომების უუნარობას დაქვემდებარებულებისთვის სწრაფი და ზუსტი უკუკავშირის მიწოდებაში. ცუდი კომუნიკაცია არის კონფლიქტის მიზეზიც და შედეგიც. ცუდ კომუნიკაციას შეუძლია კონფლიქტის კატალიზატორის როლი შეასრულოს, რაც ხელს უშლის ცალკეულ მუშაკებს ან ჯგუფებს ადეკვატურადშეაფასონსიტუაციადაგაიგონისსხვამუშაკებისპერსპექტივიდან.კონფლიქტები ასევე შეიძლება წარმოიშვას და გამწვავდეს მენეჯერების მიერ დაქვემდებარებულებისთვის სამუშაოს ზუსტი აღწერილობის შემუშავებისა და გადაცემის გამო. მენეჯერის შეცდომებში შედის პრობლემის მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბების უუნარობა, სიტუაციის გამოკვეთა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ თავად მენეჯერმა არ იცის რა შედეგის პროგნოზირება სურს, მაშინ დაქვემდებარებულებს გაუჭირდებათ წინასწარ განსაზღვრონ, რისი მიღება სურთ მათგან. მენეჯმენტის ნებისმიერმა შეცდომამ შეიძლება დაარღვიოს ბალანსი თანამშრომლებს შორის ურთიერთობების სტრუქტურაში და გამოიწვიოს უარყოფითი შედეგების ჯაჭვი.

ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი სამუშაო მოითხოვს გარკვეულ შეფასებას, მით უმეტეს, თუ ნამუშევარი ქების ღირსია. ამიტომ, მენეჯერების შემდეგი ყველაზე

გავრცელებული შეცდომაა-ხელქვეითების პირადი მადლიერების ნაკლებობა სამუშაოს კარგი შესრულებისთვის.

საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ყალიბდებოდა კონფლიქტის დროს ადამიანის ქცევის წესები. ჩვენ გამოვარჩევთ და გამოვყოფთ ზოგიერთ მათგანს. ადამიანები, რომლებსაც აქვთ პიროვნული თვისებები, რომელიც მათ უაღრესად ავტორიტარულ, დოგმატურ და სხვა ადამიანების აზრების მიმართ გულგრილად აქცევს, უფრო ხშირად შედიან კონფლიქტში.

მთავარი წესი, რომელიც უნდა დაიცვან კონფლიქტურ სიტუაციაში, არის ნება მიეცით თქვენს პარტნიორს ისაუბროს, ან, უფრო ზუსტად, მისცეთ მას შესაძლებლობა, რომ „გაუშვას ორთქლი“. ეს ხელს უწყობს თქვენს მიმართ აგრესიის პიკის შემცირებას და მხოლოდ ამ ეტაპის გავლის შემდეგ შეგიძლიათ მოწინააღმდეგისგან მოითხოვოთ პრეტენზიის მშვიდი დასაბუთება ობიექტურ მტკიცებულებებზე მითითებით. აღსანიშნავია, რომ არ უნდა მოძებნოთ ინციდენტზე პასუხისმგებელი პირები, რათა არ მოხდეს აგრესიის ახალი ტალღის პროვოცირება, ასევე თავი უნდა შეიკავოთ პარტნიორის ნეგატიური კრიტიკისგან, არ უნდა შეეხოთ მის პიროვნებას, არ მისცეთ თავს აყოლის უფლება და აგრესიას აგრესიით უპასუხოთ. კონფლიქტურ სიტუაციაში საუკეთესო რამ არის გაერთიანება და მთელი ძალისხმევის წარმართვა არსებული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნისკენ. პრობლემის მოგვარების მრავალი ვარიანტის შეთავაზება, თქვენ აუცილებლად გაპოვნინებთ ისეთს, რომელიც ორივე მხარესთვის იქნება მისაღები.

ორგანიზების კონფლიქტის 4 ტიპი:

1. შიდაპიროვნული ტიპის კონფლიქტს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული ფორმები. ერთ-ერთია როლური კონფლიქტი, მაგალითად როცა პიროვნება აწყდება წინააღმდეგობრივ მოთხოვნებს იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება მიიღოს მუშაობის შედეგად. შიდაპიროვნული კონფლიქტი ასევე შეიძლება წარმოიშვას, როდესაც სამუშაო მოთხოვნები არ შეესაბამება პირად საჭიროებებსა და ღირებულებებს. ეს შესაძლებელია იყოს სამუშაო გრაფიკის გადატვირთვა ან არადატვირთვა. კვლევებიდან ჩანს, რომ ასეთი შიდაპიროვნული უთანხმიებები აღინიშნება სამუშაოს უკმაყოფილებასთან, თვითრწმენასთან, ორგანიზაციულ ნდობასთან.
2. პიროვნებათშორისი კონფლიქტი ალბათ ყველაზე გავრცელებულია. ორგანიზაციებში მენეჯერებს შორის ხდება კონფლიქტი ლიმიტირებული რესურსის, ფინანსების, აღჭურვილობის, დროის ან პროექტის დამტკიცებისთვის. კონფლიქტი პიროვნებებს შორის შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ხასიათის, შეხედულებებისა გამო.
3. კონფლიქტი ინდივიდსა და ჯგუფს შორის. როგორც ჰოთორნის ექსპერიმენტმა აჩვენა, საწარმოო ჯგუფები ადგენენ ქცევისა და შესრულების ნორმებს.[4] თუ ჯგუფის ჩანაფიქ-რები უპირისპირდება პიროვნების სურვილს, წარმოიშვება კონფლიქტი. უთანხმოება შესაძლებელია დაიწყოს პიროვნებასა და გუნდს შორის, თუკი პიროვნება აირჩევს გუნდისგან განსხვავებულ პოზიციას. მსგავსი კონფლიქტები შესაძლებელია გაჩნდეს მენეჯერის პასუხისმგებლობების საფუძველზე: ადეკვატური სამუშაოს უზრუნველყოფის აუცილებლობასა და ორგანიზაციის წესების დაცვას შორის. მენეჯერმა შეიძლება იძულებით განახორციელოს დისციპლინური ზომები, რაც ქვეშევრდომებისთვის იქნება მიუღებელი. ამას კი პასუხად მოჰყვება ქვეშევრდომების შეცვლილი დამოკიდებულება მენეჯერის მიმართ, რამაც შეიძლება შეცვალოს მათი პროდუქტიულობა.
4. ჯგუფთაშორისი კონფლიქტი. ორგანიზაცია მოიცავს ფორმალურ და არაფორმალურ ჯგუფებს. კარგად დაგეგმილი მენეჯმენტის მქონე ორგანიზაციებშიც შეიძლება მოხდეს

4 https://www.library.hbs.edu/hc/hawthorne/09.html

კონფლიქტები ამ ჯგუფებში. არაფორმალური ჯგუფები, ფიქრობენ, რომ მათი მენეჯერი მათ არასწორად ექცევათ, შეიძლება უფრო მჭიდროდ გაერთიანდნენ და მასთან „ანგარიშგება“ მოახდინონ პროდუქტიულობის შემცირებით. მაგალითად, ჰოთორნის ექსპერიმენტის დროს აღმოჩნდა, რომ მუშებმა ერთობლივად გადაწყვიტეს მენეჯერის მიერ დადგენილ ნორმაზე ნაკლები იმუშაონ. ჯგუფთაშორისი კონფლიქტი შეიძლება კიდევ მოცავდეს პროფკავშირსა და ადმინისტრაციას შორის მიმდინარე უთანხმოებას.

კონფლიქტური სიტუაციების მართვა

იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ეფექტურია კონფლიქტის მართვა, მისი შედეგები გახდება ფუნქციონალური ან დისფუნქციური, რაც, თავის მხრივ, იმოქმედებს მომავალი კონფლიქტების შესაძლებლობაზე: აღმოფხვრის კონფლიქტების მიზეზებს ან შექმნის მათ.

არსებობს კონფლიქტის მოგვარების ოთხი სტრუქტურული მეთოდი: სამუშაოს მოთხოვნების გარკვევა, კოორდინაციისა და ინტეგრაციის მექანიზმების გამოყენება, საერთო ორგანიზაციული მიზნების დასახვა და ჯილდოს სისტემის გამოყენება.

სამუშაოს მოთხოვნების დაზუსტება. წარმატებული მენეჯმენტი კონფლიქტის აცილების საფუძველია, რადგანაც განსაზღვრულია თუ რა შედეგს უნდა ელოდოს ორგანიზაცია თითოეული თანამშრომლისაგან და დეპარტამენტებისაგან. კარგი მენეჯმენტი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მაღალ შედეგებზე გასვა, გარკვეულია ინფორმაციის გამცემი და მიმღები, მკაფიოდ არის გაწერილი უფლებამოსილი და პასუხისმგებელი პირები, პოლიტიკა, პროცედურები და წესები. მენეჯერი ალაგებს ამ საკითხებს არა თავისთვის, არამედ მისი ქვეშევრდომებისათვის რათა იცოდნენ, რას მოელიან მისგან კონკრეტულ სიტუაციაში.

ინტეგრაცია და კოორდინაცია. სიტუაციების მართვის ერთ-ერთი მეთოდია კონფლიქ-ტური კოორდინაციის მექანიზმი. უფლებამოსილების სუბორდინაცია აუმჯობესებს ურთიერთქმედებას, გადაწყვეტილებების და ინფორმაციების მიღებას დაწესებულებაში. მაგალითად თუ თანამშრომლებს ააქვთ უთანხმოება რაღაც საკითხზე, უთანხმოების აცილება შესაძლებელია, გადაწყვეტილების მიღების თხოვნით საერთო უფროსთან. ამ შემთხვევაში ბრძანება აადვილებს კონფლიქტურ სიტუაციას სამართავად, რადგანაც დაქვემდებარებულმა კარგად იცის, რომ უფროსის გადაწყვეტილებას უნდა დაემორჩილოს.

ორგანიზაციის მასშტაბური ყოვლისმომცველი მიზნები. საერთო ორგანიზაციული მიზნების დასახვა კონფლიქტური სიტუაციების კიდევ ერთი მართვის მეთოდია. დასახული მიზანი წარმატებულად, რომ განხორციელდეს საჭიროა რამდენიმე პირის, ჯგუფის ან განყოფილების ერთობლივ ძალისხმევა.

ჯილდოს სისტემა. ჯილდოს გამოყენება ერთ-ერთი მართებული მეთოდია კონფლიქტური სიტუაციების სამართავად. თანამშრომლები, რომლებიც იქცევიან ისე, რომ ორგანიზაციამ მიაღწიოს დასახულ მიზანს, ასევე ეხმარებიან თანამშრომლებს და ცდილობენ პრობლემატურ საკითხებს ყოვლისმომცველი გზით მიუახლოვდნენ, აუცილებლია მათი დაჯილდოვება, ბონუსებით და დაწინაურებით.

დასკვნა

ამრიგად, ნებისმიერ ორგანიზაციაში თანამშრომლებს შორის ურთიერთობები ყალიბდება მოცემული ჯგუფის წევრების ინტერესების, როგორც ორგანიზაციების, ასევე ფსიქოლოგიური თავსებადობის გავლენის ქვეშ. ყველა ორგანიზაციის წინაშე დგას მნიშვნელოვანი ამოცანა - კონფლიქტის პროცესის მართვა. ჯილდოების სისტემატური, კოორდინირებული გამოყენება დააჯილდოებს მათ, ვისაც წვლილი შეაქვს საერთო ორგანიზაციის მიზნებში, ეხმარება ადამიანებს გააცნობიერონ, როგორ უნდა მოიქცნენ კონფლიქტურ სიტუაციებში ისე, რომ შეესაბამებოდეს მენეჯმენტის სურვილებს.

ბიბლიოგრაფია

Alper, S., Tjosvold, D., & Law, K. S. (2000). Conflict management, efficacy, and performancein organizational teams. Personnel Psychology, 53(3), 625-642. https://doi.org/10.1111/j.1744-6570.2000.tb00216.x

Baron, R. M., & Kenny, D. A. (1986). The moderator–mediator variable distinction in social psychological research: Conceptual, strategic, and statistical considerations. Journalof Personality and Social Psychology, 51(6), 1173–1182.https://doi.org/10.1037/0022-3514.51.6.1173

Blake, R., & Mouton, J. (1964). The Managerial Grid: The Key to Leadership Excellence.Houston, TX: Gulf Publishing Company.

Blau, P. M. (1964) Justice in social exchange. Sociological Inquiry, 34, 193-206.http://dx.doi.org/10.1111/j.1475-682X.1964.tb00583.x

Boddy, C., Boulter, L., Fishwick, S. (2021). How So Many Toxic Employees Ascend toLeadership. In: Örtenblad, A. (eds) Debating Bad Leadership. Palgrave Debates inBusiness and Management. Palgrave Macmillan, Cham. https://doi.org/10.1007/978-3-030-65025-4_4

Costa, P. T., & McCrae, R. R. (1992). Reply to Eysenck. Personality and IndividualDifferences, 13(8), 861-865. https://doi.org/10.1016/0191-8869(92)90002-7

De Dreu, C. K., & Beersma, B. (2005). Conflict in organizations: Beyond effectiveness andperformance. European Journal of Work and Organizational Psychology, 14(2), 105–117. https://doi.org/10.1080/13594320444000227

Denison, D. R., & Mishra, A. K. (1995). Toward a theory of organizational culture andeffectiveness. Organization Science, 6(2), 204-223.https://doi.org/10.1287/orsc.6.2.204

Esquivel, M. A., & Kleiner, B. H. (1996). the importance of conflict in work team effectiveness.Team Performance Management, 2(3),42-48. https://doi.org/10.1108/13527599610126265

Fisher, R. J., & Katz, J. E. (2000). Social-desirability bias and the validity of self-reportedvalues. Psychology & Marketing, 17(2), 105-120. https://doi.org/10.1002/(SICI)1520-6793(200002)17:2<105::AID-MAR3>3.0.CO;2-9

Glisson, C. (2007). Assessing and changing organizational culture and climate for effectiveservices. Research on Social Work Practice, 17(6), 736-747. https://doi.org/10.1177/1049731507301659

Hayes, A. F. (2013). Introduction to mediation, moderation, and conditional process analysis:A regression-based approach. Guilford Press.

აღსრულებად გადაწყვეტილებასა და სარჩელების შეყოვნებითი ეფექტის არარსებობას შორის კავშირი (საფრანგეთის მაგალითზე)

ივანე ბალახაშვილი
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის სამართლის
მიმართულების პროფესორი,
სამართლის დოქტორი

აბსტრაქტი

საჯარო სამართალში აღსრულებადი გადაწყვეტილება გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს აქტს, რომლის აღსრულება სავალდებულოა ყველასთვის, განურჩევლად ყველანაირი სოციალური თუ სხვა მდგომარეობისა და შეუძლია ჰქონდეს დაუყოვნებელი იურიდიული ეფექტი.

აღსრულებადობის პრინციპი გულისხმობს, რომ სამართლებრივი აქტები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც კანონიერ ძალაში შედის, აუცილებლად უნდა აღსრულდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავად კანონმდებლობით ან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მათი მოქმედება დროებით შეჩერებულია.

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ამასთან, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ: ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან; ბ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას; გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს; დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ, თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა; ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს; ვ) ეს გათვალისწინებულია კანონით.

სასამართლო და ადმინისტრაციულ სამართალში აღსრულებად გადაწყვეტილებასა და სარჩელის შეყოვნებითი ეფექტის არარსებობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ზოგადად, როდესაც მიიღება სამართლებრივი გადაწყვეტილება (მაგალითად, ადმინისტრაციული აქტის ფორმით), ის იძენს აღსრულებადობას, რაც ნიშნავს, რომ ის სავალდებულოა და მისი აღსრულება შესაძლებელია.

ამასთან, ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი ერთ-ერთი პრინციპია სარჩელის არაშეყოვნებითი ხასიათი, რაც გულისხმობს, რომ ამგვარი აქტის გასაჩივრება სასამართლოში არ აჩერებს მის აღსრულებას, თუ ამის შესახებ სპეციალური ნორმა არ არსებობს ან სასამართლო არ მიიღებს განსხვავებულ გადაწყვეტილებას. ეს პრინციპი ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოების ეფექტურობისა და საჯარო ინტერესის დაცვას, რათა გადაწყვეტილებები დროულად აღსრულდეს და ადმინისტრაციული პროცესები არ შეფერხდეს.

თუმცა, არსებობს განსაკუთრებული შემთხვევები, როდესაც სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოს სარჩელი და დროებით შეაჩეროს აქტის მოქმედება, თუ დადგინდება, რომ მისი აღსრულება შესაძლოა მოსარჩელეს გამოუსწორებელ ზიანს მიაყენოს.

ამგვარად, აღსრულებადობის პრინციპი და სარჩელის შეყოვნებითი ეფექტის არარსებობა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ორივე ასახავს ადმინისტრაციული სამართლის ძირითად მიზანს – უზრუნველყოს სამართლებრივი სტაბილურობა და ადმინისტრაციული პროცესების უწყვეტობა, უზრუნველყოფის მექანიზმების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: აღსრულებადი გადაწყვეტილება; შეყოვნებითი ეფექტი; ადმინისტრაციული ორგანო; სასამართლო; სამართლებრივი აქტი.

THE RELATIONSHIP BETWEEN AN ENFORCEABLE DECISION AND THE ABSENCE OF A DELAY EFFECT OF LAWSUITS (ON THE EXAMPLE OF FRANCE)

IVANE BALAKHASHVILI

Professor of Bachelor's program in Law of
LEPL David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia,
Doctor of Law

ABSTRACT

In public law, an enforceable decision refers to an act of an administrative body or a court, the execution of which is mandatory for everyone, regardless of any social or other status, and may have immediate legal effect.

The principle of enforceability implies that legal acts and court decisions that have entered into legal force must be executed, except in cases where their effect is temporarily suspended by the legislation itself or by a decision made by a court.

In accordance with Article 29 of the Administrative Procedure Code of Georgia, the receipt of a claim in court suspends the effect of the appealed individual administrative-legal act. In addition, the effect of an individual administrative-legal act shall not be suspended if: a) it is related to the payment of state or local taxes, fees or other payments; b) Postponement of execution would cause significant material damage or pose a significant threat to public order or security; c) It was issued during a state of emergency or martial law declared on the basis of the relevant law; d) A written reasoned decision on immediate execution has been made by an administrative body, if there is a need for urgent execution; e) An individual administrative-legal act has been executed or is an enabling act and its suspension would cause significant harm to the legal right or interest of another person; f) This is provided for by law.

In judicial and administrative law, there is a close connection between the enforceability of a decision and the absence of a suspensive effect of a claim. In general, when a legal decision is made (for example, in the form of an administrative act), it becomes enforceable, which means that it is binding and can be enforced.

In addition, one of the principles applicable in administrative law is the non-suspensive nature of the claim, which means that appealing such an act in court does not suspend its enforcement, unless there is a special norm to this effect or the court makes a different decision. This principle serves to protect the efficiency of administrative bodies and the public interest, so that decisions are enforced in a timely manner and administrative processes are not delayed.

However, there are special cases when the court may, upon the request of the plaintiff, secure the claim and temporarily suspend the effect of the act if it is established that its enforcement may cause irreparable harm to the plaintiff.

Thus, the principle of enforceability and the absence of a suspensive effect of the claim are closely related to each other and both reflect the main goal of administrative law - to ensure legal stability and the continuity of administrative processes, taking into account the mechanisms of security.

Key words: Enforceable decision; suspensive effect; administrative body; court; legal act.

შესავალი

სარჩელებს საფრანგეთში, ყოველგვარი განსხვავების მიუხედავად, პრინციპულად არ აქვთ შეყოვნებითი ეფექტი. როგორადაც ის არის ცნობილი და წარმოდგენილი, ეს პრინციპი სადავო აქტის ავტორს მისი აღსრულების მიღწევის საშუალებას აძლევს. მოსარჩელეთა უფლებებთან და ინტერესებთან დაკავშირებით, მისგან გამომდინარე მნიშვნელოვანი შედეგები, მოითხოვს, რომ ის დასაბუთდეს სოლიდური მსჯელობით. ასეთი სიზუსტის გარეშე, „მსხვერპლის“ ინდივიდუალური ინტერესების დასაბუთება რთული იქნებოდა საერთო ინტერესის, ადმინისტრაციული მონოპოლიის, დაცვის სახელით.

სარჩელების არაშეყოვნებითი ხასიათი დავის ადმინისტრაციული პროცესის პრინციპია. მთლიანობაში, როგორც მართლწესრიგის ელემენტს, მას უნდა შეეძლოს განიმარტოს ამ უკანასკნელის ზოგიერთი შემადგენლით. მეტიც, ლოგიკურად ის უნდა გამომდინარეობდეს სხვა იურიდიული ასპექტებიდან, ან სულ მცირე, იურიდიული ცნებების კომპლექსური ქსელის ცენტრში უნდა იყოს. თუმცა, შეხედულებების მიუხედავად, რომლებიც ატარებენ ამ „სიცხადეს“, პრინციპის იურიდიული განმარტება რჩება სუსტი. მისი დასაბუთების პარადოქსალური სისუსტე, მისი იურიდიული „ღირებულების“ არდაფასების ერთადერთი არგუმენტი არ არის.

ტრადიციულად, სარჩელების შეყოვნებითი ეფექტის არარსებობა დაფუძნებულია სამართლისა და ადმინისტრაციული დავების ინსტიტუტის წამყვან ცნებაზე - „აღსრულებადი გადაწყვეტილება“, რომელიც წარმოადგენს მისი კრიტიკის შემხვედრ არგუმენტს.

აღსრულებადი გადაწყვეტილება იმ ცნებებიდანაა, რომლებიც გადმოსცემენ მრავალ აღიარებულ იდეას. ბუნდოვანებამ, რომელშიც ის არის გახვეული, მის შესახებ და მის დოქტრინალურ გადმოცემაზე აზრთა სხვადასხვაობამ ის გახადა გამორჩეულად იდუმალი ცნება. ძალიან ხშირად, ის მექანიკური გამოყენების საგანია, მის არსზე ყოველგვარი დაფიქრების გარეშე. კერძოდ, ამ კონტექსტმა გამოიწვია აღსრულებადი გადაწყვეტილების არასწორი ინტერპრეტაცია - ეთამაშა სარჩელების შეყოვნებითი ეფექტის არარსებობის პრინციპის საფუძვლის როლი. საუბარია ამ ცნების არაზუსტ წაკითხვაზე იმდენად, რომ მისი ნამდვილი ბუნების ღრმა კვლევის შემდეგ, იმის საწინააღმდეგოდ რაც განმტკიცებულია, არ ჩანს განსახილველი პრინციპის შექმნის შესაძლებლობა.

ძირითადი ბაწილი

ა. აღსრულებადი გადაწყვეტილების არასწორი ინტერპრეტაცია - პრინციპის საფუძველი

აღსრულებადი გადაწყვეტილება, თუმცა იდუმალი, ადმინისტრაციული დავების ცენტრალური ელემენტია იმ დონემდე, რომ მას ხშირად მიაწერენ მრავალ კვაზისაცეცებიან შედეგებს. მაშასადამე, შეყოვნებითი ეფექტის არარსებობა მხოლოდ ერთ-ერთია მასთან დაკავშირებული მრავალი ნიშნიდან. მიუხედავად ამისა, აღსრულებად გადაწყვეტილებასა და სარჩელების შეყოვნებითი ეფექტის არარსებობას შორის კავშირი განხილული უნდა იყოს იმ თვალსაზრისით, რომ პრინციპის დედუქცია არის მოძველებული. გარდა ამისა, ამ „მოწესრიგების“ მიღმა, აღსრულებადი არსი, რომელიც გულისხმობს შექმნას არაშეყოვნებითი ეფექტი არის გადაჭარბება, მისი გაუგებრობის შედეგი.

1. მოძველებული შეყოვნებითი ეფექტის არარსებობის დედუქცია

ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების აღსრულებადი ხასიათიდან მათ სასამართლო დავასთან დაკავშირებული შეყოვნების არარსებობის გამოკლება, დროებითი ანასტროფაა. სარჩელების არაშეყოვნებითი ხასიათი, არა მხოლოდ არ არის აღსრულებადი გადაწყვეტილების

შედეგი, არამედ ის არ არის ამის მიზეზი. ამრიგად, სწორედ ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების აღსრულებადი ხასიათი იქნებოდა განსახილველი პრინციპის შედეგი. ტრადიციული წარმოდგენა, რომლის საფუძველზეც შეყოვნებითი ეფექტის არარსებობა გამომდინარეობს სადავო აქტის აღსრულებადი ხასიათიდან, განიხილება როგორც ისტორიული მანიპულაცია. ფაქტობრივად, შესაძლებელია ამ ორ ელემენტს შორის კავშირი შენარჩუნებული იყოს. ამაში დასარწმუნებლად, საჭიროა დავუბრუნდეთ ადმინისტრაციული დავებისა და მისი სამართალწარმოების საწყისებს.

ქართულ ადმინისტრაციულ სამართალში, დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირობებში, სარჩელებისშეყოვნებითიეფექტისპრინციპიჩნდება1999წლის23ივლისისადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით, კერძოდ, 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. ხოლო, მისი მეორე ნაწილი ადგენს ექვს გამონაკლისს, რა დროსაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება სასამართლოს მიერ სარჩელის მიღებით. მაშასადამე, ქართული მართლწესრიგი 1999 წლიდან უკვე იცნობს პრინციპის სახით სარჩელების შეყოვნებით ეფექტს.

განსახილველი პრინციპი წარმოიშვა საფრანგეთში 1806 წელს, 22 ივლისის დეკრეტით, რომელიც ადგენს, რომ „სახელმწიფო საბჭოში სარჩელს არ აქვს შეყოვნებითი ეფექტი, გარდა თუ ის სხვანაირად არ არის მოწესრიგებული“[1]. ეს პრინციპი, გამომდინარე უშუალოდ რევოლუციიდან, ეპოქის პრაქტიკაში უკვე იყო ჩვეულებრივი. ადრეული წლებიდან, მაგალითად ჰენრი დაგესოს რეგლამენტი ითვალისწინებდა, რომ „განკარგულებები ან სასამართლო გადაწყვეტილებები აღსრულებული იქნება წინასწარ, მიუხედავად აპელაციისა“[2]. ამ ეპოქაში, შეყოვნების არარსებობა ლოგიკურია, ვინაიდან ადმინისტრაციული იუსტიცია შეფერხებულია: ადმინისტრაცია მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის უფლებას არ აძლევდა მესამე პირებს. დავები რჩებოდა რა ადმინისტრაციაში, ამ უკანასკნელს შეეძლო გაეგრძელებინა მათი აღსრულება. იერარქიული კონტროლის იდეა არ ჩანს კეთილგანწყობილი შეყოვნების ორგანიზებისადმი.

მიუხედავად ამისა, მე-19 საუკუნეში შეყოვნებითი ეფექტის არარსებობის აყვანა პრინციპის რანგში, ნამდვილ დაბადებას ნიშნავს. თავის მხრივ, ძველი რეჟიმი იცნობდა ამ მკაფიოდ განსხვავებული პროცედურული მახასიათებლის გამოყენებას. ამ ეპოქაში არსებობს ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების „სასამართლო“ კონტროლის ორი პროცედურა: აპელაცია - ადმინისტრაციული აქტი განიხილებოდა როგორც სასამართლო გადაწყვეტილება - და შეპასუხება. 1703 წლიდან, ეს ორი საშუალება სარგებლობდა შეყოვნებითი ეფექტით „საპარლამენტო სასამართლოს რეგლამენტის ცვლილებების შედეგად: აპელაციის შეყოვნებითი ეფექტი გავრცელდა შეპასუხებაზე“[3].

ამ დავის სპეციფიკურ ფარგლებში, სარჩელებს, „რომლებიც ფორმირებულია გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, დაუყოვნებელი ეფექტი აქვთ მისი აღსრულების შეყოვნებაში“[4]. სასარჩელო წესით გასაჩივრების განხორციელება მოსარჩელეს საშუალებას აძლევს დაცული იყოს სადავო აქტის შედეგებისგან. ამასთან, ძალიან ზოგად შეყოვნებით ეფექტთან დაკავშირებული პრაქტიკული რისკები, დაიყვანება გამონაკლისების დაშვებამდე. თავდაპირველად ადმინისტრაციის მხოლოდ არსებითი მოქმედებებით შემოფარგლული, ეს გამონაკლისები გავრცელდნენ იქამდე, რომ სარჩელით გამოწვეული აღსრულების გადავადება, აჩერებს ადმინისტრაციულ აქტს იყოს სამართალი და ხდება პირობითი. შეყოვნება პრინციპიდან მხოლოდ გამონაკლისია პრაგმატული ადმინისტრაციული მიდგომით

1 Décr., 22 juill. 1806, affaires contentieuses portées devant le Conseil d'État, art. 3.

2 F.-A. Isambert, Decrusy et A.-H. Taillandier, Recueil général des anciennes lois françaises depuis l'an 420 jusqu'à la Révolution de 1789, t. XXII, 1830, Paris, Verdière, Belin-Leprieur, Plon frères, p. 57.

3 J.-L. Mestre, Un droit administratif à la fin de l'ancien régime : le contentieux des communautés de provence, 1976, Paris, LGDJ, Bibliothèque de droit public, t. 121, préf. P. Ourliac, p. 62.

4 იქვე., p. 99.

დასაბუთებული მსჯელობის საფუძველზე.

ამ განვითარებაში არსებობს მუდმივი თვალსაზრისი: ადმინისტრაციული „გადაწყვეტილება“ არ ფლობს აღსრულებად ძალას. ეს უკანასკნელი, უფრო დამახასიათებელია ადმინისტრაციული აქტისთვის, რომელიც შემდგომი აქტის შედეგია. ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებები, რომლებიც ადგენენ ვალდებულებებს მოქალაქეებისთვის, ამ ძალას იძენენ მხოლოდ „პარლამენტის ან სასამართლოს მიერ აღიარებით“[5]. აღიარების ამ პროცედურის ზოგადი ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ ამ აქტებს არ აქვთ აღსრულების ყველა ნიშანი. აქედან მოყოლებული, შეყოვნებით ეფექტზე უარის თქმის შემდეგ, ამ სიტუაციის შენარჩუნება საშუალებას იძლევა გამოვყოთ ადმინისტრაციული აქტის აღსრულებადი ხასიათის არარსებობა. თანამედროვე პრინციპს შეუძლია იარსებოს ისე, რომ ადმინისტრაციული აქტი არ იყოს აღსრულებადი, მაჩვენებელია იმის, რომ შეყოვნებითი ეფექტის არარსებობა არ არის მასთან აუცილებლად დაკავშირებული. 1806 წელს, 22 ივლისის დეკრეტის გამო, რთულია არაშეყოვნებითი ეფექტის პრინციპის დამფუძნებელი ტექსტი დავაკავშიროთ ადმინისტრაციული გადაწყვეტილების აღსრულებად ძალასთან.

ამ ეპოქაში, სწორედ ბუნდოვანობამ და „ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციების“[6] და მათი აქტების აღრევამ პრინციპის განზოგადების საშუალება მოგვცა, რომელიც უპირველეს ყოვლისა განკუთვნილია სასამართლო გადაწყვეტილებების წინააღმდეგ სარჩელებისთვის. სწორედ მიბაძვით გავრცელდა პრინციპი ყველა დავაზე. მაშასადამე, ადმინისტრაციული აქტების აღსრულებადმა თავისებურებამ ვერ შეძლო შეყოვნებითი ეფექტის არარსებობის პროგრესის როლის თამაში, ვინაიდან თავდაპირველად ის არ შეეხებოდა პირველი ინსტანციის სარჩელებს. ყველა სარჩელზე, ასევე ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების წინააღმდეგ სარჩელებზე, ამ პრინციპის გამოყენება აიხსნება უფრო სასამართლო და ადმინისტრაციულ ფუნქციებს შორის ნათელი დამოუკიდებლობის არარსებობით, ვიდრე ადმინისტრაციული აქტის ავტორთა საფუძველზე.

მეტიც, აღსრულებადი გადაწყვეტილების თეორია როგორც სარჩელების შეყოვნებითი ეფექტის არარსებობის დასაბუთება, ჩამოყალიბდა დეკან ორიუს[7] მიერ, მე-19 საუკუნის დასასრულს. სამწუხაროდ მას მაშინვე თან ახლდა განუყოფელი არასიცხადე. მაშასადამე, ანაქრონიზმი ნათელია: ტრადიციულად დოქტრინა ქმნის პრინციპს, რომელიც 1806 წელს გამყარდა თეორიასა და მე-19 საუკუნის ბოლოს ცნებაში. მაშასადამე, დოქტრინის მიერ შეყოვნებითი ეფექტის არარსებობის დასაბუთება აღსრულებადი გადაწყვეტილების გამოყენების მეშვეობით, ქმნის ისტორიულ შეცდომას. შეუძლებელია, რომ პრინციპი გამომდინარეობდეს აღსრულებადი გადაწყვეტილებიდან. ზოგიერთი ასევე ამტკიცებდა, რომ „სწორედ სარჩელთან დაკავშირებით შეყოვნებით ეფექტზე უარმა განსაზღვრა მეტწილად ადმინისტრაციული აქტის აღსრულებადი ხასიათი“[8].

აღსრულებად გადაწყვეტილებას არ შეუძლია ხელი შეუწყოს სარჩელების შეყოვნებითი ეფექტის არარსებობის თანამედროვე განმარტებას. ამ თეორიამ შეძლო მხოლოდ მისი შექმნა, დღეს მას არ შეუძლია მისი დასაბუთება. მისი წარმოშობისას, სარჩელების არაშეყოვნებითი ეფექტის პრინციპმა ვერ შეძლო ამ თეორიაზე დაყრდნობა, ვინაიდან ის არ არსებობდა. მაშასადამე, მთელი საწინააღმდეგო ანალიზი არის ან შეცდომა ან მსჯელობა, რომლის მიზანია პროცედურული კონსტრუქციის გამართლება. მსჯელობის ყველა ადმინისტრაციულ დავაზე

5 J.-L. Mestre, Un droit administratif à la fin de l'ancien régime : le contentieux des communautés de provence, 1976, Paris, LGDJ, Bibliothèque de droit public, t. 121, préf. P. Ourliac, pp. 53-54.
6 S. Hourson, « Les recours suspensifs en matière administrative », DA, 2012, n 5, ét. n 9, p. 8.
7 M. Hauriou, « De la formation du droit administratif français depuis l'an VIII », in Mélanges Garsonnet, 1893, Paris, Berger-Levrault, p. 29.
8 J. Rivero, « Le système français de protection des citoyens contre l'arbitraire administratif à l'épreuve des faits », in Mélanges en l'honneur de Jean Dabin, t. 2, 1963, Bruxelles, Paris, Bruylant, Sirey, p. 825.

გავრცელებით, პირველსაწყისი გათანაბრების ლოგიკა იმსახურებს შეცვლას[9].

თუმცა, თანამედროვე სახითაც, აღსრულებადი გადაწყვეტილების ნამდვილ შინაარსს, ყოველგვარი მრწამსისგან დაცლილს, არ შეუძლია შექმნას სარჩელების შეყოვნებითი ეფექტის არარსებობის პრინციპი. მაშასადამე, ეს უკანასკნელი არ არის აღსრულებადი გადაწყვეტილების ლოგიკური შედეგი, არამედ ის არის მცდარი და გაუგებარი შინაარსის ცნების შედეგი.

2. აღსრულებადი სუბსტანციის გაუგებრობა

აღსრულებადმა გადაწყვეტილებამ, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო ადმინისტრაციული დავის ინსტიტუტის რეორგანიზაციას მისი მშნიშვნელოვან პრობლემატიკად გადაქცევით. დეკანმა ორიუმ შეძლო ღრმა მოსაზრების შექმნა ამ ცნების ირგვლივ. ზოგიერთის მიერ ისე უხეშად განიმარტებოდა ეს ცნება, რომ მიდიოდნენ აღსრულებადი გადაწყვეტილების ცნების გაუქმების სურვილამდე. ბუნდოვანება, რომლითაც ის არის მოცული გვაფიქრებინებს, რომ ეს ცნება ადგენს იძულებით აღსრულებას, როგორც ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების განხორციელების ნორმალურ საშუალებას. ამ პირველ აღიარებაზე დაყრდნობით, შესძლებელია სასურველი იყოს, რომ „აღსრულებადი გადაწყვეტილების თეორია, რომლის არსებითი ელემენტი გადაწყვეტილების პირდაპირი აღსრულების პრივილეგიაა, მარტივად გაქრეს ადმინისტრაციული დოქტრინიდან, სადაც მან შემოიტანა მხოლოდ ბუნდოვანება და მცდარი იდეები“[10]. სანამ აღსრულებადი გადაწყვეტილების ნამდვილ შინაარსს გადმოვცემთ და გავერკვევით არასწორის სიმართლეში, საჭიროა განვსაზღვროთ მასთან დაკავშირებული დოქტრინის შეცდომა.

მისი ბუნდოვანებისა და უჩინარობის ბუნება დაბრკოლებაა: თუ „შარლ ეისენმანი აღსრულებად გადაწყვეტილებას განიხილავდა როგორც თეორიას, ჩანს სახელმწიფო საბჭო მასში ხედავს წესს, ზოგიერთი ავტორი მას განიხილავს კონცეფციად, სხვები - კატეგორიად და ყველაზე მეტი - ცნებად“[11]. ამ ასპექტის მიღმა, აღსრულებადი გადაწყვეტილების ირგვლივ ბუნდოვანება შეიძლება იყოს მისი „შემქმნელის“ შედეგი.

ორიუს თანახმად, აღსრულებადი გადაწყვეტილება იძულებითი მოქმედების პრივილეგიას ახორციელებდა აქტის ავტორსა და მის ადრესატს შორის უთანასწორო ურთიერთობების საფუძველზე. ადმინისტრაციული ორგანოები უნდა მოქმედებდნენ ცალმხრივად და დაუყოვნებლივ მოსამართლის ნებართვის გარეშე. მაგრამ, „თუ შევხედავთ ინდივიდუალური უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მთელი ეს ორგანიზება არის წუნდადებული“[12]. მის მეორე „ვერსიაში“, დეკანი ორიუ ნაკლებ კატეგორიული იქნება, ვინაიდან მისი მოსაზრება „შორდება ადმინისტრაციის განზოგადებულ სურათს, რომელიც განამტკიცებს მათ უფლებებს და მათ ახორციელებს ისე, რომ არ ხვდება არანაირ წინააღმდეგობას მის გზაზე“[13]. მაგალითად, იძულებითი აღსრულების პრეროგატივა კომპენსირებული უნდა იყოს მის მიერ გამოწვეული ზიანის ანაზღაურებით. მაშასადამე, აღსრულებადი ძალის მისი ხედვა წარმოდგენილია, როგორც „ატრიბუტი, რომლის ძალითაც გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლება მაშინვე იყოს მიღწეული ადმინისტრაციული გზით, ანუ ორიუსთვის, ადმინისტრაციის ინიციატივით, რომელსაც სხვანაირად გადაწყვეტილების უშუალო აღსრულება ეწოდება“[14]. აქედან გამომდინარე, „საკუთარი ინიციატივით მოქმედების პრივილეგია ხდება დოგმა ნაჩქარევი სქემატიზაციის გავლენით და იმ საფრთხის შემცველი იდეის გავლენით, რომ

9 D. Costa, Les fictions juridiques en droit administratif, 2000, Paris, LGDJ, Bibliothèque de droit public, t. 210, préf. É. Picard, p. 483.
10 Ch. Eisenmann, Droit administratif approfondi, 1953-1954, Paris, Cours de droit, p. 284.
11 G. Darcy, « La décision exécutoire, esquisse méthodologique », AJDA, 1994, p. 676.
12 M. Hauriou, La jurisprudence administrative de 1892 à 1929, vol. 1, 1931, Paris, Recueil Sirey, pp. 107-108.
13 G. Dupuis, Les privilèges de l'administration, th. Paris, 1962, p. 548.
14 L. Fontaine, La notion de décision exécutoire en droit public français, th. Paris-X, G. Darcy (dir.), 2001, p. 94.

ადმინისტრაციული სამართალი ფუნდამენტურად განსხვავდება კერძო სამართლისაგან, რასაც მივყავართ მხოლოდ საგამონაკლისო წესების (ადმინისტრაციული აღსრულება) გადმოცემამდე საერთო წესებისაგან (სასამართლო სანქცია) განსხვავებით“[15].

ეს გაუგებრობა, რომელიც არსებობს აღსრულებადი გადაწყვეტილების ირგვლივ, ასევე განვითარებული იყო ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ, რომლებმაც სხვადასხვა მიზნით გამოიყენეს ტერმინი აღსრულებადი[16], რომელიც არბილებს განსახილველი ცნების „სუბსტანციას“. ფაქტობრივად, ეს უკანასკნელი განსხვავებულ მნიშვნელობას იღებდა განსახილველი დავის სიტუაციის მიხედვით. მაგალითად, უფლებამოსილების გადამეტების თაობაზე სასარჩელო წარმოებისას, მართლწესრიგში ინტეგრირებული ყველა გადაწყვეტილება იყო აღსრულებადი. ფაქტობრივად, „გადაწყვეტილება აღსრულების გადავადების მოთხოვნის საგანი რომ გახდეს, აღსრულებადი უნდა იყოს უფრო შეზღუდული მნიშვნელობით, ის მარტივად არ უნდა შედიოდეს მართლწესრიგში“[17].

აღსრულებადი გადაწყვეტილება საშუალებას მოგვცემდა, ყოველგვარი სასამართლო ინტერვენციის მიღმა, მატერიალურად გარდაგვექმნა ადმინისტრაციული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვალდებულებები და უფლებები. ამ თეორიის კრისტალიზაცია ისეთივე ბუნდოვან ცნებებთან, როგორც წინასწარი პრივილეგია ან გადაწყვეტილების უშუალო აღსრულება, დასრულდა ადმინისტრაციული აქტების ადრესატებთან დაქვემდებარების შეგრძნების შექმნით. სწორედ მთელმა ამ გამოყენებულმა ლექსიკონმა შესაძლებლობა შექმნა გავრცელებულიყო ყოვლისშემძლე ადმინისტრაციის იდეა, რომლის ნება უნდა იყოს დაცული. ასეთ პირობებში, არ ჩანს შესაძლებელი განხილული და დაცული იყოს აღსრულების შეყოვნება სარჩელების წარდგენით: თუ ადმინისტრაციული გადაწყვეტილების ბუნება იძულებითი მატერიალური აღსრულების საშუალებას იძლევა, სასამართლო დავამ არ უნდა შეძლოს მისი შეფერხება.

აღსრულებადიხასიათიხშირადგაანალიზებულია, როგორცადმინისტრაციისინიციატივით მოქმედების პრივილეგიის სინონიმი. აღრევა ჩანს გარდაუვალი, რამდენადაც აღსრულებას დაქვემდებარება ასოცირდება „ადმინისტრაციის ინიციატივით მოქმედებასთან“, რომელიც თავისთავად უშვებს მატერიალურ აქტში გადასვლას. თუმცა, ზოგადად, ადმინისტრაცია არ ფლობს აუცილებელ უფლებამოსილებებს, როგორც გადაწყვეტილების უშუალო აღსრულებას, აღსრულების იძულებისთვის. მაშასადამე, სწორედ გამოყენებულმა სიტყვებმა და მათმა არასიზუსტემ გახსნეს გზა აღსრულებადი გადაწყვეტილების ამ გადაჭარბებული წაკითხვისკენ, როგორც ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების იძულებით მატერიალური განხორციელების უფლება, რაც საფუძველია სარჩელების შეყოვნებითი ეფექტის არარსებობის. თუმცა, აქ საუბარია მცდარ ინტერპრეტაციაზე, რამდენადაც მის ნამდვილ შინაარსს არ შეუძლია წარმოშვას სარჩელების არაშეყოვნებითი ხასიათი.

დასკვნა

ფრანგულ სამართალში სარჩელების შეყოვნებითი ეფექტის არარსებობის პრინციპი, ადმინისტრაციულ დავაში, წარმოსდგება როგორც სიცხადე, რომლის დასაბუთებულობა და მნიშვნელობა არ განიხილება. დავის ადმინისტრაციულ პროცედურაში დამკვიდრებული როგორც პრინციპი, ის დადგენილია კრიტიკის გარეშე. აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისგან გამომდინარეობდა იურიდიული ლოგიკის ფორმა, რომელიც ხელს უშლიდა

15 G. Dupuis, op. cit., p. 548.
16 M. Lei, Le principe de l’absence d’effet suspensif des recours contentieux en droit administratif, Droit, Université de Toulon, 2018, p. 66.
17 P. Mouzouraki, L’efficacité des décisions du juge de la légalité administrative dans le droit allemand et français, 1999, Paris, LGDJ, Bibliothèque de droit public, t. 205, préf. M. Fromont, p. 402.

მასთან დაკავშირებულ მთელ ანალიზს. სარჩელების არაშეყოვნებითი ეფექტის პრინციპი არ შეიძლებოდა ყოფილიყო სადავოდ ქცეული, ვინაიდან ის გამომდინარეობდა მკაცრი იურიდიული მსჯელობიდან. ამ საფუძვლიდან გამომდინარე, მისი იურიდიული ძალა არანაირ ეჭვს არ ბადებს, რომ მისი კვლევა შეიძლება ჩანდეს უაზრო. თუმცა, ელემენტები, რომლებიც ტრადიციულად წარმოდგენილია როგორც სარჩელების არაშეყოვნებითი ეფექტის პრინციპის საფუძვლები, როდესაც ღრმად განვიხილავთ, დაშორებულია იურიდიულ ლოგიკას. როგორიც არ უნდა იყოს აღსრულებადი გადაწყვეტილება, ივარაუდება, რომ ამტკიცებს პრინციპს, არის დეფორმაციისა და გადაჭარბების ობიექტი, რომელიც აფერხებს სამართალში ამ პრინციპის საფუძვლიანად დანერგვას. იურიდიული არგუმენტაციის ეს უკმარისობა, რომელიც სარჩელების შეყოვნებითი ეფექტის არარსებობის პრინციპის მიზეზია, ღრმად აჩვენებს, რომ აქ საუბარია განხილვაზე, რომელიც აგებული და მოფიქრებულია ამ პრინციპის გამართლებისთვის.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;

Ch. Eisenmann, Droit administratif approfondi, 1953-1954, Paris;

Décr., 22 juill. 1806, affaires contentieuses portées devant le Conseil d'État;

D. Costa, Les fictions juridiques en droit administratif, 2000, Paris;

F.-A. Isambert, Decrusy et A.-H. Taillandier, Recueil général des anciennes lois françaises depuis l'an 420 jusqu'à la Révolution de 1789, t. XXII, 1830, Paris;

G. Darcy, « La décision exécutoire, esquisse méthodologique », AJDA, 1994;

G. Dupuis, Les privilèges de l'administration, th. Paris, 1962;

J.-L. Mestre, Un droit administratif à la fin de l'ancien régime : le contentieux des communautés de provence, 1976, Paris;

J. Rivero, « Le système français de protection des citoyens contre l'arbitraire administratif à l'épreuve des faits », in Mélanges en l'honneur de Jean Dabin, t. 2, 1963, Bruxelles, Paris;

L. Fontaine, La notion de décision exécutoire en droit public français, th. Paris-X, G. Darcy (dir.), 2001;

M. Hauriou, « De la formation du droit administratif français depuis l'an VIII », in Mélanges Garsonnet, 1893, Paris;

M. Hauriou, La jurisprudence administrative de 1892 à 1929, vol. 1, 1931, Paris;

M. Lei, Le principe de l'absence d'effet suspensif des recours contentieux en droit administratif, Droit, Université de Toulon, 2018;

P. Mouzouraki, L'efficacité des décisions du juge de la légalité administrative dans le droit allemand et français, 1999, Paris;

S. Hourson, « Les recours suspensifs en matière administrative », DA, 2012.

ხელოვნური ინტელექტის როლი ვებსაიტების შექმნაში

ქეთევან კვესელავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
სამეცნიერო-კვლევით ცენტრის მთავარი მეცნიერი,
ინჟინერიის აკადემიური დოქტორი

ზურაბ სამხარაძე
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
სამეცნიერო-კვლევით ცენტრის მთავარი მეცნიერი,
სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი

ირაკლი ბოჭორიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ლიანა თედეშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ლევან ჯიქიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ინჟინერიის აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

ეს სტატია განიხილავს ხელოვნური ინტელექტის (AI) როლს ვებსაიტების შექმნაში, ხაზს უსვამს მის გავლენას განვითარების პროცესებზე და მომხმარებელთა ურთიერთქმედებებზე. თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორიცაა გენერაციული მოდელები, სარეკომენდაციო სისტემები და ჩატ-ბოტები, ხდება ვებ განვითარების განუყოფელი ნაწილი, რაც შესაძლებელს ხდის მნიშვნელოვნად გაამარტივოს და დააჩქაროს ვებ-გვერდის შექმნა. გენერაციული მოდელები, როგორიცაა ChatGPT და DALL-E, დეველოპერებს საშუალებას აძლევს ავტომატურად შექმნან ტექსტი და ვიზუალური შინაარსი, რაც არა მხოლოდ დაზოგავს დროს, არამედ აუმჯობესებს შემოქმედებით პროცესებს. სარეკომენდაციო სისტემები აანალიზებენ მომხმარებლის ქცევას და გვთავაზობენ პერსონალიზებულ გადაწყვეტილებებს, რაც ხელს უწყობს მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესებას და ჩართულობის გაზრდას. ჩეთ-ბოტები, რომლებიც გამოიყენება მომხმარებლებთან კომუნიკაციის ავტომატიზაციისთვის, უზრუნველყოფენ სადღეღამისო მხარდაჭერას და მყისიერ პასუხებს ხშირად დასმულ კითხვებზე, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მომსახურების დონეს. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტი ხელს უწყობს მონაცემთა ანალიზს და საძიებო სისტემების შინაარსის ოპტიმიზაციას, რაც აუმჯობესებს ვებსაიტების ხილვადობას ინტერნეტში. სტატიაში ასევე განხილულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენების უპირატესობები ვებ დეველოპმენტში, მათ შორის რუტინული ამოცანების ავტომატიზაცია, შინაარსის ხარისხის გაუმჯობესება და მარკეტინგული სტრატეგიების ეფექტურობის გაზრდა. დასასრულს, ხაზგასმულია, რომ AI-ის დანერგვა ვებ-დეველოპმენტში ხსნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისთვის და ქმნის უფრო დინამიურ და პასუხისმგებელ ვებ-აპლიკაციებს, რომლებიც აკმაყოფილებენ დღევანდელ ციფრულ სამყაროში მომხმარებლების საჭიროებებს.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, ვებ-საიტები, ავტომატიზაცია, გენერაციული მოდელები.

THE ROLE OF ARTIFICIAL INTELLIGENCE IN THE DEVELOPMENT OF WEBSITES

KETEVAN KVESELAVA
Professor of Technical University of Georgia,
Chief Scientist in the Scientific Research Center of
LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Academic Doctor of Informatics Engineering

ZURAB SAMKHARADZE
Chief Scientist in the Scientific Research Center of
LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of Military Sciences

IRAKLI BOCHORISHVILI
Associate Professor of Technical University of Georgia,
Doctor of Technical Sciences

LIANA TEDESHVILI
Associate Professor of Technical University of Georgia, Doctor of Technical Sciences

LEVAN JIKIDZE
Associate Professor of Technical University of Georgia,
Academic Doctor of Informatics Engineering

ABSTRACT

This article discusses the role of artificial intelligence (AI) in website creation, highlighting its impact on development processes and user interactions. Modern technologies, such as generative models, recommendation systems, and chatbots, are becoming an integral part of web development, making it possible to significantly simplify and speed up the creation of a website. Generative models, such as ChatGPT and DALL-E, allow developers to automatically generate text and visual content, which not only saves time but also improves creative processes. Recommendation systems analyze user behavior and offer personalized solutions, helping to improve user experience and increase engagement. Chatbots, which are used to automate communication with customers, provide 24/7 support and instant answers to frequently asked questions, significantly improving the level of service. In addition, artificial intelligence helps with data analysis and content optimization for search engines, which improves the visibility of websites on the Internet. The article also discusses the benefits of using AI in web development, including automating routine tasks, improving content quality, and increasing the effectiveness of marketing strategies. In conclusion, it is emphasized that the implementation of AI in web development opens up new opportunities for businesses and creates more dynamic and responsive web applications that meet the needs of users in today's digital world.

Keywords: artificial intelligence, websites, automation, generative models

შესავალი

ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების განვითარებით, მისი გამოყენება სულ უფრო აქტუალური ხდება სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ვებ დეველოპმენტში. AI-ს შეუძლია მნიშვნელოვნად გაამარტივოს ვებსაიტების შექმნის პროცესი, გააუმჯობესოს მათი ფუნქციონირება და მომხმარებლებთან ურთიერთობა უფრო პერსონალიზირებული გახადოს. ამ სტატიაში ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ ცვლის ხელოვნური ინტელექტი ვებ განვითარების მიდგომებს და რომელი ინსტრუმენტები ხდება ყველაზე პოპულარული.[1]

განვითარების თანამედროვე მეთოდები, როგორიცაა ადაპტური დიზაინი და მომხმარებლის ინტერფეისი, დიდ სარგებელს იძენს ხელოვნური ინტელექტის დანერგვით. მაგალითად, მომხმარებლის ქცევის მონაცემების ანალიზი დეველოპერებს საშუალებას აძლევს შექმნან უფრო მოსახერხებელი და ინტუიციური ინტერფეისები, რომლებიც ითვალისწინებენ მომხმარებლების პრეფერენციებსა და ჩვევებს. ეს, თავის მხრივ, აუმჯობესებს მომხმარებლის საერთო გამოცდილებას და ხელს უწყობს საიტზე გატარებული დროის გაზრდას.

გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტი ხსნის ახალ შესაძლებლობებს პროცესების ავტომატიზაციისთვის, რომლებიც ადრე მოითხოვდა მნიშვნელოვან დროს, შრომას და ხარჯებს. ტესტის ავტომატიზაცია, შინაარსის გენერაცია საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია - ეს ყველაფერი საშუალებას აძლევს დეველოპერებს ფოკუსირება მოახდინონ თავიანთი მუშაობის უფრო კრეატიულ და სტრატეგიულ ასპექტებზე, გაზარდონ გუნდის საერთო ეფექტურობა.[2]

ბოლოს და ბოლოს, ვებგვერდებზე ჩატ-ბოტებისა და ვირტუალური ასისტენტების დანერგვა უკვე გახდა სტანდარტული მრავალ ინდუსტრიაში. ეს ხელსაწყოები არა მხოლოდ უწევს მომხმარებლებს სადღეღამისო მხარდაჭერას, არამედ აგროვებს მონაცემებს ურთიერთქმედების შესახებ, რაც კომპანიებს საშუალებას აძლევს, რომ ადაპტირება გაუკეთონ თვიანთ შეთავაზებებს და გააუმჯობესონ მომსახურების ხარისხი. ამრიგად, AI არა მხოლოდ ცვლის თავად განვითარების პროცესს, არამედ გავლენას ახდენს მომხმარებლებთან ურთიერთობის სტრატეგიაზე, ქმნის ახალ ჰორიზონტს ბიზნესისთვის.[3]

ძირითადი ნაწილი

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ვებ დიზაინში

1. დიზაინის ავტომატიზაცია:

მაგალითი: Wix ADI (ხელოვნური დიზაინის ინტელექტი)-ინსტრუმენტი, რომელიც ავტომატურად ქმნის ვებსაიტებს, რამდენიმე კითხვაზე მომხმარებლის პასუხების გაცემის საფუძველზე. ის ირჩევს სტილს, განლაგებას და ელემენტებს, რომლებიც შესაფერისია ბიზნესისთვის.

2. მომხმარებლის გამოცდილების პერსონალიზაცია:

მაგალითი: Netflix იყენებს AI ალგორითმებს მომხმარებლის უპირატესობის გასაანალიზებლად და სთავაზობს პერსონალიზებული რეკომენდაციებს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ჩართულობას.

ვებსაიტების ფუნქციონირების გაუმჯობესება

1. ჩეთ-ბოტები და ვირტუალური ასისტენტები:

მაგალითი: Drift-არის პლატფორმა ვებსაიტებზე ჩეთ-ბოტების ჩასართავად, რომელიც

1 I. N. Krotova, „Issledovanie iskusstvennogo intellekta v protsessakh veb-razrabotki,“ M.: Science, 2021.
2 I. V. Ul'yanov, (. Rol' II v uluchshenii pol'zovatel'skogo opyta veb-saitov. Byulleten' informatsionnykh tekhnologii, (3), 2020, 34-38.
3 M.Levchenko, K.Adushkina, „Factors of marriage satisfaction at different stages of family life cycle,“.Bulletin of Science and Practice, 9, 2017, 243–249, doi.org/10.5281/zenodo.891490

გეხმარებათ კლიენტებთან ურთიერთობაში რეალურ დროში ხშირად დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემით და მომხმარებლებს ათვალიერებინებს საიტს.

2. საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია:

მაგალითი: MarketMuse იყენებს AI-ს კონტენტის გასაანალიზებლად და იმ საკითხების ხარვეზების დასადგენად, რაც ხელს უწყობს უკეთესი, უფრო შესაბამისი შინაარსის შექმნას, რომელიც აუმჯობესებს საძიებო სისტემის ხილვადობას.

მონაცემთა ანალიზი

1. მონაცემთა შეგროვება და დამუშავება:

მაგალითი: Google Analytics იყენებს AI-ს საიტზე მომხმარებლის ქცევის გასაანალიზებლად, ტენდენციების იდენტიფიცირებისთვის და ანგარიშების შესაქმნელად, რაც იძლევა საშუალებას, რომ მიიღოთ ინფორმირებული გადაწყვეტილებები საიტის გასაუმჯობესებლად.

2. პროგნოზირების ტენდენციები:

მაგალითი: Crimson Hexagon იყენებს AI-ს სოციალური მედიის გასაანალიზებლად და სამომავლო ტენდენციების პროგნოზირებისთვის, რაც საშუალებას აძლევს კომპანიებს მოარგონ თავიანთი ვებსაიტები მომხმარებლის ცვალებად უპირატესობებს.

წარმატებული გამოყენების მაგალითები

Airbnb: პლატფორმა იყენებს AI-ს საცხოვრებლი ადგილის ძიებისა და რეკომენდაციების ოპტიმიზაციისთვის, აანალიზებს მომხმარებლის მონაცემებს, რათა შესთავაზოს ყველაზე რელევანტური ვარიანტები.

Shopify: პლატფორმა გთავაზობთ AI ინსტრუმენტებს ონლაინ მაღაზიების შესაქმნელად, მათ შორის პროდუქტის ავტომატიზირების რეკომენდაციებს და მომხმარებელთა ქცევის ანალიზს.

ხელოვნური ინტელექტი აგრძელებს ვებ განვითარების ტრანსფორმაციას, რომელიც გვთავაზობს ახალ ინსტრუმენტებსა და გადაწყვეტილებებს მომხმარებლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად და პროცესების ოპტიმიზაციისთვის. მომავალში, ჩვენ შეგვიძლია ველოდოთ AI-ის კიდევ უფრო ღრმა ინტეგრაციას, რაც გამოიწვევს უფრო ადატირებულ და ინტელექტუალურ ვებსაიტების შექმნას.

ამ კვლევის შედეგებს მნიშვნელოვანი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ვებ დეველოპერებისათვის და ბიზნესისათვის. ვებსაიტის შექმნისას ხელოვნური ინტელექტის გამოყენება არა მხოლოდ პროცესების ოპტიმიზაციას ახდენს, ასევე საშუალებას აძლევს კომპანიებს უკეთ დააკმაყოფილონ მომხმარებლის საჭიროებები და გაზარდონ საერთო კონკურენტუნარიანობა.

ამრიგად, კვლევის შედეგები ხაზს უსვამენ AI-ს ინტეგრირების მნიშვნელობას ვებ განვითარებაში, რომელმაც გახსნა ახალი ჰორიზონტი მომხმარებლის გამოცდილების და ბიზნეს ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

ცხრილი. 1 ტრადიციული მეთოდებისა და AI-ზე დაფუძნებული მიდგომების შედარება.

განვითარების ასპექტი	ტრადიციული მიდგომა	ხელოვნური ინტელექტის გამოყენება
შინაარსის გენერირება	ტექსტების ხელით წერა	ავტომატური შექმნა GPT-ის მოდელებით
ინტერფეისის დიზაინი	დიზაინის ელემენტების ხელით შერჩევა	ავტომატიზაცია ხელოვნური ინტელექტის საშუალებით (მაგ. Wix ADI)
მონაცემთა შედეგების ანალიზი	მანუალური ანალიზი	ავტომატური ანალიზი Google Analytics-ის გამოყენებით
საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია	საკვანძო სიტყვების ხელით დაყენება	AI ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა MarketMuse
კიბერუსაფრთხოება	საფრთხის ხელით გამოვლენა	რეალურ დროში AI-ის დახმარებით, როგორიცაა Darktrace

AI-ის აღმავლობა ვებ განვითარებაში

ბოლო წლებში ხელოვნური ინტელექტი გახდა ვებ განვითარების პროცესის ნაწილი.[4] მონაცემები აჩვენებენ, რომ AI ტექნოლოგიის გამოყენება მნიშვნელოვნად გაიზარდა:

2015 წელი: ვებსაიტების მხოლოდ 10% იყენებს AI ტექნოლოგიებს და მხოლოდ შეზღუდულ სცენარებში, როგორიცაა ჩატბოტები და მონაცემთა ძირითადი ანალიზი.

2017 წელი: AI ელემენტების მქონე ვებსაიტების პროცენტი გაიზარდა 25%-მდე, დიზაინის ავტომატიზაციისა და საძიებო სისტემის ოპტიმიზაციის ზრდის წყალობით.

2019 წელი: ხელოვნური ინტელექტის დანერგვამ, განსაკუთრებით გენერაციული მოდელების მოსვლასთან ერთად მიაღწია 40%-ს, მაგ. როგორიცაა GPT-2, რომელიც აქტიურად გამოიყენებოდა კონტენტის შესაქმნელად.

2021 წელი: ვებსაიტების ნახევარზე მეტი (60%) იყენებს AI-ს.

ძირითადი სფეროები მოიცავს მომხმარებლის გამოცდილების პერსონალიზაციას, კონტენტის ავტომატიზაციას და მონაცემთა ანალიზს.

2023 წელი: ვებსაიტების დაახლოებით 75%-ში დაინერგა AI, რაც გახდა კონკურენტუნარიანობის გაზრდის სტანდარტი. დეველოპერებს შორის პოპულარული გახდა ისეთი ტექნოლოგიები, როგორიცაა ChatGPT, DALL-E და სხვა.



გრაფიკი 1. AI-ის აღმავლობა ვებ განვითარებაში

4 M.Hegel, „The Role of AI in UX and UI Design,“Journal of Digital Design, 12(2), 2020, 40-45.

AI-ის ზრდა ვებ-განვითარებაში ხდება, რადგან ტექნოლოგიები გარდაქმნის მიდგომებს ვებსაიტების შექმნისა და ოპტიმიზაციისკენ. ეს იძლევა პროცესების ავტომატიზაციის საშუალებას, აუმჯობესებს მომხმარებლის გამოცდილებას და ზრდის ბიზნესის ეფექტურობას. (გრაფიკი 1.)

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების განაწილება ვებ განვითარებაში

ხელოვნური ინტელექტი ფართოდ გამოიყენება ვებ განვითარების სხვადასხვა ასპექტში. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ყველაზე პოპულარული სფეროებია:

შინაარსის გენერირება (30%)

გენერაციული მოდელები, როგორიცაა ChatGPT და Jasper, საშუალებას გაძლევთ ავტომატურად შექმნათ ტექსტი და ვიზუალური შინაარსი ვებ-საიტებისთვის. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა ბლოგებისთვის, პროდუქტის აღწერილობებისა და მარკეტინგული მასალებისთვის.

ჩეთ-ბოტები და მომხმარებელთა ურთიერთქმედება (25%)

ინსტრუმენტები, როგორიცაა Drift და Tidio, გამოიყენება მომხმარებლებისთვის სადღეღამისო მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. ჩეთ-ბოტები გვეხმარება ხშირად დასმულ კითხვების პასუხებში, აძლევს მიმართულებას კლიენტებს და აგროვებს მონაცემებს პერსონალიზაციისთვის.

საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია (20%)

ხელოვნური ინტელექტის სისტემები, როგორიცაა MarketMuse და Clearscope, აანალიზებენ საკვანძო სიტყვებს, განსაზღვრავენ შინაარსის შესაბამისობას და აძლევენ რეკომენდაციებს საიტების მუდმივ პოზიციებზე საძიებო შეკითხვებში.

მონაცემთა ანალიზი (15%)

ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა AI-ზე მომუშავე Google Analytics, აანალიზებს მომხმარებლის ქცევას, იდენტიფიცირებს ტენდენციებს და გეხმარებათ მიიღოთ ინფორმირებული გადაწყვეტილებები თქვენი საიტის მომავლის შესახებ.

დიზაინის ავტომატიზაცია (10%)

პლატფორმა, როგორიცაა Wix ADI, იყენებს AI-ს შაბლონებისა და დიზაინის ელემენტების შესაქმნელად. ამას სჭირდება დრო განვითარებისთვის, და ხდის პროცესს უფრო ხელმისაწვდომს მომხმარებლებისთვის პროგრამირების გამოცდილების გარეშე.

AI აპლიკაციების განაწილება ასახავს მის მთავარ როლს განვითარების გამარტივებაში, მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესებაში და მარკეტინგული სტრატეგიების გაძლიერებაში. თითოეული ეს რეგიონი ეხმარება კომპანიებს დარჩეს კონკურენტუნარიანი ციფრული ეკონომიკაში.

დასკვნა

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვნად გარდაქმნის ვებსაიტების განვითარების პროცესებს, იძლევა ავტომატიზაციის ახალ შესაძლებლობებს, აუმჯობესებს ხარისხს და აჩქარებს მუშაობას. AI ინსტრუმენტების გამოყენება ვებსაიტების შემუშავებაში არა მხოლოდ დაზოგავს დროსა და რესურსებს, არამედ უზრუნველყოფს უფრო პერსონალიზებულ მიდგომას თითოეული პროექტის მიმართ, რაც აუმჯობესებს მომხმარებლის გამოცდილებას.სამომავლოდ ტექნოლოგიებში ხელოვნური ინტელექტი დიდ როლს შეასრულებს განვითარების პროცესების ავტომატიზაციასა და ოპტიმიზაციაში, გახსნის ახალ ჰორიზონტს ვებ დიზაინერებისა და დეველოპერებისთვის. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საუკეთესო შედეგების მისაღწევად, AI უნდა იყოს შერწყმული კრეატიულობასთან და დეველოპერების პროფესიულ უნარებთან.

ამრიგად, AI-ის გამოყენებით ვებსაიტების შექმნა არა მხოლოდ ტექნოლოგიური ინოვაციაა, არამედ მნიშვნელოვანი ნაბიჯია ვებ განვითარების განვითარებაში, სადაც ხელოვნური ინტელექტი და ადამიანები მუშაობენ მჭიდრო თანამშრომლობით.

ბიბლიოგრაფია

M. Levchenko, M., & Adushkina, K. „Factors of marriage satisfaction at different stages of family life cycle." Bulletin of Science and Practice, 9, 243–249, 2017. (In Russian). https://doi.org/10.5281/zenodo.891490

Smith, J. P. (2022). Artificial Intelligence in Web Design. New York.

Miller, R. D., AI-Driven Web Development: A Future Perspective. London. 2021.

Hegel, M. „The Role of AI in UX and UI Design. Journal of Digital Design", 12(2), 40-45. 2020.

O'Neil, C. „Artificial Intelligence: A Guide to Web Applications." Cambridge: Cambridge University Press, 404 p. 2019.

Zhou, X., & Lee, S. „Impact of AI on the Evolution of Websites and User Experience." Web Technology Journal, 15(4), 150-160. 2020.

ხელოვნური ინტელექტი და მისი გავლენა გლობალურ ეკონომიკასა და საზოგადოებაზე

პოლკოვნიკი ჯამბულ ზალოშვილი
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების ხელმძღვანელი,
სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

ნაშრომი განიხილავს ხელოვნური ინტელექტის (AI) გავლენას მსოფლიო ეკონომიკასა და საზოგადოებაზე. კვლევის მიზანია, გააანალიზოს ის ძირეული ცვლილებები, რასაც AI იწვევს ჩვენს ცხოვრებაში. ნაშრომი აჩვენებს, რომ AI არ არის მხოლოდ ახალი ტექნოლოგია - ის არის მძლავრი ძალა, რომელიც გავლენას ახდენს მთელ საზოგადოებას.

კვლევაში განხილულია AI-ს გავლენა ეკონომიკაზე რამდენიმე მიმართულებით. პირველი, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 2030 წლისთვის AI-ს წვლილი მსოფლიო ეკონომიკაში 15.7 ტრილიონ დოლარს მიაღწევს. მეორე, AI მნიშვნელოვნად ცვლის შრომის ბაზარს - ზოგი პროფესია ქრება, მაგრამ ჩნდება ბევრი ახალი სამუშაო ადგილი. მესამე, AI ზრდის კომპანიების შრომის ნაყოფიერებას სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით წარმოებაში, ფინანსებსა და ჯანდაცვაში.

ნაშრომი ასევე იკვლევს AI-ს გავლენას საზოგადოებაზე. AI ცვლის განათლების სისტემას - ქმნის ახალ შესაძლებლობებს სწავლისთვის, მაგრამ ამავე დროს აღრმავებს განსხვავებას იმ ადამიანებს შორის, ვისაც აქვს და არ აქვს წვდომა ახალ ტექნოლოგიებზე. კვლევაში განხილულია, თუ როგორ იცავს AI ჩვენს პირად ინფორმაციას, თუ რა გზებით აგროვებენ და იყენებენ კომპანიები ჩვენს პირად მონაცემებს. მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა იმის შესწავლასაც, თუ როგორ შეიძლება AI-მ შექმნას არათანაბარი პირობები სხვადასხვა ჯგუფის ადამიანებისთვის - განსხვავებულად მოეპყრას ადამიანებს მათი ასაკის, სქესის ან წარმომავლობის გამო.

კვლევა ასკვნის, რომ საზოგადოებაში AI-ს წარმატებით დასანერგად საჭიროა ოქროს შუალედის პოვნა - როგორ გამოვიყენოთ ახალი ტექნოლოგიები ისე, რომ სარგებელი ყველა ადამიანმა მიიღოს. ამისთვის აუცილებელია მთავრობების, ბიზნესების, მეცნიერებისა და საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობა.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, მსოფლიო ეკონომიკა, შრომის ბაზარი, ავტომატიზაცია, პირადი მონაცემების დაცვა.

ARTIFICIAL INTELLIGENCE AND ITS IMPACT ON THE GLOBAL ECONOMY AND SOCIETY

COLONEL JAMBUL ZALOSHVILI

Head of State Resource Management Master's Program of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of Military Sciences

ABSTRACT

This research examines the impact of Artificial Intelligence (AI) on the global economy and society. The study aims to analyze the fundamental changes that AI is bringing to our lives. The research demonstrates that AI is not merely a new technology - it is a powerful force that is transforming the entire society.

The study explores AI's economic impact in several directions. First, scientists predict that by 2030, AI's contribution to the global economy will reach $15.7 trillion. Second, AI is significantly changing the labor market - while some professions are disappearing, many new jobs are being created. Third, AI increases company productivity across various sectors, particularly in manufacturing, finance, and healthcare.

The paper also investigates AI's social impact. AI is transforming the education system - creating new learning opportunities while simultaneously deepening the divide between those who have access to new technologies and those who don't. The research addresses the problem of personal data protection - how companies collect and use our data through AI systems. Special attention is paid to the issue of algorithmic bias - how AI systems can reinforce unfair attitudes towards different social groups.

The study concludes that successful integration of AI into society requires finding a golden mean - how to use new technologies in a way that benefits everyone. This requires close collaboration between governments, businesses, scientists, and society.

Keywords: Artificial Intelligence, global economy, labor market, automation, personal data protection.

შესავალი

ნაშრომში განვიხილავთ ხელოვნური ინტელექტის მრავალმხრივ გავლენას გლობალურ ეკონომიკასა და საზოგადოებაზე. ყურადღება გამახვილდება AI-ის წვლილზე ეკონომიკურ ზრდაში, შრომის ბაზარზე, სოციალურ თანასწორობასა და ეთიკურ გამოწვევებზე. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება მის შესაძლებლობებსა და რისკებზე, რაც თანამედროვე სამყაროში AI-ის მნიშვნელობას უფრო ფართო და კომპლექსურ კონტექსტში წარმოაჩენს.

ხელოვნური ინტელექტის (AI) განვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტექნოლოგიურ მიღწევას 21-ე საუკუნეში, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტი.[1] თანამედროვე მსოფლიოში, სადაც ტექნოლოგიური ინოვაციები სულ უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება, AI წარმოადგენს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ინსტრუმენტს, არამედ ფუნდამენტურ ძალას, რომელიც აყალიბებს მომავლის საზოგადოებას.[2] ისტორიულად, ტექნოლოგიური რევოლუციები ყოველთვის იწვევდნენ მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. თუმცა, AI-ს უნიკალურობა მდგომარეობს მის უნარში, არა მხოლოდ ჩაანაცვლოს ფიზიკური შრომა, არამედ შეასრულოს კოგნიტური ამოცანები, რომლებიც ტრადიციულად მხოლოდ ადამიანის პრეროგატივად ითვლებოდა.[3] ეს თვისება ქმნის უპრეცედენტო შესაძლებლობებს პროგრესისთვის, მაგრამ ამავდროულად წარმოშობს სერიოზულ გამოწვევებს საზოგადოების წინაშე.

გლობალიზაციის ეპოქაში, AI-ს გავლენა სცილდება ცალკეული ქვეყნების საზღვრებს და ქმნის საერთაშორისო მასშტაბის ტენდენციებს,[4] ანუ როცა AI ვითარდება ერთ ქვეყანაში, მისი გავლენა იგრძნობა მთელ მსოფლიოში და ქმნის ახალ მიმართულებებს განვითარებისთვის. განვითარებული ქვეყნები აქტიურად ინვესტირებენ AI ტექნოლოგიებში, რაც კიდევ უფრო აღრმავებს ციფრულ უთანასწორობას მსოფლიო მასშტაბით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ AI-ს დანერგვის ტემპი და მასშტაბი პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნების კონკურენტუნარიანობასა და ეკონომიკურ განვითარებაზე.[5]

სოციალური პერსპექტივიდან, AI ფუნდამენტურად ცვლის ადამიანების ურთიერთობის ფორმებს, სამუშაო გარემოს, განათლების სისტემებს და ყოველდღიურ ცხოვრებას.[6] ეს ცვლილებები წარმოშობს მნიშვნელოვან კითხვებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, ეთიკის, სოციალური სამართლიანობისა და ადამიანური ღირებულებების შესახებ თანამედროვე ციფრულ ეპოქაში.

წინამდებარე კვლევა ეფუძნება ჰიპოთეზას, რომ AI-ს გავლენა საზოგადოებაზე არის არა მხოლოდ ტექნოლოგიური, არამედ სისტემური ტრანსფორმაციული პროცესი, რომელიც მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას მართვისა და რეგულირების კუთხით.

ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და მათი ყოვლისმომცველი გავლენა თანამედროვე საზოგადოებაზე წარმოშობს მწვავე საჭიროებას ამ ფენომენის სიღრმისეული კვლევისა და ანალიზისთვის. Gartner-ის პროგნოზით, 2025 წლისთვის გლობალური ორგანიზაციების 75% გადავა AI-ზე დაფუძნებულ გადაწყვეტილების მიღების მოდელებზე, რაც ხაზს უსვამს თემის აქტუალობას.[7] წინამდებარე კვლევა წარმოადგენს მცდელობას, სისტემურად გააანალიზოს AI-ს გავლენა როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ ჭრილში, რაც აუცილებელია ინფორმირებული პოლიტიკის შემუშავებისა და სტრატეგიული

1 Klaus Schwab, *The Fourth Industrial Revolution* (Geneva: World Economic Forum, 2016), 7-12.
2 Stuart Russell and Peter Norvig, *Artificial Intelligence: A Modern Approach*, 4th ed. (New York: Pearson, 2020), 1-25.
3 Erik Brynjolfsson and Andrew McAfee, *The Second Machine Age: Work, Progress, and Prosperity in a Time of Brilliant Technologies* (New York: W.W. Norton & Company, 2014), 15-20.
4 Kai-Fu Lee, *AI Superpowers:China, Silicon Valley, and the New World Order*(Boston: Houghton Mifflin Harcourt, 2018) 31-45.
5 World Economic Forum, *"The Future of Jobs Report 2020"* (Geneva: WEF, 2020), 5-15.
6 Martin Ford, Rule of the Robots: *How Artificial Intelligence Will Transform Everything*(New York: Basic Books, 2021), 23-40.
7 Gartner, *"Top Strategic Technology Trends for 2023"* (Stamford: Gartner, 2022), 15-20.

გადაწყვეტილებების მიღებისთვის.

ხელოვნური ინტელექტის გავლენის კვლევა აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა მიმართულებით. ეკონომიკურ სფეროში მნიშვნელოვანია მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორ დარონ აჩემოღლუს და მისი კოლეგა პასკუალ რესტრეპოს 2019 წლის კვლევა, რომელიც აჩვენებს, რომ AI-ს დანერგვას აქვს ორგვარი შედეგი შრომის ბაზარზე: ერთი მხრივ, ის ანაცვლებს არსებულ სამუშაო ადგილებს, მეორე მხრივ კი ქმნის მოთხოვნას სრულიად ახალ პროფესიებზე.[8] სტენფორდის უნივერსიტეტის მკვლევარების, ერიკ ბრინჯოლფსონისა და ენდრიუ მაკაფის 2017 წლის ნაშრომი კი გვიჩვენებს, თუ როგორ ზრდის AI კომპანიების შრომის ნაყოფიერებას, თუმცა ამავდროულად იწვევს შემოსავლების არათანაბარ განაწილებას საზოგადოებაში.[9]

სოციალური გავლენის კუთხით მნიშვნელოვანია ორი თანამედროვე კვლევა. კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი საფია ნობლი თავის 2018 წლის კვლევაში წარმოაჩენს ალგორითმული მიკერძოების პრობლემას და მის გავლენას სოციალურ სამართლიანობაზე, ანუ აჩვენებს, რომ AI სისტემები ხშირად იმეორებენ და აძლიერებენ საზოგადოებაში არსებულ უსამართლო დამოკიდებულებებს სხვადასხვა ჯგუფების მიმართ.[10] ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარი შოშანა ზუბოფი კი 2019 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში აანალიზებს AI-ს როლს «სამეთვალყურეო კაპიტალიზმის» ჩამოყალიბებაში და მის გავლენას პირად ცხოვრებაზე, ანუ იკვლევს, თუ როგორ იყენებენ კომპანიები AI-ს ადამიანების პირადი მონაცემების შესაგროვებლად და მათ ქცევაზე გავლენის მოსახდენად.[11]

ძირითადი ნაწილი

ხელოვნური ინტელექტის გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე არა მხოლოდ მრავალმხრივი, არამედ ფუნდამენტურად გარდამქმნელია. კვლევები აჩვენებს, რომ 2030 წლისთვის AI-ს წვლილი მსოფლიო ეკონომიკაში შეიძლება 15.7 ტრილიონ დოლარს მიაღწიოს, რაც მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.[12] ეს ზრდა არ არის უბრალოდ რაოდენობრივი მაჩვენებელი, არამედ ასახავს ღრმა სტრუქტურულ ცვლილებებს ეკონომიკის ყველა სექტორში. AI-ს დანერგვა იწვევს მნიშვნელოვან პროდუქტიულობის ზრდას წარმოებაში, სადაც ჭკვიანი რობოტები და ავტომატიზებული სისტემები აუმჯობესებენ წარმოების ეფექტიანობას 20-30%-ით.[13] ამავე დროს, ვითარდება ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებენ ადამიანურ შეცდომებს და ხარჯებს საწარმოო პროცესებში. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის ასეთი ინტენსიური განვითარება პრობლემებს უქმნის ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, რომლებიც ვერ ახერხებენ ახალი ტექნოლოგიების ადაპტირებას, რაც კიდევ უფრო ზრდის გლობალურ ეკონომიკურ უთანასწორობას.

ფინანსურ სექტორში, AI-ზე დაფუძნებული ალგორითმები რევოლუციურ ცვლილებებს იწვევს რისკების მართვის, ინვესტიციების და კლიენტთა მომსახურების სფეროებში.[14] ჯანდაცვის სექტორში, AI ტექნოლოგიები აუმჯობესებენ დიაგნოსტიკის სიზუსტეს და პერსონალიზებული მკურნალობის შესაძლებლობებს, რაც პირდაპირ აისახება ეკონომიკურ ეფექტიანობაზე.[15] თუმცა, ეს ეკონომიკური სარგებელი არათანაბრად ნაწილდება მსოფლიო

8 Daron Acemoglu and Pascual Restrepo, *"Automation and New Tasks: How Technology Displaces and Reinstates Labor,"* Journal of Economic Perspectives 33, no. 2 (2019): 3-30.
9 Erik Brynjolfsson and Andrew McAfee, *Machine, Platform, Crowd: Harnessing Our Digital Future* (New York: W.W. Norton & Company, 2017).
10 Safiya Umoja Noble, *Algorithms of Oppression: How Search Engines Reinforce Racism* (New York: NYU Press, 2018).
11 Shoshana Zuboff, *The Age of Surveillance Capitalism* (New York: Public Affairs, 2019).
12 PwC, *"Sizing the prize: What's the real value of AI for your business and how can you capitalise?"* PwC Analysis (2018): 3-5.
13 McKinsey Global Institute, *"Artificial Intelligence: The Next Digital Frontier?"* McKinsey & Company (2017):20-25.
14 Marcos López de Prado, *Advances in Financial Machine Learning* (New York: Wiley, 2018), 45-60.
15 Eric Topol, *Deep Medicine: How Artificial Intelligence Can Make Healthcare Human Again* (New York: Basic Books, 2019), 100-120.

მასშტაბით - განვითარებული ქვეყნები, რომლებსაც აქვთ უკეთესი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა და კვალიფიციური სამუშაო ძალა, იღებენ უპირატესობას AI რევოლუციაში.

აღსანიშნავია, რომ AI-ს ეკონომიკური გავლენა ვრცელდება არა მხოლოდ დიდ კორპორაციებზე, არამედ მცირე და საშუალო ბიზნესზეც, რომლებიც სულ უფრო მეტად იყენებენ AI-ზე დაფუძნებულ ინსტრუმენტებს თავიანთი ოპერაციების ოპტიმიზაციისთვის. ამასთან, ახალი AI სტარტაპები ქმნიან ინოვაციურ პროდუქტებს და სერვისებს, რაც ხელს უწყობს ეკონომიკის დივერსიფიკაციას და ახალი ბიზნეს მოდელების განვითარებას.

შრომის ბაზარზე AI-ს გავლენა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და კომპლექსურ საკითხს თანამედროვე ეკონომიკაში. კვლევები აჩვენებს, რომ AI ტექნოლოგიების განვითარება ფუნდამენტურად ცვლის დასაქმების ლანდშაფტს, ქმნის რა ორმხრივ ეფექტს შრომის ბაზარზე.[16] ერთი მხრივ, იქმნება ახალი, კარგად ანაზღაურებადი სამსახურები, მაგალითად მონაცემთა დამუშავებაში, ხელოვნური ინტელექტის შემუშავებასა და რობოტების პროგრამირებაში. მეორე მხრივ, ავტომატიზაცია საფრთხეს უქმნის ბევრ ტრადიციულ პროფესიას, განსაკუთრებით იმ სამუშაოებს, რომლებიც მეორდება და არ მოითხოვს კრეატიულობას.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, გლობალურად სამუშაო ადგილების დაახლოებით 14% მაღალი რისკის ქვეშაა ავტომატიზაციის გამო, ხოლო დამატებით 32% შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს AI-ს გავლენით მომდევნო ათწლეულში.[17] ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთ სექტორებში, როგორიცაა წარმოება, ტრანსპორტი, საცალო ვაჭრობა და ადმინისტრაციული მომსახურება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ AI-ს გავლენა არათანაბრად ნაწილდება სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებს შორის.[18]

განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი ხდება კრიტიკულად მნიშვნელოვანი ამ ცვლილებების ფონზე. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შეფასებით, 2025 წლისთვის მსოფლიოს მასშტაბით 85 მილიონი სამუშაო ადგილი შეიძლება ჩანაცვლდეს AI და რობოტიზაციით, მაგრამ ამავდროულად შეიქმნება 97 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი.[19] ეს მოითხოვს მასშტაბურ ინვესტიციებს გადამზადების პროგრამებში და უწყვეტი განათლების სისტემების განვითარებაში.

სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების წინაშე დგება გამოწვევა, შეიმუშაონ ეფექტური სტრატეგიები სამუშაო ძალის ადაპტაციისთვის ახალ რეალობასთან. ეს მოიცავს როგორც საგანმანათლებლო სისტემის რეფორმას, ისე სოციალური დაცვის მექანიზმების გაძლიერებას იმ მუშებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტად ზარალდებიან ტექნოლოგიური ცვლილებებით.

სოციალური თვალსაზრისით, AI ქმნის კომპლექსურ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, რომლებიცმნიშვნელოვნადცვლიანსაზოგადოებისფუნქციონირებისტრადიციულმოდელებს.

განათლების სფეროში AI ტექნოლოგიების ინტეგრაცია წარმოადგენს განსაკუთრებით მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას. პერსონალიზირებული სწავლების პლატფორმები, ადაპტირებული საგანმანათლებლო პროგრამები და ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული შეფასების სისტემები ზრდიან განათლების ხელმისაწვდომობასა და ეფექტიანობას. თუმცა, ეს პროგრესი ამავდროულად აღრმავებს ციფრულ უთანასწორობას იმ საზოგადოებებს შორის, რომლებსაც აქვთ და არ აქვთ წვდომა თანამედროვე ტექნოლოგიებზე.[20]

პირადი მონაცემების დაცვა და კონფიდენციალურობა წარმოადგენს კიდევ ერთ კრიტიკულ

16 David Autor and Anna Salomons, *"Is Automation Labor Share-Displacing? Productivity Growth, Employment, and the Labor Share,"* Brookings Papers on Economic Activity (2018): 1-63.

17 International Labour Organization, "The Future of Work Report 2023: Social Justice for All in the Digital Age" (Geneva: ILO, 2023), 25-40.

18 Daron Acemoglu and Pascual Restrepo, *"Automation and New Tasks: How Technology Displaces and Reinstates Labor,"* Journal of Economic Perspectives 33, no. 2 (2019): 3-30.

19 World Economic Forum, "The Future of Jobs Report 2020" (Geneva: WEF, 2020), 5-15.

20 Mark Warschauer, *Technology and Social Inclusion: Rethinking the Digital Divide* (Cambridge: MIT Press, 2022), 120-145.

საკითხს AI-ს სოციალური გავლენის კონტექსტში. მზარდი საფრთხეები არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გროვდება, მუშავდება და გამოიყენება პერსონალური ინფორმაცია AI სისტემების მიერ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჯანდაცვა, ფინანსური მომსახურება და სოციალური მედია, სადაც AI ალგორითმები აქტიურად იყენებენ მომხმარებელთა მონაცემებს.

ალგორითმული მიკერძოება წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას, რომელმაც შეიძლება გააღრმავოს არსებული სოციალური უთანასწორობა.[21] AI სისტემები ისტორიული მონაცემების საფუძველზე სწავლობენ. თუმცა ეს მონაცემები ხშირად შეიცავს საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებსა და წინასწარ განწყობებს. შედეგად, ხელოვნური ინტელექტი ხშირად ასახავენ და ამძაფრებენ საზოგადოებაში არსებულ წინასწარ განწყობებს გენდერის, რასის, ასაკის და სხვა მახასიათებლების მიხედვით. ეს განსაკუთრებით პრობლემატურია ისეთ სფეროებში, როგორიცაა დასაქმება, საკრედიტო შეფასება და სისხლის სამართლის მართლმსაჯულება.[22]

სოციალური ურთიერთობების ტრანსფორმაცია AI-ს გავლენით ასევე იწვევს მზარდ გამოწვევას. ვირტუალური ასისტენტების, სოციალური რობოტების და AI-ზე დაფუძნებული კომუნიკაციის პლატფორმების გავრცელება ცვლის ადამიანთა შორის ურთიერთობის ტრადიციულ ფორმებს. ეს ცვლილებები განსაკუთრებით თვალსაჩინოა ახალგაზრდა თაობაში, რაც წარმოშობს კითხვებს სოციალური უნარების განვითარებისა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის შესახებ.

დასკვნა

ხელოვნური ინტელექტის გავლენა თანამედროვე მსოფლიოზე არის ფუნდამენტური და მრავალმხრივი, რაც მოითხოვს კომპლექსურ და დაბალანსებულ მიდგომას. როგორც ანალიზმა აჩვენა, AI ტექნოლოგიები არა მხოლოდ ზრდიან ეკონომიკურ პროდუქტიულობას და ეფექტიანობას, არამედ ასევე იწვევენ მნიშვნელოვან სოციალურ ტრანსფორმაციებს, რომლებიც საჭიროებენ გააზრებულ მართვას და რეგულირებას.

ეკონომიკური პერსპექტივიდან, AI-ს პოტენციალი გლობალური კეთილდღეობის გაზრდისთვის უპრეცედენტოა. თუმცა, ამ პოტენციალის სრულად რეალიზება მოითხოვს მიზანმიმართულ ძალისხმევას სამართლიანი განაწილების უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნების მხარდაჭერა AI ტექნოლოგიების ათვისებაში და მათი ინტეგრაცია გლობალურ ციფრულ ეკონომიკაში.

შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას, რომელიც მოითხოვს პროაქტიულ მიდგომას განათლების სისტემის რეფორმირებისა და სამუშაო ძალის გადამზადების კუთხით. საზოგადოების მზაობა AI ეპოქისთვის უნდა გახდეს პრიორიტეტული საკითხი როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორისთვის.

ეთიკური საკითხების მნიშვნელობა AI-ს განვითარებაში სულ უფრო იზრდება. აუცილებელია ისეთი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს AI სისტემების გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ადამიანის უფლებების დაცვას. საერთაშორისო თანამშრომლობა ამ მიმართულებით წარმოადგენს კრიტიკულ ფაქტორს გლობალური სტანდარტების ჩამოყალიბებისთვის.

AI-ს წარმატებული ინტეგრაცია საზოგადოებაში დამოკიდებულია ჩვენს უნარზე, შევქმნათ ბალანსი ტექნოლოგიურ პროგრესსა და ჰუმანურ ღირებულებებს შორის. ეს მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას მთავრობებს, ბიზნესს, აკადემიურ წრეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, რათა უზრუნველვყოთ AI-ს განვითარება კაცობრიობის საერთო კეთილდღეობისთვის.

21 Safiya Umoja Noble, *Algorithms of Oppression: How Search Engines Reinforce Racism,* (New York: NYU Press, 2018), 15-35.
22 Virginia Eubanks, *Automating Inequality: How High-Tech Tools Profile, Police, and Punish the Poor,* (New York: St. Martin's Press, 2018), 50-75.

ბიბლიოგრაფია

Acemoglu Daron and Restrepo Pascual, “Automation and New Tasks: How Technology Displaces and Reinstates Labor”. Journal of Economic Perspectives 33, no. 2, 2019.

Autor David and Salomons Anna, “Is Automation Labor Share-Displacing? Productivity Growth, Employment, and the Labor Share”. Brookings Papers on Economic Activity, 2018.

Brynjolfsson Erik and McAfee Andrew, ,,Machine, Platform, Crowd: Harnessing Our Digital Future”. New York: W.W. Norton & Company, 2017.

Brynjolfsson Erik and McAfee Andrew, ,,The Second Machine Age: Work, Progress, and Prosperity in a Time of Brilliant Technologies”. New York: W.W. Norton & Company, 2014.

Eubanks Virginia, ,,Automating Inequality: How High-Tech Tools Profile, Police, and Punish the Poor“. New York: St. Martin’s Press, 2018.

Ford Martin, ,,Rule of the Robots: How Artificial Intelligence Will Transform Everything“. New York: Basic Books, 2021.

Gartner, “Top Strategic Technology Trends for 2023”. Stamford: Gartner, 2022.

International Labour Organization, “The Future of Work Report 2023: Social Justice for All in the Digital Age”. Geneva: ILO, 2023.

Lee Kai-Fu, ,,AI Superpowers: China, Silicon Valley, and the New World Order“. Boston: Houghton Mifflin Harcourt, 2018.

López de Prado Marcos, ,,Advances in Financial Machine Learning“. New York: Wiley, 2018.

McKinsey Global Institute, “Artificial Intelligence: The Next Digital Frontier?”. McKinsey & Company, 2017.

Noble Safiya Umoja, ,,Algorithms of Oppression: How Search Engines Reinforce Racism“. New York: NYU Press, 2018.

PwC, “Sizing the prize: What’s the real value of AI for your business and how can you capitalise?”. PwC Analysis, 2018.

Russell Stuart and Norvig Peter, ,,Artificial Intelligence: A Modern Approach“, 4th ed. New York: Pearson, 2020.

Schwab Klaus, ,,The Fourth Industrial Revolution“. Geneva: World Economic Forum, 2016.

Topol Eric, ,,Deep Medicine: How Artificial Intelligence Can Make Healthcare Human Again“. New York: Basic Books, 2019.

Warschauer Mark, ,,Technology and Social Inclusion: Rethinking the Digital Divide“. Cambridge: MIT Press, 2022.

World Economic Forum, “The Future of Jobs Report 2020”. Geneva: WEF, 2020.

Zuboff Shoshana, “The Age of Surveillance Capitalism“ New York: Public Affairs, 2019.

„თურქული სამყარო“ გლობალური გეოპოლიტიკური ცვლილებების ჭრილში - პერსპექტივები და გამოწვევები

პოლკოვნიკი მამუკა სამხარაძე
სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის თავდაცვისა და
ეროვნული უსაფრთხოების უფროსი ინსტრუქტორი,
სამხედრო ატაშე თურქეთისა და ალბანეთის რესპუბლიკებში

შადიმან ბიწაძე
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების
კვლევების მიმართულების ასოცირებული პროფესორი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საქართველოს უშუალო სამეზობლოს უკეთ შესწავლა და მათთან ურთიერთთანამშრომლობის ძირითადი მიზნების წარმოჩენა, რაც უმთავრესი გარანტიაა იმისა, რომ არ შეილახოს არცერთი მხარის ეროვნული ინტერესები და განისაზღვროს მომავალი ურთიერთობის პერსპექტივები.

საქართველოს მუსულმანურ სამყაროსთან თანაცხოვრების დიდი ხნის ისტორია აქვს, მეტიც, ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მუსულმანური აღმსარებლობის მიმდევარია. მუსულმანურ სამყაროდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ თურქული წარმოშობის დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომელთაგან თურქეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკები სტრატეგიული პარტნიორები არიან, ხოლო დანარჩენთან ტრადიციულად მეგობრული და საქმიანი თანამშრომლობა გვაკავშირებს. საბჭოთა კავშირის დაშლამ თანამშრომლობის გაფართოების შესაძლებლობა გააჩინა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ურთიერთობები ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროებში. განსაკუთრებით ყურადსაღებია თანამშრომლობის პერსპექტივები ენერგოუსაფრთხოებისა და სატრანზიტო მიმართულებებით.

საერთაშორისო არენაზე ახალი პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით თურქული სამყაროს პოზიციების გაძლიერება განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთსა და ევრაზიის რეგიონებებში აჩენს მოლოდინს, რომ სამომავლო პერსპექტივაში მასში შემავალი სახელმწიფოები გააძლიერებენ თანამშრომლობას არამარტო ეკონომიკისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებით, არამედ უსაფრთხოების თვალსაზრისითაც. აქედან გამომდინარე, საერთო პროექტებში საქართველოს ჩ ართულობა ორმხრივი სარგებლიანობის მომტანი იქნება.

საკვანძო სიტყვები: თურქული სახელმწიფოების ორგანიზაცია, პანთურქიზმი, თურანი, თურქული სამყარო.

THE TURKISH WORLD IN THE CONTEXT OF GLOBAL AND GEOPOLITICAL CHANGES – PERSPECTIVES AND CHALLENGES.

COLONEL MAMUKA SAMKHARADZE
Senior instructor of Defence and National Security Course,
Command and Staff College, TMEC,
GDF Defence Atache of Georgia to Turkish Republic and Republic of Albania

SHADIMAN BITSADZE
Professor of Master's Program in Security Studies of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of History

ABSTRACT

The purpose of this paper is to better study the world in our vicinity and to present the main goal of their mutual cooperation. It is precisely a better study of the contemporary world that is the starting point for us to better plan our coexistence with them so that their interests are not neglected and our national interests are fully represented.

Georgia's history is accompanied by living with the Muslim world. After all, a significant part of our citizens are followers of the Islamic faith. From the Muslim world, we should highlight the independent states of Turkic origin, 2 of which are our strategic partners, and with the rest we are traditionally connected by friendly diplomatic and business cooperation. The collapse of the Soviet Union has brought new realities of cooperation with them, among which relations in the field of economy and trade should be noted.

The prospects for cooperation in the areas of energy security and transit are especially noteworthy. Taking into account the new political realities on the international arena, the strengthening of the positions of the Turkic world, especially in the Middle East and Eurasian regions, raises expectations that in the future the states included in it will strengthen cooperation not only in the economic and cultural-educational directions, but also in terms of security. Therefore, Georgia's involvement in common projects will be mutually beneficial.

Keywords: Organization of Turkish States, Pan-Turkism, Turan, Turkish World.

შესავალი

მსოფლიოში არსებულ ეთნოსებს შორის თურქულ ეთნოსს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რომლის ბაზაზე შექმნილი სახელმწიფოები თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ როგორც რეგიონალურ, ასევე გლობალურ განზომილებაში.

თურქული სამყაროს და ფართო გაგებით პანთურქიზმის იდეოლოგიის გამოღვიძების ოქროს ხანად შეგვიძლია მივიჩნიოთ გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგი, როდესაც საბჭოთა კავშირის რღვევის შეუქცევადი პროცესი დაიწყო. საბჭოეთის რღვევა კარგად გამოიყენა თურქეთის რესპუბლიკამ, რათა მუსულმანური აღმსარებლობისა და თურქული ეთნოსის მატარებელ ყოფილ რესპუბლიკებთან დაახლოება მომხდარიყო. მან კარგად გათვლილი გეოსტრატეგიული პოლიტიკის სწორი წარმართვით „თურქული სამყაროს“ იდეა გაამყარა და მნიშვნელოვანი დივიდენდი მიიღო ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარების კუთხით.

თურქული წარმოშობის ხალხთა დაახლოებამ ახალი იმპულსი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიიღო. დაშლის შედეგად აღმოცენდა 5 თურქული (აზერბაიჯანი, ყაზახეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი) დამოუკიდებელი სახელმწიფო. ისინი მართალია საბჭოთა კავშირის დროს დიდად არ გამოხატავდნენ ეროვნულ ნიადაგზე გარკვეულ ინიციატივებს და ეროვნული ნიშნით არცთუ დიდ პრობლემას უქმნიდნენ საბჭოთა კომუნისტური ხელისუფლებას, მაგრამ 1989-90 წწ. უკვე რიგ ჯერ კიდევ სოციალისტური სტატუსის მქონე ქვეყნებში გაისმა ხმა - „ჩვენ ვართ თურქები“.

1992 წლიდან თურქული სამყაროსთან კავშირების გამყარება პრეზიდენტ თურღუთ ოზალის მიერ ქვეყნის უპირველეს პრიორიტეტად გამოცხადდა. მან ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრობის დროს (1983-89 წწ.) სცადა „ნეო-ოსმალიმზისა“ და „თურანიზმის“ იდეები ცხოვრებაში განეხორციელებინა, თუმცა საბჭოთა კავშირის დროს ამ იდეალების განხორციელება ერთობ წარმოუდგენელი იყო. პრეზიდენტმა ოზალმა შთამომავლობას დაუტოვა შემდეგი ფრაზა: „ევრაზიის სივრცეში ბალკანეთიდან ჩინეთამდე თურქული ფაქტორი იქნება დომინირებული.“[1] აღნიშნული ფრაზა არის თითოეული თურქი წარმოშობის მოქალაქისთვის სტიმულირების მომცემი და შესაბამისად, ყოველწლიურად, არამარტო თურქეთის რესპუბლიკაში, არამედ სხვა თურქულ სახელმწიფოებშიც იზრდება რაოდენობა იმ ხალხიც, ვინც მხარს უჭერს თურქული სამყაროს ინტეგრაციის პროცესს.

თურქული სამყაროს თანამშრომლობამ სახეცვლილება რამდენჯერმე განიცადა. პირველი ეტაპი მოიცავს 1992-2009 წწ, მეორე ეტაპი 2009-2021 წწ. ხოლო მესამე ეტაპად მიჩნეულია მიმდინარე პროცესი, რომელიც ორგანიზაცია „თურქული სახელმწიფოების ორგანიზაციად“ ჩამოყალიბდა.

პირველი ეტაპი - 1992 წელს თურქეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ანკარაში მოწვეული იქნა „თურქულ ენაზე მოსაუბრე სახელმწიფოების“ მეთაურების (თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი თურგუთ ოზალი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ებულფეზ ელჩიბეი, ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი, ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ასკარ აკაევი, უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი და თურქმენეთის პრეზიდენტი საფარმურად ნიაზოვი) პირველი სამიტი.[2] 1993 წლის 12 ივნისს კი ალმა-ათაში ხელი მოეწერა მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც ჩამოყალიბდა „თურქული კულტურის საერთაშორისო ორგანიზაცია“.

---

1 Э.Т. Мехдиев, “НЕООСМАНИЗМ» В РЕГИОНАЛЬНОЙ ПОЛИТИКЕ ТУРЦИИ“, **ж**.Vestnik MGIMO-University, No 2(47), 2016, https://www.vestnik.mgimo.ru/jour/article/view/507

2 Naciye Solmaz KEŞİKÇİ, Dr. Ömer Faruk KARAMAN „Organization of Turkish States and Its Members Participation Processes: TRNC and Turkmenistan Observer Members„, Cilt/Vol: 3 Sayı/Num: 5 Aralık / December 2023, https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/3611219

აქვე ხაზგასასმელია, რომ თურქეთის ამჟამინდელი მმართველი პარტიის (AKP, „სამართლიანობისა და აღორძინების პარტია“) ხელისუფლებაში მოსვლიდან (2002 წ.) თურქული სამყაროს შეკავშირებისათვის მან და მისმა ლიდერმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა საკმაოდ დიდი ღვაწლი გაწიეს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ თურქეთის რესპუბლიკის, განსაკუთრებითუახლოესიისტორიისეპოქაში„ნეო-ოსმალიზმის“იდეოლოგიისგამორჩეული პრინციპები (სისხლი, ოსმალეთის იმპერიალისტური აზროვნება, ეროვნული საფუძველი, ენა) მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა-იმპლემენტაციისას.

ძირითადი ნაწილი

2009 წლის 2-3 ოქტომბრის ნახიჩევანის სამიტი

სულ სამიტების რაოდენობამ გასული საუკუნის 90-იან და 2000-იანების პირველ 10 წელიწადში ათს მიაღწია. აქვე აღსანიშნავია, რომაღსანიშნავია, რომ სამიტის დასეხელება არ იცვლებოდა, მხოლოდ ერთხელ ქ. ტაშკენტში (უზბეკეთი) გამართულ სამიტს ეწოდა „თურქული რესპუბლიკების სახელმწიფო მეთაურების სამიტი“, თუმცა მომდევნო სამიტზე კვლავ ძველ დასახელებას დაუბრუნდნენ („თურქულენოვანი სახელმწიფოების მეთაურების სამიტი“). თითოეული მათთაგანი, რათქმაუნდა, მნიშვნელოვანი იყო თუმცა ცალკე გამოსაყოფია 2009 წლის 3 ოქტომბრის ნახიჩევანის სამიტი, სადაც გადაწყდა, რომ თანამშრომლობის გაღღმავების მიზნით ურთიერთობები საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში გაეგრძელებინათ. ორგანიზაციას უწოდეს „თურქული საბჭო“ (Türk Keneşi), ხოლო სრული დასახელება იყო „თურქულენოვანი ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო“ და დააფუძნეს სამდივნო. სამიტზე მიღებული დოკუმენტი ნახიჩევანის ხელშეკრულებით არის ცნობილი.

ნახიჩევანის ხელშეკრულების მნიშვნელობაზე თვით მისი შინაარსი მეტყველებს. ხელშეკრულებამ მოიცვა „თურქული სამყაროს“ ისეთი მნიშვნელოვანი და გლობალური საკითხები როგორიცაა:

- მეცნიერების, ტექნოლოგიების, განათლების, ჯანდაცვის, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სფეროებში კოორდინირებული თანამშრომლობა;
- საგარეო პოლიტიკის საკითხების ირგვლივ ერთიანი პოზიციების შეჯერება;
- საერთო ინტერესების მქონე რეგიონალური და ორმხრივი ფორმატში ეფექტურობის გაზრდისათვის ძალისხმევის გაწევა;
- ურთიერთნდობისა და მეგობრობის განმტკიცება;
- სეპარატიზმის, ექსტრემიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა;
- ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება და ხელის შეწყობა;
- საერთო მასმედიური ინფორმაციისა და სხვა სახის კომუნიკაციების სტიმულაციის ხელისშეწყობა;
- სამართალწარმოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება.

ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით შექმნილი იქნა ორგანიზაციის ორგანოები, რომელთა დისლოკაცია შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ქ. სტამბოლში განლაგდა მმართველი ადმინისტრაცია;
- საპარლამენტო ასამბლეამ ადგილი ქ. ბაქოში დაიმკვიდრა;
- ორგანიზაციის აკადემიური ცენტრი კი ნურსულთანშია განლაგებული;
- მომთაბარე ცივილიზაციის ცენტრი ფუნქციონირებს ქ. ბიშკეკში;
- ქ. სტამბულია თურქული სავაჭრო-სამრეწველო პალატის შტაბ-ბინა;
- გადაწყდა, რომ თურქული კულტურისა და მემკვიდრეობის ფონდი ქ. ბაქოში განლაგებულიყო. ფონდი მუშაობს საზოგადოებრივ საწყისებზე, იღებს კერძო პირების შემოწირულებს. იგი ძირითადა აფინანსებს კულტურული მემკვიდრეობის

გადარჩენისთვის მიმართულ პროექტებს. აქვს შემუშავებული პროგრამა კულტურული ხასიათის ღონისძიებების შენახვა/დაფინანსების მიმართულებით.[3]

უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის 12 ნოემბერს ორგანიზაციის სახელის შეცვლის მიუხედავად აღნიშნული ორგანოები, იგივე სახელწოდებით აგრძელებენ ფუნქციონირებას.

სამიტმა მიიღო გადაწყვეტილება და „თურქულ საბჭოს“ დაუქვემდებარა იმ დროისთვის გამორჩეული ორგანიზაცია „თურქული კულტურის საერთაშორისო ორგანიზაცია“ (TÜSOY, დაარსდა 1993 წლის 12 ივლისს ქ. ალმა-ათაში (ყაზახეთის რესპუბლიკა)), რომლის ანგარიშზე არაერთი განხორციელებული პროექტია და რომელიც დღესაც საკმაოდ წარმატებით მოღვაწეობს.

„თურქული საბჭოს“ ჩამოყალიბება მისი წევრებისათვის პირველ რიგში ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას უკავშირდებოდა. ამის ნათელი დადასტურებაა თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის აჰმედ დაუთოღლუს მიერ საბჭოს წევრი-ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სამუშაო შეხვედრაზე გაკეთებული განცხადება „...თურქული საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის არსებული ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთკავშირების გაღრმავება, მათ შორის ვაჭრობისა და ეკონომიკის სფეროებში თანამშრომლობის მაღალ დონეზე წარმართვაში გადამწყვეტი როლი ენიჭება.“[4] უახლოეს თურქეთის ისტორიაში აჰმედ დაუთოღლუ სამართლიანად ითვლება „თურანიზმისა“ და „პანთურქიზმის“ გამორჩეულ პოლიტიკოსად, რაც ნათელ სურათს გვიქმნის აჰმედ დაუთოღლუს, როგორც პოლიტიკოსზე, რომელიც გამოსვლებსა და გამონათქვამებში არ ერიდება რიგ შემთხვევაში მკვახე და რადიკალურ გამონათქვამებსაც კი ოსმალეთის იმპერიის მირაჟულ მდგომარეობასა და იმპერიის „სიკეთეებზე“. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ თურქული სამყარო მაქსიმალურად დისტანცირდა პოლიტიკური ხასიათის ქმედებებისგან-მდგომარეობა რადიკალურად იცვლება უკვე „თურქული სახელმწიფოების ორგანიზაციის“ ჩამოყალიბების დროს.

„თურქული საბჭოს“ წევრ-ქვეყნებად კვლავ 4 დამფუძნებელი ქვეყანა აგრძელებდა მოღვაწეობას. ისინი გამოთქვამდნენ სურვილს და მზადყოფნას, რათა მათი რიგები შევსებულიყო ისეთი ქვეყნებით როგორიცაა უზბეკეთი და თურქმენეთი. უზბეკეთის ხელმძღვანელობამ გამოთქვა დაინტერესება გაწევრიანებულიყო აღნიშნულ ორგანიზაციაში. მის შესაბამის განაცხადს, რომელიც გაკეთებული იქნა 2018 წლის 30 აპრილს. განაცხადი დაკმაყოფილებული იქნა 2019 წლის 14 ივლისს. რაც შეეხება თურქმენეთს, მან საწყის ეტაპზე ამჯობინა დარჩენილიყო წევრობის გარეთ, მაგრამ ძირითად ღონისძიებებსა და პროექტებში ჩართულობაზე უარს არ განუცხადებია. საინტერესოა, რომ 2019 წელსვე დამკვირვებლის სტატუსი მიენიჭა უნგრეთს. დამკვრვებლის სტატუსზე დაინტერესება გამოთქვეს უკრაინამ (2020 წ.) და ავღანეთმაც (2021 წ). ასე რომ „თურქულ საბჭოს“ სამუშაო არეალის გაფართოების აშკარა პერსპექტივები შეექმნა. მისი კარი კვლავ ღიად იქნა გამოცხადებული სხვა დაინტერესებული ქვეყნებისათვისაც.

2019 წლის ოქტომბერში ბაქოს მე-7 სამიტზე ორგანიზაციას ჯერჯერობით ბოლო სრულუფლებიანი წევრის სტატუსით შეუერთდა უზბეკეთი, რომელიც ისედაც ჩართული იყო გარკვეული სახის პროექტებში.

3 Ibid. Naciye Solmaz KEŞİKÇİ, Dr. Ömer Faruk KARAMAN, 2023

4 თურქეთის რესპუბლიკის, საგარეო საქმეთა სამინისტროს გვერდი: https://www.mfa.gov.tr/disisleri-bakani-sayin-ahmet-davutoglu_nun-turk-konseyi-disisleri-bakanlari-konseyi_nde-yaptiklari-konusma_-22-agustos-2012_-bis.tr.mfa (გადამოწმებულია, 18.03.2025)

2021 წლის 12 ნოემბრის სტამბოლის კონფერენცია და თურქული სახელმწიფოების ორგანიზაციის ჩამოყალიბება

2021 წლის 12 ნოემბერი ისტორიული მნიშვნელობის თარიღად უნდა ჩაითვალოს „თურქული სამყაროს“ გააქტიურების კუთხით-ქალაქ სტამბოლში ჩატარებულ მე-8 კონფერენციაზე „თურქულენოვანი ქვეყნების თანამშრომლობის საბჭომ“ სახე იცვალა და მოგვევლინა, როგორც „თურქული სახელმწიფოების ორგანიზაცია“.

სახელის შეცვლასთან საუბარი კულისებში დაკავშირებით დიდი ხანია მიმდინარეობდა, თუმცა ზუსტი თარიღი არ სახელდებოდა. „თურქული საბჭოს“ სახელმწიფო მეთაურების სტამბოლის რიგით მე-8 კონფერენცია შევიდა ისტორიაში, როგორც „თურქული სამყაროს“ ერთმანეთთან დაახლოების მორიგი ღონისძიება. თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა შემდეგი შეფასება მისცა ორგანიზაციისათვის სახელის ცვლილებას: „ჩვენი ახალი სახელით და სტრუქტურით „თურქული სახელმწიფოების ორგანიზაცია“ უფრო სწრაფად და უფრო შეუპოვრად განვითარდება და გაიფურჩქნება მომავალში.“[5]

იბადება კითხვა - გახდება კი ახლადდეკლარილებული ორგანიზაცია პანთურქიზმის იდეის საფუძვლის „დიდი თურანის“ („დიდი თურანი“ - პანთურქიზმის იდეოლოგიის მისაღწევი მიზანი. იდეა აერთიანებს თურქულენოვანი სახელმწიფოებისა (თურქეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი და ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა) და ადმინისტრაციულ ტერიტორიებს (ყირიმი (უკრაინა), სამხრეთ აზერბაიჯანი (ირანი), ალტაი, იაკუტია, ტუვა, ბურიატია, თათარისტანი, ჰაქასია...(რუსეთის ფედერაცია), გაგაუზია (მოლდოვა), ერაყის თურქმენეთი (ერაყი), უღურები (ჩინეთი), მონღოლი თათრები (მონღოლეთი) და სხვა დაახლოებით 50 ერთეული). სულ დაახლოებით 60 ტერიტორია. პანთურქიზმის იდეოლოგია, რომლის სულისჩამდგმელი თურქი პოლიტიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ზია გოქალფია (1875-1924) თანამედროვე თურქულ სამყაროში საკმაო სიმპათიითა და მხარდაჭერით სარგებლობს. რიგი თურქული ქვეყნების ხელისუფალნი (განსაკუთრებით თურქეთი, აზერბაიჯანი) არცთუ იშვიათად აჟღერებენ აღნიშნული იდეოლოგიის ძირითად მიმართულებებს დადებით კონტექსტში, რითაც ცდილობენ ხალხის ფართო მასების მხარდაჭერის მოპოვებას.) ჩამოყალიბების კატალიზატორად? კითხვაზე რეაგირებისათვის განვიხილოთ „დიდი თურანის“ ჩამოყალიბების ტერიტორიული არეალი. იგი გადაჭიმულია მცირე აზიის ნახევარკუნძულიდან ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის ნაპირებამდე და მოიცავს აზიისა და ევროპის ქვეყნების უდიდეს ნაწილს, რომელთა შორის არის ისეთი სახელმწიფო წარმონაქმნები, რომლებიც იმყოფებიან რუსეთის ფედერაციის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, უკრაინის, მონღოლეთისა, ირანის, ერაყისა და ბულგარეთის ტერიტორიებზე. პასუხი უარყოფითია. მაშ რატომ არის, რომ ერდოღანის ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ პოლიტიკურ საკითხად სწორედ რომ საერთო თურქული სივრცის შექმნა აქვს დასახული? პასუხი მარტივია:

1. თურქეთი ცდილობს პანთურქიზმის იდეებით მოხიბლოს შიდა თურქეული ელექტორატი, შექმნას რიგ შემთხვევაში აბსტრაქცია, რომ თურქეთი ამ ეტაპისთვის მზად არის სანუკვარი ოცნების შესრულებისათვის ქმედითი და პროდუქტიული ნაბიჯები გადადგას;
2. თურქეთი ცდილობს კავკასიასა და შუა აზიაში მაცხოვრებელ თურქული წარმოშობის ხალხებს მისცეს ნათელი გზავნილი - თურქეთი ძლიერია და რომ მას შესწევს ძალა მათ გვერდში დაუდგეს, რომ მას შეუძლია მათი პრობლემები მოაგვაროს და ასე შემდეგ;
3. რეგიონში მოქმედი კონკურენტ სახელმწიფოებისათვის თურქეთის გავლენის

5 https://www.haberler.com/guncel/cumhurbaskani-erdogan-yeni-adimiz-ve-yapimiz-turk-14526663-haberi/, (გადამოწმებულია, 18.03. 2025)

სფეროების სურვილის-ინტერესების დეკლალირება;

4. თურქეთის ეკონომიკისთვის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ენერგორესურსების დიდი რაოდენობა. თურქეთი ის ქვეყანაა, რომელიც არ გამოირჩევა მდიდარი ბუნებრივი რესურსების[6] ფლობით და პირველ აზერბაიჯანული და შუა აზიური ნავთობი და გაზი შესაძლებელია იყოს ის მოტივაციის წყაროები, რომლისკენაც შესაძლებელია მოძრაობდეს თურქეთი; თუკი თურქეთი შეძლებს აზერბაიჯანსა და შუა აზიის ქვეყნებზე გავლენის სფეროებში მოქცევას სავარაუდოდ ენერგორესურსებზე შეღავათიანი წვდომა გარანტირებული ექნება;

5. ეკონომიკური სახის მოტივაცია - გასაღების ბაზარი, შეღავათიანი სავაჭრო და მომგებიანი ბიზნეს-გარემო.

სტამბოლის კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს თურქეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ყირგიზეთის,ტაჯიკეთის,უზბეკეთის,თურქმენეთისადაუნგრეთისსახელმწიფოსლიდერებმა. თურქმენეთი და უნგრეთი არ შეუერთდა ორგანიზაციას, როგორც სრულუფლებიანი წევრი, რაც წინასწარ ცნობილი იყო. თუკი უნგრეთის, რომელიც ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობას იღებს 2018 წლიდან, მხარის ქმედება გასაგებია აი თურქმენეთის[7] საკითხი ბევრისთვის ბოლომდე ამოუცნობი დარჩა. მან კვლავ დაადასტურა საკუთარი დადებითი დამოკიდებულება ორგანიზაციის მიმართ, მიიღო მონაწილეობა კონფერენციის მუშაობაში, აქტიურად იყო ჩართული საორგანიზაციო და სხვა სახის მუშაობაში, მაგრამ დარჩა წევრობის გარეშე განსაკუთრებული სტატუსის მქონე ქვეყნის როლში. საუბარია უკრაინის ჩართულობაზეც. ეს ქვეყანა მომავალში მოიაზრება, როგორც სავარაუდო დამკვირვებელ ქვეყნად.

პრეზიდენტმა ერდოღანმა შეაფასა რა თურქულენოვანი სამყაროს ინტეგრაციის აუცილებლობა, ხაზი გაუსვა აზერბაიჯანის დიდ ძალისხმევას, რომელიც გაწეული იქნა თურქული სამყაროს ურთიერთობების გამყარების გზაზე. მისივე თქმით, უმნიშვნელოვანესია, რომ რაც შეიძლება მეტი ტვირთვის ტრანსპორტირებისათვის ისეთი სატრანზიტო კორიდორების, როგორიცაა ტრანსკასპიური და ზანგეზურის კორიდორის სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

პრეზიდენტი ერდოღანი მართალია გამოსვლისას პოლიტიკური ხასიათის განცხადებებს ერიდებოდა, თუმცა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის ორგანიზაციაში ახლო მომავალში გაწევრიანების იმედის გამოთქმამ („ჩვენ გულითადად გვინდა, რომ ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა ვიხილოთ მიმდინარე პერიოდში ჩვენს გვერდით, მაშინ ჩვენი ორგანიზაცია კიდევ უფრო გამდიდრდება“, - პრეზიდენტი ერდოღანი)[8] გარკვეული დისონანსი შეიტანა კონფერენციის მუშაობაში.

„თურქული სახელმწიფოების ორგანიზაციის“
2022 წლის 10 ნოემბრის სამარყანდის სამიტი

თურქული სახელმწიფოების ორგანიზაციის წევრი-ქვეყნების ლიდერების IX სამიტი

6 ბოლო დროს შავი ზღვის აუზში აღმოჩენილი ენერგო საბადოების დადგენა კვლავაც მიმდინარეობს და ზუსტი რაოდენობა ჯერ არარის ცნობილი. თურქეთი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით ცდილობს აწარმოოს დაზვერვითი-სადრენაჟო საქმიანობები, თუმცა მეზობლებისგან აწყდება წინააღმდეგობას და იქამდე სანამ არ დარეგულირდება თურქეთის კუთვნილი საზღვაო საზღვრები აქ არსებული ენერგორესურსების კუთვნილებაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ასე რომ ჩვენი ფრაზა - „თურქეთი განიცდის ენერგორესურსების დეფიციტს“ აქტუალური და რეალობასთან შესაბამისობაშია.

7 შენიშვნა: კულუარებში საუბრობენ, რომ თურქმენეთს დამატებით პასუხისმგებლობა და ვალდებულებები არ ხიბლავს, თუმცა არის მოსაზრება, რომ პრეზიდენტ ბერმუხამედოვს არ გააჩნია არავითარი სურვილი გარკვეული სახით საკუთარი ავტორიტარული მმართველობის კომფორტი დაარღვიოს (ავტორი).

8 Cumhurbaşkanı Erdoğan: Türk Devletleri Teşkilatı'yla bundan sonra daha hızlı büyüyeceğiz: ვებ-გვერდი, https://www.aa.com.tr/tr/gundem/cumhurbaskani-erdogan-turk-devletleri-teskilatiyla-bundan-sonra-daha-hizli-buyuyecegiz/2419280 (გადამოწმებულია, 18.03.2025)

უზბეკეთის ქალაქ სამარყანდში გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს წევრი-ქვეყნების ლიდერებმა მათ შორის, უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვ. ორბანმა.

სამარყანდის სამიტის მიმართ მოლოდინი საკმარისზე მეტი გახლდათ. ერთ-ერთი მიზეზი წევრი ქვეყნების აზერბაიჯან-თურქეთის ტანდემის არაერთხელ გაჟღერებული სურვილი, რათა „თურქულმა სამყარომ“ დროის მცირე სივრცეში დაიწყოს ინტეგრირებისათვის შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა. ბოლო წლებში, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც 2021 წლის 12 ოქტომბერს სტამბოლში გაიმართა რიგით VIII სამიტი მათი მისწრაფება სავსებით თვალნათელი გახლდათ და უკვე აღარავისთვის საიდუმლო აღარ იყო, რომ ორგანიზაცია მხოლოდ კულტურულ და ეკონომიკური თემატიკით არ შემოიფარგლებოდა.

სტამბოლის სამიტიდან სამარყანდის სამიტამდე „თურქულ სამყაროში“ საკმაოდ ძლიერი ნაბიჯები გადაიდგა უსაფრთხოების, სამხედრო და სამხედრო მრეწველობის კუთხით. სამიტზე გადაწყდა თურქმენეთის ორგანიზაციის წევრად მიღება, რომელიც მიმართულია თურქეთის რესპუბლიკასთანდაორგანიზაციისსხვასახელმწიფოებთანთანამშრომლობისგაღრმავებისკენ. აღნიშნული თანამშრომლობა პოლიტიკური ხასიათის მატარებელია. აუცილებლად უნდა აღინიშნოს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების წევრების ყაზახეთისა და ყირგიზეთისგან უარი სომხეთისადმი პარტნიორული ვალდებულებების მიუხედავად აზერბაიჯანის წინააღმდეგ კუხო-ს სამხედრო ქვედანაყოფებით დახმარების შესახებ. მათ ეს ნაბიჯი გადადგეს ერთმნიშვნელოვნად აზერბაიჯანის ფაქტორის გათვალისწინებით. ეს ფაქტი ცხადყოფს თუ როგორი ინტენსივობით მიმდინარეობს „თურქული სახელმწიფოების ორგანიზაციის“ პოლიტიკური მხარის ჩამოყალიბება-გაძლიერების პროცესი.

სამიტის მიმდინარეობისას ორგანიზაციის წევრებმა ხელი მოაწერეს მთელ რიგ დოკუმენტებს, რომლებიც განკუთვნილია ორგანიზაციის გაძლიერებისთვის:

- დეკლარაცია თურქული სახელმწიფოების ორგანიზაციის მე-9 სამიტის შესახებ;
- თურქულენოვანი სახელმწიფოების ჩამოყალიბების ნახიჩევანის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმება;
- რეზოლუცია თურქული სახელმწიფოების ორგანიზაციის პროცესუალური წესდების შესახებ;
- რეზოლუცია თურქული სახელმწიფოების ორგანიზაციის ვაჭრობის სფეროში თანამშრომლობის სტრატეგიის შესახებ;
- ორგანიზაციის გენერალური მდივნის თანამდებობის დაარსების შესახებ დადგენილება;
- რეზოლუცია საერთაშორისო კომბინირებული გადაზიდვების თაობაზე ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის შეთანხმების შესახებ;
- რეზოლუცია ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის საბაჟო პროცედურების გამარტივების შესახებ შეთანხმების შესახებ;
- რეზოლუცია ორგანიზაციის წევრ ქვეყნების შესაბამის სამსახურებს შორის ციფრული სისტემების მეშვეობით პერსონალის მმართვისას ურთიერთგაგების მემორანდუმის შესახებ.

„სამარყანდის სამიტის“ შედეგების შეფასების დროს უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორი: ორგანიზაციის დანიშნულების, მიზნების, სამუშაო ფორმატისა და ურთიერთობების განვითარების შესახებ ფიგურირებდა აზრი იმის შესახებ, რომ ორგანიზაცია ძირითადად ეკონომიკურ ფაქტორებზეა აქცენტირებული. ზემოთაღნიშნულს ემატებოდა სამთავრობო მასმედიის მხრიდან ჩატარებული კამპანიაც, რაც მასმედიაშიდაც შესაბამისად აისახა[9].

9 https://www.sabah.com.tr/?utm_source=sabahHABERdetay_web_anasayfa&utm_medium=sabahHABERdetay_web_anasayfa&utm_campaign=sabahHABERdetay_web_anasayfa, (გადამოწმებულია, 18.03.2025)

„თურქული სახელმწიფოების ორგანიზაციის“
2024 წლის 6 ნოემბრის ბიშკეკის სამიტი

2024 წლის 6 ნოემბრის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ლიდერთა ბოლო რიგით მე-11 სამიტი ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშქექში გაიმართა სახელწოდებით: „თურქული სამყაროს გაძლიერება: ეკონომიკური ინტეგრაცია, მდგრადი განვითარება, ციფრული მომავალი და უსაფრთხოება ყველასათვის“.[10]

ბიშკეკის სამიტის საბოლოო დეკლარაცია განსაზღვრავს კონკრეტულ მიზნებს სტრატეგიული პრიორიტეტების-ეკონომიკური ინტეგრაციის, მდგრადი განვითარების, ციფრული ტრანსფორმაციისა და უსაფრთხოების გაძლიერების კუთხით თანამშრომლობის ფორმატში.

სამიტი მნიშვნელოვანი შედეგებით დასრულდა:

- მიღებული იქნა ორგანიზაციის ახალი დროშა;
- შემდეგი სამიტი გაიმართება უნგრეთში;
- საერთაშორისო ასპარეზზე მხარს დაუჭერენ სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კოლექტიურ მეთოდებს;
- იმუშავებენ ორგანიზაციის შიგნით ერთობლივი სამართლებრივი ბაზის შექმნასა და მისი გამართული მუშაობის მექანიზმის ჩამოყალიბებაზე;
- ორგანიზაციის ფარგლებში შეიქმნება საკონსულო თანამშრომლობის პლატფორმა;
- სამთავრობო ორგანოების ურთიერთ კოორდინირებული მუშაობა გაფართოვდება განსაკუთრებით ტურიზმის განვითარების კუთხით;
- კერძო სექტორისთვის მომგებიანი პირობების შექმნა, რათა მათ გააღრმაონ მოღვაწეობა სატრანზიტო პროექტების შესრულების პროცესში;
- შეიქმნება საერთო ბიუჯეტი ადმინისტრაციული და საერთო პტოექტების ხარჯებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ თურქული სახელმწიფოების ლიდერების სამიტი მხოლოდ დაგეგმილი ხასიათის არ არის. 2020, 2021, 2023 და 2024 წწ. (ბაქო (ვიდეო-კონფერენცია), თურქისტანი, ანკარა, შუშა) ლიდერების შეხვედრები გაიმართა დაუგეგმავი ფორმატითაც. 2020 წლის 10 აპრილს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ინიციატივით გაიმართა ლიდერების ვიდეო-კონფერენცია, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა პანდემიის კოვიდ-19 წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა. ლიდერებმა დაადასტურეს მზადყოფნა მჭიდრო ურთიერთქმედებების თაობაზე. მხარეებმა გამოთქვეს მზადყოფნა სამედიცინო კუთხით ურთიერთდახმარების თაობაზე.

2021 წლის 31 მარტს ყაზახეთის ქალაქ თურქისტანში გაიმართა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების და დამკვირვებლების არაოფიციალური სამიტი. სამიტზე ხელი მოეწერა დეკლარაციას, რომლის ძალითაც ორგანიზაციამ ხაზი გაუსვა აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მნიშვნელობას და დეოკუპირებული ყარაბაღის რეგიონის აღდგენით პროცესში ორგანიზაციის თითოეული წევრის ჩართულობისათვის მზადყოფნას.

2023 წლის 16 მარტს ქალაქ ანკარაში მოწვეული იქნა თურქული სახელმწიფოების ორგანიზაციის წევრი და დამკვირვებელი ქვეყნების სამიტი დამანგრეველი მიწისძვრისგან (მოიცვა ქვეყნის სამხრეთის დიდი ნაწილი) დაზარალებული თურქეთისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით. სამიტის ლოზუნგი გახლდათ „სტიქიური უბედურების შემთხვევების მართვა და ჰუმანიტარული დახმარება.“

10 თურქულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის სამიტი, http://www.sonkursungazetesi.net/haber-turk-devletleri-teskilati-zirvesi-11264.html, (გადამოწმებული, 18.03.2025)

სამიტის მონაწილე ორგანიზაციის წევრი-ქვეყნების ლიდერებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომელშიც გამოთქმულია მზადყოფნა თურქეთისადმი დახმარების აღმოჩენის შესახებ. დეკლარაციაში ხაზგასმულია თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის პირადი ღვაწლი თურქული სახელმწიფოების ორგანიზაციის განვითარებაში შეტანილი ღვაწლის შესახებ.

„თურქული სახელმწიფოების ორგანიზაციის“ 2022 წლის 6 ივლისის
შუშის რიგგარეშე სამიტი

2022 წლის 6 ივლისის ყარაბაღის ქალაქ შუშაში გამართული ორგანიზაციის სამიტის დატვირთვა სიბოლურია, რადგან ქალაქი თურქული კულტურის 2023 წლის დედაქალაქად გამოაცხადდა და თურქული სამყაროს ერთიანობის სიმბოლოდ იქნა შერაცხული. სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- უნგრეთი შეუერთდა „თურქულ საინვესტიციო ფონდს“;
- შემდეგი სამიტის ჩატარების ადგილად განისაზღვრა ქალაქი ბიშკეკი (ყირგიზეთი);
- სამხედრო მრეწველობის სფეროში თანამშრომლობის განვითარების მიზნით ორგანიზაციის წევრი-სახელმწიფოებიდან პასუხისმგებელი ორგანოებს შორის საფუძველი ჩაეყარა თანამშრომლობის განვითარებისათვის საგზაო რუქის შედგენა-განხორციელებას;
- გადაწყდა ორგანიზაციაში შემავალი სახელმწიფოებს შორის კომუნიკაციის გამარტივების მიზნით ფართო ენობრივი მოდელის - ერთიანი ალფავეტის -ფორმირებაზე მუშაობა;
- გადაწყდა ევროპასა და აზიას შორის კომუნიკაციის გაზრდის თვალსაზრისით „ციფრული აბრეშუმის გზის პროექტის“ განხორციელებისათვის ხელის შეწყობა;
- მოხდა შეთანხმება წევრებს შორის ეკონომიკის, კულტურისა და უსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობის გაგრძელების შესახებ.

სამიტზე მიღებული დეკლარაციიდან ყურადსაღებია მე-6 მუხლი, რომელიც მიუთითებს ორგანიზაციის მხრიდან საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობით დაინტერესებას, რაც თავისთავში გულისხმობს ახალი ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივას. მუხლი ფორმულირდება შემდეგნაირად - „ჩვენ ვაფასებთ თურქეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სამმხრივ ძალისხმევას, რომელიც მიმართულია ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის მოდერნიზებისკენ და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტის ფარგლებში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლის დაჩქარება/ გამარტივებისაკენ”.

დასკვნა

„თურქული სახელმწიფოების ორგანიზაცია“ შესაძლებელია მივიჩნიოთ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის საპირწონე ორგანიზაციად.

თურქული სამყაროს კვლევის ცენტრის (TÜRKMER) დირექტორი, საქარიის უნივერსიტეტის პროფესორი ქოქსალ შაჰინი[11] “თურქული სახელმწიფოების ორაგანიზაციის“ ჩამოყალიბებას მიესალმება და აცხადებს, რომ ორგანიზაცია გადაიქცევა ძლიერ საერთაშორისო ორგანიზაციად და მისი შექმნა „ბრძნული გადაწყვეტილება“ იყო. იგი ორგანიზაციის მნიშვნელობას სათანადოდ აფასებს და თვლის რომ, „თურქული სახელმწიფოების ორგანიზაცია“ მნიშვნელოვან კონკურენციას გაუწევს ისეთ გაერთიანებებს, როგორებიცაა ევროკავშირი და BRICS.

11 https://www.haberler.com/haberler/prof-dr-koksal-sahin-ab-ve-brics-in-ardindan-simdi-14534602-haberi/, (გადამოწმწბულია, 18.03.2025)

ორგანიზაციამ მმართველობის ძირითადი ფორმა შეინარჩუნა „თურქულენოვანი ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოსგან“ თუ არ ჩავთვლით მცირედი ხასიათის სიახლეების შეტანას. ორგანიზაციის ადმინისტრაციული მმართველობის მხრივაც რადიკალური ცვლილებები მომავალ სამიტამდე არ იგეგმება.

ბიბლიოგრაფია

Acar, Hasan. MİLLİYETÇİ TÜRKİYE “Ülkücü Hareketin Dünü, Bugünü ve Geleceği”

Erendor, Mehmet Emin. Türk Dünyasında Güncel Sorunlar ve Türk Devletleri Teşkilatı, 2023. Nobel Akademik.

Ertosun, E. Dış Politikada Özal'lı Yıllar 1983-1993. Türkiye'nin Demokrasi Tarihi: 1946-2012. Altıncı bölüm, 2014. Ankara: Turgut Özal Üniversitesi.

Kocatepe, Ömer Faruk TÜRK DEVLETLERİ TEŞKİLATI - Politik ve Askerî İş Birliği, 2024. Nobel Akademik.

Ozdemir, Cagatay. Turkiye's Soft Power: Re-imagined On Its Centennial. 2024. World Scientific Publishing Company.

https://www.bpn.ge/article/125008-made-in-turan-turkuli-saxelmcipoebis-produkciistvis-saerto-brendi-sheikmna/

https://www.haberler.com/guncel/cumhurbaskani-erdogan-yeni-adimiz-ve-yapimiz-turk-14526663-haberi/

https://www.mfa.gov.tr/disisleri-bakani-sayin-ahmet-davutoglu_nun-turk-konseyi-disisleri-bakanlari-konseyi_nde-yaptiklari-konusma_-22-agustos-2012_-bis.tr.mfa

https://news.day.az/politics/1663565.html

https://www.sabah.com.tr/?utm_source=sabahHABERdetay_web_anasayfa&utm_medium=sabahHABERdetay_web_anasayfa&utm_campaign=sabahHABERdetay_web_anasayfa

http://www.sonkursungazetesi.net/haber-turk-devletleri-teskilati-zirvesi-11264.html

https://ticaret.edu.tr/siyaset-bilimi-ve-uluslararasi-iliskiler/2025/02/24/turk-devletleri-teskilati-tdt-vizyon-ve-gelecek-insasi-paneli/

https://www.turkicstates.org/tr/zirveler

https://www.youtube.com/watch?v=YpzDQ8KoaSI

https://www.youtube.com/watch?v=P9nRBKsagWA

ტურიზმის სექტორის ფინანსური გამოწვევები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში: ხელმისაწვდომობისა და მდგრადი განვითარების პერსპექტივა

ნინო მაღრაძე
საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი

ზურაბ გარაყანიძე
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

აბსტრაქტი

ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკური სექტორია, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გლობალურ სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებზე. მიუხედავად COVID-19 პანდემიით გამოწვეული დროებითი შეფერხებისა, სექტორმა მაღალი მდგრადობა გამოავლინა და 2024 წლისთვის თითქმის სრულად აღდგა საერთაშორისო ტურისტული ნაკადები მთელს მსოფლიოში. თუმცა, პოსტპანდემიურ პერიოდში ტურიზმის ინდუსტრია ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, განსაკუთრებით ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და ციფრული გადახდების ინტეგრაციის კუთხით.

ნაშრომის მიზანია ევროპის რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე განიხილოს და წარმოადგინოს ტურისტული სექტორისთვის ფინანსური გამოწვევების, რესურსებზე წვდომის სირთულეების და გადაჭრის გზების ანალიზი, რის შედგადაც დადგინდა, რომ ფინანსურ რესურსებზე გართულებული წვდომა და საბანკო ინფრასტრუქტურის შეზღუდული ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის ტურიზმის განვითარებისთვის. კვლევამ აჩვენა, რომ ევროკავშირის დაფინანსების პროგრამები, კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობა, ასევე ციფრული გადახდის სისტემების ინტეგრაცია ხელს უწყობს ამ პრობლემების გადაჭრას და ტურიზმის მდგრად განვითარებას.

გლობალური ტურიზმის პერსპექტივა ოპტიმისტურია, თუმცა სექტორის მდგრადი ზრდისთვის აუცილებელია ინოვაციური ტექნოლოგიების, ფინანსური წიგნიერების პროგრამებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერის გაძლიერება. ამ კვლევით გამოვლენილი მიგნებები და რეკომენდაციები მნიშვნელოვანი იქნება ტურიზმის ინდუსტრიის სტრატეგიული განვითარებისთვის, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც სექტორი ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ ეტაპზეა.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ფინანსური გამოწვევები, საერთაშორისო ვიზიტორები, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ციფრული გადახდების სისტემები

FINANCIAL CHALLENGES IN THE TOURISM SECTOR IN EASTERN EUROPEAN COUNTRIES: ACCESSIBILITY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT PERSPECTIVES

NINO MAGHRADZE
Doctoral student in Business Administration, School of Business and Administrative Sciences of University of Georgia

ZURAB GARAKANIDZE
Associate Professor of Master's Program inState Recourse Management of LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Ph.D Economics

ABSTRACT

Tourism is one of the fastest-growing economic sectors, significantly influencing global social and economic processes. Despite the temporary disruptions caused by the COVID-19 pandemic, the sector demonstrated remarkable resilience, and by 2024, international tourist flows worldwide had almost fully recovered. However, in the post-pandemic period, the tourism industry has faced new challenges, particularly concerning access to financial resources and the integration of digital payment systems.

The objective of this study is to analyze and present financial challenges, difficulties in accessing resources, and possible solutions for the tourism sector using examples from several Eastern European countries. The findings reveal that limited access to financial resources and banking infrastructure poses a significant barrier to tourism development. The research indicates that EU funding programs, cooperation between the private and public sectors, and the integration of digital payment systems contribute to overcoming these challenges and fostering the sustainable growth of tourism.

The global outlook for tourism remains optimistic; however, ensuring the sector's long-term sustainable growth requires the adoption of innovative technologies, financial literacy programs, and strengthened support from international donor organizations. The findings and recommendations of this study will be crucial for the strategic development of the tourism industry, especially in countries where the sector is still in its early stages of developments.

Key Words: Tourism, Access to Financial Resources, Financial Accessibility, International Visitors, Eastern European Countries, Digital Payment Systems

შესავალი

ათწლეულების განმავლობაში ტურიზმი გახდა მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორი. ტურიზმის განვითარება განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, მათ შორის ეკონომიკური სტრატეგიებით, მდგრადობისა და ტურიზმის პოლიტიკის განმსაზღვრელი ჩარჩოებით, რომელთაგან თითოეული ხელს უწყობს გლობალური ტურიზმის განვითარებას.[1] ტურიზმის სექტორს გლობალურ მშპ-ში მნიშვნელოვანი კონტრიბუცია აქვს, ასევე გლობალურ ეკონომიკურ პროცესებზე საგრძნობია რყევების მიმართ სექტორის გავლენაც. აღნიშნული კარგად გამოჩნდა COVID-19 პანდემიის პერიოდში, როდესაც ტურიზმის სექტორი ყველაზე მოწყვლადი აღმოჩნდა, თუმცა სწრაფად აღდგენის უნარი გამოავლინა პანდემიის დასრულების შემდგომ პერიოდში.[2] ტურიზმის აღდგენას უდიდესი გავლენა ჰქონდა მსოფლიო ეკონომიკაზე. 2023 წელს საერთაშორისო ტურიზმმა მიაღწია 1,4 ტრილიონი აშშ დოლარის შემოსავლებს, რაც 2019 წლის დონის დაახლოებით 93%-ს შეადგენს. ზოგიერთმა რეგიონმა, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთი, შემოსავლების პანდემიამდელ დონესაც გადააჭარბა, მაშინ როცა ევროპის ქვეყნებმა პანდემიის შემდგომ პერიოდში $660 მილიარდი გამოიმუშავა, რაც 7%-იან ზრდას ასახავს 2019 წელთან შედარებით.[3] მსოფლიო ტურიზმის აღდგენის დადებითი ტენდენციების მიუხედავად, გლობალური ტურისტული სექტორი კვლავ გამოწვევების წინაშე დგას. ფინანსურ რესურსებსა და ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა, გეოპოლიტიკური დაძაბულობა და მუშახელის დეფიციტი კვლავ გავლენას ახდენს ინდუსტრიაზე გეოგრაფიული არეალების შესაბამისად. საერთო ჯამში, UN Tourism-ის პროგნოზით 2024 წლის პერსპექტივა და აღდგენის დინამიკა ოპტიმისტურია და წლის ბოლომდე 2%-ით გადააჭარბებს პანდემიამდელ მაჩვენებლებს.[4] ტურიზმის განვითარება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში განსხვავებული მიდგომებით ხასიათდება, თუმცა სექტორის განვითარების ძირითადი ხელშემწყობი მექანიზმი თანამედროვე ტურიზმის ინდუსტრიისათვის არის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა და ფინანსური ოპერაციების სიმარტივე.

ტურიზმის სექტორის ფინანსური გამოწვევები და გადაჭრის გზები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში

სხვადასხვა აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნის მაგალითზე ლიტერატურის მიზნობრივი - ნარატიული მიმოხილვის საფუძველზე შევისწავლეთ ფინანსურ რესურსებსა და ზოგადად, ფინანსურ ოპერაციებზე წვდომის გამოწვევები, მიდგომები სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან რაც ემსახურებოდა აღნიშნული გამოწვევების აღმოფხვრას.[5] აღნიშნულ ნაშრომში განხილულია ქვეყნები, სადაც ტურიზმის ინდუსტრია უკანასკნელ წლებში საგრძნობლად განვითარდა და სადაც ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა გარკვეული პროგრამებითა და ხელშემწყობი მექანიზნებით გაუმჯობესდა,[6] თუმცა პრობლემების გადაჭრის გზები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით, თუმცა ყველა გეოგრაფიული არეალისათვის აღნიშნული გამოწვევები მოგვარდა საჯარო, კერძო და საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციების ერთობლივი მიდგომებისა და ფინანსური რესურსების განაწილებით.[7]

ტურიზმში არსებული ფინანსური წვდომის პრობლემების მოგვარების მიზნით, აღნიშნულ ქვეყნებში ძირითადად დაინერგა:

---

1 UNWTO. "World Tourism Barometer and Statistical Annex, January". United Nations World Tourism Organization, 2023.
2 M.Sigala, U.Gretzel, & Z. Xiang, "Advances in Digital Marketing and Tourism", Springer,2021.
3 European Travel Commission. "Quarterly Report on European Tourism Recovery", 2023.
4 UNWTO. "World Tourism Barometer and Statistical Annex, January" (2023). United Nations World Tourism Organization.
5 OECD. "Digital Transformation in Tourism," Organization for Economic Co-operation and Development, 2022.
6 European Travel Commission. "Quarterly Report on European Tourism Recovery," 2023.
7 World Bank. "Tourism for Development: A Strategic Approach," IMF. "Tourism and Economic Recovery: Recommendations for Developing Economies," 2022.

1. ციფრული გადახდის სისტემები: ტრანზაქციების გამარტივება მობილური საფულეებისა და ელექტრონული გადახდის პლატფორმების მეშვეობით.[8]
2. მიკროსაფინანსო და საკრედიტო ხაზები: მცირე სესხებისა და კრედიტების გაცემა სპეციალურად ტურისტული ბიზნესისთვის.
3. საბანკო ინფრასტრუქტურა: ტურისტულ ზონებში საბანკო ინფრასტრუქტურის (მაგ: ბანკომატები) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
4. მთავრობის ინიციატივები: ტურიზმთან დაკავშირებული ინვესტიციებისთვის ფინანსური მხარდაჭერისა და წახალისების შეთავაზება.
5. ფინანსური წიგნიერების/კომპეტენციის პროგრამები: ბიზნესის მფლობელების განათლება/დატრენინგება ფინანსების მართვისა და სერვისებზე წვდომის შესახებ.[9]

კვლევის საფუძველზე დადგინდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, სადაც ტურიზმის სექტორის ზრდის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი იყო ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ამასთანავე შეზღუდული საბანკო ინფრასტრუქტურა.[10] მნიშვნელოვა, ხაზი გაესვას, რომ აღნიშნული სირთულეების დაძლევას უმეტესად ხელი ციფრული პროდუქტების დანერგვამ შეუწყო.[11]

ბულგარეთში, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა ტურისტული სექტორის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა.[12] შეზღუდული საბანკო ინფრასტრუქტურა ართულებდა ფინანსური ტრანზაქციების განხორციელებას როგორც ტურისტებისთვის, ასევე ადგილობრივი მეწარმეებისთვის.[13] პრობლემის გადასაჭრელად ბულგარეთმა განახორციელა ორი ძირითადი სტრატეგია. პირველი იყო ციფრული გადახდების სისტემების განვითარება – შეზღუდული საბანკო ინფრასტრუქტურის კომპენსირების მიზნით, ქვეყანამ გააუმჯობესა ელექტრონული გადახდის მექანიზმები, როგორიცაა ePay და PayPal, რამაც ფინანსური ოპერაციები გაამარტივა როგორც ტურისტებისთვის, ასევე ბიზნესებისთვის. ციფრული გადახდების მასობრივმა დანერგვამ განსაკუთრებით სასოფლო რეგიონებში, სადაც ფიზიკური საბანკო მომსახურება მინიმალური იყო, მნიშვნელოვანი წარმატება მოიტანა.[14] მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ევროკავშირის დაფინანსების გამოყენება – ბულგარეთმა მიიღო ევროკავშირის მხარდაჭერა, რაც დაეხმარა ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდაში.[15] ამ პროექტების ფარგლებში, რეგიონებში საბანკო ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდა, რაც ხელს უწყობს ტურისტული ბიზნესის მდგრად განვითარებას და ეკონომიკურ გაძლიერებას.[16] რუმინეთის ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში ტურიზმის სექტორი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა ფინანსურ სერვისებზე შეზღუდული წვდომის გამო, რამაც ტურისტებისთვის და ბიზნესისთვის ფინანსური ოპერაციების განხორციელება გაართულა.[17] პრობლემის გადასაჭრელად ქვეყანამ ორი ძირითადი სტრატეგია გამოიყენა. პირველი იყო ციფრული გადახდების ინტეგრაცია – რუმინეთმა აქტიურად დანერგა ისეთი ელექტრონული გადახდის პლატფორმები, როგორიცაა PayU და MobilPay, რამაც გაამარტივა და დააჩქარა ფინანსური ტრანზაქციები ტურისტებისთვის

8 OECD. "Digital Transformation in Tourism," 2022.
9 World Bank. "Tourism for Development: A Strategic Approach," 2022.
10 European Travel Commission. "Quarterly Report on European Tourism Recovery," 2023.
11 UNWTO. "World Tourism Barometer and Statistical Annex, January," 2023.
12 OECD. "Tourism Trends and Policies," 2022. Organization for Economic Co-operation and Development; UNWTO. "World Tourism Barometer and Statistical Annex, January," 2023.
13 European Travel Commission. "European Tourism: Trends and Prospects," 2021.
14 OECD. "Tourism Trends and Policies," 2022.
15 Sigala, M., Gretzel, U., & Xiang, Z. "Advances in Digital Marketing and Tourism". Springer, 2021.
16 European Travel Commission. "Quarterly Report on European Tourism Recovery," 2023.
17 European Travel Commission. "European Tourism: Trends and Prospects," 2021; World Bank. "Tourism for Development: A Strategic Approach," 2022.

და ადგილობრივი ბიზნესებისთვის.[18] მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ევროკავშირის დაფინანსებული პროგრამების გამოყენება – ქვეყანამ ევროკავშირის სახსრების დახმარებით გააუმჯობესა ფინანსური სერვისები და ინფრასტრუქტურა, რაც ტურისტული სექტორის ხელმისაწვდომობასა და მდგრად განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.[19]

დასკვნის სახით, ციფრული გადახდების სისტემების გაფართოებამ და ევროკავშირის მხარდაჭერამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა რუმინეთის ტურისტული სექტორის ფინანსური ხელმისაწვდომობა, რაც ტურისტებისა და ადგილობრივი ბიზნესების ფინანსურ ოპერაციებს უფრო მოქნილი და ეფექტური გახადა.[20]

სერბეთში, სადაც რეგიონებში საბანკო ინფრასტრუქტურა შეზღუდულია, ფინანსური ხელმისაწვდომობა ტურიზმის სექტორისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა, რაც ადგილობრივ ბიზნესებს პროცესების მართვასა და საერთაშორისო ვიზიტორების მომსახურებაში უშლიდა ხელს.[21]

პრობლემის გადასაჭრელად ქვეყანამ ორი ძირითადი ნაბიჯი გადადგა. პირველი იყო მობილური გადახდების სისტემების დანერგვა – სერბეთმა აქტიურად დანერგა ისეთი პლატფორმები, როგორიცაა PayPal და MTS Money, რამაც ტურისტებისა და ადგილობრივი ბიზნესებისთვის ტრანზაქციები გაამარტივა და ფინანსური ინკლუზია გაზარდა.[22] მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ევროკავშირის დაფინანსების მოზიდვა – სერბეთმა მიიღო ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერა, განსაკუთრებით გაწევრიანების წინასწარი დახმარების ინსტრუმენტის (IPA) ფარგლებში, რაც ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში ინფრასტრუქტურისა და ფინანსური სერვისების გაუმჯობესებას დაეთმო.[23] დასკვნის სახით, სერბეთმა მობილური გადახდების სისტემების გაფართოებით და ევროკავშირის დაფინანსების გამოყენებით წარმატებით გადაჭრა ფინანსური ხელმისაწვდომობის გამოწვევები, რაც ტურიზმის სექტორის განვითარებასა და ეკონომიკური მდგრადობის ზრდას შეუწყო ხელი.[24]

ხორვატიაში ფინანსურ რესურსებზე შეზღუდულმა ხელმისაწვდომობამ კერძო სექტორის განვითარებასა და ინფრასტრუქტურულ ინიციატივებზე გავლენა მოახდინა, რაც ტურისტებისა და ადგილობრივი ბიზნესებისთვის ფინანსურ ტრანზაქციებს ართულებდა. [25]ტრადიციული საბანკო სერვისების არასაკმარისმა განვითარებამ ტურიზმის სექტორის ზრდა შეაფერხა.[26]

პრობლემის გადასაჭრელად ქვეყანამ ორი ძირითადი ნაბიჯი გადადგა. პირველი იყო ციფრული გადახდების სისტემის განვითარება – ხორვატიამ დანერგა ისეთი პლატფორმები, როგორიცაა PayCek და Klarna, რაც როგორც ტურისტებისთვის, ასევე ადგილობრივი ბიზნესებისთვის ტრანზაქციებს გაამარტივებდა.[27] ციფრული გადახდების სისტემამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ფინანსური ოპერაციების ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ტრადიციული საბანკო სერვისები შეზღუდული იყო.[28]

---

18 OECD. "Tourism Trends and Policies" 2022; European Payments Initiative. "The Future of Digital Payments in Europe" 2022.
19 European Investment Bank, 2021. "Financing Sustainable Tourism Infrastructure"; IMF, 2022. "Tourism and Economic Recovery: Recommendations for Developing Economies"
20 Ibid. European Travel Commission. 2023.
21 World Bank. "Tourism for Development: A Strategic Approach," 2022; European Travel Commission. "European Tourism: Trends and Prospects," 2021.
22 European Payments Initiative. "The Future of Digital Payments in Europe," 2022.
23 European Investment Bank. "Financing Sustainable Tourism Infrastructure," 2021; IMF. "Tourism and Economic Recovery: Recommendations for Developing Economies," 2022.
24 UNWTO, 2023; European Investment Bank. "Financing Sustainable Tourism Infrastructure," 2021.
25 European Travel Commission. "European Tourism: Trends and Prospects," 2021; World Bank. "Tourism for Development: A Strategic Approach," 2022.
26 OECD. "Digital Transformation in Tourism," 2022.
27 Ibid. European Payments Initiative, 2022.
28 M.Sigala, U.Gretzel, & Z. Xiang, "Advances in Digital Marketing and Tourism". Springer, 2021; UNWTO. "World Tourism Barometer and Statistical Annex, January," 2023.

მეორე ნაბიჯი იყო ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება – ხორვატიის მთავრობამ, ევროკავშირის დაფინანსებით, განახორციელა საჯარო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, რაც რეგიონებს ინვესტორებისა და ვიზიტორებისთვის უფრო მიმზიდველს ხდიდა.[29] დასკვნის სახით, ხორვატიამ ციფრული გადახდების პლატფორმების გაფართოებითა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოდერნიზებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობა, რაც ტურიზმის სექტორის მდგრად განვითარებას შეუწყო ხელი. [30]

ფინანსური ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად აღმოსავლეთ ევროპულმა ქვეყნებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი სტრატეგია დანერგეს. ევროკავშირის დაფინანსება და განვითარების პროგრამები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელმაც ტურისტული ინფრასტრუქტურის მოდერნიზებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. ევროკავშირის მხარდაჭერამ ქვეყნებს მისცა შესაძლებლობა გაეუმჯობესებინათ კონკურენტუნარიანობა და გაეზარდათ ტურისტული მიმზიდველობა.[31]

ციფრული გადახდების ინტეგრაცია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელმაც გაამარტივა ფინანსური ოპერაციები როგორც ტურისტებისთვის, ასევე ბიზნესებისთვის. ციფრული გადახდის პლატფორმების, როგორიცაა PayPal, Revolut და European Payments Initiative, ფართომასშტაბიანმა დანერგვამ ფინანსურ ოპერაციებს უფრო უსაფრთხო და ხელმისაწვდომი გახადა.[32] ეს ინიციატივები ტურისტებს საშუალებას აძლევს, მარტივად მართონ თავიანთი ფინანსები მოგზაურობის დროს, ხოლო ადგილობრივ ბიზნესს – უზრუნველყოს საერთაშორისო ვიზიტორებზე გათვლილი მოქნილი გადახდის სისტემები.[33] გარდა ამისა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება საკვანძო ფაქტორი გახდა ფინანსურ წვდომაზე არსებული შეზღუდვების დასაძლევად. ინფრასტრუქტურული პროექტები მოიცავდა საბანკო სერვისების გაფართოებას, ბანკომატების დამატებას ტურისტულ ზონებში და ციფრული გადახდების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.[34] ამან არა მხოლოდ გააუმჯობესა ტურისტებისთვის ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობა, არამედ ხელი შეუწყო ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებას და ბიზნესებისთვის მეტი ტურისტის მოზიდვას.[35]

დასკვნის სახით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ტურიზმის სექტორში ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე დადებითი გავლენა მოახდინა ევროკავშირის დაფინანსების პროგრამებმა, ციფრული გადახდების სისტემების ინტეგრაციამ და ინფრასტრუქტურულმა ინვესტიციებმა. ამ ერთობლივმა სტრატეგიებმა ხელი შეუწყო ტურისტული სექტორის მდგრად განვითარებას, ეკონომიკურ ზრდას და საერთაშორისო ვიზიტორებისთვის უფრო მოქნილი და უსაფრთხო ფინანსური გარემოს შექმნას.[36]

სამომავლოდ, ტურიზმის ინდუსტრია, სავარაუდოდ, მეტად აქტიურად გააგრძელებს ტურიზმის ინოვაციური მიდგომების დანერგვას, მათ შორის ფოკუსირებული იქნება პერსონალიზებული მოგზაურობის გამოცდილებაზე, რაც გულისხმობს ექსპერიმენტული ტურიზმის განვითარებას. [37]ფოკუსირება მოხდება ტექნოლოგიაზე, მდგრადობასა და მომხმარებელთა გაძლიერებულ გამოცდილებაზე, რაც სექტორის ტრაექტორიას განსაზღვრავს

29 European Investment Bank. "Financing Sustainable Tourism Infrastructure," 2021; European Commission. "EU Tourism Policy: Enhancing Europe's Tourism Competitiveness," 2021.
30 European Travel Commission. "European Tourism: Trends and Prospects," 2021; UNWTO. "World Tourism Barometer and Statistical Annex, January," 2023.
31 European Commission. "EU Tourism Policy: Enhancing Europe's Tourism Competitiveness," 2021.
32 Ibid. M.Sigala, U.Gretzel, , & Z.Xiang, 2021.
33 Ibid. OECD, 2022; European Commission, 2021
34 Ibid. World Bank. 2022; European Investment Bank. 2021.
35 European Travel Commission. "European Tourism: Trends and Prospects," 2021.
36 OECD. "Tourism Trends and Policies," 2022; World Bank. "Tourism for Development: A Strategic Approach," 2022.
37 UNWTO. "World Tourism Barometer and Statistical Annex, January," 2023; M.Sigala, U.Gretzel, Z.& Xiang, "Advances in Digital Marketing and Tourism". Springer, 2021.

მომდევნო წლებში.[38]

თუმცა, მცირე მასშტაბის ქვეყნებისთვის ტურისტული კომპანიების ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა და ციფრული სერვისების დანერგვა ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნულის აღმოსაფხვრელად სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მიდგომები აქვთ, თუმცა კერძო სექტორისთვის ფინანური მხარდაჭერისა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის ძირითად რესურს ქმნის საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მთავრობების ერთობლივი მიდგომები.[39]

საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა მსოფლიო ბანკი (WB) და საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), თამაშობენ გადამწყვეტ როლს მცირე და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სექტორის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობისათვის. მსოფლიო ბანკი უზრუნველყოფს ინსტრუმენტებსა და რესურსებს, რათა დაეხმაროს ქვეყნებს ტურიზმის მდგრად განვითარებაში, ხაზს უსვამს ეკონომიკურ დივერსიფიკაციას და ადგილობრივი თემების გაძლიერებას.[40] ანალოგიურად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ქვეყნებს სთავაზობს რეკომენდაციებს ტურიზმის გამოყენების შესახებ ეკონომიკური აღდგენისა და მდგრადი განვითარების მიმართლებით. [41]დონორი ორგანიზაციების პარალელურად, ზოგიერთი ქვეყანის მთავრობამ წარადგინა სხვადასხვა ტურიზმთან დაკავშირებული ფონდები, რომლებიც უზრუნველყოფენ მცირე და საშუალო ბიზნესის სტაბილიზაციას კაპიტალის მიწოდების გზით.[42] მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერისა, მცირე ბიზნესი ტურიზმის სექტორში ხშირად აწყდება გამოწვევებს ფინანსებზე წვდომის მიმართულებით აღქმული რისკებისა და სეზონური რყევებიდან გამომდინარე. აღნიშნული საკითხების გადასაჭრელად, ზოგიერთი საშუალებაა ფინანსური ტრანზაქციების ცენტრალიზაცია მცირე ბიზნესის საკრედიტო შეფასების პროცესის გასაუმჯობესებლად, რითაც იზრდება მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობა უზრუნველყონ სესხები და სხვა ფინანსური პროდუქტები. ეს მრავალფეროვანი მიდგომები ხაზს უსვამს მორგებული ფინანსური და პოლიტიკური ჩარჩოების მნიშვნელობას მცირე ქვეყნების უნიკალური საჭიროებების მხარდასაჭერად, რომლებიც მიზნად ისახავს განავითარონ თავიანთი ტურისტული სექტორები პოსტპანდემიურ სამყაროში. განვითარებადი ქვეყნების ფინანსური რესურსები ტურიზმის ინდუსტრიის მხარდასაჭერად, განსაკუთრებით მაღალ მხარჯველიანი ვიზიტორების მოსაზიდად, გაადვილებულია საერთაშორისო მხარდაჭერის, სამთავრობო ინიციატივებისა და სტრატეგიული ინვესტიციები ტურიზმის ინფრასტრუქტურაში.[43]

კვლევის საფუძველზე მოპოვებული ინფორმაციის შეჯამების საფუძველზე, შესაძლებელია ითქვას, რომ ტურიზმის სექტორი უკვე ათწლეულებია, რაც გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს რა როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური პროგრესის მაჩვენებლებს. პანდემიისგან გამოწვეული დროებითი შეფერხების მიუხედავად, სექტორმა პანდემიამდელ მაჩვენებლებთან სწრაფი აღდგენის უნარი და განსაკუთრებული მდგრადობა გამოავლინა.[44]

ქვეყნების დონეზე ტურიზმის ინდუსტრიის წარმატება მნიშვნელოვნად არის

38 OECD. 2022. "Tourism Trends and Policies 2022"; World Bank, 2022. "Tourism for Development: A Strategic Approach"
39 IMF. "Tourism and Economic Recovery: Recommendations for Developing Economies," 2022; European Travel Commission. "European Tourism: Trends and Prospects," 2021.
40 World Bank. "Tourism for Development: A Strategic Approach," 2022; UNWTO. "World Tourism Barometer and Statistical Annex, January," 2023.
41 European Commission. "EU Tourism Policy: Enhancing Europe's Tourism Competitiveness," 2021; World Bank. "Tourism for Development: A Strategic Approach," 2022.
42 European Commission. "EU Tourism Policy: Enhancing Europe's Tourism Competitiveness," 2021; World Bank. "Tourism for Development: A Strategic Approach," 2022.
43 Ibid. European Commission, 2021; World Bank, 2022.
44 Ibid. M.Sigala, U. Gretzel, , & Z.Xiang, 2022.

დამოკიდებული ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობაზე, რაც განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის წარმოადგენს გამოწვევას. ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებმა აჩვენა, რომ პრობლემის გადაჭრის ეფექტური გზა არის ციფრული გადახდის სისტემების ინტეგრაცია, საბანკო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მიკროსაფინანსო პროგრამების დანერგვა.

სექტორის გრძელვადიანი განვითარება მოითხოვს ინოვაციური მიდგომებისა და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციას, როგორიცაა უკონტაქტო სერვისები და ბლოკჩეინის ტექნოლოგიები. ამასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის, სადაც ტურიზმის ინდუსტრია განვითარების საწყის ეტაპზეა.

ბიბლიოგრაფია

European Commission. EU Tourism Policy: Enhancing Europe's Tourism Competitiveness. 2021. Retrieved from https://ec.europa.eu

European Travel Commission. European Tourism: Trends and Prospects. 2021. Retrieved from https://etc-corporate.org

European Travel Commission. Quarterly Report on European Tourism Recovery. 2023. Retrieved from https://etc-corporate.org

European Payments Initiative. The Future of Digital Payments in Europe. 2022. Retrieved from https://www.europeanpaymentsinitiative.com

OECD. (2022). Tourism Trends and Policies 2022. Organisation for Economic Co-operation and Development. Retrieved from https://www.oecd.org

UNWTO. (2023). World Tourism Barometer and Statistical Annex, January 2023. United Nations World Tourism Organization. Retrieved from https://www.unwto.org

World Bank. Tourism for Development: A Strategic Approach. 2022. Retrieved from https://www.worldbank.org

IMF. Tourism and Economic Recovery: Recommendations for Developing Economies. International Monetary Fund. 2022. Retrieved from https://www.imf.org

Sigala, M., Gretzel, U., & Xiang, Z. Advances in Digital Marketing and Tourism. Springer. 2021.

European Central Bank. Digital Payments: Trends and Opportunities in Europe. 2023.Retrieved from https://www.ecb.europa.eu

European Investment Bank. Financing Sustainable Tourism Infrastructure. 2021. Retrieved from https://www.eib.org

OECD. Digital Transformation in Tourism. Organisation for Economic Co-operation and Development. 2022. Retrieved from https://www.oecd.org

ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICT) სფეროს განვითარების დინამიკა და ძირითადი ტენდენციები

რომეო გალდავა

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
ინფორმატიკის მიმართულების პროფესორი.
მათემატიკის დოქტორი

ნანა არაბული

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

გიორგი კოხრეიძე

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
ინფორმატიკის მიმართულების ასისტენტ პროფესორი,
დოქტოტანტი

აბსტრაქტი

წარმოდგენილ საკონფერენციო ნაშრომში განხილულია თანამედროვე ეტაპზე ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სფეროს განვითარების დინამიკა და ძირითადი ტენდენციები ამერიკის, ევროპის და ჩინეთის მაგალითზე. მოყვანილია სტატისტიკური მონაცემები დასაქმების, მოთხოვნის, ანაზღაურების და გენდერულ ჭრილში. შესწავლილია სფეროს შიგნით მიმდინარე პროცესები, საიდანაც იკვეთება მიმდინარე ეტაპზე ბაზარზე არსებული სეგმენტიზაცია და ძირითადი პრიორიტეტები. აღწერილია საქართველოს პოზიცია ამ მიმართულებით, მოყვანილია შესაბამისი სტატისტიკა. ჩატარებული კვლევის საფუძველზე ირკვევა, რომ ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სფეროში მსოფლიო მასშტაბით დასაქმების არეალი ძალზედ ფართოა და მზარდი. მიუხედავად ბოლო წლებში გარკვეული სტაბილიზაციისა და რიგ შემთხვევებში კლებისა, სფეროში მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე შენარჩუნებულია. ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ დროულად და ეფექტურად გამოიყენოს ყველა ის სარგებლი, რაც ამ პროცესს თან ახლავს, რათა ქვეყანა არ ჩამორჩეს სოციალურ-ეკონომიკურ ტრანსფორმაციას და არ დაკარგოს ამ პროცესით უზრუნველყოფილი შესაძლებლობები.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაცია, კომუნიკაცია, ტექნოლოგიები, ციფრული ტრანსფორმაცია

DYNAMICS AND MAIN TRENDS IN THE DEVELOPMENT OF THE FIELD OF INFORMATION AND COMMUNICATION TECHNOLOGIES (ICT)

Romeo Galdava

Professor of Bachelor's Program in Informatics of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Doctor of Mathematics

Nana Arabuli

Associate Professor of Bachelor's Program in Informatics of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Doctor of Technical Science

Giorgi Kokhreidze

Assistant Professor of Bachelor's Program in Informatics of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Doctoral Student

Abstract

The presented conference paper discusses the dynamics and main trends of the development of the field of information and communication technologies at the modern stage using the example of USA, Europe and China. Statistical data on employment, demand, remuneration and gender are presented. The processes taking place within the field are studied, from which the segmentation and main priorities of the market at the current stage are revealed. The position of Georgia in this direction is described, relevant statistics are presented. Based on the research conducted, it becomes clear that the area of employment in the field of information and communication technologies worldwide is very wide and growing. Despite some stabilization and, in some cases, a decrease in recent years, the demand for highly qualified specialists in the field is maintained. At the same time, it is important for Georgia to timely and effectively use all the benefits that accompany this process so that the country does not lag behind the socio-economic transformation and does not lose the opportunities provided by this process.

Key words: Information, Communication, Technologies, Digital Transformation.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ციფრული ტრანსფორმაცია შესაძლებლობას იძლევა საზოგადოებამ მიიღოს მრავალმხრივი სარგებელი, ამისთვის კი აუცილებელია როგორც ტექნოლოგიური მზაობა, ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით ცოდნის მიღებისა და შესაბამისი უნარების განვითარების სტიმულირება. მრავალი კვლევა აჩვენებს, რომ ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი მზარდია და ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად უსწრებს სხვა დარგებში მიმდინარე ტექნოლოგიურ პროცესებს.

აქედან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ მარტივი დასკვნა: თანამედროვე ეპოქაში ციფრული ტრანსფორმაცია არ არის არჩევანი, ეს არის მოცემულობა და ინსტრუმენტი ქვეყნის/საზოგადოების წინსვლისა და წარმატებისათვის.

აღნიშნული გარემოებები ზრდის მოთხოვნას ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტებზე, რომლებიც შეძლებენ მუშაობას როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში. აღსანიშნავია, რომ მოთხოვნა განსაკუთრებით გაიზარდა ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გართულების შემდეგ, ვინაიდან კომპანიები/ფირმები/დაწესებულებები უფრო გააქტიურდნენ როგორც ელექტრონული, მათ დისტანციური სერვისების გამოყენებისა და შეთავაზების თვალსაზრისით.

ამ მხრივ ძალზედ საინტერესოა ტექნოლოგიურად წამყვანი ქვეყნების (აშშ, ევროკავშირი, ჩინეთი) განვითარების დინამიკა, როგორც ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის, ასევე სფეროს შიგნით ქვესფეროების მიმართულებით არსებული ტენდენციების თვალსაზრისით.

აღნიშნული საკითხები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, ვინაიდან აუცილებელია დროულად და ეფექტურად გამოიყენოს ყველა ის სარგებელი, რაც ამ პროცესს თან ახლავს, რათა არ ჩამორჩეს სოციალურ-ეკონომიკურ ტრანსფორმაციას და არ დაკარგოს ამ პროცესით უზრუნველყოფილი შესაძლებლობები.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე ეტაპზე ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიების განვითარებამ, ციფრულმა გლობალურმა ტრანსფორმაციამ განაპირობა ახალი ბიზნეს შესაძლებლობების, პროდუქტებისა თუ პროცესების წარმოქმნა, გამოიწვია პროდუქტიულობისა და ეფექტურობის გაზრდა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, გაიზარდა სამუშაო შესაძლებლობების სპექტრი, თუმცა გარკვეულ სფეროებში გამოიწვია სამუშაო ადგილების შემცირება, უფრო მეტიც, ზოგი სფერო, შესაძლებელია საერთოდ არ იყოს მომავალში საჭირო.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და დიგიტალიზაცია, რომელსაც ხშირად უწოდებენ "მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას", დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, რაც გამოიხატება ადამიანების ცხოვრების, მუშაობისა და ურთიერთობების ცვლილებებში. ICT უკვე გახდა მნიშვნელოვანი ცვლილებების მიზეზი. შესაბამისად, საინტერესოა ICT სფეროს განვითარების დინამიკის შესწავლა სპეციალისტების დასაქმების, ანაზღაურების თუ სხვა ჭრილში.

ციფრული ტრანსფორმაცია არის მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგის მთავარი ნაწილი. ახალი თაობის ტექნოლოგიებით მოქალაქეებისა და ბიზნესის გაძლიერება ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური პრიორიტეტია მომავალი წლებისთვის, რისთვისაც წამყვან ტექნოლოგიურ ქვეყნებს შემუშავებული აქვთ შესაბამისი გრძელვადიანი სტრატეგიები.

ფაქტია, რომ თანამედროვე ეპოქაში ციფრული ტრანსფორმაცია არ არის არჩევანი, ეს არის მოცემულობა და ინსტრუმენტი ქვეყნის/საზოგადოების წინსვლისა და წარმატებისათვის.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა რა მდგომარეობაა წამყვან ტექნოლოგიურ ქვეყნებში (აშშ, ევროკავშირი, ჩინეთი), როგორია განვითარების დინამიკა და რა ტენდენციებით ხასიათდება ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიები როგორც დასაქმების, ანაზღაურების, გენდერულ თუ სხვა ჭრილში

1. ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ)

ამერიკის შეერთებული შტატების სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით 2025 წლისთვის ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICT) სფეროს მიმართულებით დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 17 000 ერთეულით და შეადგენს 4.1 მილიონ ადამიანს. ამ მიმართულებით მაქსიმალური დასაქმება იყო 2021-2022 წლებში, რაც გამოწვეული იყო არსებული ეპიდემიოლოგიური გარემოებით, რამაც კომპანიებში ელექტრონული სერვისების გაზრდის აუცილებლობა განაპირობა. ასეთივე ტენდენცია განვითარდა ვაკანსიების კუთხითაც, სადაც მაქსიმალური მოთხოვნა იყო 2021-2022 წლებში, კერძოდ ის შეადგენდა 213-280 ათასს. შემგდომ წლებში შეინიშნება გარკვეული კლება და სტაბილიზაცია (იხ. დიაგრამა 1, დიაგრამა 2).



დიაგრამა 1. ICT სფეროს დასაქმების მაჩვენებელი (2010-2024)[1]

დიაგრამიდან ირკვევა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ICT - ს სამუშაო ბაზრის მაჩვენებელი დაახლოებით 4.18 მილიონის ფარგლებშია.

დიაგრამა 2. ICT სფეროს დასაქმების დინამიკა წლების მიხედვით (2019 -2024)[2]

1 IT სამუშაო ბაზრისა და აშშ-ს ეროვნული დასაქმების მონაცემები https://e-janco.com/career/employmentdata.html
2 IT სამუშაო ბაზრისა და აშშ-ს ეროვნული დასაქმების მონაცემებიhttps://e-janco.com/career/employmentdata.html

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე იკვეთება შემდეგი ტენდენცია: დასაქმება ბოლო ორი წელია შემცირდა - 121 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი დაკარგა, შესაბამისად დაახლოებით 152 ათასი უმუშევარი პროფესიონალია. ICT სამუშაო ბაზარი შემცირდა 171 ათასი სამუშაო ადგილით წინა 24 თვეში. მთლიანობაში, ეს არის ICT - ს სამუშაო ბაზრის გრძელვადიანი ზრდის ტემპის სტაბილიზაცია. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილ მონაცემებზე და პროგნოზის მოდელებზე დაყრდნობით, 2025 წლის კალენდარულ წელს ICT-ს სამუშაო ბაზარზე შეზღუდული ზრდა იქნება.

საინტერესოა, აგრეთვე, დასაქმებულთა შრომის ანაზღაურობის მაჩვენებლები. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ აშშ ლიდერობს. 2024 წლის მონაცემებით დიდ კომპანიებში მმართველ რგოლში ანაზღაურება საშუალოდ 182 000 ათასი დოლარის ფარგლებში იყო, საშუალო რგოლის მენეჯერებში - 102 000 ათასი დოლარის ფარგლებში, ხოლო თანამშრომლებში - 82 000 ათასი დოლარის ფარგლებში. 2025 წლის მონაცემებით კი ანაზღაურებამ მოიმატა საშუალოდ 2.815 - ით. საშუალო კომპანიებში ანაზღაურების მაჩვენებელი შედარებით დაბალია (იხ. ცხრილი 1).

Large Enterprise			
Executives	$182,363	$186,286	2.15%
Middle Managers	$101,998	$103,113	1.09%
Staff	$82,486	$86,996	5.47%
All Large Enterprise	$104,721	$107,663	2.81%
Mid-Size Enterprises			
Executives	$155,546	$157,525	1.27%
Middle Managers	$101,720	$102,010	0.29%
Staff	$81,430	$82,600	1.44%
All Mid-Size Enterprises	$100,477	$101,372	0.89%
IT Positions All Sizes	$102,599	$104,517	1.87%

ცხრილი 1. ICT-ს სფეროს ანაზღაურების დინამიკა[3]

საინტრესოა ICT დასაქმების ბაზრის სეგემენტაციაც (4.08 მილიონი დასაქმებულის პირობებში).



დიაგრამა 3. აშშ ICT ბაზრის სეგმენტაცია. [4]

3 IT სამუშაო ბაზრისა და აშშ-ს ეროვნული დასაქმების მონაცემებიhttps://e-janco.com/career/employmentdata.html
4 იქვე

2. ევროკავშირი

ციფრული ტექნოლოგიების შემდგომი განვითარება წარმოადგენს ევროკავშირის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ პრიორიტეტს. 2021 წლის 9 მარტს ევროკომისიამ დაამტკიცა ციფრული ათწლეულის კონცეფცია, რომელმაც განსაზღვრა ევროპის წარმატებული ციფრული ტრანსფორმაციის ხედვა 2030 წლისთვის. კერძოდ, კონცეფციის მიზანია 2030 წლისთვის გენდერული ბალანსის გათვალისწინებით მიაღწიოს 20 მილიონ დასაქმებულ ICT სპეციალისტს ევროკავშირში. მნიშვნელოვანია, რომ ბოლო წლებში ევროკავშირის პოლიტიკამ მეტი ყურადღება დაუთმო ICT უნარებს და, კერძოდ, ICT სპეციალისტების დასაქმებას, რადგან ძლიერმა ციფრულმა უნარებმა უნდა გააძლიეროს ევროკავშირის კონკურენტული პოზიცია ციფრულ სამყაროში და მიიყვანოს ევროპა უფრო თანასწორი საზოგადოებისკენ. ამ მიზნით გაფართოვდა განათლების, დასაქმებისა და ინდუსტრიის თანამშრომლობა, რათა განვითარდეს ციფრული უნარები საზოგადოებაში. დასაქმებულები და რიგითი ადამიანები აღჭურვილი უნდა იყოს ადეკვატური ციფრული უნარებით, რათა თავიდან აიცილონ ევროკავშირში ICT-ის ძირითადი სამუშაო ადგილების დაკარგვა.

ევროკავშირის ქვეყნებში ICT სფეროს განვითარებაზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები:

- 2013 წლიდან 2023 წლამდე ევროკავშირში ICT სპეციალისტების რაოდენობა გაიზარდა 59,3%-ით, ეს თითქმის 6-ჯერ აღემატება დასაქმებულთა მთლიან ზრდას (10,7%);
- 2023 წლის მონაცემებით ICT სფეროში დასაქმებულთა შორის მამაკაცთა წილი შეადგენს 80.6 % - ს;
- 2023 წლის მონაცემებით ICT სფეროში დასაქმებულთა დაახლოებით ორ მესამედს (66.7%) აქვს უმაღლესი განათლება.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, შემდეგი გარემოებები - 2023 წლისთვის თითქმის 10 მილიონი ადამიანი იყო დასაქმებული ICT სფეროში ევროკავშირის მაშტაბით. ყველაზე მეტი გერმანიაში - 2.1 მილიონი, საფრანგეთი - 1.3 მილიონი, იტალია და ესპანეთი - 0.9 მილიონი და ა.შ. (იხ. დიაგრამა 4)



დიაგრამა 4. ICT სფეროში დასაქმებულთა წილი საერთო დასაქმებაში ქვეყნების მიხედვით [5]

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს მსგავსად ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ევროკავშირში ICT სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა მთლიან დასაქმებაში გაიზარდა 1.5 % ით, 3.3 % დან (2013) 4,8%-მდე (2023) (იხ. დიაგრამა 5).

5 ევროკავშირის სტატისტიკა https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=ICT_specialists_in_employment#Context



დიაგრამა 5 . ევროკავშირში ICT სფეროში დასაქმებულთა წილი საერთო დასაქმებაში [6]

ევროკავშირში ბოლო ათწლეულების განმავლობაში ICT სფეროში დასაქმების საშუალო წლიური ზრდა იყო 3.8% და ასე გაგარძელდა 2019 წლამდე. ამ მხრივ საგრძნობი ზრდა იყო 2019-2021 წლებში - საშუალოდ 7.1%. ბოლო წლებში კი პროგრესი ოდნავ შენელდა, მაგრამ მაინც შედარებით მაღალია სხვა სფეროებთან შედარებით - 5.0% 2021-2022 წლებში და 4.1% 2022-2023 წლებში. (იხ. დიაგრამა 6).

აღსანიშნავია დასაქმების მაჩვენებლები გენდერულ ჭრილში (იხ. დიაგრამა 7), განათლების კუთხით (იხ. დიაგრამა 8), და ასაკობრივ კონტექსტში (იხ. დიაგრამა 9).



დიაგრამა 6 . ევროკავშირში ICT სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა[7]

6 იქვე.
7 ევროკავშირის სტატისტიკა https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=ICT_specialists_in_employment#Context



დიაგრამა 7 . ევროკავშირში ICT სფეროში დასაქმებულთა გენდერული შემადგენლობა[8]



დიაგრამა 8 . ევროკავშირში ICT სფეროში დასაქმებულთა უმაღლესი განათლების მაჩვენებელი[9]

8 ევროკავშირის სტატისტიკა https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=ICT_specialists_in_employment#Context

9 იქვე



დიაგრამა 9 . ევროკავშირში ICT სფეროში დასაქმებულთა ასაკობრივი მაჩვენებელი[10]

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ევროკავშირის მაშტაბით ICT სფეროში დასაქმებამ პიკს მიაღწია 2019 – 2021 წლებში, ხოლო ბოლო წლებია დასტაბილურდა. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით, აშშ - ს მსგავსად 2025 წლის კალენდარულ წელს ICT-ს სამუშაო ბაზარზე მინიმალური სტაბილური ზრდა არის მოსალოდნელი.

3. ჩინეთი

ჩინეთის ICT სფერო ხასიათდება დიდი სახელმწიფო ინვესტიციებით, სწრაფი ადაპტაციით, მძლავრი ადგილობრივი ინოვაციებით და მკაცრი რეგულაციებით. ამ პერიოდში ჩინეთის ტექნოლოგიურმა კომპანიებმა მოიპოვეს მნიშვნელოვანი გლობალური გავლენა, მიუხედავად სავაჭრო დაძაბულობებისა და რეგულაციების ცვლილებებისა.

ჩინეთის ICT სფეროს ტენდენციები 2015 წლიდან დღემდე (2025 წლის დასაწყისამდე) მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა. ძირითადად კი შემდეგი სფეროები განვითარდა: ხელოვნური ინტელექტი (AI), ელექტრონული კომერცია, კიბერუსაფრთხოება, 5G და ტელეკომუნიკაციები, ფინტექი/ციფრული გადახდები, კვანტური კომპიუტინგი, ბლოკჩეინი, რობოტიქსი და ავტომატიზაცია, კლაუდ კომპიუტინგი, დიდი მონაცემები (Big Data), სოციალური მედია და კონტენტი.

როგორც ავღნიშნეთ, ჩინეთის ICT სფერო ხასიათდება დიდი სახელმწიფო ინვესტიციებით, რამაც განაპირობა აღნიშნული სფეროს მნიშვნელოვანი ზრდა, თანაც სხვადასხვა მიმართულებებით. (იხ. ცხრილი 2)

10 ევროკავშირის სტატისტიკა https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=ICT_specialists_in_employment#Context

წელი	AI ხელოვნური ინტელექტი მილიარდი USD	ელექტრონული კომერცია ტრილიონი USD	კიბერუსაფრთხოება მილიარდი USD	5G ქსელები მილიონი	ფინტექ ტრანზაქციები ტრილიონ USD	ავტომობილი კომპიუტერები მილიონ USD	ბლოკჩეინი მილიონ USD	რობოტექნიკა მილიარდ USD	კლაუდ კომპიუტინგი მილიარდ USD	სოციალური მედია მილიონ მომხმ.
2015	2.1	3.8	45	0	18.5	80	120	5.2	8.4	650
2016	3.5	5.2	65	0	25.3	150	350	7.8	12.5	720
2017	6.8	7.5	98	0	35.7	280	1200	11.3	18.6	800
2018	12.5	9.1	145	0.2	48.6	520	850	15.7	25.3	850
2019	17.3	10.6	210	5.8	62.4	780	620	19.2	34.7	915
2020	21.8	11.8	290	160	75.8	1250	750	22.5	46.2	980
2021	28.6	13.4	340	355	84.3	1850	980	28.4	60.8	1030
2022	35.2	14.2	410	560	92.7	2400	1250	32.7	76.5	1080
2023	42.8	15.6	455	780	105.4	3100	1650	38.5	94.2	1120
2024	51.5	16.9	510	950	118.6	3850	2100	45.3	112.7	1165

ცხრილი 2. ჩინეთის ICT სექტორის მონაცემები/კაპიტალიზაცია (2015-2024)[11]

ძალზედ საყურადღებოა ჩინეთის ICT სფეროში დასაქმების მონაცემები, საიდანაც ირკვევა, რომ აქაც იგივე ტენდენციაა, რაც აშშ-სა და ევროკავშირში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმებულთა რაოდენობა შთამბეჭდავია. (იხ. ცხრილი 3).

წელი	AI ხელოვნური ინტელექტი მილიარდ USD	ელექტრონული კომერცია ტრილიონ USD	კიბერუსაფრთხოება მილიარდ USD	5G ქსელები მილიონ	ფინტექ ტრანზაქციები ტრილიონ USD	ავტომობილი კომპიუტერები მილიონ USD	ბლოკჩეინი მილიონ USD	რობოტექნიკა მილიარდ USD	კლაუდ კომპიუტინგი მილიარდ USD	სოციალური მედია მილიონ მომხმ.
2015	0.3	2.8	0.5	1.2	0.7	0.02	0.05	0.4	0.6	1.1
2016	0.4	3.2	0.6	1.3	0.8	0.03	0.08	0.5	0.8	1.3
2017	0.7	3.7	0.7	1.4	1.0	0.04	0.15	0.7	1.0	1.5
2018	1.1	4.2	0.8	1.5	1.2	0.05	0.12	0.9	1.3	1.8
2019	1.5	4.8	1.0	1.7	1.4	0.08	0.10	1.1	1.6	2.1
2020	1.8	5.2	1.2	2.0	1.6	0.10	0.12	1.3	2.0	2.4
2021	2.2	5.6	1.4	2.4	1.8	0.12	0.15	1.6	2.4	2.7
2022	2.6	5.9	1.6	2.7	2.0	0.15	0.18	1.9	2.8	3.0
2023	3.1	6.3	1.8	3.0	2.2	0.18	0.21	2.2	3.2	3.2
2024	3.6	6.6	2.0	3.2	2.4	0.21	0.25	2.5	3.6	3.4

ცხრილი 3. ჩინეთის ICT სექტორში დასაქმების მაჩვენებლები სფეროების მიხედვით (2015-2024)[12]

11 ჩინეთის ეროვნული სტატისტიკის ბიურო http://www.stats.gov.cn/english/
12 ჩინეთის ეროვნული სტატისტიკის ბიურო http://www.stats.gov.cn/english/

მთლიანი სურათი კი ასეთია (იხ. დაიგრამა 10)



დიაგრამა 10. ჩინეთის ICT სექტორში დასაქმების ზოგადი მაჩვენებლები (2015-2024)[13]

მნიშვნელოვანია, აგრეთვე სექტორის ზრდის პროცენტული მაჩვენებლები წლებისა და სფეროების მიხედვით, საიდანაც სხვადასხვა სფეროებში განვითარების დინამიკა 2015-2024 წლებში (%) (იხ. ცხრილი 4)

წელი	AI ხელოვნური ინტელექტი მილიარდ USD	ელექტრონული კომერცია მილიარდ ლუანი	ბიოფარმაცევტიკა მილიარდ ლუანი	5G კავშირები მილ ლუანი	ფინტექი ტრანზაქციები მილიარდ ლუანი	ვებ ტექსტი კომპანიები მილ USD	ბლოკჩეინი მილ USD	რობოტიკა მილ USD	ღრუბელი კომპანიები მილ USD	სოციალური მედია მილ ლუანი
2015	35	27	21	15	42	15	30	23	38	18
2016	66	36	44	18	36	87	190	50	48	10.7
2017	94	43	51	21	41	86	240	45	48	11.1
2018	83	21	48	25	36	85	-29	39	36	6.3
2019	38	16	45	2800	28	50	-27	22	37	7.6
2020	26	11	38	2650	21	60	21	17	33	7.1
2021	31	14	17	121	11	48	30	26	31	5.1
2022	23	6	20	57	10	29	27	15	25	4.9
2023	21	10	11	39	13	29	32	17	23	3.7
2024	20	8	12	21	12	24	27	17	19	4.0

ცხრილი 4. ICT სექტორის პროცენტული ზრდა სფეროების მიხედვით (2015-2024)[14]

მთლიანი სურათი კი ასეთია (იხ. დაიგრამა 11)



დიაგრამა 11. ICT სექტორის პროცენტული ზრდა წლების მიხედვით (2015-2024)[15]

13 იქვე
14 ჩინეთის ეროვნული სტატისტიკის ბიურო http://www.stats.gov.cn/english/
15 იქვე

4. საქართველო

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში სტაბილური მოთხოვნაა ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტებზე, რაზეც მეტყველებს სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები. აღსანიშნავია, რომ დინამიკა გარკვეულწილად განსხავავებულია წამყვან ტექნოლოგიურ ქვეყნებთან განსხვავებით. მნიშვნელოვანია, რომ დასაქმებულთა რიცხვი ამ სფეროში სტაბილურია და ბოლო წლებში - მზარდი. (იხ. ცხრილი 5)

დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების (Nace rev. 2) მიხედვით

ათასი კაცი

	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
სულ	**1 286,9**	**1 296,2**	**1 295,9**	**1 241,8**	**1 217,4**	**1 283,7**	**1 334,6**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	289,5	253,9	247,4	246,3	230,3	229,2	220,7
მრეწველობა	153,8	153,9	147,0	141,3	137,2	152,4	163,1
მშენებლობა	84,3	98,8	101,4	85,2	94,4	108,6	117,9
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	174,6	185,0	195,9	188,0	180,7	192,7	206,4
ტრანსპორტი და დასაწყობება	70,1	78,2	82,0	79,1	76,4	80,5	85,7
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	37,9	44,3	48,8	36,0	33,4	42,6	50,5
ინფორმაცია და კომუნიკაცია	21,7	20,9	19,0	19,7	18,1	15,3	20,9
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	31,2	33,7	30,7	29,9	29,5	29,4	30,8
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	3,1	4,4	3,9	3,2	5,2	3,4	3,7
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	22,0	21,2	19,0	19,2	21,5	22,6	22,6
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	18,5	21,3	22,4	19,6	19,4	23,0	24,2
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	89,8	91,3	93,2	94,5	92,4	91,6	92,2
განათლება	159,2	155,1	153,4	145,8	145,9	149,9	153,8
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	68,0	65,3	60,2	62,0	66,3	69,9	70,6
ხელოვნება, გართობა და დასვენება	26,9	28,4	29,9	30,0	28,7	31,3	30,4
სხვა სახის მომსახურება	21,1	20,0	22,0	25,0	22,1	22,4	21,7
მეანმეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება მეანმეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის	14,4	19,4	17,9	15,0	12,9	17,0	17,2
ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები	0,5	1,1	1,4	2,0	2,7	1,5	2,3
არაიდენტიფიცირებული	0,3	-	0,4	-	0,3	0,3	-

ცხრილი 5. დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობისმიხედვით (2017-2023)[16]

მონაცემებიდან ირკვევა, რომ 2017 წელს იყო მაქსიმალური დასაქმება ICT სფეროში, შემდეგ წლებში იყო გარკვეული კლება და 2023 წლისთვის ისევ დაიწყო მატება და გაუთანაბრდა 2018 წლის დონეს (20,9 ათასი). სავარაუდოდ ეს ეს დინამიკა შენარჩუნდება. რაც შეეხება ზოგად დასაქმებაში ICT სფეროს წილს, ამ ეტაპზე ის შეადგენს დაახლოებით 1.6 % -ს, რაც საშუალო ევროპულ დონესთან (4.8%) მიმართებაში დაბალია.

საინტერესოა დასაქმების მაჩვენებლები გენდერულ ჭრილში, საიდანაც ირკვევა, რომ საქართველო ამ მხრივ უსწრებს საშუალო ევროპულ (80 % - 20 %) მაჩვენებელს (იხ. დიაგრამა 12).

16 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683



დიაგრამა 12. დასაქმებულთა განაწილება გენდერულ ჭრილში (2017-2023)[17]

დასაქმების კვლევის კუთხით ერთერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ამა თუ იმ საქმიანობის სფეროში არსებული ნომინალური ხელფასების ანალიზი. ამ მხრივ ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულება საკმაოდ მაღალ პოზიციებს ინარჩუნებს, რაზეც მიუთითებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილები. მონაცემები 2020 წლის მიხედვითაა წარმოდგენილი, თუმცა აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნებულია მიმდინარე ეტაპზეც. მონაცემებიდან ირკვევა, რომ ინფორმაციისა და კომუნიკაციების მიმართულებით საშუალო ნომინალური ხელფასები როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო სექტორში პირველ სამეულშია. (იხ. ცხრილი 6, ცხრილი 7)

ლარი

	სახელმწიფო სექტორი						
	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
სულ	**788.5**	**825.6**	**855.2**	**861.2**	**892.1**	**973.7**	**1 024.4**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	654.5	608.2	542.5	518.6	505.9	543.2	533.3
საბითუმო-მოთხოვნითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	...	...	...	...	...	...	...
დამამუშავებელი მრეწველობა	821.1	816.0	822.1	889.3	928.6	1185.9	1278.7
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	1138.9	1185.9	1239.3	1327.9	1537.3	1693.2	1598.7
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	538.2	612.3	627.4	624.3	642.0	705.5	685.1
მშენებლობა	993.8	1024.0	1085.2	1059.2	1350.3	1362.9	2 116.2
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	1497.9	1495.1	1575.5	1649.2	1704.8	2 159.4	1359.2
ტრანსპორტირება და დასაწყობება	970.6	985.5	1052.0	1035.1	1114.1	1263.5	1267.8
განთავსების სამუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	651.6	532.1	538.3	612.4	514.9	621.4	781.0
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1233.1	1247.2	1372.8	1467.1	1648.8	1737.9	1720.6
საფინანსო და საფასიანო საქმიანობები	3 321.7	3 508.9	3 832.7	4 159.7	4 345.5	4 451.7	4 616.0
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1007.6	799.0	1105.6	318.0	934.3	1042.3	1269.9
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური	865.9	891.9	980.5	953.5	950.9	1040.5	1015.5
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	623.6	454.8	508.2	509.9	524.1	713.0	757.3
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	1161.7	1259.3	1254.7	1236.1	1266.6	1420.8	1425.8
განათლება	440.7	466.8	516.9	552.2	573.6	619.7	709.2
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების	653.8	741.7	798.6	842.2	890.5	966.4	1083.0
ხელოვნება, გართობა და დასვენება	524.2	549.0	575.6	647.6	608.7	652.6	651.4
სხვა სახის მომსახურება	1 334.4	819.7	971.0	871.6	687.3	654.8	910.7

ცხრილი 5. სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი (2014-2020)[18]

17 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683
18 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683

	არასახელმწიფო სექტორი						
	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
სულ	**836.4**	**945.1**	**990.9**	**1 077.1**	**1 164.0**	**1 211.1**	**1 284.9**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	456.0	560.5	561.3	693.4	761.3	751.6	910.5
საწარმოო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	974.6	1023.0	1099.2	1232.3	1345.3	1375.6	1779.4
დამამუშავებელი მრეწველობა	718.4	775.6	782.3	867.7	929.6	1035.0	1108.5
ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	1150.4	1295.1	1305.9	1441.6	1490.9	1524.1	1474.6
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დამაბინძურებლებისგან გასუფთავების საქმიანობები	804.1	925.2	1004.0	1253.6	1266.5	1321.1	1335.3
მშენებლობა	942.7	1107.7	1279.3	1474.3	1556.1	1635.5	1706.2
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	699.3	781.0	787.2	841.2	948.0	967.1	1034.7
ტრანსპორტირება და დასაწყობება	1133.5	1307.7	1268.0	1426.7	1453.2	1470.4	1534.0
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	467.9	564.6	629.9	674.5	836.4	858.9	921.1
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1165.1	1341.8	1334.7	1421.1	1472.3	1603.3	1903.6
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	1567.8	1668.7	1810.4	1981.0	2 206.3	1993.6	2 121.2
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	897.9	964.6	1003.1	1114.1	1108.2	1195.9	1179.1
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1159.4	1357.5	1582.7	1732.0	1869.8	2 069.5	2 083.8
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	720.9	690.9	749.9	779.1	919.3	961.2	975.4
განათლება	×	×	×	×	×	×	×
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების ხელოვნება, გართობა და დასვენება	530.0	567.9	625.4	704.2	706.7	815.4	921.3
სხვა სახის მომსახურება	704.7	973.3	945.2	996.1	1005.2	1069.0	1105.4
	920.5	1039.0	1214.3	1377.7	1414.1	1679.9	1392.3
	550.0	607.0	709.7	668.9	658.5	798.4	1109.3

ცხრილი 6. არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი (2014-2020)[19]

დასკვნითი ნაწილი

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სფეროში მსოფლიო მასშტაბით დასაქმების არეალი ძალზედ ფართოა და მზარდი. მიუხედავად ბოლო წლებში გარკვეული სტაბილიზაციისა და რიგ შემთხვევებში კლებისა, სფეროში მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე შენარჩუნებულია.

აღნიშნული ტენდენციის გათვალისწინება აუცილებელია საქართველოსათვის, ვინაიდან მნიშვნელოვანია დროულად და ეფექტურად ყველა იმ სარგებლის გამოყენება, რაც ამ პროცესს თან ახლავს, რათა ქვეყანა არ ჩამორჩეს სოციალურ-ეკონომიკურ ტრანსფორმაციას და არ დაკარგოს ამ პროცესით უზრუნველყოფილი შესაძლებლობები. ამ მიზნით აუცილებელია წამყვანი ტექნოლოგიური ქვეყნების მსგავსად გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, მუდმივი მონიტორინგი, მეტი ინვესტიცია ICT უნარების განვითარების პროცესში, შესაბამისი სასწავლო თუ ტრენინგ კურსების ხელშეწყობა, ინტერნეტიზაციის გაფართოება, ვინაიდან ძლიერი ციფრული უნარები გაამყარებენ საზოგადოების კონკურენტულ პოზიციას ციფრულ სამყაროში, უზრუნველყოფენ უფრო თანასწორ განვითარებას. ამ მიზნით, ამავე დროს უნდა გაფართოვდეს განათლების, დასაქმებისა და ინდუსტრიის თანამშრომლობა, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს საზოგადოების ციფრულ ტრანსფორმაციას.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - https://www.geostat.ge/ka

ევროკავშირის სტატისტიკის სამსახური - https://ec.europa.eu/eurostat/

ჩინეთის ეროვნული სტატისტიკის ბიურო - http://www.stats.gov.cn/english/

Electronically Delivered CIO Tools - Janco Associates, Inc (USA). https://e-janco.com/career

19 იქვე.

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია ნეოკლასიკური რეალიზმის ჭრილში

ნინო ოხანაშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
თავდაცვის ანალიზის მიმართულების
ასოცირებული პროფესორი,
სიციალურ მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიის მიზანს ნეოკლასიკური რეალიზმის ჭრილში რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის (2014) გამომწვევი მიზეზების გაანალიზება წარმოადგენს. მეთოდოლოგიურად სტატია თვისებრივი კვლევის კატეგორიაში მოიაზრება და საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომად შემთხვევის შესწავლის (Case-study) მეთოდს იყენებს. სტატიაში გენერირებული ჰიპოთეზის შემოწმება სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდის გამოყენებით ხდება.

სტატიის მიზანია დაამტკიცოს, რომ სისტემურ ფაქტორებთან ერთად, ლიდერის/გადაწყვეტილების მიმღები პირის გავლენა საგარეო და საშინაო პოლიტიკის აღქმაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში.

ნეოკლასიკური რეალიზმი არის სტრუქტურული რეალიზმის/ნეორეალიზმის (საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა) და კლასიკური რეალიზმის (ადამიანის ბუნება) ერთგვარი ნაზავი, რომლის მიხედვითაც,სახელმწიფოსსაგარეოპოლიტიკურიქცევისმიზეზობრივი/კაუზალურილოგიკაშემდეგია: დამოკიდებული ცვლადი - საგარეო პოლიტიკური ქცევა, დამოუკიდებელი ცვლადი - საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა, ძალაუფლების განაწილება საერთაშორისო სისტემაში, შუალედური (intervening) ცვლადი -გადაწყვეტილების მიმღები პირების სუბიექტური აღქმები და სახელმწიფოს შესაძლებლობა, მოიპოვოს და მოახდინოს რესურსების მობილიზება მოცემული პოლიტიკის გასატარებლად. ე.ი. საგარეო პოლიტიკა = სისტემური ცვლადები + შუალედური ცვლადები. ნეოკლასიკური რეალიზმი დედუქციური თეორიაა, რომელიც ავიწროებს ანალიზის ფარგლებს იმ ცვლადებამდე, რომელთაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა საგარეო პოლიტიკის სტრატეგიებზე. მიკროპოლიტიკური დინამიკის ახსნის მცდელობისგან თავის არიდების გარეშე, ნეოკლასიკური რეალიზმი დაინტერესებულია უფრო ფართო დინამიკის საზღვრებში მომხდარი ცვლილებების თეორიული ანალიზით.

სისტემურ ფაქტორებთან - როგორიცაა ძალაუფლების განაწილება (დამოუკიდებელი ცვლადი) და საგარეო პოლიტიკურ ქცევასთან ერთად (დამოკიდებული ცვლადი), შიდა ფაქტორები - ლიდერის ხედვა, აღქმები (შუალედური ცვლადი) მნიშვნელოვან როლს ასრულებს რუსეთის მიერ „სისტემურ ზეწოლაზე“ პასუხში.

რუსეთის პერსპექტივიდან, რუსეთის სტრატეგია პოსტსაბჭოთა რეგიონში მიზნად ისახავს უსაფრთხოების უზრუნველყოფას და აღნიშნულ რეგიონში სისტემის სხვა აქტორების გავლენის გავრცელების პრევენციას. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ომის დაწყებაში არის ნატოს გაფართოების აღქმა, როგორც არა მხოლოდ საფრთხე რუსეთის უსაფრთხოებისთვის, არამედ როგორც გამოწვევა მისი, როგორც დიდი ძალის სტატუსისთვის; რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის აზრით, ევროპის დაახლოება უკრაინასთან წარმოადგენს რეალურ საფრთხეს რუსეთის ეროვნული უსაფრთხოებისთვის.

ასევე, აშკარაა, რომ რუსეთის პრეზიდენტის ფიგურამ და პიროვნულმა თვისებებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის გადაწყვეტილების მიღებაში. ვლადიმერ პუტინმა გააძლიერა პოსტსაბჭოთა რეგიონში გავლენის აღდგენის ძალისხმევა. პუტინის აგრესიული საგარეო პოლიტიკა უკრაინის მიმართ, რუსული საზოგადოებისთვის ქვეყნის იმპერიული ბუნების გამართლებას ემსახურება.

საკვანძო სიტყვები: ნეოკლასიკური რეალიზმი; სისტემური ფაქტორი; შიდა დინამიკა; პოლიტიკის შედეგი - ყირიმის ანექსია.

ANNEXATION OF CRIMEA BY THE RUSSIA IN THE CONTEXT OF NEOCLASSICAL REALISM

Nino Okhanashvili

Associate Professor of Master's Program in Defense Analysis of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of Social Sciences

Abstract

The purpose of the present article is to analyze the causes of the annexation of Crimea by Russia (2014) in the light of neoclassical realism. Methodologically, the article falls into the category of qualitative research and uses the Case-Study method as the basic methodological approach. The hypothesis generated in the article is tested using the qualitative method of social research.

The aim of the article is to prove that, along with systemic factors, the influence of the leader/decision-maker on the perception of foreign and domestic policy plays an important role in the formation of foreign policy.

Neoclassical realism is a kind of mixture of structural realism (the structure of the international system) and classical realism (human nature), according to which the causal logic of a state's foreign policy behavior is as follows: Dependent variable - foreign policy behavior, independent variable - the structure of the international system, the distribution of power in the international system, intervening variable - subjective perceptions of decision-makers and the state's ability to obtain and mobilize resources to implement a given policy. I.e. Foreign policy = System variables + Intermediary variables. Neoclassical realism is a deductive theory wich narrows the scope of analysis to those variables that may influence foreign policy strategies.

Together with systemic factors such as the distribution of power (independent variable) and foreign policy behavior (dependent variable), internal factors - the leader's vision, perceptions (intermediate variables) - play an important role in Russia's response to „systemic pressure".

From a Russian perspective, Russia's strategy in the post-Soviet space is aimed at ensuring security and preventing the spread of influence of other actors in the system in this region. One of the factors that played a decisive role in the outbreak of the war is the perception of NATO expansion as not only a threat to Russia's security, but also as a challenge to its status as a great power; in the perception of the Russian political leadership, Europe's rapprochement with Ukraine represents a real threat to Russia's national security.

Also, it is clear that Vladimir Putin's figure and personality played an important role in Russia's decision to annex Crimea. Vladimir Putin has intensified efforts to restore influence in the post-Soviet region. Putin's aggressive foreign policy towards Ukraine serves to justify the imperial nature of the country to Russian society.

Keywords: neoclassical realism; systemic factor; internal dynamics; policy outcome - annexation of Crimea.

შესავალი

2014 წლის 18 მარტს, რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმი ანექსირებულ იქნა და ყირიმის ფედერალური ოლქის სახელით, დე ფაქტოდ რუსეთის შემადგენლობაში შეყვანილი. რუსეთის მიერ, აღნიშნული სამხედრო და პოლიტიკური ქმედებების ერთობლიობა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

სტატიის მიზანია რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის მიზეზების დადგენა, თუ რამ განაპირობა რუსეთის მიერ აღნიშნული საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება. არსებობს ვარუდი, რომ რუსეთმა გადაწყვიტა ყირიმის ანექსია მისი, როგორც რუსი ერის სულიერი წყაროს მნიშვნელობის გამო, ასევე, ვარაუდი, რომ ანექსიის მიზეზი ნახევარკუნძულზე რუსეთის ისტორიული პრეტენზია იყო (რუსეთი მას ფლობდა 1954 წლამდე, საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკისთვის გადაცემამდე). ასევე, არსებობს ვარაუდი, რომ ეს იყო წმინდა სტრატეგიული გადაწყვეტილება, რადგან ყირიმის ანექსიამ საშუალება მისცა რუსეთს გაეზარდა თავისი სამხედრო შესაძლებლობები უკრაინის შავი ზღვის ფლოტის უმეტესი ნაწილის აღებით და რომ ეს პრეზიდენტ პუტინის დიდი ძალაუფლების აღდგენის კამპანიის მხოლოდ დასაწყისი იყო უკრაინაში.

აღნიშნული ვარაუდების უმეტესობა ეფუძნება ან რეალისტურ თეორიას, რომელიც აქცენტს ძალაუფლების მაქსიმიზაციასა და პირადი ინტერესებზე აკეთებს, ან კონსტრუქტივისტურ თეორიას, რომელიც ფოკუსირებულია ნორმებსა და იდენტობებზე.

სტატიაში გამოყენებული ნეოკლასიკური რეალიზმის მიხედვით, მხოლოდ სისტემური ან მხოლოდ ერთეულის დონის ახსნა არასაკმარისია და ამიტომ აერთიანებს სისტემურ ცვლადებს ერთეული დონის ცვლადებთან საგარეო პოლიტიკური არჩევანის ახსნის მცდელობისას.

სტატია სვამს შემდეგ საკვლევ კითხვას:

რა ძირითადმა შიდა და სისტემურმა ფაქტორებმა განაპირობა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია?

სტატიაში წარმოდგენილი თეორიისგან (ნეოკლასიკური რეალიზმი) დედუქციური მეთოდით მოხდა შემდეგი ჰიპოთეზის გენერირება:

საერთაშორისო სისტემის ანარქიულმა ბუნებამ, ძალის განაწილებამ სისტემაში და საგარეო პოლიტიკის შესახებ ვლადიმერ პუტინის აღქმამ განაპირობა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია.

ცვლადების ოპერაციონალიზაცია:

დამოუკიდებელი ცვლადი: საერთაშორისო სისტემის ანარქიულმა ბუნება, ძალის განაწილება საერთაშორისო სისტემაში გაზომვა - (თვისებრივი მეთოდი)

შუალედური ცვლადი: ვლადიმერ პუტინის ფიგურა, მისი აღქმები - გაზომვა (თვისებრივი მეთოდი)

დამოკიდებული ცვლადი: ყირიმის ანექსია - გაზომვა (თვისებრივი მეთოდი)

მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის სტატია იყენებს სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდის შემდეგ ტექნიკებს: შემთხვევის შესწავლა (Case Study) და თვისებრივი კონტენტ-ანალიზი.

ძირითადი ნაწილი

თეორიული ჩარჩო

ნეოკლასიკური რეალიზმი და საგარეო პოლიტიკა

კლასიკური რეალიზმის ფესვები თუკიდიდეს, ჰობსისა და მაკიაველის ნაშრომებში გვხვდება. კლასიკური რეალიზმი აქცენტს ადამინის ბუნების ბნელ მხარეებზე აკეთებს (Dark side of human nature). აღნიშნული თეორიის მიხედვით, საერთაშორისო პოლიტიკის ლოგიკის გაგება საშინაო პოლიტიკის გააზრებით ხდება[1].

1 Stephen Mcglinchey, Rosie Walters, Christian Scheinpflug, International Relations Theory, E-International Relations,

კენეტ ნ. უოლცის (1979) ნეორეალიზმი, იგივე სტრუქტურული რეალიზმი, რომელიც იზიარებს კლასიკური რეალიზმის არაერთ დაშვებას, ავტორმა საერთაშორისო პოლიტიკის თეორიად ჩამოაყალიბა. კლასიკურ რეალისტებსა და ნეორეალისტებს შორის ერთ-ერთი ცენტრალური დაყოფა არის ანალიზის დონეებში. კლასიკური რეალიზმი, უპირველეს ყოვლისა, ეხება ადამიანის ბუნებას, ხოლო ნეორეალიზმი იკვლევს სისტემურ დონეს და აქცენტს სახელმწიფოთა ურთიერთქმედებაზე აკეთებს[2].

ნეორეალიზმი საერთაშორისო პოლიტიკის თეორიად მიიჩნევა, რადგან სახელმწიფოთა ურთიერთქმედების შედეგების ახსნას ცდილობს. აღნიშნული თეორია იზიარებს კლასიკური რეალიზმის ცალკეულ, ზოგად ვარაუდებს სახელმწიფოების მოტივაციის შესახებ, მაგრამ მიზნად მათი ქცევის დეტალურად ახსნას არ ისახავს. კლასიკური რეალიზმი აქცენტს აკეთებს ადამიანის ბუნებაზე, ხოლო ნეორეალიზმი ხაზს უსვამს იმას, რომ სახელმწიფოს ქცევას საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა განსაზღვრავს. კლასიკური რეალიზმი დამოკიდებულ ცვლადად იღებს არა სახელმწიფოთა ურთიერთქმედების შედეგს, არამედ ცალკეული სახელმწიფოების ქცევას.

რაც შეეხება ნეოკლასიკური რეალიზმს, აღნიშნული თეორია ძირითადად ორიენტირებულია ცალკეული სახელმწიფოების ქცევაზე და გვთავაზობს სისტემური და ერთეული დონის ცვლადების კაუზალურ ურთიერთქმედებას. ნეოკლასიკური რეალისტებისთვის მხოლოდ საერთაშორისო სისტემა არ არის საგარეო პოლიტიკური შედეგის განმსაზღვრელი მონოლითი. საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა, სახელმწიფოებს აწვდის ინფორმაციას კონკრეტული საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგად მიღებულ დანაკარგებისა და სარგებელის შესახებ, მაგრამ როგორ ხდება ამ ინფორმაციის დამუშავება და გაზომვა, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკას, ასევე, მათ პრეფერენციებზე, მათ იდეებსა და ეთიკაზე.

ნეოკლასიკური რეალიზმი, რომელსაც სტატია კონკრეტული შემთხვევის ანალიზისთვის იყენებს, ცდილობს აღნიშნული ორი თეორიის დაშვებების/ვარაუდების ერთგვარ სინთეზს. ნეოკლასიკურ რეალიზმში, სისტემური სტიმულები - დამოუკიდებელი ცვლადია, შიდა ფაქტორები - შუალედური/ინტერვენირებადი ცვლადი, ხოლო დამოკიდებული ცვლადი - საგარეო პოლიტიკის შედეგი (კაუზალური ლოგიკა).[3]

ე.ი. ნეოკლასიკური რეალიზმი იკვლევს საგარეო პოლიტიკას საშინაო და საერთაშორისო ცვლადების ჩართვით. ნეოკლასიკური რეალიზმი საერთაშორისო სისტემას დამოუკიდებელ ცვლადად, პოლიტიკის კონკრეტულ შედეგს- დამოკიდებულ ცვლადად, ხოლო საშინაო პოლიტიკას, რომელშიც მოიაზრება იდეური ფაქტორი, ლიდერის როლი და ინსტიტუტები, განიხილავს შუალედურ/ინტერვენირებად ცვლადად, რომელიც აღნიშნული თეორიის მიხედვით, ისეთივე გავლენის მქონე შეიძლება იყოს, როგორც საერთაშორისო სისტემა.

ნეოკლასიკური რეალიზმი კონკრეტული ფენომენის ახსნა-განმარტებით ნაწილში შიდა ფაქტორების ჩართვის აუცილებლობას ხედავს, რათა გათვალისწინებულ იქნას ის ვარიაცია, რომელიც რთულია აიხსნას მხოლოდ სტრუქტურული ცვლილებებით. ნეოკლასიკური რეალიზმის ონტოლოგიური საწყისი წერტილი - პოლიტიკის შედეგზე სტრუქტურულ ცვლილებასთან ერთად, ერთეულის დონის ცვალებადობის გავლენაა.

ძალათა ბალანსის რეალისტური კონცეფციის ერთგული ნეოკლასიკური რეალიზმი დასძენს, რომ სახელმწიფოების უუნარობამ ერთმანეთის ზუსტად აღქმის კუთხით და/ან სახელმწიფო ლიდერების უუნარობა მოახდინოს სახელმწიფო ძალაუფლებისა და საზოგადოებრივი

Bristol, England, 2017, P.15.

2 ნინო ოხანაშვილი, „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი," (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა), თსუ, 2018, გვ. 31.

3 Gideon Rose, „Neoclassical Realism and Theories of Foreign Policy," World Politics, Vol. 51, No. 1, 1998, P.154.

მხარდაჭერის მობილიზება, შეიძლება გამოიწვიოს არაოპტიმალური საგარეო პოლიტიკა, დიდი სახელმწიფოების აღზევება და დაცემა, ომი და ა.შ.

შეიძლება ითქვას, რომ ნეოკლასიკური რეალიზმი უფრო სრულყოფილი/დახვეწილი თეორიაა, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოს ძალაუფლებას არ განიხილავს წამყვან ცვლადად, არამედ შიდა ფაქტორებს, კოგნიტურ ფაქტორებს იღებს მხედველობაში და მათი გათვალისწინებით აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობებს. სისტემური ფაქტორები სახელმწიფოს ქცევის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია საერთაშორისო ურთიერთობებში, ხოლო შიდა ფაქტორები - როგორც არსებითი გადამცემი სარტყელი, რომელიც აყალიბებს პოლიტიკის ზუსტ შედეგებს.

ამრიგად, ნეოკლასიკური რეალიზმი კლასიკური და სტრუქტურული რეალიზმის ძირითად თეორიულ დაშვებებს იყენებს, მაგრამ ამატებს ისეთ შიდა ფაქტორებს, როგორიც არის მაგალითად, ლიდერის აღქმები, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების დინამიკაზე კრიტიკულად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

ემპირიული მონაცემები

ყირიმის სტატუსი სსრკ-ში

1922 წლის 30 დეკემბრამდე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) შექმნამდე უკრაინა სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. უკრაინის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი დაფიქსირებული იყო სსრკ-ს კონსტიტუციაში, ასევე უკრაინის სსრ-ს კონსტიტუციაში და უკრაინა აგრძელებდა არსებობას სუვერენულ სახელმწიფოდ სსრკ-ს დაშლის შემდეგ.

1954 წლის 2 აპრილს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაითვალისწინა ეკონომიკური, კულტურული და გეოგრაფიული ფაქტორები, აგრეთვე რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის (რუსეთის სფსრ/რსფსრ) და უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (უკრაინის სსრ) ოფიციალური პოზიციები და მიიღო განკარგულება ყირიმის სსრ-დან უკრაინის სსრ-ს გადაცემის შესახებ.[4] 1991 წლამდე, ანუ სსრკ-ს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის დაშლის მომენტამდე, ყირიმი უკრაინის ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

რუსეთის ფედერაციის მიერ 2014 წლის 18 მარტს ყირიმის ანექსია განხორციელდა, რაც წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო სამართლისა და მსოფლიო უსაფრთხოების სისტემის სერიოზულ კრიზისს. რუსეთმა ყირიმის ანექსიით დაარღვია საერთაშორისო სამართლის მთელი რიგი ფუნდამენტური პრინციპები და ხელშეკრულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, საზღვრების ხელშეუხებლობას და უსაფრთხოებას.

ნეოკლასიკური რეალიზმი პრაქტიკაში

ნეოკლასიკური რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობების გავლენიანი თეორიაა, რომელიც ცდილობს სახელმწიფოს ქცევა ახსნას სისტემური ფაქტორების (საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა, ძალთა გადანაწილება სისტემაში) და შიდა ფაქტორების (შიდა პოლიტიკა, ხელმძღვანელი პირების აღქმები) კომბინირებით. 2014 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიასთან დაკავშირებით, ნეოკლასიკური რეალიზმი იძლევა სრულ სურათს, თუ როგორ ჩამოაყალიბა რუსეთის გადაწყვეტილება შიდა და გარე ფაქტორებმა.

ცვლადების ანალიზმა გამოკვეთა სამი ფაქტორი, რომელიც გამოირჩევა, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი:

4 O. Merezhko, „Crimea's Annexation by Russia – Contradictions of the New Russian Doctrine of International Law," 2015, P.169 ZaöRV 75 https://www.zaoerv.de/75_2015/75_2015_1_a_167_194.pdf (Access - 26.02.2025).

გარე საფრთხეები და ძალაუფლების დინამიკა: ნეოკლასიკური რეალიზმის პერსპექტივიდან, ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით და უკრაინის დასავლეთთან მეტად დაახლოების პოტენციალი, რუსეთის უსაფრთხოებისთვის შეიძლებოდა საფრთხედ აღქმულიყო (საერთაშორისო სისტემა). ვლადიმერ პუტინს მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა იყო ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა,[5] შესაბამისად, მისი მიზანია არ დაკარგოს გავლენა ყოფილ პოსტსაბჭოთა რეგიონში. პუტინის კიდევ ერთი განცხადების მიხედვით, „რუსეთის საზღვრები არსად არ მთავრდება".[6] აღნიშნული განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტი მიუთითებს ქვეყნის გლობალური გეოპოლიტიკური კოდის შესახებ, რაც მისი, როგორც გლობალური ლიდერის ამბიციაზე მეტყველებს.

რუსეთის აღქმამ რეგიონში ძალთა ბალანსის ცვლილების შესახებ, განსაკუთრებით, უკრაინის პროდასავლური მთავრობის პირობებში, უბიძგა რუსეთს ემოქმედა ისე, რომ არ დაეკარგა გავლენა და თავიდან აეცილებინა დასავლური ინსტიტუტების პოტენციური გაფართოება მის საზღვრებში.

ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სისტემურ სტიმულებში რუსეთისთვის იყო ის შესაძლებლობების ფანჯარა, რომელიც წარმოიშვა ყირიმში უკრაინის პოლიტიკური და სამხედრო არასტაბილურობის გამო.

რუსეთისთვის არსებობს კრიტიკულად მნიშვნელოვანი რამდენიმე მიზეზი, თუ რატომ აღიქვამს საფრთხედ უკრაინის გაწევრიანებას ნატოსა და ევროკავშირში.

I. გეოპოლიტიკური ინტერესები და უსაფრთხოება: რუსეთი უკრაინას საკუთარ გავლენის სფეროდ მიიჩნევს, შესაბამისად საფრთხედ აღიქვამს იმ ფაქტს, რომ ნატოსა და ევროკავშირში უკრაინის გაწევრიანება მასზე დასავლეთის გავლენას გააძლიერებს, რაც რუსეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის საფრთხედ აღიქმება. ნატოს გაფართოება რუსეთის საზღვრებთან საფრთხეს უქმნის და გამოწვევების წინაშე აყენებს რუსეთის უსაფრთხოებას. ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურის გაფართოება რუსეთის საზღვრებთას, რუსეთისთვის უსაფრთხოების გამოწვევად აღიქმება.

II. ისტორიული და კულტურული კავშირები: რუსეთი უკრაინას ისტორიულად და კულტურულად საკუთარ ნაწილად მიიჩევს. შესაბამისად, უკრაინის ევროატლანტიკური ინტეგრაცია მისთვის უსაფრთხოების გამოწვევების გარდა, იდენტობასთან დაკავშირებულ განცდებთან ასოცირდება.

საბოლოო ჯამში, უკრაინის დასავლურ ინტეგრაციაზე რუსეთის წინააღმდეგობა ემყარება მის გეოპოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკური ინტერესების დაცვას.

შიდა პოლიტიკა და ელიტური ინტერესი: ნეოკლასიკური რეალიზმი ხაზს უსვამს საშინაო პოლიტიკის, მათ შორის სახელმწიფო ლიდერებისა და ელიტური ინტერესების როლს. ვლადიმერ პუტინისა და რუსეთის ხელმძღვანელობისთვის ყირიმის ანექსია შიდა ლეგიტიმაციის განმტკიცების/გაძლიერების გზა იყო. ეს ნაბიჯი დიდი პოპულარობით სარგებლობდა რუსეთში, აძლიერებდა ნაციონალისტურ განწყობას და ახდენდა ყურადღების გადატანას შიდა ეკონომიკური გამოწვევებისგან.

2014 წელს რუსეთში გაზრდილი იყო მოსახლეობის უკმაყოფილება ეკონომიკური და სხვა შიდა პრობლემების გამო. ყირიმის ანექსიის გადაწყვეტილებამ ხელი შეუწყო პუტინს ძალაუფლების გამყარებაში, რადგან აღნიშნული ზრდიდა მის მიმართ ნდობას და მხარდაჭერას. პუტინს მოსახლეობის ძალიან დიდი მხარდაჭერა გააჩნდა ყირიმის საკითხთან დაკავშირებით, რამაც მისი შიდა პოპულარობის გაზრდა გამოიწვია. ამ ნაბიჯით, პუტინმა მოიპოვა ძლიერი

5 Putin: The collapse of the Soviet Union was the biggest geopolitical catastrophe https://www.youtube.com/watch?v=DpEjSsdvDW0 (access – 06.03.2025)

6 The borders of Russia do not end' says Putin at awards ceremony https://www.youtube.com/watch?v=ou8mI_ce80s (access – 06.03.2025)

ლიდერის პოზიცია, რომელმაც რუსეთს ძლიერება უნდა დაუბრუნოს. მოსახლეობის თვალში წარმოჩინდა ლიდერად, რომელმაც შეძლო დასავლეთის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც იცავს ქვეყნის სუვერენიტეტს და რუსი ხალხის ინტერესებს.

ლიდერობის აღქმა და გადაწყვეტილების მიღება: ნეოკლასიკური რეალიზმი ასევე ორიენტირებულია ლიდერების აღქმასა მის გავლენაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პუტინის ხელმძღვანელობის სტილმა და მისმა სურვილმა, აღედგინა რუსეთის ძალაუფლება და პრესტიჟი მსოფლიო ასპარეზზე, სავარაუდოდ, დიდი როლი ითამაშა ყირიმის ანექსიის მიღების გადაწყვეტილებაში. ეს ნაბიჯი შეიძლება ჩაითვალოს, როგორც რუსეთის ძალაუფლების განმტკიცების გზა პოსტსაბჭოთა სივრცეში და სიგნალი როგორც შიდა, ისე საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რომ რუსეთი მზადაა მტკიცედ იმოქმედოს თავისი ინტერესების დასაცავად.

საბოლოო ჯამში, ნეოკლასიკური რეალიზმი ვარაუდობს, რომ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია განპირობებული იყო, როგორც გარე/სისტემური ფაქტორებით, როგორიცაა ნატოს გაფართოება და მისი საფრთხედ აღქმა, ასევე შიდა ფაქტორებით, როგორიცაა შიდა პოლიტიკური მოსაზრებები და ხელმძღვანელობის სურვილი, დაემტკიცებინა რუსეთის ძალაუფლება. ლიდერის ხედვები/აღქმები გადამწყვეტი აღმოჩნდა, რადგან ვლადიმერ პუტინის მიერ ძალაუფლების კონსოლიდაციამ ანექსია გამოიწვია. პუტინის პიროვნულმა თვისებებმა დიდი როლი შეასრულა ყირიმის ანექსიაში; მისმა მართვის სტილმა, მისმა გეოპოლიტიკურმა ამბიციებმა. შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალიზმის ძლიერი განცდა პირდაპირ კავშირშია მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან. პატრიოტიზმი და რუსეთის ეროვნული ინტერესები მნიშვნელოვანი ფაქტორები შეიძლება იყოს. პუტინისთვის რუსეთის ჰეგემონია და ისტორიული დიდება ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა. იგი ხშირად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ყირიმი ისტორიულად რუსეთის ნაწილია და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აუცილებელი იყო რუსეთის უსაფრთხოებისა და პრესტიჟისთვის. პუტინი, როგორც KGB- ის ყოფილი ოფიცერი, ძალაუფლებისადმი დიდ წყურვილს გრძნობს. ყირიმის ანექსიით, მან გამოხატა არა მხოლოდ ტერიტორიულ კუთვლილებაზე პრეტენზია, არამედ მოახდინა ძალაუფლების დემონსტრაციაც.

ამრიგად, ნეოკლასიკური რეალიზმის მიხედვით, შიდა ფაქტორი, რომელმაც გავლენა იქონია ყირიმის ანექსიაზე შეიძლება იყოს გადაწყვეტილების მიმღები პირის პიროვნება, მისი კოგნიტური მდგომარეობა. ვლადიმერ პუტინი იყო ცენტრალური ფიგურა ყირიმის ანექსიაში. მისი პიროვნული თვისებები და ფსიქოლოგია მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე. რუსეთის ისტორიულ ტერიტორიებზე გავლენის დაბრუნებას პუტინი აღიქვამს, როგორც რუსეთის პრესტიჟის ნაწილს.[7]

დასკვნა

სტატია ცდილობდა ეჩვენებინა, რომ სისტემურ ფაქტორებთან ერთად, როგორიცაა საერთაშორისო სისტემის ბუნება, ძალაუფლების განაწილება და საგარეო პოლიტიკური ქცევა, შიდა ფაქტორები - ლიდერის ხედვა, აღქმები, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სისტემურ ზეწოლაზე რუსეთის პასუხში.

კვლევამ დაადგინა, რომ სისტემურ ფაქტორებთან ერთად, საბოლოო გადაწყვეტილების ფორმირებაში ყველაზე გავლენიანი ლიდერის ხედვა იყო. რუსეთისა და ყირიმის შემთხვევაში, პრეზიდენტი პუტინი იყო ის აქტორი, რომელმაც ანექსია რეალობად აქცია. რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის და სეპარატისტული ძალების აღმოსავლეთ უკრაინაში მხარდაჭერის

7 ნინო ოხანაშვილი, „საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი შიდა ფაქტორები.“ ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული, 2024, გვ. 7.

პოლიტიკა ძირითადად ვლადიმერ პუტინმა და მის ხელთ არსებულმა ძალაუფლებამ განაპირობა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პუტინის მიერ საერთაშორისო სისტემის/გარემოს და შიდა ფაქტორების გაანგარიშებამ მას უკრაინაში აგრესიული პოლიტიკის გატარების საშუალება მისცა.

უსაფრთხოების საკითხები გახდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა. რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინის მიხედვით, ყოფილ საბჭოთა კავშირის წევრ ქვეყნებზე გავლენის სფეროს შენარჩუნება რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი მთავარი ინტერესია. რუსეთმა უკრაინაზე გავლენის დაკარგვა განმარტა, როგორც საფრთხის შემცველი მისი ეროვნული უსაფრთხოებისთვის, რომელიც ასუსტებს რუსეთის ძალას, როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო დონეზე.[8] რუსეთის პოლიტიკური ელიტა სხვა ქვეყნების ჩარევას თავის გავლენის სფეროში აღიქვამს, როგორც საფრთხეს თავისი ეროვნული უსაფრთხოებისთვის და, შესაბამისად, ახორციელებს აგრესიულ პოლიტიკას.

ამრიგად, რუსეთის ფედერაციის მიერ მიღებული საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილება-ყირიმის ანექსია (დამოკიდებული ცვლადი) პირდაპირ კავშირშია ვლადიმერ პუტინის პიროვნულ თვისებებთან, მის გეოპოლიტიკურ ამბიციებთან (შუალედური ცვლადი), ასევე საერთაშორისო სისტემის ანარქიულ ბუნებასთან და სისტემაში ძალის განაწილებასთან (დამოკიდებული ცვლადი).

ბიბლიოგრაფია

Rose, G. Neoclassical Realism and Theories of Foreign Policy, World Politics, Vol. 51, No. 1, 1998.

ოხანაშვილი,ნ. საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი შიდა ფაქტორები, ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული, 2024.

Merezhko, O. Crimea's Annexation by Russia – Contradictions of the New Russian Doctrine of International Law, ZaöRV 75, 2015
https://www.zaoerv.de/75_2015/75_2015_1_a_167_194.pdf (წვდომა - 26.02.2025).

Mcglinchey, S. Walters, R. Scheinpflug, C. International Relations Theory, E-International Relations, Bristol, England, 2017.

ოხანაშვილი, ნ. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა), თსუ, 2018.

Putin: The collapse of the Soviet Union was the biggest geopolitical catastrophe,
https://www.youtube.com/watch?v=DpEjSsdvDW0 (access – 06.03.2025).

The borders of Russia do not end' says Putin at awards ceremony
https://www.youtube.com/watch?v=ou8mI_ce80s (access – 06.03.2025).

Michał Pietkiewicz, The Military Doctrine of the Russian Federation, Polish Political Science Yearbook, vol. 47(3), pp. 505–520, 2018.

8 Michał Pietkiewicz, The Military Doctrine of the Russian Federation, Polish Political Science Yearbook, vol. 47(3) (2018), pp. 505–520 P.513

საინფორმაციო-ფსიქოლოგიური დაპირისპირება საქართველოში

პეტრე გელაშვილი
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
თავდაცვისა და უსაფრთხოების
მიმართულების ასისტენტ პროფესორი,
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში საინფორმაციო და ფსიქოლოგიური დაპირისპირება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად იქცა. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვნად გააადვილა პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გავრცელება, რაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოებს, მათ ეროვნულ უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ სტაბილურობას. განსაკუთრებით აქტუალური გახდა ეს საკითხი პოსტ-საბჭოთა სივრცეში, სადაც პოლიტიკური და სოციალური პროცესები ხშირ შემთხვევაში საინფორმაციო მანიპულაციების სამიზნეა.

საქართველო, როგორც გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან რეგიონში მდებარე ქვეყანა, აქტიურად ექვემდებარება საინფორმაციო ომის სხვადასხვა ფორმას. საერთაშორისო და შიდა აქტორები იყენებენ ფსიქოლოგიურ ოპერაციებს, დეზინფორმაციულ კამპანიებსა და მანიპულაციურ სტრატეგიებს საზოგადოებრივი აზრის, პოლიტიკისა და სოციალურ პროცესებზე ზემოქმედებისთვის. საინფორმაციო-ფსიქოლოგიური დაპირისპირების მთავარი მიზანია საზოგადოების პოლარიზაცია, უნდობლობის გაღვივება და სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაცია, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს ქვეყნის შიდა დესტაბილიზაციას. ამ პროცესს განსაკუთრებით უწყობს ხელს სოციალურ ქსელებში ყალბი ინფორმაციის გავრცელება და საზოგადოებრივი განწყობების მანიპულირება, რაც ხშირად ხელს უშლის კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას და საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევას.

კვლევა მიმოიხილავს საინფორმაციო-ფსიქოლოგიური დაპირისპირების არსს, მიზნებსა და მეთოდებს საქართველოს კონტექსტში. ნაშრომი ეფუძნება როგორც თეორიულ კვლევებს, ისე კონკრეტული ქეისების ანალიზს, მათ შორის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საინფორმაციო ასპექტებს, 2019 წლის პროტესტების მანიპულაციურ მედიაკამპანიებსა და COVID-19-ის პანდემიის დროს გავრცელებულ დეზინფორმაციას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სოციალურ ქსელებსა და მათ როლს საინფორმაციო ოპერაციებში, რადგან ისინი დღეს ერთ-ერთ მთავარ პლატფორმას წარმოადგენენ პროპაგანდისა და მანიპულაციისთვის. ასევე განხილული იქნება საერთაშორისო გამოცდილება საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, რაც მოიცავს საკანონმდებლო რეგულაციებსა და მედია გარემოს განვითარებას. გარდა ამისა, ნაშრომი განიხილავს საინფორმაციო საფრთხეების იდენტიფიკაციისა და ნეიტრალიზაციის თანამედროვე სტრატეგიებს, მათ შორის სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების ჩართულობას ინფორმაციული უსაფრთხოების განმტკიცებაში.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ ფსიქოლოგიურ მექანიზმებს, რომელთა საშუალებითაც ხდება საზოგადოების მანიპულირება, მათ შორის შიშისა და გაურკვევლობის გამოყენებას სოციალური დესტაბილიზაციისთვის. ნაშრომი ასევე მიმოიხილავს დეზინფორმაციის გავრცელების მეთოდებს, როგორებიცაა ყალბი ახალი ამბების პლატფორმები, ბოტ-ქსელების გამოყენება და სოციალური მედიის ალგორითმების მანიპულირება. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საინფორმაციო

უსაფრთხოების გამკაცრების მექანიზმებს, როგორიცაა კიბერ-დაცვა, მონაცემთა დაცვის სტრატეგიები და საჯარო სივრცეში კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობა.

დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც მოიცავენ მედიაწიგნიეფრების განვითარებას, ყალბი ინფორმაციის იდენტიფიკაციისა და კრიტიკული აზროვნების უნარების გაძლიერების აუცილებლობას. ასევე, განხილულია კიბერუსაფრთხოების მექანიზმების დანერგვა, სტრატეგიული კომუნიკაციის გაძლიერება და სახელმწიფო ინსტიტუტების როლის გაზრდა საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას, რომელიც აქტიურად უნდა მონაწილეობდეს საინფორმაციო სტაბილურობის განმტკიცებაში და საზოგადოებრივი მედეგობის ამაღლებაში.

საკვანძო სიტყვები: საინფორმაციო ომი, ფსიქოლოგიური ოპერაციები, დეზინფორმაცია, პროპაგანდა, მედია მანიპულაცია, კიბერ უსაფრთხოება, საქართველო, პოლარიზაცია.

INFORMATIONAL AND PSYCHOLOGICAL WARFARE IN GEORGIA

Petre Gelashvili

Assistant Professor of Bachelor's Program in Defense and Security of LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, PhD in International Relations

Abstract

In the modern world, informational and psychological confrontation has become one of the main challenges against states and societies. The development of digital technologies has significantly facilitated the spread of propaganda and disinformation, posing threats to national security and social stability. This issue has become particularly relevant in the post-Soviet space, where political and social processes are often targeted by informational manipulations.

Georgia, as a country located in a geopolitically significant region, is actively subjected to various forms of information warfare. International and domestic actors employ psychological operations, disinformation campaigns, and manipulative strategies to influence public opinion, politics, and social processes. The primary goal of informational and psychological confrontation is to polarize society, foster distrust, and discredit state institutions, ultimately contributing to internal destabilization. This process is particularly reinforced by the spread of false information on social networks and the manipulation of public sentiments, which often hinder the formation of critical thinking and the achievement of social consensus.

The study examines the essence, goals, and methods of informational and psychological confrontation in the context of Georgia. The research is based on both theoretical studies and specific case analyses, including the informational aspects of the 2008 Russia-Georgia war, manipulative media campaigns during the 2019 protests, and disinformation spread during the COVID-19 pandemic. Special attention is given to social networks and their role in informational operations, as they have become one of the main platforms for propaganda and manipulation. The paper also reviews international experiences in countering informational and psychological warfare, including legislative regulations and the development of the media environment. Additionally, the study explores modern strategies for identifying and neutralizing informational threats, involving both state and non-state actors in strengthening informational security.

Particular attention is paid to the psychological mechanisms used to manipulate society, including the exploitation of fear and uncertainty to achieve social destabilization. The study also examines methods of disinformation dissemination, such as fake news platforms, the use of bot networks, and the manipulation of social media algorithms. Additionally, the paper highlights mechanisms for strengthening informational security, including cyber defense, data protection strategies, and the promotion of critical thinking in the public sphere.

The concluding section presents recommendations, including the development of media education, the identification of false information, and the enhancement of critical thinking skills. Furthermore, the implementation of cybersecurity mechanisms, the strengthening of strategic communication, and the increased role of state institutions in ensuring informational security are discussed. In this process, the active involvement of civil society is crucial, as it should play an active role in strengthening informational stability and enhancing societal resilience.

Keywords: information warfare, psychological operations, disinformation, propaganda, media manipulation, cybersecurity, Georgia, polarization.

შესავალი

საინფორმაციო-ფსიქოლოგიური დაპირისპირება თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ იქცა, რომელიც გავლენას ახდენს როგორც სახელმწიფო უსაფრთხოებაზე, ისე საზოგადოებრივ ცნობიერებაზე.[1,2] ციფრული და სხვა ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებამ და საინფორმაციო გარემოს გლობალიზაციამ გააადვილა მონაცემების (ცნობების) გავრცელება, რაც, ერთის მხრივ, მსოფლიო საზოგადოებას ახალ შესაძლებლობებს აძლევს, ხოლო მეორეს მხრივ, საფრთხეებს ქმნის დეზინფორმაციის, პროპაგანდისა და მანიპულაციის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, კაცობრიობის ისტორიის ამ ეტაპზე განსაკუთრებით გაიზარდა საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციებისა და მათ წინააღმდეგ გატარებული კონტრზომების როლი საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი აქტორების მიერ წარმოებული საგარეო და საშინაო პოლიტიკის მიმართულებით.[3]

ზემოთ ხსენებულ კონტექსტში ყურადღებას იმსახურებენ სხვადსხვა ქვეყნების მიერ საინფორმაციო-ფსიქოლოგიური დაპირისპირების სფეროში გამოყენებული ტაქტიკები და უნიკალური მეთოდები. კერძოდ:

- რუსეთის სტრატეგია – რუსეთი ფართოდ იყენებს „აქტიური ღონისძიებების“ (active measures) ტაქტიკას, რომელიც მოიცავს დეზინფორმაციის, ფსევდო-ანალიტიკური კვლევების, პროპაგანდისტული მედიისა და ჰაკერული თავდასხმების კომბინაციას;[4,5]
- ჩინეთის მეთოდები – ჩინეთი საინფორმაციო ომს ძირითადად ეკონომიკური და კულტურული გავლენის მოსაპოვებლად იყენებს, მათ შორის „რბილი ძალის“ საშუალებებით;[6]
- დასავლური სახელმწიფოების წინააღმდეგობის მექანიზმები – ნატოსა და ევროკავშირის ქვეყნები აქტიურად იკვლევენ და აძლიერებენ საინფორმაციო უსაფრთხოების სტრატეგიებს, მათ შორის მედია წიგნიერების პროგრამებისა და კიბერუსაფრთხოების გაუმჯობესების გზით.[7]

ნაშრომის მიზანია საქართველოს საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემოს შეფასება, საფრთხეების იდენტიფიკაცია და შესაძლო წინააღმდეგობის მექანიზმების განხილვა. კვლევა დაფუძნებულია როგორც თეორიულ, ისე ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის სხვადსხვა ეტაპზე განვითარებული კონკრეტული პრაქტიკული შემთხვევების ანალიზზე, რაც უფრო ნათლად წარმოაჩენს პრობლემის მასშტაბებსა და მისი დაძლევის შესაძლებლობებს.

ძირითადი ნაწილი

საქართველო, როგორც გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან რეგიონში მდებარე ქვეყანა, ხშირად ხდება საინფორმაციო ომის სამიზნე. საერთაშორისო და შიდა აქტორები მიზანმიმართულად იყენებენ სხვადასხვა მექანიზმებს საზოგადოებრივ აზრზე, პოლიტიკაზე და სოციალურ პროცესებზე გავლენის მოსახდენად. ეს პროცესი მოიცავს დეზინფორმაციის

1 თავდაცვის სამინისტრო, ფსიქოლოგიური (PSYOPS) და საინფორმაციო ოპერაციები, დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს შეიარაღებული ძალების მეთაურებისა და მათი თანაშემწეებისათვის, 2011:122

2 P. Pomerantsev, „This Is Not Propaganda: Adventures in the War Against Reality.“ Public Affairs. 2019.

3 ე. შუბითიძე, „საინფორმაციო ომის მეთოდების ტრანსფორმაცია თანამედროვე საკომუნიკაციო შესაძლებლობების განვითარების ფონზე,“ 2021.

4 K. Giles, „Handbook of Russian Information Warfare,“ NATO Defense College და Rid, T. (2020). Active Measures: The Secret History of Disinformation and Political Warfare. Farrar, Straus and Giroux, 2016.

5 КГБ-ს ყოფილი აგენტი იური ბეზმენოვი (1939-1993) საუბრობს ტვინის გამორეცხვის დიდ სქემაზე და აფრთხილებს ამერიკას, 08.03.2025

6 P., Gelashvili, „Interests of Foreign Countries in the Regions of Georgia Populated by Ethnic Minorities and their Impact on Demographic Situation and Stability in the South Caucasus“. BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 16, no. 1, pp 135-142, 2022.

7 NATO StratCom COE. „Robotrolling: The Impact of Automated Accounts on Social Media,“ 2018.

გავრცელებას, პროპაგანდისტული ნარატივების ჩამოყალიბებას და საზოგადოებრივი პოლარიზაციის გაღრმავებას. საინფორმაციო ოპერაციების ერთ-ერთი მთავარი მიზანია დემოკრატიული ინსტიტუტების დისკრედიტაცია, საზოგადოებაში შიშისა და გაურკვევლობის გაღვივება, რაც ხელს უწყობს საზოგადოებრივი კონტროლის შესუსტებას და პოლიტიკურ არასტაბილურობას. ამგვარი პროცესები არა მხოლოდ შიდა პოლიტიკური გამოწვევებია, არამედ რეგიონული უსაფრთხოების ნაწილიცაა, რაც დამატებით საფრთხეს უქმნის საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, რომელსაც სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთობები აქვს დასავლეთთან.[8,9]

ზემოთ მოყვანილი ვითარების ანალიზის პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოში საინფორმაციო-ფსიქოლოგიური დაპირისპირების სტრატეგიებისა და კონკრეტული ქეისების განხილვა.[10,11]

ხსენებული მოსაზრების კონკრეტიზაციის მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ქვეყანაში საინფორმაციო ომი, როგორც წესი სხვადასხვა ტაქტიკით ხორციელდება, რაც მიზნად ისახავს როგორც საქართველოს, ისე ახლო და არა მხოლოდ ახლო სამეზობლო საზოგადოებებზე ზემოქმედებას. კერძოდ:

- დეზინფორმაციის გავრცელება – ცრუ ინფორმაციის მასშტაბური გავრცელება სოციალურ ქსელებში და მედიაში;
- ფსიქოლოგიური ზემოქმედება – საზოგადოებრივი განწყობების მანიპულაცია შიშისა და სხვა ემოციების გამოყენებით;
- პროპაგანდისტული ნარატივების ჩამოყალიბება – საერთაშორისო დონეზე საქართველოს მიმართ ნეგატიური იმიჯის ფორმირება;
- სოციალური ქსელების გამოყენება – ყალბი ანგარიშებისა და ბოტ-ქსელების საშუალებით დეზინფორმაციის მასშტაბური გავრცელება და პოლიტიკური პროცესების მანიპულირება.

რაც შეეხება კონკრეტული ქეისების მიმოხილვას ამ მიმართულებით ნიშანდობლივია ქვემოთ მოყვანილი შემთხვევები:

➢ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონვენციური და საინფორმაციო (ჰიბრიდული) ომი

ტაქტიკა: დეზინფორმაციული კამპანიები, ყალბი მტკიცებულებები.

გავლენა: მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენა.

გაკვეთილები: საერთაშორისო მედიის დეზინფორმაციისადმი მდგრადობის ამაღლების აუცილებლობა.

➢ 2019 წლის პროტესტები და საინფორმაციო მანიპულაცია

ტაქტიკა: ყალბი ინფორმაციის გავრცელება სოციალურ მედიაში.

გავლენა: პოლიტიკური პოლარიზაციის გაღრმავება.

გაკვეთილები: სამოქალაქო მედეგობის გაძლიერების საჭიროება.

➢ COVID-19-ის პანდემია და დეზინფორმაცია

ტაქტიკა: კონსპირაციული თეორიების გავრცელება.

გავლენა: ვაქცინაციის დაბალი მაჩვენებლები.

გაკვეთილები: სამედიცინო განათლების და საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების საჭიროება.

---

8 Ibid. P., Gelashvili, 1, pp 135-142, 2022

9 P., Gelashvili „Impact of Cultural Civilization Component on National Security and Geopolitical Stability Examplified by Ethnic Minorities of Georgia.“ BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 18, no. 2, pp 187-192, 2024.

10 კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა, 2025.

11 ზ. ბატიაშვილი, „ყარსის ხელშეკრულება - მითები და რეალობა.“ საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2021.

- ეთნიკურ, რელიგიურ და პოლიტიკურ ნიადაგზე პოლარიზაცია

ეთნიკური პოლარიზაცია: მიზანმიმართული ნარატივები ეთნიკურ ჯგუფებზე.
რელიგიური პოლარიზაცია: რელიგიურ თემებზე პროპაგანდის გაძლიერება.
პოლიტიკური პოლარიზაცია: პარტიული დაპირისპირების გაღრმავება.
მედიაკონტენტის მანიპულაცია: დეზინფორმაციული წყაროების გამოყენება პოლიტიკურ დაპირისპირებაში.

დასკვნები და რეკომენდაციები

საინფორმაციო-ფსიქოლოგიური დაპირისპირება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მასთან გამკლავება მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც მოიცავს:

- მედია წიგნიერების ამაღლებას – მოქალაქეების უნარების განვითარება, რათა მათ შეძლონ კრიტიკული აზროვნება და დეზინფორმაციის ამოცნობა.
- კიბერუსაფრთხოების გაძლიერებას – მონაცემთა დაცვის მექანიზმების გაუმჯობესება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კიბერშეტევების საფრთხეებთან დაკავშირებით.
- საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობას – გლობალური გამოცდილების გაზიარება და კოორდინირებული მოქმედებები საინფორმაციო ომის წინააღმდეგ.
- სტრატეგიული კომუნიკაციის გაძლიერებას – სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების როლის ამაღლება საინფორმაციო უსაფრთხოების მიმართულებით.
- მედიის დამოუკიდებლობის ხელშეწყობას – ობიექტური და სანდო საინფორმაციო წყაროების მხარდაჭერა, რათა მოსახლეობამ მიიღოს სანდო ინფორმაცია.
- საზოგადოების მედეგობის ამაღლებას – კრიტიკული აზროვნების წახალისება და განათლების სისტემაში საინფორმაციო ომის თემის შემოტანა.

საბოლოოდ, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური დაპირისპირების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოების აქტიური ჩართულობა. საქართველოსთვის პრიორიტეტი უნდა იყოს ინფორმაციული გარემოს სტაბილიზაცია და საზოგადოებრივი მედეგობის ამაღლება, რაც უზრუნველყოფს დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებასა და ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერებას.

ბიბლიოგრაფია

ბატიაშვილი, ზ. (2021). ყარსის ხელშეკრულება - მითები და რეალობა. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. ხელმისაწვდომია: https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Georgian--2957.pdf უკანასკნელად გადამოწმდა 08.03.2025;

დეზინფორმაციის გავრცელება საქართველოში სახელმწიფოს მიდგომა და ბრძოლის გზები. ხელმისაწვდომია: https://transparency.ge/sites/default/files/a42mm-18pgcover_2.pdfუკანასკნელად გადამოწმდა 08.03.2025;

დეზინფორმაციის კვლევა და გაუნველყოფა საქართველოში. ხელმისაწვდომია: (https://eprc.ge/wp-content/uploads/2022/02/georgian_a5_size-up.pdf უკანასკნელად გადამოწმდა 08.03.2025;

კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა. ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/informational-war-of-kremlin-against-georgia-the-necessity-of-having-state-policy-against-propaganda უკანასკნელად გადამოწმდა 08.03.2025;

კრემლის 10 დეზინფორმაცია COVID-19-ის შესახებ საქართველოში. ხელმისაწვდომია: https://isfed.ge/geo/sotsialuri-mediis-monitoringi/kremlis-10-dezinformatsia-COVID-19-is-shesakheb-saqartveloshi უკანასკნელად გადამოწმდა 08.03.2025;

ფსიქოლოგიური (PSYOPS) და საინფორმაციო ოპერაციები, დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს შეიარაღებული ძალების მეთაურებისა და მათი თანაშემწეებისათვის. თბილისი. თავდაცვის სამინისტრო. 2011. 122 გვ;

შუბითიძე, ე. (2021). საინფორმაციო ომის მეთოდების ტრანსფორმაცია თანამედროვე საკომუნიკაციო შესაძლებლობების განვითარების ფონზე

Gelashvili, P. (2022) Interests of Foreign Countries in the Regions of Georgia Populated by Ethnic Minorities and their Impact on Demographic Situation and Stability in the South Caucasus. BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 16, no. 1, pp 135-142;

Gelashvili, P. (2024) Impact of Cultural Civilization Component on National Security and Geopolitical Stability Examplified by Ethnic Minorities of Georgia. BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 18, no. 2, pp 187-192;

Giles, K. (2016). Handbook of Russian Information Warfare. NATO Defense College და Rid, T. (2020). Active Measures: The Secret History of Disinformation and Political Warfare. Farrar, Straus and Giroux;

NATO StratCom COE. (2018). Robotrolling: The Impact of Automated Accounts on Social Media;

Pomerantsev, P. (2019). This Is Not Propaganda: Adventures in the War Against Reality. PublicAffairs;

КГБ-ს ყოფილი აგენტი იური ბეზმენოვი (1939-1993) საუბრობს ტვინის გამორეცხვის დიდ სქემაზე და აფრთხილებს ამერიკას. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=914708362557259 უკანასკნელად გადამოწმდა 08.03.2025.

კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა. ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/informational-war-of-kremlin-against-georgia-the-necessity-of-having-state-policy-against-propaganda უკანასკნელად გადამოწმდა 08.03.2025

აშშ-ის ახალი ხედვა ტექნოლოგიური განვითარებისთვის

თორნიკე ზედელაშვილი

იუსტიციის სამინისტროს ციფრული მმართველობის სააგენტოს
ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომელი,
ინტერნეტგამოცემა „ლიდერის“ დამფუძნებელი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
https://orcid.org/0000-0003-2630-1779

აბსტრაქტი

ამერიკის შეერთებული შტატები ფოკუსირებულია ტექნოლოგიური უპირატესობის წინსვლაზე, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით. დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია მუშაობს მარეგულირებელი ბარიერების შემცირებაზე ხელოვნური ინტელექტისა და სხვა ტექნოლოგიების წინსვლის დასაჩქარებლად. მაგალითად, ტრამპმა გააუქმა ჯო ბაიდენის ბრძანებულებები, სადაც იყო მოთხოვნები, ჩატარებულიყო უსაფრთხოების ტესტირება მაღალი რისკის სისტემებისთვის. ბრძანებულებების გაუქმება ხელს უწყობს უფრო თავისუფალი ბაზრის წარმოქმნას.

ამერიკული მეგაკომპანია Microsoft-ის ბოლო დროიის საქმიანობა ორიენტირებულია სამ ძირითად საკითხზე: „კონკურენტუნარიანი ხელოვნური ინტელექტის ინფრასტრუქტურის განვითარება, სამუშაო ძალის მომზადება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისთვის და ამერიკული ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გლობალური არსებობის გაფართოება“.[1]

Microsoft-ის განცხადების თანახმად, კომპანიამ “2025 წელს უნდა განახორციელოს 80 მილიარდი დოლარის ინვესტიცია ხელოვნური ინტელექტის მხარდაჭრისთვის, ეს არ ეხება მხოლოდ აშშ-ს, მოიცავს ევროპისა და აზიის ქვეყნებსაც”.[2] აღნიშნული გეგმა ასევე ორიენტირებულია საზოგადოებისთვის სანდო ხელოვნური ინტელექტის შემუშავებაზე, კიბერუსაფრთხოების, კონფიდენციალურობისა და ციფრული უსაფრთხოების დაცვაზე.

საკვანძო სიტყვები: აშშ, ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი, კიბერუსაფრთხოება, გლობალიზაცია, ეთიკა.

1 J. Novet, Microsoft expects to spend $80 billion on AI-enabled data centers in fiscal 2025”, p. 1, 2025. https://www.cnbc.com/2025/01/03/microsoft-expects-to-spend-80-billion-on-ai-data-centers-in-fy-2025.html#:~:text=Microsoft%20expects%20to%20spend%20%2480%20billion%20in%20fiscal%202025%20on,and%20President%20Brad%20Smith%20wrote.

2 Ibid.

THE US'S NEW VISION FOR TECHNOLOGICAL DEVELOPMENT

Thornike Zedelashvili

Doctor of Political Sciences,
employee of the Ministry of Justice, of the Digital Governance Agency,
Department of Information Security, founder of the Internet publication "Leader" (lideri.ge),
Invited lecturer of the Caucasus International University.
https://orcid.org/0000-0003-2630-1779

Abstract

The United States is focused on advancing its technological leadership, particularly in artificial intelligence. The Trump administration is working to reduce regulatory barriers to the advancement of artificial intelligence and other technologies. For example, Trump has rescinded Joe Biden's executive orders that required security testing for high-risk systems. The repeal of executive orders is helping to create a freer market.

The recent activities of American mega-company Microsoft are focused on three main issues: "developing a competitive AI infrastructure, training the workforce to use AI, and expanding the global presence of American AI technologies."[3]

According to Microsoft's statement, the company "will invest $80 billion by 2025 to support AI, not just in the United States, but also in Europe and Asia."[4] The plan also focuses on developing trustworthy artificial intelligence for society, protecting cybersecurity, privacy, and digital security.

Keywords: USA, Technology, Artificial Intelligence, Cybersecurity, Globalization, Ethics

3 Ibid. J. Novet, 2025..
4 Ibid.

შესავალი

თეთრ სახლში დონალდ ტრამპის დაბრუნებამ შექმნა უფრო ხელსაყრელი გარემო დიდი ტექნიკური კომპანიებისთვის. როგორც ვიხილეთ, ტრამპის ინაუგურაციას დაესწრნენ მეგატექნოლოგიური კომპანიების მთავარი წარმომადგენლები, მათ შორის კომპანია Meta-ს დამფუძნებელი და ხელმძღვანელი მარკ ცუკერბერგი, ეს მიუთითებდა იმაზე, რომ მთავრობასა და ტექნიკურ ინდუსტრიას შორის განახლებული პარტნიორული დამოკიდებულება ჩამოყალიბდებოდა. ეს თანამშრომლობა მიზნად ისახავს ამერიკული ინოვაციების წინსვლას და მთავრობის ოპერაციების გამარტივებას ტექნოლოგიური ინტეგრაციის გზით. ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიო მასშტაბით, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, წარმოადგენს ნომერ პირველ ქვეყანას, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით არის მოწინავე. როგორც აღვნიშნეთ, დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია მუშაობს მარეგულირებელი ბარიერების შემცირებაზე ხელოვნური ინტელექტისა და სხვა ტექნოლოგიების წინსვლის დასაჩქარებლად.

ძირითადი ნაწილი

ტრამპის ახალი ტექნოლოგიური პოლიტიკა ასევე ორიენტირებულია შიდა ტექნოლოგიურ დომინირებაზე, რაც გულისხმობს მნიშვნელოვან ინვესტიციებს ხელოვნური ინტელექტის ინფრასტრუქტურის, მონაცემთა ცენტრებისა და კვლევების ჩატარება-განვითარებაში. დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ ხელი შეუწყო სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ რეფორმებს, კომუნიკაციების წესიერების კანონის 230-ე მუხლი, რომელიც ონლაინ პლატფორმების საქმიანობას არეგულირებს ადამიანის თავისუფალი გამოხატვის ნაწილში, გადის მნიშვნელოვან შემოწმებას. მიზანი არის ის, რომ ,,მოხდეს მისი შეცვლა და ჩასწორებულმა 230-ე მუხლმა განსაზღვროს შემცირება შინაარსის მოდერაციის, რაც ხელს შეუწყობს სიტყვის თავისუფლების გამოხატვას".[5] ასევე ხდება ისეთი საკანონმდებლო რეგულაციების გადახედვა, როგორიცაა „პლატფორმის ანგარიშვალდებულებისა და მომხმარებელთა გამჭვირვალობის აქტი", „Safe Tech აქტი" და სხვ. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ საზოგადოებაში გამოიწვია როგორც მხარდაჭერა, ასევე კრიტიკა. მომხრეების აზრით, დერეგულაცია ხელს უწყობს ინოვაციებსა და ეკონომიკურ ზრდას, ხოლო კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ეს გამოიწვევს დეზინფორმაციის გაძლიერებას და უსაფრთხოებას შეუქმნის პრობლემებს.

იმ მოსაზრების უფრო მეტად გასამყარებლად, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ტექნოლოგიური განვითარების ხედვა ვითარდება, შეგვიძლია უამრავი ფაქტი წარმოვადგინოთ: მაგალითად, შეინიშნება მთავრობისა და მსხვილი ტექნოლოგიური კომპანიების უფრო მეტად დაახლოება, მათ შორის არის კომპანია Meta, მისი სოციალური ქსელი Facebook-ი და სხვა პლატფორმები.

Meta-ს აღმასრულებელმა დირექტორმა, მარკ ცუკერბერგმა განაცხადა, რომ მისი სურვილია, აქტიური როლი ითამაშოს დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში ტექნოლოგიური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. მისი მიზანია, გავლენა მოახდინოს რეგულაციებზე, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით, რომელიც გულისხმობს კონტენტის ზომიერებას და წარსულში დაშვებული შეცდომების აღიარებას, მათ შორის ,,კოვიდ 19''-თან დაკავშირებულ ინფორმაციას.

დონალდ ტრამპის ადმინისტრაციასთან კავშირების გაძლიერების მიზნით "Me-

5 Explained Desk, "Under new Trump administration, questions around Section 230 and social media regulation", p. 1, 2025. https://indianexpress.com/article/explained/explained-sci-tech/trump-admin-section-230-social-media-9783981/

ta-მ 1 მილიონი დოლარის შემოწირულობა გაიღო ტრამპის ინაუგურაციის ფონდში".[6] ხოლო ინაუგურაციაზე ცუკერბერგის დასწრება ხაზს უსვამს, რომ მას სურს, გავლენა მოახდინოს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ტექნოლოგიური ხედვის პოლიტიკაზე. სტრატეგიული ჩართულობა ასახავს ინდუსტრიის უფრო ფართო ტენდენციას, რომელიც შეესაბამება სამთავრობო დღის წესრიგს ტექნიკური კომპანიებისთვის ხელსაყრელი შედეგების შესაქმნელად.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ ასევე იმ ადამიანზე, როგორიც გახლავთ ილონ მასკი. ეს პერსონა, შეიძლება ითქვას, ბევრისთვის ამოუცნობია, მისი საქმიანობა, იდეები და მიზნები ტექნოლოგიური თვალსაზრისით სრულიად ცვლის არა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების ტექნოლოგიურ მიღწევებს, არამედ მთელ მსოფლიოს აყენებს სხვა რეალობის წინაშე. მაგალითად, როდესაც ილონ მასკმა კომპანია Tesla დააარსა, ამით მან რევოლუცია მოახდინა ელექტრომობილებთან მიმართულებით. ასეთივე რევოლუციურია მისი კომპანია SpaceX, რომელიც მარსის კოლონიზაციას ისახავს მიზნად. საერთოდ, მასკის კომპანიები ფოკუსირებულია მდგრადობასა და ტექნოლოგიური საზღვრების გადალახვაზე. მისი მნიშვნელოვანი პროექტებია: Neuralink (ტვინისა და კომპიუტერის ინტერფეისების შექმნა, მაგალითები უკვე გვაქვს), The Boring Company, რაც გულისხმობს გვირაბის მშენებლობას ურბანული ტრანსპორტისთვის და ასევე Starlink გლობალური სატელიტურ ინტერნეტს, რომელიც დახმარებას უწევს უკრაინას უკვე მესამე წელია ომის ველზე. შესაბამისად, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგია, ასევე ილონ მასკის მცდელობა ხაზს უსვამს ინოვაციისადმი ერთგულებას, თუმცა სანამ აშშ ფოკუსირებულია ეროვნულ და გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე, შეიძლება ითქვას, ილონ მასკის პროექტები ხშირად მიზნად ისახავს ეგზისტენციალური გამოწვევების მოგვარებას და კაცობრიობის მომავლის ხელახლა განსაზღვრას. მის საქმიანობაში არის რიგი გამოწვევები, რომელზეც შეგვიძლია გავამახვილოთ ყურადღება:

- ტექნიკური - SpaceX-ისთვის მრავალჯერადი გამოყენებადი რაკეტების შემუშავება და Tesla-ს ელექტრო მანქანების ტექნოლოგიის განვითარება, რომელიც მოითხოვს უახლესი ინოვაციების შემუშავებას და მნიშვნელოვანი კვლევის ჩატარებას.
- ფინანსური - SpaceX-ისა და Tesla-ს დროგამოშვებით აქვთ ფინანსური პრობლემები, რის გამოც ილონ მასკი იძულებულია, ჩადოს საკუთარი ფული ამ კომპანიების შესანარჩუნებლად.
- მარეგულირებელი - SpaceX-ს ექმნება პრობლემები მარეგულირებელი შემოწმების, რაკეტების გაშვებისა და გარემოსდაცვითი პრობლემების თვალსაზრისით, ხოლო Tesla დროდადრო გადის საავტომობილო რეგულაციების დაცვის ტესტირებებს.
- სამართლებრივი - ილონ მასკის, როგორც პერსონის მიმართ ინტერესი ძალიან დიდია საზოგადოებაში და ის, რა თქმა უნდა, ყურადღებას იქცევს - სოციალურ მედიაში მისი ყოფნა და ყოველდღიურ რეჟიმში პოსტების გამოქვეყნება იურიდიულ პრობლემებთან და ამავდროულად კრიტიკასთან არის დაკავშირებული.
- კონკურენტული - Tesla-ს დროთა განმავლობაში კიდევ უფრო მზარდ კონკურენციაში მოუწევს ჩაბმა ელექტრომობილების ბაზარზე, ხოლო SpaceX-ს მოუწევს სხვა საჰაერო კოსმოსურ კომპანიებთან კონკურენციის გაწევა, რომლებიც ასევე ისეთი მიზნების განხორციელებას ისახავენ, როგორიც ილონ მასკს აქვს.

მიუხედავად ამ დაბრკოლებებისა, ილონ მასკის პერსონა დიდ ზეგავლენას ახდენს როგორც

6 E.Buchwald, "Meta donates $1 million to Trump's inaugural fund in latest step to mend relationship", p. 1, 2024. https://edition.cnn.com/2024/12/11/tech/meta-trump-donation-hnk-intl/index.html

ტექნოლოგიურ რეგულაციებზე, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაზე, იგი ამჟამად გახლავთ აშშ-ის მთავრობის ეფექტურობის ხელმძღვანელი. შესაბამისად, მისი მტკიცე ხასიათი და ინოვაციური მიდგომები მას საშუალებას აძლევს, წარმატებით გადალახოს დაბრკოლებები.

ამერიკის შეერთებულ შტატები გლობალურ კონკურენციაშია ჩართული ახალი ტექნოლოგიურიგანვითარებისთვალსაზრისითსხვადასხვაქვეყნებთან-ყველაზეთვალსაჩინო კონკურენციას კი მას ჩინეთი უწევს. მართალია, მათ განსხვავებული მიდგომები აქვთ ახალი ტექნოლოგიურიგანვითარებისთვალსაზრისით,მაგრამმსოფლიოშიპირველ-მეორეადგილებს მაინც იყოფენ. მაგალითად, აშშ-ის ახალი ტექნოლოგიებისადმი პოლიტიკური ხედვა ასეთია - ეს ქვეყანა პრიორიტეტად მიიჩნევს პასუხისმგებლობას და ეთიკური ნორმების დაცვას ახალი ტექნოლოგიების გამოყენებისას, ყველაფერი ორიენტირებული უნდა იყოს გამჭვირვალობაზე, კონფიდენციალურობასა და უსაფრთხოებაზე. ასევე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია გლობალური თანამშრომლობა, პარტნიორობა მოკავშირეებთან. საყურადღებოა სამუშაო ძალის განვითარება, რომელიც გულისხმობს ინვესტიციების განხორციელებას განათლებასა და უნარების პროგრამებში. ასევე, სამხედრო და თავდაცვით სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება გადაწყვეტილების მიღებისა და ოპერატიული ეფექტურობისთვის. აშშ-ისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური მიმართულებით ლიდერობა, ამისთვის საჭიროა ინოვაციების წახალისება კომპანიების მეშვეობით, როგორიცაა Microsoft-ი, Google-ი, OpenAI და სხვ.

რაც შეეხება ჩინეთს, მისი ახალი ტექნოლოგიების პოლიტიკური შეხედულებები განსხვავდება აშშ-ის სტრატეგიულ მიმართულებებთან. ჩინეთის ხელოვნური ინტელექტის სტრატეგია უფრო ცენტრალიზებული და ამბიციურია, რომელიც მიზნად ისახავს გლობალური ლიდერობის მიღწევას 2030 წლისთვის. ჩინეთს პრიორიტეტად აქვს დასახული მსხვილი სახელმწიფო ინვესტიციების განხორციელება ხელოვნური ინტელექტის კვლევასა და განვითარებაში, AI საშუალებით დიდი მონაცემების დამუშავება და გამოყენება, ხელოვნური ინტელექტის განათლების გაფართოება და ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის ფონდის შექმნა, ავტონომიური სისტემების განვითარება და სხვ.

აშშ ფოკუსირებულია ეთიკურ ჩარჩოებსა და თანამშრომლობაზე, ხოლო ჩინეთი პრიორიტეტს ანიჭებს სწრაფ ინოვაციას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ახალი ტექნოლოგიური მისწრაფებები დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობებზე, ასევე გლობალური ძალაუფლების დინამიკაზე, ალიანსებსა და კონკურენციაზე. ამის ფონზე აშშ ცდილობს, გააძლიეროს პარტნიორობა იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან. იმის მიუხედავად, რომ არსებობს კონკურენცია, ასევე არსებობს თანამშრომლობის სივრცეც ისეთ სფეროებში, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ჯანდაცვა და გლობალური უსაფრთხოება, სადაც ქვეყნების დიდი ნაწილი თანხმდება, რომ ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია საერთო გამოწვევების მოგვარება.

დასკვნა

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ახალი ხედვა ტექნოლოგიური განვითარებისთვის სულ უფრო იძენს ისეთ სახეს, რომ თანამშრომლობის გარეშე რთულია რაიმე ღირებული შედეგის მიღება. იგულისხმება თანამშრომლობა ტექნოლოგიურ მეგაკომპანიებთან. აღნიშნული პარტნიორობა გავლენას ახდენს პოლიტიკის ფორმირებაზე, შინაარსის ზომიერების პრაქტიკასა და მარეგულირებელ ჩარჩოებზე, რაც მიუთითებს მთავრობასა და ტექნოლოგიების სექტორებს შორის უფრო ინტეგრირებული ურთიერთობისკენ.

ბიბლიოგრაფია

Novet J., Microsoft expects to spend $80 billion on AI-enabled data centers in fiscal 2025", p. 1, 2025. https://www.cnbc.com/2025/01/03/microsoft-expects-to-spend-80-billion-on-ai-data-centers-in-fy-2025.html#:~:text=Microsoft%20expects%20to%20spend%20%2480%20billion%20in%20fiscal%202025%20on,and%20President%20Brad%20Smith%20wrote.

Explained Desk, "Under new Trump administration, questions around Section 230 and social media regulation", p. 1, 2025. https://indianexpress.com/article/explained/explained-sci-tech/trump-admin-section-230-social-media-9783981/

Buchwald E., "Meta donates $1 million to Trump's inaugural fund in latest step to mend relationship", p. 1, 2024. https://edition.cnn.com/2024/12/11/tech/meta-trump-donation-hnk-intl/index.html

ნატოს კრიზისი და ძალაუფლების გადანაწილება მსოფლიო პოლიტიკაში

ვიცე პოლკოვნიკი ლევანი გოზალიშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების უფროსი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია აანალიზებს ნატოს კრიზისს და მის გავლენას გლობალურ უსაფრთხოებაზე. ნაშრომი იწყება ნატოს შიგნით არსებული უთანხმოებების მიმოხილვით, განსაკუთრებით თავდაცვის ხარჯების განაწილებასა და გეოპოლიტიკური ინტერესების სხვადასხვაობაზე ფოკუსირებით. ნაშრომის პირველი ნაწილი დეტალურად განიხილავს აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკის გავლენას ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებზე 2025 წლის დასაწყისში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის პოლიტიკას, რომელიც მოიცავს რუსეთთან დაახლოების მცდელობას, უკრაინის მხარდაჭერის შემცირებას და ევროპული დემოკრატიის კრიტიკას. სტატიის მეორე ნაწილი ფოკუსირდება მსოფლიო პოლიტიკაში ძალაუფლების გადანაწილებაზე, აშშ-ის, რუსეთისა და ჩინეთის ექსპანსიონისტურ ამბიციებზე და ე.წ. "ახალი იმპერიების ეპოქის" ჩამოყალიბებაზე. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ნატოს კრიზისი და ტრანსატლანტიკური ერთიანობის შესუსტება აჩქარებს მსოფლიო ძალთა გადაჯგუფებას, სადაც მცირე ქვეყნების დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება სერიოზული საფრთხის წინაშე დგება. ნაშრომი ბოლოს წარმოდგენილია რეკომენდაციები დასავლეთისთვის, რომელიც მოიცავს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, ტრანსატლანტიკური კავშირების განმტკიცებას და მცირე დემოკრატიული ქვეყნების მხარდაჭერას.

საკვანძო სიტყვები: ნატო, კრიზისი, გლობალური უსაფრთხოება, ძალაუფლების გადანაწილება, აშშ-ის საგარეო პოლიტიკა, ტრანსატლანტიკური ურთიერთობები.

NATO CRISIS AND THE REDISTRIBUTION OF POWER IN WORLD POLITICS

LIEUTENANT COLONEL LEVAN GOZALISHVILI

David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia
Chief of Master Program in Security Study,
Doctoral student of Technical University of Georgia

Abstract

This article analyzes the NATO crisis and its impact on global security. The Article begins with an overview of disagreements within NATO, focusing particularly on the distribution of defense expenditures and differences in geopolitical interests. The first part of the paper examines in detail the impact of US President Donald Trump's administration's policies on transatlantic relations in early 2025, with special attention given to the new US administration's policies, which include attempts to improve relations with Russia, reduce support for Ukraine, and criticize European democracy.

The second part of the article focuses on the redistribution of power in world politics, the expansionist ambitions of the US, Russia, and China, and the formation of the so-called "era of new empires." The research has established that NATO's crisis and the weakening of transatlantic unity accelerates the regrouping of world powers, where the independence and security of small countries face serious threats. The paper concludes with recommendations for the West, which include strengthening democratic institutions, reinforcing transatlantic ties, and supporting small democratic countries.

Keywords: NATO, crisis, global security, power redistribution, US foreign policy, transatlantic relations.

შესავალი

ნატოს (ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია) კრიზისი თანამედროვე გლობალური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ალიანსის შიგნით არსებული უთანხმოებები, წევრი ქვეყნების განსხვავებული ინტერესები და გარე ფაქტორები ნატოს ერთიანობასა და ეფექტურობაზე გავლენას ახდენს. ამ კრიზისის ფონზე, მსოფლიო პოლიტიკაში ძალაუფლების გადანაწილების პროცესები აქტიურდება, რაც გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს.

ნატოს შიგნით არსებული კრიზისი რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. პირველ რიგში, წევრი ქვეყნების შორის თავდაცვის ხარჯების განაწილებაზე არსებული უთანხმოებები ალიანსის შიგნით დაძაბულობას იწვევს. ამერიკის შეერთებული შტატები ხშირად გამოხატავს უკმაყოფილებას, რომ ევროპელი პარტნიორები საკმარისად არ აფინანსებენ საკუთარ თავდაცვას, რაც აშშ-ის დამატებით ტვირთია.[1] ალიანსის ერთიანობას ასევე საფრთხეს უქმნის ნატოს წევრი ქვეყნების გეოპოლიტიკური ინტერესების განსხვავებულობა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, განსაკუთრებით ბალტიისპირეთის სახელმწიფოები, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეს განსაკუთრებულად აღიქვამენ და ნატოსგან უფრო აქტიურ მხარდაჭერას მოითხოვენ, მაშინ როდესაც დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა უფრო ფრთხილ და დიპლომატიურ მიდგომას ანიჭებს უპირატესობას.[2]

დონალდ ტრამპის აშშ-ის პრეზიდენტად დაბრუნების შემდეგ ევროკავშირი სერიოზული გამოწვევების წინაშე დადგა. მხოლოდ რამდენიმე კვირაში ტრამპმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ატლანტიკურ ურთიერთობებში. მან ცალმხრივად დაუწესა ტარიფები ევროპულ პროდუქციას, დაიწყო პირდაპირი მოლაპარაკებები რუსეთთან უკრაინის საკითხზე და წამოაყენა სადაო გეგმა ღაზას კრიზისის მოსაგვარებლად - ყველაფერი ეს ევროკავშირთან კონსულტაციების გარეშე. ტრამპის ქმედებები მიანიშნებს, რომ ის არ განიხილავს ევროკავშირს როგორც თანასწორ პარტნიორს და ცდილობს ინდივიდუალურად იმუშაოს ცალკეულ ევროპულ ქვეყნებთან, რაც საფრთხეს უქმნის ევროპულ ერთიანობას. განსაკუთრებით პრობლემატურია უკრაინის საკითხი, სადაც ევროკავშირი უმსხვილესი დონორია, თუმცა სამშვიდობო მოლაპარაკებებიდან ფაქტიურად იზოლირებულია. ევროპელი ლიდერები და ექსპერტები მოუწოდებენ ევროკავშირს უფრო გაბედული და ერთიანი პოლიტიკისკენ. ყოფილი საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელი ჟოზეფ ბორელი აცხადებს, რომ ევროპამ უნდა გააძლიეროს ერთიანობა და აიღოს მეტი პასუხისმგებლობა საკუთარ უსაფრთხოებაზე. თუმცა, ამ ეტაპზე ევროკავშირის რეაქცია ფრთხილია - განსაკუთრებით სავაჭრო საკითხებში, სადაც არსებობს შიში, რომ მკაცრმა პასუხმა შეიძლება კიდევ უფრო გააუარესოს სიტუაცია.

ზემოაღნიშნული მოვლენები შეიძლება აღმოჩნდეს გარდამტეხი მომენტი ევროპული ინტეგრაციისთვის. ევროკავშირს მოუწევს გადაწყვიტოს - გააგრძელოს ფრთხილი პოლიტიკა თუ აირჩიოს უფრო დამოუკიდებელი კურსი. ამ გადაწყვეტილებაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული - როგორც ევროკავშირის მომავალი, ასევე საერთაშორისო წესრიგის ფორმირება. მოსალოდნელია, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში გაგრძელდება დაძაბულობა ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს კრიზისი შეიძლება გახდეს სტიმული ევროკავშირის უფრო მჭიდრო პოლიტიკური და სამხედრო ინტეგრაციისთვის. ევროპა დადგა არჩევანის წინაშე - ან უნდა გაძლიერდეს და გახდეს დამოუკიდებელი გლობალური მოთამაშე, ან დარჩეს მეორეხარისხოვან როლში საერთაშორისო არენაზე.

1 M. Poelmans, "Europa ante el terremoto Trump: es la hora de la unidad y es la hora de la acción," Huffington Post, 15 თებერვალი, 2025,

2 Trump 'will WITHDRAW US troops from Nato's Russia frontline in Baltics in bombshell Ukraine peace agreement with Putin'," The Sun, 17 თებერვალი, 2025,

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შიგნით არსებული დაპირისპირებები და წინააღმდეგობები მნიშვნელოვნად აჩქარებს მსოფლიო პოლიტიკური ძალების გადაჯგუფების პროცესს. ალიანსის სიძლიერე პირდაპირ კავშირშია მისი წევრების უნართან, გვერდზე გადადონ შიდა უთანხმოებები და ერთიანი ძალისხმევით უზრუნველყონ კოლექტიური უსაფრთხოება. ამ მხრივ, გადამწყვეტია ვაშინგტონისა და ევროკავშირის პოზიცია, მაშინ როცა მოსკოვისა და პეკინის მზარდი გავლენა დამატებით საფრთხეს უქმნის საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემას.

სტატიაში განვიხილავთ ნატოს კრიზისის გამომწვევ მიზეზებს, ევროკავშირის რეაგირებას ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ-ის) პოლიტიკაზე და მოკლედ შევეხებით ძალაუფლების გადანაწილებას მსოფლიო პოლიტიკაში.

ძირითადი ნაწილი

ნატოს შიდა კრიზისი და ევროკავშირის რეაქცია

პირველ რიგში აღსანიშნავია აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის პოლიტიკა. 2025 წლის თებერვალში აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიკვეთა. დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პირველივე თვეში, მან 90-წუთიანი სატელეფონო საუბარი გამართა ვლადიმირ პუტინთან, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პრეზიდენტის წინააღმდეგ მოქმედებს საერთაშორისო სანქციები და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაპატიმრების ორდერი. ტრამპმა არა მხოლოდ დიალოგი წამოიწყო პუტინთან, არამედ მხარი დაუჭირა რუსეთის G7-ში დაბრუნებას და დაიწყო უპირობო მოლაპარაკებები საუდის არაბეთში, სადაც არც უკრაინის და არც ევროპელი პარტნიორების წარმომადგენლები არ იყვნენ მიწვეული. პარალელურად, ადმინისტრაციამ დაიწყო უკრაინის პრეზიდენტის დისკრედიტაცია, აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპი ზელენსკის მოიხსენიებდა “დიქტატორად”, მაშინ როცა რუსეთის პრეზიდენტი პუტინის მიმართ მსგავსი კრიტიკა არ გაჟღერებულა. მართალია, შემდგომში ტრამპმა უარყო, რომ არ ახსოვდა მას, თუ ზელენსკი ,,დიქტატურად'' მოიხსენია, თუმცა ჯერჯერობით ამას რაიმე არსებითი დადებითი შედეგები არ მოჰყოლია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აშშ-ის თავდაცვის მდივნის განცხადებები, რომლებმაც ფაქტობრივად აღიარეს უკრაინის ტერიტორიული დანაკარგები და უარყვეს ქვეყნის ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა. ამასთან, გამოირიცხა აშშ-ს ჯარების უკრაინაში გაგზავნის შესაძლებლობა და შეიზღუდა ნატოს მე-5 მუხლის მოქმედება, იმ შემთხვევაში თუ უკრაინაში განთავსდებიან ალიანსის წევრი ქვეყნების სამხედროები. ასევე, ევროპულ პოლიტიკაში ტრამპის ადმინისტრაცია აქტიურად უჭერს მხარს ულტრამემარჯვენე ძალებს, განსაკუთრებით გერმანიაში, სადაც მისი მოკავშირე ილონ მასკი ღიად უჭერს მხარს ალტერნატივა გერმანიისთვის (AfD) პარტიას. პარალელურად მიმდინარეობს ევროპული დემოკრატიის კრიტიკა და ტრანსატლანტიკური ერთიანობის შესუსტება. გარადა ამისა, ადმინისტრაციამ ასევე შეწყვიტა დემოკრატიის მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება, რაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო კრემლის კრიტიკის საგანი.[3] ამ ყველაფერმა გამოიწვია სერიოზული შეშფოთება როგორც ევროპელ პარტნიორებში, ისე აშშ-ს პოლიტიკურ წრეებში, რადგან აშკარად იკვეთება ამერიკის საგარეო პოლიტიკის მკვეთრი ცვლილება რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ. სიტუაციის სიმძიმეს ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ ტრამპმა არა მხოლოდ გამოხატა მზადყოფნა პუტინთან თანამშრომლობისთვის, არამედ, მიუხედავად არსებული საერთაშორისო სანქციებისა დაიწყო საუბარი სამომავლო საინვესტიციო პროექტებზე, განსაკუთრებით არქტიკის ენერგეტიკულ სექტორში.

3 POLITICO - ,,29 times Donald Trump did what Putin wanted'' February 21, 2025 4:01 am CET
By Tim Ross

ასევე მნიშვნელოვანია მიუნხენის 2025 წლის თებერვლის უსაფრთხოების კონფერენცია რა დროსაც გამოიკვეთა ნატოს ალიანსის წინაშე არსებული სერიოზული გამოწვევები. სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის საუბარი პუტინთან და აშშ-ს თავდაცვის მდივნის, პიტერ ჰეგსეთის განცხადებები ბრიუსელში, სადაცმათფაქტობრივადეჭვქვეშდააყენაამერიკისროლიევროპისუსაფრთხოებისგარანტორად. ევროპელი ლიდერები და დიპლომატები განსაკუთრებით შეაშფოთა ინფორმაციამ ევროპიდან 20,000 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის შესაძლო გაყვანის შესახებ. ყოფილმა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაბრიელიუს ლანდსბერგისმა ეს მოვლენები შეაფასა როგორც "ნატოს მიწურულის" დასაწყისი. ბევრი ევროპელი პოლიტიკოსი და ექსპერტი მათ შორის ბრიტანეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი ბენ უოლესი, ავლებს პარალელებს 1938 წლის მიუნხენის შეთანხმებასთან, როდესაც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ნევილ ჩემბერლენმა "დათმობის პოლიტიკა" აირჩია ნაცისტური გერმანიის მიმართ. სამი წლის წინ რუსეთის მიერ უკრაინაში ინტერვენციამ ნატოს რელევანტურობა გაზარდა, თუმცა კონფერენციის პირველივე დღეს გაჩნდა შეგრძნება, რომ ალიანსში განხეთქილების პროცესი იწყება. მართალია, ტრამპის პირველი პრეზიდენტობის დროსაც იყო დაძაბულობა აშშ-სა და ევროპას შორის, მაგრამ მაშინ ეროვნული უსაფრთხოების გუნდი ახერხებდა სიტუაციის დარეგულირებას.

ყოფილმა გერმანელმა დიპლომატმა ვოლფგანგ იშინგერმა აღნიშნა, რომ შესაძლოა ევროპას "ელექტროშოკი" სჭირდებოდა მეტი დამოუკიდებლობისკენ სწრაფვისთვის. მისი აზრით, ევროპელი ლიდერები ნაწილობრივ თავადაც არიან პასუხისმგებელნი შექმნილ სიტუაციაზე, რადგან ნელა მოქმედებდნენ თავდაცვის ხარჯების გაზრდისა და ტრანსატლანტიკური ტვირთის გაზიარების კუთხით. განსაკუთრებით საყურადღებოა ერთ-ერთი მაღალი რანგის ევროკავშირის დიპლომატის ანონიმური განცხადება, რომელმაც აღნიშნა, რომ "ტრანსატლანტიკური ალიანსი დასრულდა" და რომ არსებობს "ალიანსი რუს პრეზიდენტსა, რომელსაც სურს ევროპის განადგურება და ამერიკელ პრეზიდენტს შორის, რომელსაც ასევე სურს ევროპის განადგურება."[4]

ამის ნათელი მაგალითი შეიძლება იყოს 2025 წლის 28 თებერვალს, თეთრ სახლში გამართული დონალდ ტრამპისა და ვოლოდიმირ ზელენსკის შეხვედრა. აღნიშული შეხვედრა თამამად შეიძლება შეფასდეს, როგორც უკიდურესად დაძაბული და საბოლოო ჯამში, წარუმატებელი. შეხვედრა, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო უკრაინისთვის, რომელიც რუსეთის აგრესიის ფონზე, აშშ-ის მხარდაჭერის იმედად რჩებოდა, ნაადრევად დასრულდა და დაგეგმილი პრესკონფერენციაც გაუქმდა. შეხვედრის მთავარი თემა უკრაინის მინერალურ რესურსებზე შეთანხმების გაფორმება იყო, რაც დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ინიციატივას წარმოადგენდა. თუმცა, მოლაპარაკებები მალევე ჩიხში შევიდა. ოვალურ კაბინეტში გამართულ დისკუსიაზე, დონალდ ტრამპმა და ვიცე-პრეზიდენტმა ჯეი დი ვენსმა, ვოლოდიმირ ზელენსკი მკაცრად გააკრიტიკეს აშშ-ის მხარდაჭერის არასაკმარისად დაფასებაში. მათ უკმაყოფილება გამოთქვეს უკრაინის მთავრობის ქმედებებთან დაკავშირებით, რაც, მათი აზრით, აშშ-ის ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. თავის მხრივ, ვოლოდიმირ ზელენსკიმ სცადა რუსეთის აგრესიის შესახებ საკუთარი არგუმენტების წარმოჩენა და აშშ-ის მხარდაჭერის მნიშვნელობის ხაზგასმა. თუმცა, ტრამპის ადმინისტრაციამ ეს მცდელობა აღიქვა, როგორც აშშ-ის საშინაო საქმეებში ჩარევა, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა დაძაბულობა.[5] შეხვედრის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ მკაცრი პოზიცია დაიკავა უკრაინის მიმართ. ეს მიუთითებს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის შესაძლო ცვლილებაზე, რაც უკრაინისთვის არასასურველია. ვოლოდიმირ ზელენსკის მცდელობა, დაეცვა უკრაინის

4 Jamie Dettmer, POLITIKO - Is this the end of NATO? February 15, 2025 CET.

5 მაია ქვარცხავა, ამერიკისხმა ,,უკრაინული მინერალების ამერიკული ამბავი" 01 მარტი, 2025

ინტერესები, შეიძლება შეფასდეს, როგორც გამბედავი, თუმცა ამ ეტაპისთვის არაეფექტური, რადგან მალევე აშშ-მა უკრაინისთვის სამხედრო დახმარება შეწყვიტა. ზელენსკის მრჩეველი, მიხაილო პოდოლიაკის განცხადებით უკრაინას აქვს გამოცდილება აშშ-ის სამხედრო დახმარების ხანგრძლივ პაუზებთან გამკლავებაში და ადაპტაციაც არაერთხელ მოუხდენია. მისი თქმით, ამ ეტაპისთვის ახორციელებენ მოლაპარაკებებს დახმარების ჩანაცვლების შესახებ ევროპელი პარტნიორებთან. პოდოლიაკის აზრით, აშშ-თან მოლაპარაკებების პერსპექტივა ჯერ კიდევ დარჩენილია.

შეხვედრის შემდგომ, ტრამპმა გააკეთა რამდენიმე მკაცრი განცხადება, სადაც ზელენსკი გააკრიტიკა «უმადურობისა» და «არასაკმარისი თანამშრომლობისთვის». მან ხაზი გაუსვა, რომ აშშ-ის ეროვნული ინტერესები პრიორიტეტულია და უკრაინის საკითხი მეორეხარისხოვანია. ზელენსკიმ კი, თავის მხრივ, ინტერვიუში აღიარა, რომ შეხვედრა დაძაბულ ვითარებაში წარიმართა, მაგრამ იმედი გამოთქვა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები არ გაფუჭდება. შეხვედრამ დიდი რეზონანსი გამოიწვია აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში. რესპუბლიკური პარტიის ნაწილმა მხარი დაუჭირა ტრამპის მკაცრ პოზიციას, ხოლო დემოკრატიულმა პარტიამ მკაცრად გააკრიტიკა ტრამპი და მხარი დაუჭირა ზელენსკის. ევროკავშირის ლიდერებმაც გამოთქვეს შეშფოთება აშშ-უკრაინის ურთიერთობების გაუარესებასთან დაკავშირებით. ზოგიერთმა ლიდერმა მოუწოდა აშშ-ს, გააგრძელოს უკრაინის მხარდაჭერა, ზოგმა კი ხაზი გაუსვა ევროკავშირის როლს უკრაინის მხარდაჭერაში.

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ზელენსკის ლონდონში გამართულ სამიტზე დახვედრას. ამ შემთხვევაში ზელენსკიმ უფრო პოზიტიური მხარდაჭერა მიიღო ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს ლიდერებისგან. ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა, კეირ სტარმერმა, დააინიცირა ოთხპუნქტიანი გეგმა, რომელიც მოიცავდა სამხედრო დახმარების გაგრძელებას და უკრაინის თავდაცვის გაძლიერებას.

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ შეიძლება ითქვას რომ აშშ-ის პრეზიდენტს დონალდ ტრამპს ჩრდილო ატლანტიკურ ორგანიზაციაში, ყავს მოკავშირეები, სლოვაკეთისა და უნგრეთის სახით. ამის ნათელი მაგალითია, სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრის, რობერტ ფიცოს, გამოსვლა ვაშინგტონში, კონსერვატიულ პოლიტიკურ მოქმედებათა კონფერენციაზე (CPAC), ფიცომ აღფრთოვანება გამოხატა დონალდ ტრამპის საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, განსაკუთრებით უკრაინისა და ნატოს საკითხებში და აღნიშნა, რომ ამერიკის პრეზიდენტი „ევროპისთვის დიდ სამსახურს უწევს“. ეს ქება ასახავს ზოგიერთ ევროპელ ლიდერებს შორის მზარდ ტენდენციას, მათ შორის უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანს, რომლებიც სულ უფრო ხშირად იღებენ პრორუსულ პოზიციებს და აკრიტიკებენ დასავლეთის სამხედრო მხარდაჭერას უკრაინის მიმართ.[6] ეს პროცესები განსაკუთრებით საგანგაშოა ევროპისთვის, სადაც პოპულისტური მოძრაობების გაძლიერება და პოლიტიკური ისტებლიშმენტის წინააღმდეგ მიმართული რიტორიკა არა მხოლოდ დემოკრატიულ ფასეულობებს აყენებს ეჭვქვეშ, არამედ საფრთხეს უქმნის მთელ ევროატლანტიკურ ერთიანობას.

ასევე აღსანიშნავია, რომ დონალდ ტრამპის უკრაინასთან და რუსეთთან დაკავშირებული განცხადებები მოსკოვში აღფრთოვანებით მიიღეს. რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი და უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დმიტრი მედვედევი, გაოცებას ვერ მალავს და აცხადებს, რომ რამდენიმე თვის წინ მსგავსი განცხადებების მოსმენას ვერ წარმოიდგენდა.[7] 2025 წლის თებერვალში, როგორც ზემოთ აღინიშნა, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა რამდენიმე განცხადება გააკეთა, რომლებიც ნატოს მომავალს და გლობალურ უსაფრთხოებას

6 Tom Nicholson,POLITICO - ,,Trump is ‘doing Europe a great service,’ Slovak leader tells rapt Washington crowd’’ February 22, 2025.

7 Greg Myre, Joanna Kakissis, Npr - ,,Reversing U.S. policy, Trump attacks Zelenskyy, blames Ukraine for war with Russia’’February 20, 20255:08 PM ET

ეხებოდა. მათ შორის ნატოს წევრმა ქვეყნების მიერ თავდაცვისთვის გამოყოფილი თანხების გაზარდა მინიმუმ მშპ-ს 5 პროცენტამდე. ამასთან, ტრამპმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ-ბი მზად არის განიხილოს ნატოს როლის გადახედვა, თუ წევრი ქვეყნები არ გაზრდიან თავიანთ თავდაცვის ხარჯებს. ეს განცხადებები ალიანსის შიგნით დამატებით დაძაბულობას იწვევს და ნატოს მომავალზე კითხვებს აჩენს.

ამერიკის რესპუბლიკელთა ნაწილი ტრამპის პოზიციას ან უგულებელყოფს, ანდაც ფრთხილ რეაქციას იჩენს. თუმცა კონგრესის უკრაინის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის თანათავმჯდომარე, ბრაიან ფიცპატრიკი, ხაზგასმით აცხადებს, რომ უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის არ უნდა დაეკისროს გარიგება, რომელიც უკრაინელი ხალხის უსაფრთხოებას და სუვერენიტეტს არ უზრუნველყოფს. ფიცპატრიკის თქმით, კონგრესში როგორც წარმომადგენელთა პალატაში, ასევე სენატში არსებობს ორპარტიული მხარდაჭერა, რომელიც მზადაა ყველა რესურსი გამოიყენოს, რათა ვლადიმირ პუტინის აგრესია დაუსჯელი არ დარჩეს.[8] ამ მოვლენებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ მიუხედავად ტრამპის პოზიციისა, აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში უკრაინის მხარდაჭერა კვლავ მძლავრია, ხოლო რუსეთი ტრამპის განცხადებებს დასავლეთის ერთიანობის შესასუსტებლად იყენებს.

აქედან გამომინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ეტაპისთვის ჯერჯერობით რაიმე არსებული ქმედებები ჯერ არ განხორციელებულა თუ არ ჩავთვლით საუდის არაბეთში აშშ-ის და რუსეთის წარმომადგენლების შეხვედრებს. ზემო აღნიშნული განცხადებები შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც პოპულისტური ქმედება. თუმცა იმ შემთხვევაში თუ ტრამპი გადავა და დაიწყებს უშუალოდ აღსრულებას თებერვალში გაკეთებული განცხადებების აქ უკვე ცუდ ვითარებეში აღმოჩნდება როგორც ნატო, ასევე მსოფლიო უსაფრთხოების არქიტექტურა. განსაკუთრებით ცუდ ვითარებაში აღმოჩნდება აღმოსავლეთ ევროპა და ყოფილი პოსტსაბჭოთა ქვეყნები, მათ შორის სამხრეთ კავკასია.

საერთაშორისო პოლიტიკის ბოლოდროინდელი მოვლენები ზუსტად ასახავს უინსტონ ჩერჩილის 1938 წლის სიტყვებს: “თქვენ მოგეცათ არჩევანი ომსა და მშვიდობას შორის. თქვენ აირჩიეთ მშვიდობა და ამის შედეგად ომსაც მიიღებთ”. ჩერჩილი ამას ჩემბერლენის წინააღმდეგ ამბობდა, რომელსაც სჯეროდა, რომ ჰიტლერი სუდეტებით დაკმაყოფილდებოდა და მშვიდობა შენარჩუნდებოდა. სინამდვილეში, ნაცისტებმა სუდეტის შემდეგ მთელი ჩეხეთი დაიპყრეს, შემდეგ პოლონეთზე გადავიდნენ და მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო.

სავარაუდოდ, ვაშინქტონი არ გაიმეორებს იგივე შეცდომებს, რაც გასულ დეკადებში დაუშვა. დაწყებული დეტანტის პოლიტიკით და დამთავრებული გადატვირთის პოლიტიკით. ყველა ის დამოკიდებულება რუსეთმა აღიქვა როგორც დასავლეთის სისუტე და რუსეთის სიძლიერედ. ხოლო იმ შემთხვევაში როდესაც დასავლეთი ატარებდა არ დათმობის პოლიტიკას, რუსეთი უფრო მეტად სუსტდებოდა. თუ აშშ-ის ამჟამინდელი ადმინისტრაცია ტრამპის ხელმძღვანელობით გააგრძელებს რუსეთთან ურთიერთობების დათმობას, მაშინ მას არ დაუშვებს ამერიკელი დემოკრატიული საზოგადოება.

დონალდ ტრამპის განცხადებებსა თუ ქმედებებს ევროკავშირის ლიდერებმა სწრაფად უპასუხეს. ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა აღნიშნა, რომ ევროპა მზად არის მეტი პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ უსაფრთხოებაზე და გააძლიეროს თავდაცვის შესაძლებლობები. ამასთან, მან ხაზი გაუსვა, რომ ნატო ევროპული უსაფრთხოების ქვაკუთხედია და მისი გაძლიერება საერთო ინტერესშია. ევროკავშირის ქვეყნები ასევე განიხილავენ თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას და საერთო სამხედრო პროექტების განვითარებას, რათა შეამცირონ აშშ-ზე დამოკიდებულება და გაზარდონ საკუთარი თავდაცვისუნარიანობა.

8 იქვე, Npr.

ტრამპმა 6 მარტს კიდევ ერთი განცხადება გააკეთა, მან ეჭვქვეშ დააყენა NATO-ს წევრი ქვეყნების საიმედოობა და მაგალითად საფრანგეთი მოიყვანა. ტრამპმა გამოთქვა უნდობლობა, თუ რამდენად დაეხმარებოდნენ აშშ-ს მოკავშირეები საჭიროების შემთხვევაში. საპასუხოდ, მაკრონმა ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საფრანგეთი ერთგული მოკავშირეა და აშშ-სგანაც იმავეს მოელის. მან ისტორიული მაგალითებიც მოიყვანა, როგორიცაა მარკიზ დე ლაფაიეტის მხარდაჭერა ამერიკის რევოლუციის დროს და 1944 წელს ნორმანდიაში მოკავშირეების გადასხმა.[9] გარდა ამისა საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა, რომელიც ევროპის უსაფრთხოების მომავალს ეხება. მან გადაწყვიტა, წამოიწყოს დისკუსია საფრანგეთის ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ, არა მხოლოდ საფრანგეთის, არამედ მთელი ევროკავშირის დასაცავად. მაკრონის ინიციატივა ევროპულ პოლიტიკურ სცენაზე ინტენსიური დისკუსიების და დაპირისპირების საგანი გახდა. საერთო ჯამში მისი შედეგები ევროპის უსაფრთხოების მომავალზე დიდ გავლენას მოახდენს.

აღნიშნული ქვეთავის დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი ვითარება შეიძლება განვიხილოთ როგორც გარდამავალი პერიოდი, რომელიც ან სტაბილიზაციისკენ მიემართება ევროპული უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის სახით, ან გადაიზრდება უფრო ღრმა გლობალურ კრიზისში. ეს დამოკიდებული იქნება როგორც აშშ-ის შიდა პოლიტიკურ დინამიკაზე, ისე ევროპული ლიდერების უნარზე გამოიმუშაონ ერთიანი მიდგომა უსაფრთხოების ახალი გამოწვევების მიმართ.

ძალაუფლების გადანაწილება მსოფლიო პოლიტიკაში

ნატოს კრიზისი და შიდა უთანხმოებები გლობალურ პოლიტიკაში ძალაუფლების გადანაწილების პროცესებს აჩქარებს. ევროპული ქვეყნები ცდილობენ გაზარდონ საკუთარი როლი საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში და შეამცირონ აშშ-ზე დამოკიდებულება. ამასთან, რუსეთი და ჩინეთი აქტიურად იყენებენ ნატოს შიგნით არსებულ კრიზისს საკუთარი გეოპოლიტიკური გავლენის გასაზრდელად.

რუსეთი ცდილობს გააძლიეროს თავისი გავლენა აღმოსავლეთ ევროპაში და ნატოს შიგნით არსებული უთანხმოებები საკუთარი სტრატეგიული მიზნებისთვის გამოიყენოს. ჩინეთი კი, თავის მხრივ, აძლიერებს ეკონომიკურ და სამხედრო შესაძლებლობებს, რაც გლობალურ ძალთა ბალანსზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. ბრიტანულ გაზეთ „ფაინენშელ თაიმსში“ (Financial Times) გამოქვეყნებულია სტატია სათაურით „ტრამპი, პუტინი, სი ძინპინი და ახალი იმპერიების ეპოქა“ (ავტორი - გიდეონ რიხმანი, პოლიტიკური მიმომხილველი), რომელშიც ყურადღებაა გამახვილებული აშშ-ის, რუსეთისა და ჩინეთის ტერიტორიული ექსპანსიონისტური ამბიციებზე. სტატია წარმოადგენს საინტერესო ანალიზს თანამედროვე მსოფლიოს სამი ძლიერი სახელმწიფოს ლიდერის - დონალდ ტრამპის, ვლადიმერ პუტინისა და სი ძინპინის ექსპანსიონისტური ამბიციების შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ ტრამპი ღიად საუბრობს გრენლანდიის, პანამის არხის შეძენისა და კანადის მიერთების სურვილზე. პუტინი უკრაინას რუსული სამყაროს ნაწილად მიიჩნევს და მის დაპყრობას ისტორიულ მისიად აღიქვამს, ხოლო სი ძინპინი ტაივანის შემოერთებას ჩინეთის ეროვნულ მიზნად სახავს. სტატიის თანახმად, ეს ტენდენცია მსოფლიოს ახალ იმპერიულ ეპოქაში გადასვლის მაჩვენებელია, სადაც ძლიერი სახელმწიფოები გავლენის სფეროებს ინაწილებენ - აშშ დასავლეთ ნახევარსფეროში, რუსეთი აღმოსავლეთ ევროპაში, ხოლო ჩინეთი აღმოსავლეთ აზიაში. ავტორი ასევე ხაზს უსვამს, რომ იმპერიალისტური იდეოლოგია არა მხოლოდ საგარეო, არამედ შიდა პოლიტიკაზეც ახდენს გავლენას - იწვევს პიროვნების კულტის გაძლიერებას

9 ტაბულა, მაკრონი ტრამპს: 07.03.2025

და პოლიტიკურ რეპრესიებს. თუმცა, ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ასეთი იმპერიული წყობა, როგორც წესი, მყიფეა და გრძელვადიან პერსპექტივაში დაშლისკენაა მიდრეკილი.[10]

სამწუხაროდ, დღევანდელი ტენდენციების გაგრძელების შემთხვევაში, მსოფლიო შეიძლება საკმაოდ სახიფათო ფაზაში შევიდეს. მცირე ქვეყნების დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება სერიოზული საფრთხის წინაშე დადგება, რადგან დიდი სახელმწიფოები უფრო თამამად დაიწყებენ საკუთარი ინტერესების გატარებას ძალის გამოყენებით. ეს კი გაზრდის სამხედრო კონფლიქტების რისკს, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც გავლენის სფეროები გადაიკვეთება.

შეიძლება ითქვას, რომ ნატოსა და ევროკავშირის მომავალი ამ ეტაპზე გამოწვევების წინაშეა. თუ აშშ-ის პოლიტიკა მკვეთრად შეიცვლება იზოლაციონისტური ან ექსპანსიონისტური მიმართულებით, ეს სერიოზულად დააზიანებს ტრანსატლანტიკურ ერთიანობას. ევროკავშირი, სავარაუდოდ, იძულებული გახდება უფრო მეტად გააძლიეროს საკუთარი თავდაცვითი შესაძლებლობები და გააღრმავოს პოლიტიკური ინტეგრაცია.

თუმცა, ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, დასავლეთს აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ბერკეტი. პირველ რიგში, საჭიროა დემოკრატიული ინსტიტუტების და კანონის უზენაესობის გაძლიერება საკუთარ ტერიტორიაზე. ასევე მნიშვნელოვანია ტრანსატლანტიკური კავშირების განმტკიცება და მცირე დემოკრატიული ქვეყნების მხარდაჭერის გაძლიერება. დასავლეთმა უნდა შეიმუშაოს ერთიანი სტრატეგია ავტორიტარული რეჟიმების ექსპანსიონისტური პოლიტიკის შესაკავებლად, რაც უნდა მოიცავდეს როგორც ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ თანამშრომლობას მოკავშირეებს შორის, ასევე კონსტრუქციულ დიალოგს პოტენციურ მოწინააღმდეგეებთან, თუმცა მკაფიოდ განსაზღვრული წითელი ხაზებით.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნატოს წევრებს შორის არსებული დაძაბულობა აჩქარებს გლობალური ძალაუფლების ბალანსის ცვლილებას. ორგანიზაციის მდგრადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული წევრი სახელმწიფოების უნარზე, დაძლიონ შინაგანი წინააღმდეგობები და ერთობლივად იზრუნონ საერთო უსაფრთხოებაზე. აშშ-სა და ევროკავშირს ამ პროცესში წამყვანი როლი აკისრიათ, თუმცა რუსეთისა და ჩინეთის მზარდი ამბიციები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის გლობალური უსაფრთხოების არსებულ სისტემას.

ამ ეტაპზე ვაჭრობა ერთ-ერთი მთავარი კონფლიქტის საგანია. ტრამპის მიერ დაწესებულმა ტარიფებმა ბრიუსელში მძაფრი უკმაყოფილება გამოიწვია, და ევროკავშირმა საპასუხო ნაბიჯების გადადგმის პირობა დადო. თუმცა, ეკონომიკური ომის ესკალაცია ორივე მხარეს დააზიანებს. გამოსავალი სავაჭრო შეთანხმებებზე მუშაობაა, რომელიც ორივე მხარის ინტერესებს დაიცავს და საშუალებას მისცემს მათ, კონკურენციის ნაცვლად, საერთო მიზნებისკენ იმუშაონ.

უსაფრთხოების სფეროში ვითარება კიდევ უფრო ჩახლართულია. ტრამპის ადმინისტრაცია ევროპას უკრაინის სამშვიდობო მოლაპარაკებებიდან პრაქტიკულად გამორიცხავს, რაც ბრიუსელში გაღიზიანებას იწვევს. ევროპისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ იგი არა მხოლოდ ფინანსური მხარდამჭერის როლში დარჩეს, არამედ აქტიური მონაწილე იყოს იმ პროცესებში, რომლებიც კონტინენტის უსაფრთხოებას განსაზღვრავს. ამისათვის, ევროკავშირს მოუწევს საკუთარი თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერება და ნატოს შიგნით პოზიციების განმტკიცება, რათა არ აღმოჩნდეს ამერიკის პოლიტიკის უბრალო შემსრულებლად.

10 თბილისი POST «Financial Times»(დიდი ბრიტანეთი): „ტრამპი, პუტინი, სი ძინპინი და ახალი იმპერიების ეპოქა“ 2025 წ.

ღირებულებითი განსხვავებებიც სულ უფრო აშკარა ხდება. ტრამპის გუნდი ევროპას შინაგან პრობლემებზე მიუთითებს, მაშინ როცა ევროპელი ლიდერები მის განცხადებებს უცხო ჩარევის მცდელობად აღიქვამენ. ეს დაპირისპირება განსაკუთრებით მწვავედ გამოჩნდა გერმანიაში, სადაც ტრამპთან დაახლოებულმა პირებმა საარჩევნო პროცესებში ჩარევის სურვილი გამოავლინეს. ასეთ პირობებში, ურთიერთობების დალაგებისთვის ორივე მხარეს სჭირდება ურთიერთპატივისცემა და ღიაობა დიალოგისთვის, რათა საერთო ღირებულებები—დემოკრატია და კანონის უზენაესობა—არ გადაიქცეს განხეთქილების საგნად.

თუ აშშ და ევროკავშირი ვერ მოახერხებენ საერთო სტრატეგიის ჩამოყალიბებას ვაჭრობის, უსაფრთხოების და დემოკრატიული პრინციპების დაცვის მიმართულებით, მათ შორის განხეთქილება კიდევ უფრო გაღრმავდება. მაგრამ თუ ორივე მხარე კომპრომისზე წავა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ პოლიტიკას აირჩევს, მათ შეუძლიათ ტრანსატლანტიკური პარტნიორობის გაძლიერება, რომელიც გლობალურ არენაზე დასავლეთის ერთიანობასა და სტაბილურობას უზრუნველყოფს.

ბიბლიოგრაფია

ამერიკის ხმა „უკრაინული მინერალების ამერიკული ამბავი", 01 მარტი, 2025, მაია ქვარცხავა. https://www.amerikiskhma.com/a/us-ukraine-no-mineral-deal-today/7993317.html (გადამოწმებულია 13.03.2025 წ.)

ტაბულა „მაკრონი ტრამპს: ერთგული მოკავშირეები ვართ, ყოველთვის ვიყავით ერთმანეთის გვერდით" 07.03.2025

თბილისი POST «Financial Times» (დიდი ბრიტანეთი): „ტრამპი, პუტინი, სი ძინპინი და ახალი იმპერიების ეპოქა" 2025 წ.

Matthias Poelmans, "Europa ante el terremoto Trump: es la hora de la unidad y es la hora de la acción," Huffington Post, 15 თებერვალი, 2025, https://www.huffingtonpost.es/global/europa-terremoto-trump-hora-unidad-hora-accion.html. (გადამოწმებულია 13.03.2025 წ.)

Npr - „Reversing U.S. policy, Trump attacks Zelenskyy, blames Ukraine for war with Russia" February 20, 2025 5:08 PM ET, Greg Myre, Joanna Kakissis

POLITICO - „29 times Donald Trump did what Putin wanted" February 21, 2025 CET, By Tim Ross

POLITICO - „Is this the end of NATO?" February 15, 2025 CET, By Jamie Dettmer

POLITICO - „Trump is 'doing Europe a great service,' Slovak leader tells rapt Washington crowd" February 22, 2025, Tom Nicholson.

"Trump 'will WITHDRAW US troops from Nato's Russia frontline in Baltics in bombshell Ukraine peace agreement with Putin'," The Sun, 17 თებერვალი, 2025, https://www.thesun.ie/news/14735589/trump-withdraw-us-troops-natos-russia-baltics-ukraine/. (გადამოწმებულია 13.03.2025 წ.)

კონფლიქტები და სოციალური დესტრუქცია: თანამედროვეობის გლობალური პერსპექტივა

სოფიკო მეტრეველი

სსიპ-დავით აღმაშენებელის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების
ასისტენტ პროფესორი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი სიღრმისეულად აანალიზებს კონფლიქტებისა და სოციალური დესტრუქციის ურთიერთკავშირს თანამედროვე გლობალურ კონტექსტში. კვლევა ფოკუსირებულია კონფლიქტების მრავალგანზომილებიანობაზე, მათ შორის ეთნიკურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ დაპირისპირებებზე, და მათ დესტრუქციულ გავლენაზე საზოგადოების სხვადასხვა სფეროზე, როგორიცაა ადამიანური მსხვერპლი, ლტოლვილთა კრიზისი, ეკონომიკური ნგრევა, ინსტიტუციური რღვევა და ფსიქოლოგიური ტრავმა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კონფლიქტისა და გლობალური უთანასწორობის ურთიერთდამოკიდებულებას, სადაც ნაჩვენებია, რომ კონფლიქტები არა მხოლოდ წარმოიქმნება უთანასწორობის ფონზე, არამედ თავად აძლიერებენ მას, რაც იწვევს სოციალური და ეკონომიკური განხეთქილების გაღრმავებას. ასევე განხილულია კონფლიქტის მოგვარების და სოციალური აღდგენის გლობალური სტრატეგიები, მათ შორის საერთაშორისო მექანიზმები, შერიგების პროცესები და ადგილობრივი და გლობალური აქტორების როლი. ნაშრომი ეფუძნება კონფლიქტების წარმოშობისა და განვითარების ძირითადი თეორიული მიდგომების ანალიზს, ასევე გლობალიზაციის გავლენის შესწავლას კონფლიქტების დინამიკაზე. კვლევის მიზანია, წარმოაჩინოს კონფლიქტების კომპლექსური ხასიათი და მათი გავლენა გლობალურ გამოწვევებზე, ხელი შეუწყოს კონფლიქტების პრევენციასა და მდგრადი მშვიდობის დამყარებას, რაც აუცილებელია სამართლიანი და უსაფრთხო მომავლის უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: სოციალური დესტრუქცია, გლობალური უთანასწორობა, კონფლიქტის მოგვარება, სოციალური აღდგენა, გლობალიზაცია

CONFLICTS AND SOCIAL DESTRUCTION: A GLOBAL PERSPECTIVE OF MODERNITY

Sophiko Metreveli

Assistant Professor of Bachelor's Program in
Defense and Security of
LEPL-David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia

Abstract

This paper comprehensively analyzes the interrelationship between conflicts and social destruction in the contemporary global context. The research focuses on the multidimensionality of conflicts, including ethnic, political, economic, and religious confrontations, and their destructive impact on various spheres of society, such as human casualties, refugee crises, economic collapse, institutional breakdown, and psychological trauma. Particular attention is paid to the interdependence of conflict and global inequality, demonstrating that conflicts not only arise from inequality but also exacerbate it, leading to the deepening of social and economic divisions. Global strategies for conflict resolution and social recovery, including international mechanisms, reconciliation processes, and the roles of local and global actors, are also examined. The paper is based on an analysis of the main theoretical approaches to the origins and development of conflicts, as well as a study of the influence of globalization on the dynamics of conflicts. The aim of this research is to highlight the complex nature of conflicts and their impact on global challenges, to promote conflict prevention and sustainable peace, which is essential for ensuring a just and secure future.

Key words: Social destruction, global inequality, conflict resolution, social recovery, globalization.

შესავალი

თანამედროვე გლობალური რეალობა, მიუხედავად მისი ერთი შეხედვით უპრეცედენტო ურთიერთდაკავშირებისა, გამოირჩევა კონფლიქტების მზარდი რაოდენობითა და მრავალფეროვნებით. ეს კონფლიქტები, რომლებიც ხშირად ფესვგადგმულია ღრმა ისტორიულ და სოციალურ პროცესებში, სცილდება ლოკალურ საზღვრებს და გავლენას ახდენს გლობალურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემებზე. ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური დაპირისპირებები, რესურსებისთვის ბრძოლა და იდეოლოგიური კონფლიქტები, წარმოადგენს მხოლოდ რამდენიმე ასპექტს თანამედროვე კონფლიქტების კომპლექსურ სურათში.

ეს ნაშრომი მიზნად ისახავს კომპლექსურად გაანალიზოს კონფლიქტების დინამიკა და მათი სოციალური შედეგები თანამედროვე გლობალურ კონტექსტში. ჩვენ შევისწავლით არა მხოლოდ კონფლიქტების წარმოშობისა და განვითარების მექანიზმებს, არამედ მათ დესტრუქციულ გავლენას საზოგადოების სხვადასხვა სფეროზე. ადამიანური მსხვერპლი, ლტოლვილთა კრიზისი, ეკონომიკური ნგრევა, ფსიქოლოგიური ტრავმა, სოციალური ინსტიტუტების რღვევა და ჯანდაცვის კრიზისი წარმოადგენს იმ მძიმე შედეგებს, რომლებსაც კონფლიქტები იწვევს.

ამ კვლევის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კონფლიქტის კონცეპტუალიზაციას თანამედროვე გლობალურ კონტექსტში. მიმოვიხილავთ კონფლიქტების ტიპოლოგიას და მათ მრავალგანზომილებიანობას, ასევე გლობალიზაციის გავლენას კონფლიქტების დინამიკაზე. მნიშვნელოვანია ასევე კონფლიქტის წარმოშობის ძირითადი თეორიული მიდგომებისა და კონფლიქტის ესკალაციისა და დეესკალაციის გლობალური მაგალითების ანალიზი.

ყურადღება გამახვილებული იქნება კონფლიქტის სოციალური დესტრუქციის მექანიზმებზე და შედეგებზე. განვიხილავთ სოციალური დესტრუქციის ფორმებს, კონფლიქტის გავლენას სოციალურ ინსტიტუტებზე, ფსიქოლოგიურ ტრავმას და სოციალურ ფსიქოზს კონფლიქტის პირობებში, ასევე კონფლიქტის გავლენას სოციალური კაპიტალის რღვევაზე.

ამასთან, შევისწავლით კონფლიქტისა და გლობალური უთანასწორობის ურთიერთკავშირს. გავაანალიზებთ კონფლიქტის გავლენას გლობალურ უთანასწორობაზე, გლობალური უთანასწორობის როლს კონფლიქტების წარმოქმნაში, რესურსებისთვის ბრძოლას, როგორც კონფლიქტის ძირითად ფაქტორს, და კლიმატის ცვლილების გავლენას კონფლიქტებზე.

და ბოლოს, განვიხილავთ კონფლიქტის მოგვარების და სოციალური აღდგენის გლობალურ სტრატეგიებს. შევისწავლით კონფლიქტის მოგვარების და მშვიდობის დამყარების საერთაშორისო მექანიზმებს, სოციალური აღდგენის და შერიგების პროცესებს კონფლიქტის შემდგომ პერიოდში, ადგილობრივი და გლობალური აქტორების როლს კონფლიქტის მოგვარებაში, და კონფლიქტის პრევენციის და მდგრადი მშვიდობის დამყარების პერსპექტივებს.

ამრიგად, ეს ნაშრომი მიზნად ისახავს შექმნას კონფლიქტებისა და სოციალური დესტრუქციის ყოვლისმომცველი სურათი, რაც ხელს შეუწყობს კონფლიქტების პრევენციის და მშვიდობის დამყარების საერთაშორისო ძალისხმევას.

ძირითადი ნაწილი

I. კონფლიქტის კონცეპტუალიზაცია თანამედროვე გლობალურ კონტექსტში

თანამედროვე გლობალური კონფლიქტების გაგება მოითხოვს მათი არსის სიღრმისეულ ანალიზს, რათა დავინახოთ არა მხოლოდ ზედაპირული გამოვლინებები, არამედ მათი ფესვები და განვითარების დინამიკა. კონფლიქტი, როგორც სოციალური ფენომენი, მრავალგანზომილებიანია და ვლინდება სხვადასხვა ფორმით, რაც საჭიროებს მრავალმხრივ ანალიზს.

თანამედროვე კონფლიქტების ტიპოლოგია მრავალფეროვანია. იგი მოიცავს ეთნიკურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ დაპირისპირებებს. ეთნიკური კონფლიქტები, როგორც წესი, გამოწვეულია ეთნიკურ ჯგუფებს შორის ისტორიული და კულტურული განსხვავებებით, ასევე რესურსებისთვის ბრძოლით. მაგალითად, ბალკანეთის კონფლიქტები 1990-იან წლებში ეთნიკური დაპირისპირების მკვეთრი გამოვლინება იყო.[1] პოლიტიკური კონფლიქტები, თავის მხრივ, ხშირად უკავშირდება ძალაუფლებისთვის ბრძოლას, იდეოლოგიურ დაპირისპირებებს და პოლიტიკურ არასტაბილურობას. ეკონომიკური კონფლიქტები წარმოიქმნება ეკონომიკური რესურსების გადანაწილების საკითხებზე, ასევე ეკონომიკური უთანასწორობის გამო. რელიგიური კონფლიქტები კი ხშირად გამოწვეულია რელიგიური განსხვავებებით და რელიგიური ჯგუფების დაპირისპირებით.[2]

გლობალიზაციამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კონფლიქტების დინამიკაზე. მან გააძლიერა როგორც კონფლიქტის წარმოშობის, ასევე მისი გავრცელების შესაძ-ლებლობა. გლობალიზაცია ხელს უწყობს ინფორმაციის სწრაფ გავრცელებას, რაც აძლიერებს კონფლიქტების ესკალაციას. ამავდროულად, იგი აძლიერებს ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას, რაც ზოგჯერ ხელს უწყობს კონფლიქტების მოგვარებას. გლობალიზაციის პირობებში კონფლიქტები უფრო სწრაფად ვრცელდება და გლობალური მასშტაბით იწვევს შედეგებს.[3]

კონფლიქტების წარმოშობის ასახსნელად არსებობს სხვადასხვა თეორიული მიდგომა. რეალიზმი ხაზს უსვამს სახელმწიფოთა შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლას, როგორც კონფლიქტების მთავარ მიზეზს. ლიბერალიზმი ხედავს კონფლიქტების მიზეზს დემოკრატიის ნაკლებობაში და საერთაშორისო ინსტიტუტების სისუსტეში. კონსტრუქტივიზმი კი ყურადღებას ამახვილებს სოციალურ კონსტრუქციებზე, იდენტობებსა და ნორმებზე, როგორც კონფლიქტების წარმოშობის ფაქტორებზე. ყოველი ეს მიდგომა მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს კონფლიქტების არსის შესახებ.[4]

კონფლიქტების ესკალაცია და დეესკალაცია რთული პროცესებია, რომლებიც მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ესკალაცია შეიძლება გამოწვეული იყოს პროვოკაციული ქმედებებით, ინფორმაციის არასწორი გაგებით ან მესამე მხარის ჩარევით. მაგალითად, სირიის კონფლიქტი, რომელიც დაიწყო როგორც ადგილობრივი დაპირისპირება, მალევე ესკალირდა საერთაშორისო კონფლიქტში. დეესკალაცია კი მოითხოვს მხარეებს შორის დიალოგს, კომპრომისს და მესამე მხარის მედიაციას. მაგალითად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპართეიდის დასრულება დეესკალაციის წარმატებული მაგალითია.[5]

II. კონფლიქტის სოციალური დესტრუქციის მექანიზმები და შედეგები

მეორე თავის ანალიზის შემდეგ, რომელიც ფოკუსირებული იყო კონფლიქტის კონცეპტუალიზაციაზე თანამედროვე გლობალურ კონტექსტში, აუცილებელია განვიხილოთ

1 Noel Malcolm, "Kosovo: A Short History," New York: Macmillan, 2002.
2 Dean, G. Pruitt and Sung Hee Kim, "Social Conflict: Escalation, Stalemate, and Settlement," New York: McGraw-Hill, 2004.
3 Robert O. Keohane and Joseph S. Nye, "Power and Interdependence," New York: Longman, 2012.
4 Alexander Wendt, "Anarchy Is What States Make of It: The Social Construction of Power Politics," International Organization, 1992. 46(2), 391-425
5 John Paul Lederach, "The Moral Imagination: The Art and Soul of Building Peace," Oxford: Oxford University Press, 2005.

კონფლიქტის შედეგები, რომლებიც განსაკუთრებით მძიმედ აისახება საზოგადოების სოციალურ ქსოვილზე. კონფლიქტის სოციალური დესტრუქცია მრავალმხრივია და მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურ ნგრევას, არამედ ღრმა სოციალურ და ფსიქოლოგიურ ტრავმებს, რაც გავლენას ახდენს საზოგადოების ფუნქციონირებაზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. კონფლიქტის სოციალური დესტრუქცია ვლინდება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის ფიზიკური ძალადობა, რაც მოიცავს ადამიანური მსხვერპლის დიდ რაოდენობას, ინფრასტრუქტურის განადგურებას და საცხოვრებელი გარემოს რღვევას. შეიარაღებული კონფლიქტები ხშირად იწვევს მასობრივ მკვლელობებს, გაუპატიურებებს და სხვა სახის ძალადობას, რაც ღრმა ფსიქოლოგიურ ტრავმას ტოვებს გადარჩენილებში.[6] კონფლიქტები იწვევს ადამიანების მასობრივ გადაადგილებას, რის შედეგადაც ჩნდება ლტოლვილთა კრიზისი. ლტოლვილები ხშირად ცხოვრობენ მძიმე პირობებში, არ აქვთ წვდომა ძირითად სერვისებზე და განიცდიან სოციალურ იზოლაციას.[7] კონფლიქტები ანგრევს ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას, აფერხებს ეკონომიკურ აქტივობას და იწვევს სიღარიბესა და უმუშევრობას. ეს განსაკუთრებით მძიმედ აისახება მოწყვლად ჯგუფებზე.[8] კონფლიქტები ანგრევს სახელმწიფო და სოციალურ ინსტიტუტებს, როგორიცაა განათლებისა და ჯანდაცვის სისტემები. ეს იწვევს სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის შეზღუდვას და სოციალური წესრიგის დარღვევას. კონფლიქტი ანგრევს ოჯახებს, სკოლებს, საავადმყოფოებს და სხვა სოციალურ ინსტიტუტებს. ბავშვები, რომლებიც იზრდებიან კონფლიქტის პირობებში, განიცდიან ფსიქოლოგიურ ტრავმას და აქვთ განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა. ეს უარყოფითად აისახება მათ მომავალზე და მთლიანად საზოგადოების განვითარებაზე. კონფლიქტის შედეგად ადამიანები განიცდიან ღრმა ფსიქოლოგიურ ტრავმას, რაც ვლინდება პოსტტრავმული სტრესული აშლილობის, დეპრესიისა და სხვა ფსიქიკური პრობლემების სახით. კონფლიქტი ასევე იწვევს სოციალურ ფსიქოზს, რომელიც გამოიხატება შიშის, უნდობლობისა და სიძულვილის გავრცელებაში.[9] კონფლიქტი ანგრევს სოციალურ კაპიტალს, რაც გულისხმობს სოციალურ ნდობას, სოლიდარობასა და თანამშრომლობას. ეს ართულებს საზოგადოების აღდგენის პროცესს კონფლიქტის შემდგომ პერიოდში. სოციალური კაპიტალის აღდგენა მოითხოვს ხანგრძლივ ძალისხმევას და ნდობის აღდგენას.[10]

III. კონფლიქტი და გლობალური უთანასწორობა: ურთიერთკავშირის ანალიზი

მესამე თავში განხილული კონფლიქტის სოციალური დესტრუქციის მექანიზმები და შედეგები მჭიდროდ არის გადაჯაჭვული გლობალურ უთანასწორობასთან. ეს ორი ფენომენი ერთმანეთზე ურთიერთგავლენას ახდენს, ქმნის მოჯადოებულ წრეს, რომლისგანაც თავის დაღწევა უკიდურესად რთულია. კონფლიქტები არა მხოლოდ წარმოიქმნება უთანასწორობის ფონზე,არამედთავადაძლიერებენმას,რაციწვევსსოციალურიდაეკონომიკურიგანხეთქილების გაღრმავებას. შეიარაღებული კონფლიქტები და ძალადობა პირდაპირ გავლენას ახდენს გლობალურ უთანასწორობაზე. კონფლიქტის პირობებში იზრდება სიღარიბე, იზღუდება განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის. კონფლიქტები ანგრევს ინფრასტრუქტურას, აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას და იწვევს

6 International Committee of the Red Cross (ICRC), "Multiple Reports," Geneva: ICRC, 2022,

7 Jeff Crisp, "A New Asylum Paradigm? Globalisation, Migration and the Uncertainties of Protection," Forced Migration Review, 2002. (15), 17-20.

8 Paul Collier, "The Bottom Billion: Why the Poorest Countries Are Failing and What Can Be Done About It," Oxford: Oxford University Press, 2007.

9 Derek Summerfield, "A Critique of Seven Assumptions behind Psychological Trauma Programmes in War-Affected Areas," Social Science & Medicine, 1999. 48 (10), 1449-1462.

10 Robert D. Putnam, "Bowling Alone: The Collapse and Revival of American Community," New York: Simon & Schuster, 2000.

რესურსების არათანაბარ განაწილებას. ლტოლვილთა ნაკადი და მასობრივი მიგრაცია კიდევ უფრო ამწვავებს უთანასწორობას, რადგან ლტოლვილები ხშირად ხდებიან ექსპლუატაციის მსხვერპლი და განიცდიან სოციალურ იზოლაციას. გარდა ამისა, კონფლიქტები ხელს უწყობს კორუფციას და უკანონო ეკონომიკურ საქმიანობას, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს უთანასწორობას.[11] გლობალური უთანასწორობა ასევე წარმოადგენს კონფლიქტების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს. სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა იწვევს დაძაბულობას და უკმაყოფილებას, განსაკუთრებით იმ საზოგადოებებში, სადაც არსებობს ღრმა სოციალური განხეთქილება. რესურსებისთვის ბრძოლა, რომელიც გამოწვეულია მათი არათანაბარი განაწილებით, ხშირად ხდება კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი. ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირებები ასევე შეიძლება გამწვავდეს უთანასწორობის ფონზე, როდესაც ერთ ჯგუფს აქვს უპირატესობა რესურსებსა და შესაძლებლობებზე. გლობალური ეკონომიკური კრიზისები და არასტაბილურობა ასევე ხელს უწყობს კონფლიქტების წარმოქმნას, რადგან ისინი აძლიერებენ სოციალურ და ეკონომიკურ დაუცველობას.[12] რესურსებისთვის ბრძოლა, განსაკუთრებით წყლის, მიწისა და წიაღისეულის რესურსებისთვის, ხდება სულ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი კონფლიქტების წარმოქმნაში. კლიმატის ცვლილება და გარემოს დეგრადაცია ამწვავებს რესურსების დეფიციტს, რაც იწვევს კონკურენციას და დაპირისპირებას. კონფლიქტები, რომლებიც გამოწვეულია რესურსებისთვის ბრძოლით, ხშირად ხასიათდება განსაკუთრებული სისასტიკით, რადგან რესურსების კონტროლი ხდება გადარჩენის საკითხი.[13] კლიმატის ცვლილება სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს კონფლიქტებზე. გვალვები, წყალდიდობები და სხვა კლიმატური კატასტროფები იწვევს რესურსების დეფიციტს, მიგრაციას და სოციალურ დაძაბულობას. ეს ფაქტორები ხელს უწყობს კონფლიქტების წარმოქმნას და გამწვავებას, განსაკუთრებით მოწყვლად რეგიონებში. კლიმატის ცვლილება ასევე აძლიერებს არსებულ უთანასწორობას, რადგან მისი შედეგები ყველაზე მძიმედ აისახება ღარიბ და განვითარებად ქვეყნებზე.[14] ამრიგად, კონფლიქტი და გლობალური უთანასწორობა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ ფენომენებს, რომლებიც საჭიროებენ კომპლექსურ და მრავალმხრივ მიდგომას. კონფლიქტების მოგვარება და მდგრადი მშვიდობის დამყარება შეუძლებელია გლობალური უთანასწორობის აღმოფხვრის გარეშე. ასევე, უთანასწორობის შემცირება ხელს შეუწყობს კონფლიქტების პრევენციასა და მშვიდობიანი თანაცხოვრების დამყარებას.[15]

IV. კონფლიქტის მოგვარების და სოციალური აღდგენის გლობალური სტრატეგიები

წინა თავში განხილული კონფლიქტისა და გლობალური უთანასწორობის ურთიერთკავშირი აჩვენებს, რომ კონფლიქტების ეფექტური მოგვარება და მდგრადი მშვიდობის დამყარება მოითხოვს კომპლექსურ და მრავალმხრივ სტრატეგიებს. ამ თავში განვიხილავთ კონფლიქტის მოგვარების და სოციალური აღდგენის გლობალურ სტრატეგიებს, რომლებიც მიმართულია კონფლიქტების ძირეული მიზეზების აღმოფხვრისკენ და სოციალური განვითარების ხელშეწყობისკენ. საერთაშორისო თანამეგობრობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონფლიქტების მოგვარებაში. გაეროს ორგანიზაცია, როგორც მშვიდობისა და უსაფრთხოების

11 Frances Stewart, "Horizontal Inequalities and Conflict: An Introduction and Some Hypotheses," Oxford Development Studies, 2008. 36 (1), 1-17.

12 Gudrun Ostby, "Horizontal Inequality, Grievance, and Civil Conflict," Journal of Peace Research 45, 2008. 45 (2), 143-162.

13 Michael T. Klare, "The Race for What's Left: The Global Scramble for the World's Last Resources," New York: Macmillan, 2012.

14 Jurgen Scheffran, Michael Brzoska, Janna Kominek, Peter Michael Link, and Johannes Schilling, "Climate Change and Violent Conflict," 2012. 336 (6083), 869-871.

15 Thomas Piketty, "Capital in the Twenty-First Century,"(Cambridge, MA: Harvard University Press, 2014.

მთავარი ინსტიტუტი, ახორციელებს სხვადასხვა მექანიზმებს, როგორიცაა სამშვიდობო ოპერაციები, მედიაცია, არბიტრაჟი და სანქციები. რეგიონალური ორგანიზაციები, როგორიცაა ევროკავშირი, აფრიკის კავშირი და სხვა, ასევე აქტიურად მონაწილეობენ კონფლიქტების მოგვარების პროცესში. მნიშვნელოვანია ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების როლი, რომლებიც ახორციელებენ ჰუმანიტარულ დახმარებას და ხელს უწყობენ დიალოგს კონფლიქტის მხარეებს შორის.[16] კონფლიქტის შემდგომ პერიოდში აუცილებელია სოციალური აღდგენის და შერიგების პროცესების განხორციელება. ეს მოიცავს ინფრასტრუქტურის აღდგენას, ლტოლვილთა რეინტეგრაციას, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას და სოციალური ნდობის აღდგენას. სამართლიანობა და ანგარიშვალდებულება მნიშვნელოვანია შერიგების პროცესში, რაც გულისხმობს ომის დანაშაულების გამოძიებას და დამნაშავეების დასჯას. ჭეშმარიტებისა და შერიგების კომისიები და სხვა მსგავსი მექანიზმები ხელს უწყობს კონფლიქტის მსხვერპლთა ხმის გაგონებას და ისტორიული სიმართლის დადგენას.[17] კონფლიქტის მოგვარებაში მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი, ასევე გლობალური აქტორების როლი. ადგილობრივი თემები და ლიდერები, როგორიცაა რელიგიური ლიდერები, ტრადიციული უხუცესები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დიალოგისა და შერიგების პროცესში. გლობალური აქტორები, როგორიცაა საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობები, უზრუნველყოფენ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას, ასევე პოლიტიკურ მხარდაჭერას.[18] კონფლიქტის პრევენცია და მდგრადი მშვიდობის დამყარება მოითხოვს გრძელვადიან ძალისხმევას. ეს მოიცავს უთანასწორობის აღმოფხვრას, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, ადამიანის უფლებების დაცვას და სოციალური განვითარების ხელშეწყობას. მნიშვნელოვანია განათლების როლი, რაც ხელს უწყობს ტოლერანტობისა და ურთიერთგაგების კულტურის ჩამოყალიბებას. კონფლიქტის პრევენციისთვის აუცილებელია ადრეული გაფრთხილების სისტემების შექმნა და დიპლომატიური ძალისხმევის გააქტიურება.[19] ამრიგად, კონფლიქტის მოგვარება და სოციალური აღდგენა მოითხოვს კომპლექსურ და მრავალმხრივ მიდგომას. საერთაშორისო თანამშრომლობა, ადგილობრივი ჩართულობა და გრძელვადიანი სტრატეგიები აუცილებელია მდგრადი მშვიდობის დამყარებისთვის. კონფლიქტის პრევენცია და გლობალური უთანასწორობის აღმოფხვრა წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯებს სამართლიანი და მშვიდობიანი სამყაროსკენ.[20]

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომმა მიმოიხილა კონფლიქტების მრავალგანზომილებიანი ხასიათი და მათი დესტრუქციული გავლენა თანამედროვე გლობალურ კონტექსტში. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კონფლიქტები არა მხოლოდ წარმოადგენს ადამიანურ ტრაგედიას, არამედ ღრმად ანგრევს საზოგადოების სოციალურ ქსოვილს, იწვევს მასობრივ მიგრაციას, ეკონომიკურ ნგრევას, ინსტიტუციურ რღვევას და ღრმა ფსიქოლოგიურ ტრავმას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კონფლიქტისა და გლობალური უთანასწორობის ურთიერთკავშირს.

16 Boutros Boutros-Ghali, “An Agenda for Peace: Preventive Diplomacy, Peacemaking and Peace-Keeping,” New York: United Nations, 1992.
17 John Paul Lederach, “The Moral Imagination: The Art and Soul of Building Peace,” Oxford: Oxford University Press, 2005.
18 Roland Paris, “Saving Liberal Peace: Intervention in a Complex World, “ Cambridge: Cambridge University Press, 2010.
19 Michael W. Doyle and Nicholas Sambanis, “Making War and Building Peace: United Nations Peacebuilding after World War II,” (rinceton: Princeton University Press, 2006.
20 Paul Collier, “The Bottom Billion: Why the Poorest Countries Are Failing and What Can Be Done About It,” Oxford: Oxford University Press, 2007.

გამოიკვეთა, რომ ეს ორი ფენომენი ერთმანეთზე ურთიერთგავლენას ახდენს და ქმნის მოჯადოებულ წრეს. კონფლიქტები არა მხოლოდ წარმოიქმნება უთანასწორობის ფონზე, არამედ თავად აძლიერებენ მას, რაც იწვევს სოციალური და ეკონომიკური განხეთქილების გაღრმავებას.

ამასთან, განხილული იყო კონფლიქტის მოგვარების და სოციალური აღდგენის გლობალური სტრატეგიები. გამოიკვეთა, რომ კონფლიქტების ეფექტური მოგვარება და მდგრადი მშვიდობის დამყარება მოითხოვს კომპლექსურ და მრავალმხრივ მიდგომას. საერთაშორისო თანამშრომლობა, ადგილობრივი ჩართულობა და გრძელვადიანი სტრატეგიები აუცილებელია მდგრადი მშვიდობის დამყარებისთვის. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ კონფლიქტების პრევენცია და გლობალური უთანასწორობის აღმოფხვრა წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯებს სამართლიანი და მშვიდობიანი სამყაროსკენ. აუცილებელია საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის გაერთიანება და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს კონფლიქტების პრევენციას, მათი შედეგების დაძლევას და მდგრადი განვითარების მიღწევას.

ამრიგად, კონფლიქტების მოგვარება და სოციალური აღდგენა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას თანამედროვე მსოფლიოსთვის. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევითა და კომპლექსური მიდგომითაა შესაძლებელი ამ გამოწვევის წარმატებით გადალახვა და მშვიდობიანი და სამართლიანი მომავლის უზრუნველყოფა.

ბიბლიოგრაფია

Boutros-Ghali, B. (1992). An agenda for peace: preventive diplomacy, peacemaking and peace-keeping. United Nations.

Collier, P. (2007). The Bottom Billion: Why the Poorest Countries Are Failing and What Can Be Done About It. Oxford University Press.

Crisp, J. (2002). A new asylum paradigm? Globalisation, migration and the uncertainties of protection. Forced Migration Review

Doyle, M. W., & Sambanis, N. (2006). Making war and building peace: United Nations peacebuilding after World War II. Princeton University Press.

International Committee of the Red Cross (ICRC). (Multiple Reports 2022)

Keohane, R. O., & Nye, J. S. (2012). Power and Interdependence. Longman.

Klare, M. T. (2012). The race for what's left: The global scramble for the world's last resources. Macmillan.

Lederach, J. P. (2005). The moral imagination: The art and soul of building peace. Oxford University Press.

Malcolm, N. (2002). Kosovo: A Short History. Macmillan.

Ostby, G. (2008). Horizontal inequality, grievance, and civil conflict. Journal of Peace Research, 45(2), 143-162.

Paris, R. (2010). Saving liberal peace: Intervention in a complex world. Cambridge University Press.

Piketty, T. (2014). Capital in the Twenty-First Century. Harvard University Press.

Pruitt, D. G., & Kim, S. H. (2004). Social Conflict: Escalation, Stalemate, and Settlement. McGraw-Hill.

Putnam, R. D. (2000). Bowling Alone: The Collapse and Revival of American Community. Simon & Schuster.

Scheffran, J., Brzoska, M., Kominek, J., Link, P. M., & Schilling, J. (2012). Climate change and violent conflict.

Stewart, F. (2008). Horizontal inequalities and conflict: An introduction and some hypotheses. Oxford Development Studies

Summerfield, D. (1999). A critique of seven assumptions behind psychological trauma programmes in war-affected areas. Social Science & Medicine

Wendt, A. (1992). Anarchy Is What States Make of It: The Social Construction of Power Politics. International Organization

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა თანამედროვე საერთაშორისო სისტემაზე

შოთა ოთხოზორია

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების
მიმართულების ასისტენტ პროფესორი,
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

აბსტრაქტი

ნაშრომი განიხილავს რუსეთ-უკრაინის ომის (რომელიც დაიწყო 2014 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიით და გამწვავდა 2022 წლის თებერვალში სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ) გავლენას თანამედროვე მსოფილო წესრიგზე, რეგიონულ უსაფრთხოების დინამიკასა და გლობალურ ეკონომიკურ სისტემებზე.

კვლევის ფარგლებში იკვეთება, რომ ამ კონფლიქტმა ბიძგი მისცა რამდენიმე ფუნდამენტურ გეოპოლიტიკურ ცვლილებას, მათ შორის ხისტი ძალის პოლიტიკის დაბრუნება, ევროპაში უსაფრთხოების მექანიზმების რესტრუქტურიზაცია, ალიანსების გაფართოება და შიდა დაძაბულობა, გლობალური ენერგეტიკული ბაზრების გადაწყობა და დიდი ძალების კონკურენციის გაძლიერება.

რეალიზმის, კონსტრუქტივიზმისა და ლიბერალიზმის საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ჩარჩოებზე დაყრდნობით კვლევამ აჩვენა, რომ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა ეჭვქვეშ დააყენა ცივი ომის შემდგომი წესრიგის ძირითადი ვარაუდები, განსაკუთრებით ის მოსაზრება, რომ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და ინსტიტუციური ინტეგრაცია ხელს შეუშლის ფართომასშტაბიან სახელმწიფოთაშორის კონფლიქტს.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ რუსეთ-უკრაინის ომმა გაამწვავა უსაფრთხოების ტრადიციული პრობლემები, ხელი შეუწყო სამხედრო ძალების ზრდის ტენდენციებს მთელ ევროპაში და გამოიწვია ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკის გადაფასება. ასევე, მნიშვნელოვნად იმოქმედა გლობალურ სასურსათო უსაფრთხოებაზე და მიწოდების ჯაჭვები მნიშვნელოვნად შეზღუდა. გარდა ამისა, რუსეთის მიმართ დაწესებულმა უპრეცედენტო ეკონომიკურმა სანქციებმა დააჩქარა გლობალური ეკონომიკის კონკურენტ ბლოკებად ფრაგმენტაცია და დასავლური ფინანსური სისტემების დომინირებასთან დაპირისპირება.

რუსეთ-უკრაინის სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი წარმოადგენს არა მხოლოდ რეგიონულ კრიზისს, არამედ გარდამტეხ მომენტს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე მსოფლიო წესრიგზე და აჩქარებს მის ცვლილებას, რომელიც ხასიათდება მზარდი გეოპოლიტიკური მეტოქეობით, ეკონომიკური ფრაგმენტულობით და დემოკრატიულ და ავტორიტარულ მმართველობის სისტემებს შორის დაპირისპირებით.

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკა, კონკურენცია, კონფლიქტი, ომი, უსაფრთხოება, წესრიგი.

THE IMPACT OF THE RUSSIA-UKRAINE WAR ON THE CONTEMPORARY INTERNATIONAL SYSTEM

Shota Otkhozoria

Assistant Professor of Bachelor's Program in Defense and Security of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of International Relations

Abstract

The paper examines the impact of the Russia-Ukrainian war (which began in 2014 with Russia's annexation of Crimea and escalated into a full-scale invasion in February 2022) on the contemporary world order, regional security dynamics, and global economic systems. The study argues that the conflict has triggered several fundamental geopolitical shifts, including the return of hard power policies, the restructuring of security mechanisms in Europe, the expansion of alliances and internal tensions, the reshaping of global energy markets, and the intensification of great power competition.

Drawing on the frameworks of realism, constructivism, and liberalism in international relations, the study found that the Russia-Ukraine conflict has challenged key assumptions of the post-Cold War order, particularly the notion that economic interdependence and institutional integration would prevent large-scale interstate conflict.

The study found that the Russia-Ukraine war has exacerbated traditional security concerns, fueled military buildups across Europe, and led to a reassessment of energy security policies. It has also significantly impacted global food security and severely constrained supply chains. In addition, unprecedented economic sanctions against Russia have accelerated the fragmentation of the global economy into competing blocks and the challenge to the dominance of Western financial systems.

The Russian-Ukrainian military-political conflict represents not only a regional crisis, but also a "turning point" in modern international relations. It has a significant impact on the contemporary world order and is accelerating its change, which is characterized by growing geopolitical rivalry, economic fragmentation, and confrontation between democratic and authoritarian systems of governance.

Keywords: geopolitics, competition, conflict, war, security, order.

შესავალი

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი არის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ყველაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება. დაიწყო 2013 წელს, როგორც შიდა უკრაინული კრიზისი და რუსეთის მიერ 2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ გაჭიანურებულ რეგიონულ კონფლიქტში გადაიზარდა. ხოლო, 2022 წლის 24 თებერვალს, უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების „არაპროვოცირებული შეჭრის" შემდეგ ფართომასშტაბიან სამხედრო-პოლიტიკურ კონფლიქტად ჩამოყალიბდა.

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, უკრაინისა და რუსეთის ურთიერთობა რთული და დაძაბული რჩებოდა. თუმცა, მიმდინარე კონფლიქტის უშუალო წარმოშობის თარიღად შეიძლება 2013 წლის ბოლო მივიჩნიოთ, როდესაც უკრაინის მაშინდელმა პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პროცესი შეაჩერა, რამაც 13 ნოემბრიდან „ევრომაიდანის" მძლავრი საპროტესტო ტალღის დაწყება და 2014 წლის თებერვალში იანუკოვიჩის ხელისუფლების გადადგომა განაპირობა. რუსეთმა ეს მოვლენები განმარტა, როგორც ლეგიტიმური ხელისუფლების დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი გადატრიალება და იგი დასავლური ძალების მიერ მოსკოვის გავლენის სივრცეში შემოჭრად აღიქვა, რასაც კრემლმა 2014 წლის მარტში ყირიმის ანექსიით და დონბასის რეგიონში სეპარატისტული მოძრაობების მხარდაჭერით უპასუხა.

კონფლიქტი 2014 წლიდან 2022 წლამდე დაბალი ინტენსივობით მიმდინარეობდა და თითქოს მისი მშვიდობიანი მოგვარების თეორიულ შესაძლებლობასაც ტოვებდა. თუმცა, რამდენიმეთვიანი სამხედრო ძალის დემონსტრირების შემდეგ რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, რასაც საერთაშორისო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მკვეთრი რეაქცია მოჰყვა. გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ რუსეთის უკრაინის ტერიტორიაზე „არაპროვოცირებული შეჭრა" დაგმო და მოსთხოვა „დაუყოვნებლივ, სრულად და უპირობოდ გაიყვანოს მთელი თავისი სამხედრო ძალები უკრაინის ტერიტორიიდან მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში".[1] თუმცა, რუსეთმა გენერალური ასამბლეის 2022 წლის 2 მარტის რეზოლუცია ES-11/1-ის მოთხოვნები არ შეასრულა. ხოლო, მანამდე - 25 თებერვალს, გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის პროექტი, რომელიც ასევე უკრაინის საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანას მოითხოვდა „ვეტო"-ს გამოყენებით ჩააგდო.[2]

რუსეთი არ ასრულებს საერთაშორისო თანამეგობრობის დიდი ნაწილის მოთხოვნებს და მის მიერ 2022 წლის 24 თებერვალს, ევროპაში წამოწყებული სრულმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები დღემდე გრძელდება, რაც შორსმიმავალ გლობალურ და რეგიონალურ შედეგებს განაპირობებს.

ნაშრომში დასაბუთებულია მოსაზრება, რომ რუსეთ-უკრაინის სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი წარმოადგენს არა მხოლოდ რეგიონულ კრიზისს, არამედ გარდამტეხ მომენტს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე მსოფლიო წესრიგზე და აჩქარებს მის ცვლილებას, რომელიც ხასიათდება მზარდი გეოპოლიტიკური მეტოქეობით, ეკონომიკური ფრაგმენტულობით და დემოკრატიულ და ავტორიტარულ მმართველობის სისტემებს შორის დაპირისპირებით.

ანალიზის დროითი ჩარჩო მოიცავს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის პერიოდს - 2022 წლიდან დღემდე.

კვლევის მნიშვნელობას განსაზღვრავს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის საკვანძო გავლენა გლობალურ წესრიგზე, რომელიც აჩქარებს მის ცვლილებას.

---

1 General Assembly, „ES-11/1. Aggression against Ukraine," 2 March, 2022, https://shorturl.at/Awdq0 (გადამოწმებულია 09.03.2025.)

2 United Nations, „Security Council Fails to Adopt Draft Resolution on Ending Ukraine Crisis, as Russian Federation Wields Veto" 25 February, 2022, https://shorturl.at/rP296 (გადამოწმებულია, 09.03.2025.)

ანალიზი იყენებს საერთაშორისო ურთიერთობების სამ თეორიას: კონსტრუქტივიზმი, რეალიზმი და ლიბერალიზმი. თითოეული მათგანი იძლევა ღირებულ შეხედულებებს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის სხვადასხვა ასპექტზე და მის გლობალურ შედეგებზე.

კონსტრუქტივიზმი -კონსტრუქტივიზმი მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი ხელს უწყობს იდენტობის, ნორმებისა და ისტორიული ნარატივების როლის გაგებას მიმდინარე კონფლიქტში. პუტინის გამოსვლები, რომლებიც წინ უძღოდა ფართომასშტაბიან სამხედრო აგრესიას, ხშირად ეხებოდა ისტორიულ კავშირებს რუსეთსა და უკრაინას შორის და უარყოფდა უკრაინის, როგორც ცალკეული ეროვნული სახელმწიფოს ლეგიტიმაციას.[3] როგორც ალექსანრე ვენდტი ამტკიცებს, „ანარქია არის ის, რასაც სახელმწიფოები მისგან ქმნიან." რაც ამოწმებს ვარაუდს, რომ რუსეთის აღქმა უკრაინის დასავლური ორიენტაციის საფრთხის შესახებ სოციალურად კონსტრუირებული და არაობიექტურად განსაზღვრულია.[4] ლარსონი და შევჩენკო მიიჩნევენ, რომ რუსეთის აგრესიული ქმედებები ნაწილობრივ გამოწვეულია მისი მიმდინარე სტატუსითა და ცივი ომის შემდეგ დასავლური ძალების მხრიდან უპატივცემულობის აღქმით.[5] ისინი ამტკიცებენ, რომ რუსეთის სურვილი აღიარებული იქნეს, როგორც დიდი ძალა, გახდა მისი მზარდი აგრესიული საგარეო პოლიტიკის მთავარი ფაქტორი, უკრაინაში მისი ინტერვენციის ჩათვლით.

რეალიზმი - რეალიზმი ხაზს უსვამს ძალის (ძალაუფლების), უსაფრთხოებისა და სახელმწიფო ინტერესების მნიშვნელობას ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში. ამ პერსპექტივიდან, რუსეთის ქმედებები უკრაინაში შეიძლება განიმარტოს, როგორც მცდელობა დაიცვას თავისი გავლენის სფერო და თავიდან აიცილოს ნატო-ს გაფართოება იქ, რასაც იგი თავის ნაწილად მიიჩნევს. როგორც სტეფან უოლტი აღნიშნავს, „აშშ-ისა და ევროკავშირის უმაღლეს დიპლომატებს რომ გაეგოთ ეს პრინციპი, მათ ასე არ გაუკვირდებოდათ რუსეთის ხისტი ქცევა უკრაინის, საქართველოს ან თუნდაც სირიის მიმართ. ბოლოსდაბოლოს, პუტინი უბრალოდ აკეთებდა იმას, რასაც ამერიკა არაერთხელ აკეთებდა მის ეზოში".[6] ჯონ მეარშაიმერი კრიზისზე მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას დასავლეთურ ძალებს აკისრებს. იგი აღნიშნავს, რომ „აშშ და მისი ევროპელი მოკავშირეები იზიარებენ უკრაინის კრიზისზე პასუხისმგებლობის უმეტეს ნაწილს. უბედურების საფუძველი ნატო-ს გაფართოებაა".[7] ნეორეალისტური პერსპექტივიდან კი, კენეთ უოლცი, სავარაუდოდ, კონფლიქტს განიხილავდა, როგორც მოსალოდნელ დამაბალანსებელ პასუხს ცივი ომის შემდგომ ეპოქაში აშშ-ს ჰეგემონიის მცდელობისა და ნატოს გაფართოებაზე.[8]

ლიბერალიზმი - ლიბერალიზმი გვთავაზობს განსხვავებულ თეორიულ ჩარჩოს, რომელიც საერთაშორისო შედეგების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ანიჭებს ურთიერთდამოკიდებულებას, საერთაშორისო ინსტიტუტებს და შიდა პოლიტიკის როლს. საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსები ხაზს უსვამენ მოცემულობას, რომ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი ძირითადი ლიბერალური ვარაუდებისთვის გამოწვევაა, განსაკუთრებით ურთიერთდამოკიდებულებისა და რეჟიმების დამამშვიდებელ ეფექტებს.

---

3 Vladimir Putin, „the Historical Unity of Russians and Ukrainians," 12.07.2021, https://shorturl.at/dl5Qy (გადამოწმებულია, 02.03.25)

4 Alexander Wendt, „Anarchy Is What States Make of It: The Social Construction of Power Politics," International Organization 46, no. 2, 1992: p. 391-425. https://shorturl.at/4amiE (გადამოწმებულია, 09.03.2025.)

5 Deborah Welch Larson, Alexei Shevchenko, „Russia says no: Power, status, and emotions in foreign policy," Communist and Post-Communist Studies, Vol. 47, No. 3/4, 2014, pp. 269-279. https://shorturl.at/tOxPI (გადამოწმებულია, 09.03.2025.)

6 Stephen Walt, „The Top 5 Things the Next President Needs to Know About Foreign Policy," Foreign Policy, December 7, 2015, https://shorturl.at/5MFXK (გადამოწმებულია, 09.03.2025.)

7 John J. Mearsheimer, „Why the Ukraine Crisis Is the West's Fault: The Liberal Delusions That Provoked Putin," Foreign Affairs 93, no. 5, 2014, p. 77-89. https://shorturl.at/IUsov (გადამოწმებულია, 09.03.2025.)

8 Kenneth N. Waltz, Theory of International Politics, (Addison-Wesley, 1979).

კოეჰენისა და ნეი-ის კონცეფცია კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულებისა და რეჟიმების შესახებ ვარაუდობს, რომ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური კავშირების გაზრდა და ინსტიტუციონალიზირებული რეჟიმების გაძლიერება შეამცირებს სამხედრო კონფლიქტის ალბათობას.[9] რუსეთსა და ევროპას შორის მნიშვნელოვანი ეკონომიკური კავშირების მიუხედავად, ამ კავშირებმა ვერ შეძლეს ომის თავიდან აცილება.

ჯონ იკენბერი აღნიშნავს, რომ ეს წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას ლიბერალური მოლოდინებისთვის იმის შესახებ, თუ როგორ უწყობს ხელს ეკონომიკური ინტეგრაცია მშვიდობას.[10] აქვე უნდა აღინიშნოს ისეთი ინსტიტუციონალიზირებული რეჟიმების, როგორებიცაა გაერო, ეუთო, ევროსაბჭო და ევროკავშირის არაეფექტურობა, რომელთაც რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ესკალაციის თავიდან აცილება ვერ შეძლეს.

ლიბერალიზმი ასევე ხაზს უსვამს შიდა პოლიტიკური ფაქტორების მნიშვნელობას. ენდრიუ მორავჩიკი აღნიშნავს, რომ "სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობები, სახელმწიფოების ურთიერთობა შიდა და ტრანსნაციონალურ სოციალურ კონტექსტთან, რომელშიც ისინი არსებობენ ფუნდამენტურ გავლენას ახდენს სახელმწიფოს ქცევაზე საერთაშორისო პოლიტიკაში".[11] ამ პერსპექტივიდან, თუ გადავხედავთ ფართო მასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების წინა პერიოდს დავინახავთ, რომ პუტინის შიდა პოლიტიკური იმპერატივები მართლაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რუსეთის საგარეო პოლიტიკასა და კერძოდ, რუსეთ-უკრაინის მიმდინარე კონფლიქტის გაჩაღებაში.

ძირითადი ნაწილი

გლობალური გეოპოლიტიკური შედეგები

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი, - ნატო, რომელსაც საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი ჯერ კიდევ 2019 წლის 7 ნოემბერს „ტვინის სიკვდილის" მდგომარეობაში მყოფ ორგანიზაციად მოიხსენიებდა და ევროპელებს საკუთარ თავზე, როგორც სტრატეგიულ ძალაზე ფიქრისკენ მოუწოდებდა, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა აშკარად გამოაცოცხლა.[12] რუსეთის სამხედრო ინტერვენციას ნატო-მ სწრაფად უპასუხა, მათ შორისაა: აღმოსავლეთ ევროპაში წარმომადგენლობის გაძლიერება, გაზრდილი თავდაცვის ხარჯები, ევროპელ წევრებს შორის და ფინეთისა და შვედეთის ისტორიული გადაწყვეტილებები, ნატო-ში გაწევრიანებაზე.[13] ამასთან, ნატო-ს 2022 წლის სტრატეგიულმა კონცეფციამ, რომელიც მიღებულ იქნა მადრიდის სამიტზე, რუსეთი ცალსახად განსაზღვრა, როგორც „ყველაზე მნიშვნელოვანი და პირდაპირი საფრთხე მოკავშირეების უსაფრთხოებისთვის," რაც 2010 წლის დოკუმენტიდან შედარებით მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს, რომელშიც რუსეთი მოხსენიებული იყო, როგორც ნატო-ს სტრატეგიული პარტნიორი.[14]

შეიძლება ითქვას, რომ უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის „არაპროვოცირებულმა შეჭრამ" ნატო-ს ახალი მიზნისა და ერთიანობის განცდა შესძინა, რაც ადრე ნაკლებად სავარაუდო იყო.

ევროპული კავშირი - ევროკავშირმა, ასევე გააძლიერა საკუთარი ძლისხმევა -გააქტიურა ევროპული მექანიზმი უკრაინის სამხედრო დახმარების უზრუნველსაყოფად და უსაფრთხოებისა და თავდაცვის გასაძლიერებლად ამბიციური „სტრატეგიული კომპასის"

9 Robert O. Keohane and Joseph S. Nye, Power and Interdependence, 4th ed. (Boston: Longman, 2012).

10 G. John Ikenberry, „The End of Liberal International Order?" International Affairs 94, no. 1, (2018, p. 7-23. https://shorturl.at/7loLr ; https://shorturl.at/OPGxt (გადამოწმებულია, 10.03.2025)

11 Andrew Moravcsik, „Taking Preferences Seriously: A Liberal Theory of International Politics," International Organization, Vol. 51, No. 4 (Autumn, 1997), pp. 513-553 https://shorturl.at/hbwTi (გადამოწმებულია, 10.03.2025)

12 Emmanuel Macron, interview by The Economist, November 7, 2019, https://shorturl.at/jwQQ5 (გადამოწმებულია, 10.03.2025)

13 Phelan Chatterjee, „How Sweden and Finland went from neutral to Nato," BBC News, 11 July 2023, https://shorturl.at/0u7AS (გადამოწმებულია, 10.03.2025)

14 NATO, „Madrid Summit Declaration," June 29, 2022, https://shorturl.at/QAyE9 (გადამოწმებულია, 10.03.2025)

იმპლემენტაცია დაიწყო.[15] როგორც კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ფონდის, რუსეთისა და ევროპის პროგრამის მკვლევარები სოფია ბეში და ერიკ სიარამელა აღნიშნავენ, „მიუხედავად იმისა, რომ იგი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თავდაპირველად შეიქმნა, როგორც სამშვიდობო პროექტი, ევროკავშირმა განმეორებად გეოპოლიტიკურ რყევებს

უპასუხა და მიისწრაფვის რაღაცისკენ, რაც თავდაცვის გაერთიანებას უფრო ჰგავს.“[16]

საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი ჯერ კიდევ 2018 წელს აცხადებდა, რომ რუსეთი შეიძლება გახდეს საფრთხე -„მე მსურს რეალური უსაფრთხოების დიალოგი რუსეთთან, რომელიც არის სახელმწიფო, რომელსაც პატივს ვცემ, ევროპული სახელმწიფო, მაგრამ ჩვენ უნდა გვქონდეს ევროპა, რომელსაც შეუძლია საკუთარი თავის დაცვა მარტოს, შეერთებულ შტატებზე დაყრდნობის გარეშე.“ თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ძალების გაერთიანების მომხრე იყო, ევროპული არმიის შექმნის იდეას ეწინააღმდეგებოდა დიდი ბრიტანეთი, ნატო-ს პარალელური სტრუქტურის შექმნის პოტენციური რისკის გამო.[17]

2024 წლის 25 აპრილს პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა კიდევ ერთხელ მოუწოდა საფრანგეთის ევროპელ მოკავშირეებს შეიმუშაონ სანდო სტრატეგიული კონცეფცია მომავალი თვეების განმავლობაში კონტინენტის დასაცავად საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობით. მაკრონმა განაცხადა, რომ ახალი კონცეფცია შეიძლება შეიცავდეს გერმანიის მიერ ინიცირებულ „ევროპულ საჰაერო და სარაკეტო ფარს (European Sky Shield Initiative, ESSI)“ და საფრანგეთის ბირთვული შეკავების არსენალს, რომელსაც მან უწოდა „ევროპის კონტინენტის თავდაცვის შეუცვლელი ნაწილი.“ მისი თქმით, ამით შეიქმნება ევროპის საერთო უსაფრთხოების ჩარჩო, რომელიც მომავალში შესაძლებელს გახდის რუსეთთან მეზობლური ურთიერთობების დამყარებას.[18]

თვალში საცემია, რომ რუსეთი-უკრაინის კონფლიქტმა საერთაშორისო ურთიერთობებში ხისტი ძალის პოლიტიკის დაბრუნება და ევროპის ტრანსფორმაცია გარკვეულწილად დააჩქარა. თუმცა, მიმდინარე პროცესებზე ასევე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს, როგორებიცაა: 2025 წლის 14 თებერვალს, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის - ჯეი დი ვენსის ევროპის უპეცენდენტო კრიტიკა; პრეზიდენტ ტრამპის და მისი ადმინისტრაციის არაერთი მაღალი თანამდებობის პირის განცხადებები, აშშ-ს მიერ ნატო-ს რიგების დატოვების შესაძლებლობის შესახებ; 28 თებერვალს თეთრი სახლის ოვალურ დარბაზში უკრაინის პრეზიდენტის მიმართ წაყენებული პრეტენზიები და მოკავშირე სახელმწიფოების ლიდერების საპასუხო რეაქციები; რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დარეგულირებისა და ზოგადად, ევროპის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით ევროპელი და ამერიკელი ლიდერების აზრთა სხვადასხვაობა, რომელთა ერთობლიობა დასავლურ ძალებში გარკვეულ შიდა დაძაბულობის წყაროს წარმოადგენს.

ენერგეტიკული უსაფრთხოება და ბაზრების რეკონფიგურაცია -კონფლიქტმა გამოიწვია ევროპის ენერგეტიკული ბაზრების რესტრუქტურიზაცია და გლობალური ენერგეტიკული ნაკადების ცვლილებები. უკრაინის ომამდე რუსეთი ევროპას ბუნებრივი გაზის დაახლოებით 35-37%-ს აწვდიდა და იყო ნავთობისა და ნახშირის მთავარი მიმწოდებელი.[19] თუმცა,

15 European Union External Action Service, „A Strategic Compass for Security and Defence,“ March 2022, https://shorturl.at/yCuqT ; https://shorturl.at/VfTlf (გადამოწმებულია, 10.03.2025)

16 Sophia Besch and Eric Ciaramella, „Ukraine's Accession Poses a Unique Conundrum for the EU,“ Carnegie Endowment for International Peace, October 24, 2023, https://shorturl.at/CLhay (გადამოწმებულია, 10.03.2025)

17 Jonathan Marcus, „France's Macron pushes for 'true European army"BBC, 6 November 2018, https://shorturl.at/W63yZ (გადამოწმებულია, 10.03.2025)

18 Łukasz Maślanka, „President Macron proposes a European defence initiative," Center for Eastern Studies, 29.04.2024, https://shorturl.at/zxaGh (გადამოწმებულია, 10.03.2025)

19 International Energy Agency, „Russian Supplies to Global Energy Markets," https://shorturl.at/qNLse (გადამოწმებულია, 10.03.2025)

ევროპულმა ძალისხმევამ შეემცირებია რუსულ ენერგეტიკაზე დამოკიდებულება, განაპირობა ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები, როგორიცაა: 1.განახლებადი ენერგიის ინფრასტრუქტურის დაჩქარებული განვითარება REPowerEU გეგმის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის 2030 წლის განახლებადი ენერგიის წილის 40%-დან 45%-მდე გაზრდას. 2.ახალი მილსადენების პროექტები და ენერგეტიკული პარტნიორობა არარუსულ მომწოდებლებთან, მათ შორის სამხრეთ გაზის დერეფნის გაფართოება და გაძლიერებული თანამშრომლობა ნორვეგიასთან და ალჟირთან.[20] 3.ბუნებრივი აირის მიწოდების დივერსიფიკაცია, მათ შორის გათხევადებული ბუნებრივი აირის (LNG) გაზრდილი იმპორტი აშშ-დან და ყატარიდან. 2022 წელს 2021 წელთან შედარებით LNG იმპორტი ევროკავშირში 60%-ით გაიზარდა.[21] 4.მოკლევადიანი ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ქვანახშირისა და ატომური ელექტროსადგურების მუშაობის განახლება ან გაფართოება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, ბელგია და საფრანგეთი.[22]

რუსეთმა თავისი ნავთობის ექსპორტი ევროპიდან ჩინეთსა და ინდოეთში გადაიტანა. 2022 წლამდე რუსეთი ევროპაში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სულ 40-45%-ს აწვდიდა, 2023 წლის დეკემბრისთვის კი ეს მაჩვენებელი 4-5%-მდე ჩამოვიდა. არსებულ ვითარებაში ჩინეთი, რომლის წილი (ნავთობის ექსპორტში) გაიზარდა 45-50%-მდე და ინდოეთი გახდნენ რუსეთის მთავარი პარტნიორები. ინდოეთი, რომელიც მანამდე რუსეთიდან თითქმის არ მარაგდებოდა, ვიცე-პრემიერი ალექსანდრე ნოვაკის განცხადებით „ორ წელიწადში ინდოეთში მიწოდების მთლიანი წილი 40%-მდე გაიზარდა“.[23]

აღნიშნულ ცვლილებებს აქვს გლობალური გავლენა, რამე თუ ცვლის ენერგიის ნაკადებს, გავლენას ახდენს, როგორც ფასებზე ისე ენერგიის მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობებზე მსოფლიოს მასშტაბით.

ეკონომიკური ფრაგმენტაცია და გეოეკონომიკური კონკურენცია -რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა უპრეცედენტო ეკონომიკურმა სანქციებმა ეკონომიკური ფრაგმენტაციისა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზეწოლის იარაღად გარდაქმნის ტენდენციები გააქტიურა. დასავლეთის სახელმწიფოებმა გაყინეს რუსეთის ცენტრალური ბანკის დაახლოებით 300 მილიარდი დოლარის რეზერვები, SWIFT ფინანსური შეტყობინებების სისტემიდან გარიცხეს ძირითადი რუსული ბანკები და დაუწესეს ფართო სავაჭრო შეზღუდვები.[24] დასავლური ძალების მიერ განხორციელებული ქმედებები წარმოადგენს ნათელ მაგალითს იმისა, რასაც ნიკოლას მალდერი უწოდებს „სანქციების ზრდა, როგორც თანამედროვე ომის იარაღი“.[25]

სანქციებმა წარმოქმნა კითხვები დოლარზე დაფუძნებულ ფინანსურ სისტემასთან დაკავშირებით და წაახალისა რუსეთის, ჩინეთისა და სხვა განვითარებადი სახელმწიფოების ძალისხმევა, შექმნან ალტერნატიული ფინანსური არხები, რომლებიც ნაკლებად დაუცველი იქნება დასავლური სანქციების მიმართ.[26] BRICS ჯგუფმა (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი,

---

20 European Commission, „REPowerEU: A Plan to Rapidly Reduce Dependence on Russian Fossil Fuels and Fast Forward the Green Transition,“ May 18,2022, https://shorturl.at/IvvLw ; https://shorturl.at/WhdgL (გადამოწმებულია, 10.03.2025)
21 International Energy Agency, „Gas Market Report, Q3-2022,“ https://shorturl.at/0wBnW (გადამოწმებულია, 10.03.2025)
22 International Energy Agency, „Electricity Market Report“ https://shorturl.at/9VHwf (გადამოწმებულია, 10.03.2025)
23 Vladimir Soldatkin and Olesya Astakhova, „Russia exports almost all its oil to China and India“ Reuters, December 27,2023, https://shorturl.at/i2uV0;
Samrat Sharma, „Russia has India and China to thank for saving its economy amid forever war with Ukraine,“ New Delhi, Feb 25, 2025, https://shorturl.at/xT3z3 (გადამოწმებულია, 10.03.2025)
24 U.S. Department of the Treasury, „Treasury Sanctions Russia's Central Bank, National Wealth Fund, and Ministry of Finance,“ February 28,2022, https://shorturl.at/zlf71 (გადამოწმებულია, 11.03.2025)
25 Nicholas Mulder, The Economic Weapon: The Rise of Sanctions as a Tool of Modern War, New Haven and London, Yale University Press 2022.
26 Junhua Zhang, „China and Russia: Toward an alternate financial system,“ gisreportsonlin, October 21, 2024, https://shorturl.at/xvoud (გადამოწმებულია, 11.03.2025)

ჩინეთი და სამხრეთ აფრიკა) გააფართოვა თავისი შემადგენლობა და გააძლიერა ეკონომიკური თანამშრომლობა ნაწილობრივ ამ მოვლენების საპასუხოდ. როგორც მარიელ ფერაგამო მიიჩნევს, „BRICS-ის ქვეყნები ცდილობენ შექმნან ალტერნატივა იმისა, რასაც ისინი ხედავენ, როგორც დასავლური შეხედულებების დომინირება ძირითად ორგანოებში, როგორიცაა მსოფლიო ბანკი, დიდი შვიდეული (G7) და გაერო-ს უშიშროების საბჭო."[27]

კონფლიქტის გავლენებმა ასევე წინ წამოსწია ევროპის ეკონომიკური უსაფრთხოების, კრიტიკულ სექტორებში „სტრატეგიული ავტონომიის" შენარჩუნების აუცილებლობისა და მიწოდების ჯაჭვების გამძლეობის საკითხები, რომლებიც მკაფიოდ აისახა ევროკავშირის სტრატეგიულ დოკუმენტებში.[28]

ნათელია, რომ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა ააჩქარა გლობალური ეკონომიკის ფრაგმენტაცია კონკურენტ ეკონომიკურ ბლოკებად და სტიმული მისცა გადახდის ალტერნატიული სისტემების შექმნას.

დიდი ძალების კონკურენცია -რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა გააძლიერა სტრატეგიული კონკურენცია შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთმა არ გაუწია პირდაპირი სამხედრო მხარდაჭერა რუსეთს, მან შესთავაზა დიპლომატიური მხარდაჭერა და გაზარდა ეკონომიკური ჩართულობა.[29] პეკინი იყენებს კონფლიქტს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დამცველად პოზიციონირებისთვის. თუმცა, იმავდროულად უკრაინაში რუსეთის მიერ სწორედ ამ პრინციპების დარღვევას უჭერს მხარს. ამასთან, ჩინელი ოფიციალური პირები ავრცელებენ ნარატივს დასავლეთის დაცემის შესახებ, რომელიც დააჩქარა უკრაინის კრიზისმა და ხაზს უსვამენ ჩინეთის როლს გლობალურ პოლიტიკაში, როგორც მასტაბილიზირებელი ძალისა.[30]

მიმდინარე მოვლენების ფონზე, რუსეთისა და ჩინეთის მხრიდან შეერთებული შტატების მიერ დომინირებული საერთაშორისო წესრიგის კოორდინირებული გამოწვევების პოტენციალის შესახებ თეთრი სახლის შეშფოთება საფუძველს მოკლებული არ არის. აშშ-ის 2022 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში რუსეთი განსაზღვრულია, როგორც „უშუალო და მუდმივი საფრთხე საერთაშორისო მშვიდობასა და სტაბილურობისათვის." ხოლო, ჩინეთი აღწერილია, როგორც „ერთადერთი კონკურენტი, რომელსაც აქვს ორივე, განზრახვა შეცვალოს საერთაშორისო წესრიგი, და მზარდი ეკონომიკური, დიპლომატიური, სამხედრო და ტექნოლოგიური ძალა ამ მიზნის მისაღწევად".[31]

კონფლიქტის ეფექტი ასევე იგრძნობა ტაივანის უსაფრთხოების საკითხებშიც. „უკრაინა დღეს, ხვალ ტაივანი" - ეს ფრაზა ახლა ხშირად ისმის ტაივანში.[32] არაერთი ანალიტიკოსი პარალელებს ავლებს უკრაინის მიმართ რუსეთის დამოკიდებულებასა და ტაივანის მიმართ ჩინეთის პოზიციას შორის. ამასთან, ითვლება, რომ „ტაივანი აშშ-ჩინეთის ურთიერთობებში ყველაზე სავარაუდო პოტენციური აფეთქების წერტილია."[33] შესაბამისად, შეერთებულმა შტატებმა გაზარდა (გამოყო დაახლოებით $10 მილიარდი) ტაივანის უსაფრთხოების დახმარება

27 Mariel Ferragamo, „What Is the BRICS Group and Why Is It Expanding?" Council on Foreign Relations, December 12, 2024, https://shorturl.at/y7vZ7 (გადამოწმებულია, 11.03.2025)
28 European Union „A Strategic Compass for Security and Defence," https://shorturl.at/yCuqT ; (გადამოწმებულია, 10.03.2025)
29 Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China, „China's Position on the Political Settlement of the Ukraine Crisis" February 24, 2023, https://shorturl.at/w7ZkF (გადამოწმებულია, 11.03.2025)
30 Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China, „Foreign Ministry Spokesperson's Regular Press Conference," March 15, 2022, https://shorturl.at/PJhz9 (გადამოწმებულია, 11.03.2025)
31 White House, „National Security Strategy," Washington, October 12. 2022, https://shorturl.at/zcMOb (გადამოწმებულია, 11.03.2025)
32 Jonas Parello-Plesner, „The Russian Invasion Sparks a Strategic Reassessment: Taiwan Learns From Ukraine," GMF, March 14, 2023, https://shorturl.at/R6i8u (გადამოწმებულია, 11.03.2025)
33 Lindsay Maizland and Clara Fong, „Why China-Taiwan Relations Are So Tense," Council on Foreign Relations, January 15, 2025, https://shorturl.at/AdW0p (გადამოწმებულია, 11.03.2025)

და გააძლიერა ურთიერთობები ინდო-წყნარი ოკეანის მოკავშირეებთან, ნაწილობრივ აღნიშნული საფრთხის საპასუხოდ.[34]

მიმდინარე კონფლიქტში რუსეთს რეალურად დასავლური სამხედრო-ეკონომიკური მანქანა უპირისპირდება და ეს ომი მათ ძვირი უჯდებათ, მათ შორის აშშ-საც. ჩინეთი კი რუსეთის ეკონომიკური პარტნიორობით მხოლოდ სარგებელს იღებს და ძლიერდება. ასეთი პოზიცია მას ერთის მხრივ რუსეთისაგან იაფი ენერგეტიკული და სხვა რესურსების მიღების, ხოლო მეორე მხრივ ყველა პოტენციური კონკურენტის დასუსტების, გამოფიტვის შესაძლებლობას აძლევს, მათ შორის რუსეთისაც, რაც მას სანუკვარი ოცნებების (ტაივანი, რუსეთის შორეული აღმოსავლეთი, ევრაზიის კონტინენტზე დომინაცია და სხვა) აღსასრულებლად ხელ-ფეხს გაუხსნის. მაღალი ალბათობით, ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტთან მიმართებაში აშშ-ს დამოკიდებულების მკვეთრი შემობრუნება და ტრამპის სამშვიდობო ინიციატივა, რათა დაასრულოს ომი, თუნდაც უკრაინისა და ევროპისათვის მიუღებელი პირობებით.

რეგიონალური შედეგები, ავტორიტარული რეჟიმები და არადასავლური ძალები

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა -კონფლიქტმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოების დინამიკაზე, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ჩათვლით. ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა პოლონეთი, რუმინეთი და ბალტიისპირეთის სახელმწიფოები, გამოჩნდნენ, როგორც უკრაინის ყველაზე აქტიური მხარდამჭერები და მნიშვნელოვნად გაზარდეს საკუთარი თავდაცვის შესაძლებლობები.

მიმდინარე კონფლიქტმა აღნიშნული ქვეყნები ნატო-ს ფარგლებში, უსაფრთხოების მომხმარებლობიდან უსაფრთხოების მიმწოდებლებად გარდაქმნა, განსაკუთრებით კი პოლონეთი, როგორც უკრაინის ერთ-ერთი მტკიცე მხარდამჭერი.[35] 2023 წელს, პოლონეთის თავდაცვის ხარჯებმა მშპ-ს 4%-ს მიაღწია, რაც ყველაზე მაღალი პროცენტია ნატო-ს წევრ სახელმწიფოებს შორის. ამასთან ლიეტუვამ, ესტონეთმა და ლატვიამ მნიშვნელოვნად გაზარდეს სამხედრო ბიუჯეტი და გააძლიერეს საზღვრების უსაფრთხოება.[36]

რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო გერმანიის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაცია, რასაც კანცლერმა ოლაფ შოლცმა „Zeitenwende" (გარდამტეხი მომენტი) უწოდა. - შოლცმა 2024 წლის 27 თებერვალს, ბუნდესტაგის საგანგებო სხდომაზე მოხსენების დროს ხუთი ძირითადი საკითხი დაასახელა, რომლის წინაშეც გერმანია დადგა და მისი ადრინდელი პოლიტიკა შეცვალა. ერთ-ერთი ასეთი საკითხი იყო უსაფრთხოება. მისი აზრით, აუცილებელი იყო ბუნდესვერის მოდერნიზაცია და გაძლიერება, რისთვისაც „სპეციალური ფონდის" დაფუძნებისა და 2022 წლის ბიუჯეტისათვის ამ ფონდის უზრუნველსაყოფად 100 მილიარდი ევროს ერთჯერადი გამოყოფის შესახებ განაცხადა. – „თანხებს გამოვიყენებთ საჭირო ინვესტიციებისა და შეიარაღების პროექტებისთვის. ამიერიდან ჩვენ ყოველწლიურად მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-ზე მეტ ინვესტიციას განვახორციელებთ თავდაცვაში".[37] ასეთი პასუხი რუსეთ-უკრაინაში ომზე იყო ფუნდამენტური ცვლილება გერმანიის უსაფრთხოების ტრადიციულად ფრთხილ პოლიტიკაში, ცივი ომის დასრულების შემდეგ.

34 U.S. Department of Defense, „Taiwan Enhanced Resilience Act," 2022. https://shorturl.at/TyGpK (გადამოწმებულია, 11.03.2025)
35 Janusz Bugajski, „New Polish Government Bolsters Relations with Ukraine" Jamestown foundation, February 5, 2024, https://shorturl.at/5j2kf (გადამოწმებულია, 13.03.2025)
36 NATO, „Defence Expenditure of NATO Countries (2014-2023)," https://shorturl.at/xcSXJ (გადამოწმებულია, 13.03.2025)
37 Die bundesregierung, „Regierungserklärung von Bundeskanzler Olaf Scholz," 27. Februar 2022, https://shorturl.at/pf7Ey (გადამოწმებულია, 13.03.2025)

მოლდოვამ და საქართველომ, რომლებსაც ფაქტიურად რუსეთის მიერ ოკუპირებული და მხარდაჭერილი სეპარატისტული რეგიონები გააჩნიათ, დასავლურ ინსტიტუტებთან ინტეგრაციის ძალისხმევა გააძლიერეს, რასაც ევროკავშირის მხრიდან უპრეცენდენტო და სწრაფი რეაქცია მოჰყვა. მოლდოვამ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი 2022 წლის 23 ივნისს მიიღო. ხოლო, საქართველომ 2023 წლის 14 დეკემბერს. ასე რომ, რუსეთ-უკრაინის ომმა მოლდოვასა და საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესები კიდევ უფრო დააჩქარა და ევროინტეგრაციას უფტო მეტი მნიშვნელობა შესძინა.

საქართველოსა და მოლდოვასაგან განსხვავებით ბელორუსმა მხარი დაუჭირა რუსეთს და უფლება მისცა საკუთარი ტერიტორია და სამხედრო ინფრასტრუქტურა უკრაინაში შეჭრისათვის გამოეყენებინა, რისთვისაც დასავლური სამყაროს სამართლიანი წყრომა დაიმსახურა. დასავლეთმა ბელორუსისათვის ადრე დაწესებული სანქციები გაამკაცრა, რაც მას კიდევ უფრო დამოკიდებულს ხდის რუსეთზე.[38]

ლუკაშენკოს გადაწყვეტილებამ კონფლიქტში მხარი დაეჭირა რუსეთისთვის, ბელორუსი რუსეთსა და დასავლეთს შორის კიდევ ერთ დაპირისპირების ხაზად აქცია.

ომის ფონზე 2023 წლის 19 სექტემბერს აზერბაიჯანის სამხედრო ძალებმა რუსული სამშვიდობო (2020 წლიდან 5 წლის ვადით განთავსებული იყო 2000 რუსი ჯარისკაცი) მისიის პირობებში მთიანი ყარაბაღის მიმართულებით შეტევა წამოიწყეს და 20 სექტემბერს მასზე კონტროლი აღადგინეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამხერო ოპერაციას ემსხვერპლნენ (სხვადასხვა მონაცემებით 5 ან 6) „რუსი მშვიდობისმყოფელები," მათ შორის სამშვიდობო მისიის მეთაურის მოადგილე, პირველი რანგის კაპიტანი (პოლკოვნიკი) ივან კოვგანი.[39]

არაერთი პოლიტიკური ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ რუსული სამშვიდობოების არაეფექტურობა და მათი ნაადრევი გაყვანა რუსეთ-უკრაინის ომის გავლენის შედეგია.[40]

რუსული სამშვიდობო მისიის წარუმატებლობამ, რომელმაც ვერ შეძლო აზერბაიჯანის სამხედრო ძალისხმევების შეკავება, ბიძგი მისცა სომხეთ-რუსეთის სტრატეგიული პარტნიორობის რღვევას და სომხეთის პროდასავლური მისწრაფებები გაამლიერა.[41]

ახლო აღმოსავლეთი - სირიაში რუსეთის სამხედრო ჩარევამ მას მსოფლიოს ერთ-ერთ არასტაბილურ რეგიონში საკვანძო მოთამაშის როლი შესძინა. როგორც დიმიტრი ტრენინი აღნიშნავს, „2015 წელს სირიაში სამხედრო ინტერვენციის დაწყებით და აშშ-რუსეთის დიპლომატიური ძალისხმევით, რომელიც მას თან ახლდა, ახლო აღმოსავლეთი გახდა რუსეთის მთავარი საცდელი პოლიგონი გლობალურ სცენაზე დასაბრუნებლად."[42] თუმცა, უკრაინის კონფლიქტმა დაასუსტა მისი სამხედრო წარმომადგენლობა და პოლიტიკური გავლენა რეგიონში, რაც 2024 წლის 8 დეკემბერს ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის ჩამოშლის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახდა. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩარლზ მური წერს, რომ რუსეთის ზარალი უკრაინის ომში შემაძრწუნებელია, მისი მიღწევები უმნიშვნელოა და მისი ეკონომიკური ხარჯები უზარმაზარი. ის სულ უფრო და უფრო ჰგავს პოტენციურ დიდ ძალას, რომელსაც ერთდროულად მხოლოდ ერთ ფრონტზე ბრძოლა შეუძლია.[43]

რუსეთ-ირანის თანამშრომლობა უკრაინის ომის კვალდაკვალ გაფართოვდა და

38 Council of the European Union, „Timeline - EU sanctions against Belarus." https://shorturl.at/o5nSA (გადამოწმებულია, 13.03.2025)
39 RTV, „Атака была внезапной -Что известно о гибели российских миротворцев в Карабахе", 21.09.2023, https://shorturl.at/hyaBX (გადამოწმებულია, 13.03.2025)
40 Eurasianet „Departure of Russian peacekeepers from Karabakh an outgrowth of strong ties between Baku and Moscow -Aliyev" Apr. 23, 2024, https://shorturl.at/oIV2I (გადამოწმებულია, 13.03.2025)
41 EUToday Correspondents, „Armenia's EU Aspirations: Balancing Between Brussels and Moscow," January 12, 2025, https://shorturl.at/ECJft (გადამოწმებულია, 13.03.2025)
42 Dmitri Trenin, „Russia in the Middle East: Moscow's Objectives, Priorities, and Policy Drivers," Carnegie Endowment for International Peace, April 5, 2016, https://shorturl.at/OCJQ1 (გადამოწმებულია, 13.03.2025)
43 Charles Moore, „Assad's downfall exposes Russia's true weakness Why do we all assume that Putin's capacity for endurance is infinite?" The Telegraph, 09 December 2024, https://shorturl.at/ZzGWJ (გადამოწმებულია, 13.03.2025)

გამტკიცდა, რაც მეტწილად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, კერძოდ კი სირიაში მათი წარმატებული თანამშრომლობით იყო ინსპირირებული. ირანმა მხარი დაუჭირა რუსეთს, როგორც დიპლომატიურად, ისე სამხედრო თვალსაზრისით. იგი მხარს არ უჭერს გაერო-ს რეზოლუციებს, რომლებიც გმობს რუსეთის ქმედებებს უკრაინაში და რეგულარულად აწვდის რუსეთს საბრძოლო მასალებსა და შეიარაღებას, ძირითადად უპილოტო საფრენ აპარატებს.[44] უფრო მეტიც, 2022 წლის ოქტომბერში თეთრი სახლის პრეს სამსახურმა განაცხადა, რომ ირანის სამხედრო პირები პირდაპირ არიან ჩართული სამხედრო მოქმედებებში და ყირიმიდან მხარს უჭერენ რუსული უპილოტო თვითმფრინავების თავდასხმებს უკრაინის ელექტროსადგურებზე და სხვა ძირითად ინფრასტრუქტურაზე.[45]

უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებს გეოპოლიტიკური შედეგების გარდა, ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთ აფრიკაში, სოციალური და ეკონომიკური გავლენებიც ჰქონდა. სასურსათო უსაფრთხოება სერიოზულ პრობლემად იქცა უკრაინულ და რუსულ მარცვლეულის ექსპორტზე დამოკიდებული მრავალი განვითარებადი ქვეყნისთვის. სურსათის ფასების ზრდამ, გააძლიერა სოციალურ-ეკონომიკური ზეწოლა ისეთ სახელმწიფოებში, როგორებიცაა: ეგვიპტე, ლიბანი და ტუნისი, რომლებიც ძლიერ არიან დამოკიდებული უკრაინულ და რუსულ ხორბალზე. უნდა აღინიშნოს, რომ ომამდე რუსეთისა და უკრაინის წილი ერთად ხორბლის გლობალური ექსპორტის 30%-ს და სიმინდის ექსპორტის 20%-ს შეადგენდა.[46]

2022 წელის 27 ივლისს, გაერო-სა და თურქეთის შუამავლობით შეიქმნა შავი ზღვის მარცვლეულის ინიციატივა, რომელიც დაკომპლექტებული იყო უკრაინის, რუსეთის, თურქეთისა და გაერო-ს ~წარმომადგენლებით. იგი ერთი წლის განმავლობაში -2023 წლის 28 ივლისამდე უზრუნველყოფდა უკრაინის შავი ზღვის პორტებიდან მარცვლეულის, სხვა საკვები პროდუქტებისა და სასუქების უსაფრთხო საზღვაო ტრანსპორტირებას.[47]

აღნიშნული მოვლენები ნათლი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ერთ რეგიონში მიმდინარე კრიზისმა ასახვა ჰპოვოს სხვა რეგიონის ქვეყნებში მიმდინარე პროცესებზე, როგორც სამხედრო-პოლიტიკურ, ისე სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში, თუნდაც ამ ქვეყნების ხელისუფლებებს მიმდინარე კონფლიქტში რაიმე როლი არ გააჩნდეთ.

ავტორიტარული რეჟიმები და არადასავლური ძალები -კონფლიქტმა ხელი შეუწყო, როგორც ავტორიტარული რეჟიმების კონსოლიდაციას, ისე არადასავლური და დასავლური დემოკრატიული ძალების დაშორებას და განსხვავებული პერსპექტივების გამოკვეთას.

სირიაში ასადის რეჟიმის ჩამოშლის შემდეგ არაერთი ექსპერტი მიიჩნევდა, რომ რუსეთის

და ირანის ურთიერთობები გაუარესდებოდა და მათი ერთობლივი თანამშრომლობა ასადის რეჟიმთან ერთად დასრულდებოდა. თუმცა, მათი მოლოდინები არ გამართლდა, პირიქით რუსეთ-ირანის ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდა და სტრატეგიულ დონეს მიაღწია. 2025 წლის 17 იანვარს, რუსეთისა და ირანის პრეზიდენტებმა ვლადიმერ პუტინმა და მასუდ პეზეშკიანმა ხელი მოაწერეს „ყოვლისმომცველ სტრატეგიულ პარტნიორობის შეთანხმებას“. მხარეები შეთანხმდნენ ითანამშრომლონ კასპიის ზღვის რესურსების შესანარჩუნებლად, ჩაატარონ ერთობლივი სამხედრო წვრთნები და გააძლიერონ კოორდინაციის ძალისხმევა

44 Ivana Kottasová, „Kamikaze' drones are the latest threat for Ukraine. Here's what we know," CNN, October 17, 2022, https://shorturl.at/OaKZI (გადამოწმებულია, 13.03.2025)

45 Aamer Madhani and Zeke Miller, „US: Iranian troops in Crimea backing Russian drone strikes" Associated Press, October 21, 2022 https://shorturl.at/xg3mZ (გადამოწმებულია, 13.03.2025)

46 Food and Agriculture Organization, „The importance of Ukraine and the Russian Federation for global agricultural markets and the risks associated with the war in Ukraine." 10 June 2022 https://shorturl.at/WCwId (გადამოწმებულია, 14.03.2025)

47 United Nations, „Black Sea Grain Initiative Joint Coordination Centre" https://shorturl.at/QWTYs (გადამოწმებულია, 14.03.2025)

ტერორიზმთან და სხვა საფრთხეებთან ბრძოლაში.[48]

რუსეთს ჩრდილოეთ კორეამაც ცალსახად დაუჭირა მხარი, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით, რომელმაც სირიის შემდეგ ერთ-ერთმა პირველმა აღიარა უკრაინის სეპარატისტული რეგიონების (დღეისათვს ეს რეგიონები ანექსირებულია რუსეთის მიერ) დამოუკიდებლობა. ხოლო, 2024 წლის ოქტომბერში დადასტურდა, რომ მან უკრაინის ჯარის წინააღმდეგ რუსეთის დასახმარებლად სამხედრო დანაყოფები გაგზავნა.[49]

2024 წლის 9 ნოემბერს, რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონს რუსეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების რატიფიცირების შესახებ,[50] რომელსაც ჯერ კიდევ 19 ივნისს, ფხენიანში მოეწერა ხელი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ „თუ რომელიმე მხარე დაექვემდებარა შეიარაღებულ თავდასხმას, […] და აღმოჩნდება საომარ მდგომარეობაში, მეორე მხარე დაუყოვნებლივ გაუწევს სამხედრო და სხვა სახის დახმარებას გაერო-ს წესდების 51-ე მუხლისა და საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად“. შეთანხმება ასევე მოიცავს დებულებებს, რომლებიც ეხება თანამშრომლობას მხარეთა თავდაცვის შესაძლებლობების გასაძლიერებლად ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მექანიზმების შექმნის საკითხებზე.[51]

კონფლიქტის პირობებში ასევე გამოვლინდა დასავლური დემოკრატიული და არადასავლური ძალების განსხვავებული მიდგომები. დასავლური სახელმწიფოები უკრაინის გარშემო გაერთიანდნენ და რუსეთის ქმედებები დაგმეს, ხოლო მრავალმა არადასავლურმა სახელმწიფომ უკრაინის ღია მხარდაჭერისაგან თავი შეიკავა, რამაც ხაზი გაუსვა თანხვედრის ნაკლებობას სოლიდარობის დასავლური დემოკრატიული ძალების მოლოდინებსა და არადასავლური ძალების სტრატეგიულ გათვლებს შორის.

„ბრიკს“-ის ქვეყნები (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა, ირანი, ეგვიპტე, ეთიოპია და არაბთა გაერთიანებული საამიროები), ინარჩუნებენ კავშირებს რუსეთთან და მოუწოდებენ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისკენ,[52] რაც აჩვენებს, რომ „წევრი ქვეყნები BRICS-ის ჯგუფს ხედავენ, როგორც ერთმანეთთან ურთიერთობების გაძლიერების ინსტრუმენტს და უფრო მრავალპოლარულ წესრიგთან ადაპტაციის გზას“.[53]

ნათელია, რომ ავტორიტარული რეჟიმების კონსოლიდაცია და არადასავლური ძალების მიდგომები სცილდება მხოლოდ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების საზღვრებს და გრძელვადიან სტრატეგიულ და იდეოლოგიურ პარტნიორობის პერსპექტივებს აყალიბებს.

დასკვნა

მოვლენათა განვითარების დინამიკაზე დაკვირვებით, ხელმისაწვდომი მასალების და საერთაშორისო პოლიტიკის შემქმნელ პირთა განცხადებების ანალიზით ნათელი გახდა, რომ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი წარმოადგენს გადამწყვეტ მომენტს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც გავლენას ახდენს მსოფლიო წესრიგზე.

რუსეთ-უკრაინის მიმდინარე კონფლიქტის საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ

48 Тасс, „Путин и Пезешкиан подписали договор о стратегическом партнерстве,“ 17 января, 2025, https://shorturl.at/OgwHp (გადამოწმებულია, 13.03.2025)

49 Lauren Kent, „Satellite images show how hundreds of North Korean troops were likely transported to a secluded Russian port,“ CNN, February 26, 2025, https://shorturl.at/jjUbj (გადამოწმებულია, 13.03.2025)

50 Российская Федерация, федеральный закон, „О ратификации Договора о всеобъемлющем стратегическом партнерстве между Российской Федерацией и Корейской Народно-Демократической Республикой“ № 374-ФЗ, Москва, Кремль, 09.11.2024, https://shorturl.at/GgoL6 (გადამოწმებულია, 14.03.2025)

51 Интерфакс, „Путин подписал закон о ратификации договора о стратегическом партнерстве РФ и КНДР„ 9 ноября 2024, https://shorturl.at/LN7FJ (გადამოწმებულია, 14.03.2025)

52 XVI Саммит БРИКС Казанская декларация, „Укрепление многосторонности для справедливого глобального развития и безопасности“, (Казань, Российская Федерация 23.11. 2024) https://shorturl.at/osMmU (გადამოწმებულია, 14.03.2025)

53 Oliver Stuenkel, Post-Western World: How Emerging Powers Are Remaking Global Order, Polity Press, 2016, p. 22.

ჭრილში ანალიზმა ნათლად წარმოაჩინა ამ ომის ძირითადი მიზეზები, საერთაშორისო სისტემაზე მრავალმხრივი გავლენები და გამოწვევები:

კონსტრუქტივიზმის ხედვამ ხაზი გაუსვა იმ მოცემულობას, თუ როგორ ჩამოაყალიბა ისტორიულმა ნარატივებმა და იდენტობის პოლიტიკამ რუსეთის ქმედებები და დასავლური რეაქციები; რეალიზმის პერსპექტივიდან, მიმდინარე კონფლიქტმა კიდევ უფრო გააძლიერა სამხედრო ძალისა და გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში; ლიბერალიზმის მიდგომამ გამოავლინა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების შეზღუდვები, როგორც კონფლიქტის შეკავების ფაქტორისა, და საერთაშორისო ინსტიტუტების შეზღუდვები აგრესიაზე რეაგირებისას.

კვლევის ფარგლებში დადასტურდა, რომ მიმდინარე კონფლიქტმა დააჩქარა რამდენიმე ტრანსფორმაციული პროცესი მათ შორის: ხისტი ძალის პოლიტიკის დაბრუნება, უსაფრთხოების მექანიზმების რესტრუქტურიზაცია, ალიანსების გაფართოება და შიდა დაძაბულობა; გლობალური ენერგეტიკული ბაზრების რესტრუქტურიზაცია და ეკონომიკური ფრაგმენტაციის ტენდენციები; დიდი ძალების კონკურენციის გაძლიერება და ცვლილებები რეგიონულ გეოპოლიტიკურ დინამიკაში -აღმოსავლეთ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და მის ფარგლებს გარეთ.

ავტორიტარული რეჟიმების კონსოლიდაცია და არადასავლური ძალების მრავალი ქვეყნის მიერ კონფლიქტისადმი დასავლური დემოკრატიული ძალებისაგან განსხვავებული რეაქციები მიუთითებს იმ უფრო კომპლექსური და რეგიონულად დიფერენცირებული საერთაშორისო წესრიგის წარმოქმნის ნიშნებზე, რომელიც მაღალი ალბათობით მომავალ წლებში უნდა განვითარდეს.

რუსეთ-უკრაინის ომმა არა მხოლოდ არსებული საერთაშორისო სისტემის კრიზისი გამოავლინა, არამედ იქცა მსოფლიო წესრიგის განმსაზღვრელ ფაქტორად, რაზეც ამ კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით ტრამპის ადმინისტრაციის მკვეთრად გამოხატული მიდგომები და ალიანსების წევრებს შორის არსებული აზრთა სხვადასხაობაც მიუთითებს. ტრამპის სამშვიდობო ინიციატივის გამო განვითარებულმა პროცესებმა გამოავლინა უთანხმოება იმ წესების მიმართ, რომლებიც მართავენ საერთაშორისო სისტემას, რაც სასურველ მოლოდინებს ყოველთვის არ ემთხვევა. შესაბამისად, მოვლენები შეიძლება შემდეგი სცენარების მიხედვით განვითარდეს:

წარმატებული სცენარები, სადაც უკრაინა ინარჩუნებს დასავლეთის მხარდაჭერას და ბრძოლის ველზე უკრაინული სამხედრო ძალების გაძლიერებასთან ერთად სანქციების ეკონომიკური ზემოქმედება აიძულებს რუსეთს დაეთანხმოს საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტას: უკეთეს შემთხვევაში -უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებით და სუვერენიტეტის გარანტიებით; (ასეთი სცენარი გააძლიერებს წესებზე და ნორმებზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს და აგრესორს გადაახდევინებს სამხედრო ინტერვენციის ფასს.); უარეს შემთხვევაში -ორმხრივი კომპრომისით, მათ შირის ტერიტორიული კომპრომისითა და უსაფრთხოების გარანტიების გარეშე.

წარუმატებელი სცენარები, -კონფლიქტის გაჭიანურებამ და უკრაინის მიერ დასავლეთის მხარდაჭერის დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს: უარეს შემთხვევაში უკრაინის მარცხი და სრული კაპიტულაცია; უკეთეს შემთხვევაში -უკრაინის დე ფაქტო დაყოფა.

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დინამიკიდან გამომდინარე გრძელვადიანი საბოლოო შედეგის განსაზღვრა რთულია. თუმცა, ნებისმიერი სცენარის განვითარების შემთხვევაში მიმდინარე კონფლიქტის შედეგები საკვანძო გავლენას მოახდენს ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურაზე და მაღალი ალბათობით შექმნის მუდმივი დაძაბულობის კერას აღმოსავლეთ ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ.

გაანალიზებული მოვლენების ერთობლიობა საერთაშორისო წესრიგის ღრმა ცვლილებაზე

მიანიშნებს. ცივი ომის შემდგომი ეპოქა, რომელიც ხასიათდება ამერიკული დომინაციით, ეკონომიკური გლობალიზაციით და ლიბერალური ინსტიტუტების გაფართოებით, მაღალი ალბათობით, ადგილს უთმობს უფრო კონკურენტუნარიან მრავალპოლარულ სისტემას, რომელიც სავარაუდოდ იყოფა ეკონომიკურ და იდეოლოგიურ ხაზებზე. ამ ახლად ფორმირებადი წესრიგის მახასიათებლებია გაზრდილი დიდი ძალების კონკურენცია, რეგიონული უსაფრთხოების სტრუქტურების გადაჯგუფება და უფრო ფრაგმენტული გლობალური ეკონომიკა.

რომ შევაჯამოთ, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი წარმოადგენს გარდამტეხ მომენტს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე მსოფლიო წესრიგზე და ეს გავლენები გრძელვადიანი იქნება. რამდენადაც საერთაშორისო სისტემის კონკურენტული მრავალპოლარული კონტურები გამოკვეთილია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ისტორიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების ურთიერთქმედების სწორად გაგებას, რამაც ასეთი სასტიკი და დაუნდობელი კონფლიქტი განაპირობა. არსებული კრიზისის ფონზე მნიშვნელოვანია შეიქმნას გლობალური უსაფრთხოების ისეთი არქიტექტურა, რომელიც არ დაუშვებს ანალოგიური კონფლიქტების წარმოქმნის შესაძლებლობას.

ბიბლიოგრაფია

Besch Sophia and Eric Ciaramella, „Ukraine's Accession Poses a Unique Conundrum for the EU," Carnegie Endowment for International Peace,(24,11.023) https://shorturl.at/CLhay (გადამოწმებულია,10.03.2025)

Bugajski, Janusz. „New Polish Government Bolsters Relations with Ukraine" Jamestown foundation, (February 5, 2024), https://shorturl.at/5j2kf (გადამოწმებულია,13.03.2025)

Council of the EU, „EU sanctions against Belarus." https://shorturl.at/o5nSA (გადამოწმებულია,13.03.025)

Chatterjee, Phelan. „How Sweden and Finland went from neutral to Nato," BBC News, (11 July 2023), https://shorturl.at/0u7AS (გადამოწმებულია,10.03.2025)

Die bundesregierung, „Regierungserklärung von Bundeskanzler Olaf Scholz," (27. Februar 2022), https://shorturl.at/pf7Ey (გადამოწმებულია, 13.03.2025)

European Union External Action Service, „A Strategic Compass for Security and Defence," (March 2022) https://shorturl.at/yCuqT ; https://shorturl.at/VfTlf (გადამოწმებულია, 10.03.2025)

European Commission, „REPowerEU: A Plan to Rapidly Reduce Dependence on Russian Fossil Fuels and Fast Forward the Green Transition," (1805.022) https://shorturl.at/6Dztp (გადამოწმებულია, 10.03.2025)

European Commission, „REPowerEU: A Plan to Rapidly Reduce Dependence on Russian Fossil Fuels and Fast Forward the Green Transition," (May 18,2022), https://shorturl.at/IvvLw ; https://shorturl.at/WhdgL (გადამოწმებულია, 10.03.2025)

European Union External Action Service, „A Strategic Compass for Security and Defence," (March 2022), https://shorturl.at/yCuqT ; https://shorturl.at/VfTlf (გადამოწმებულია, 10.03.2025)

Eurasianet „Departure of Russian peacekeepers from Karabakh an outgrowth of strong ties between Baku and Moscow -Aliyev" (Apr. 23, 2024), https://shorturl.at/oIV2I (გადამოწმებულია, 13.03.2025)

EUToday Correspondents, „Armenia's EU Aspirations: Balancing Between Brussels and Moscow," (January 12, 2025), https://shorturl.at/ECJft (გადამოწმებულია, 13.03.2025)

Ferragamo, Mariel. „What Is the BRICS Group and Why Is It Expanding?" Council on Foreign Relations, (December 12, 2024), https://shorturl.at/y7vZ7 (გადამოწმებულია, 11.03.2025)

Food and Agriculture Organization, „Information Note - The importance of Ukraine and the Russian Federation for global agricultural markets and the risks associated with the war in Ukraine." (10 June 2022), https://shorturl.at/WCwId ; https://shorturl.at/QJTh1 (გადამოწმებულია, 14.03.2025)

International Energy Agency, „Russian Supplies to Global Energy Markets," (February 2022), https://shorturl.at/qNLse (გადამოწმებულია, 10.03.2025)
International Energy Agency, „Gas Market Report, Q3-2022,"(July 2022), https://shorturl.at/0wBnW ; https://shorturl.at/alDOP (გადამოწმებულია, 10.03.2025)
International Energy Agency, „Electricity Market Report" (July 2022), https://shorturl.at/9VHwf ; https://shorturl.at/SiBdj (გადამოწმებულია, 10.03.2025)
Keohane, Robert O. and Joseph S. Nye, Power and Interdependence, 4th ed. Longman, 2012. Ikenberry, G. John. „The End of Liberal International Order?" International Affairs 94, no. 1 (2018), https://shorturl.at/7loLr ; https://shorturl.at/OPGxt (გადამოწმებულია, 10.03.2025)
Kottasová, Ivana. „Kamikaze' drones are the latest threat for Ukraine. Here's what we know," CNN, (October 17, 2022), https://shorturl.at/OaKZI (გადამოწმებულია, 13.03.2025)
Kent, Lauren. „Satellite images show how hundreds of North Korean troops were likely transported to a secluded Russian port,"CNN, (26.02.025), https://shorturl.at/jjUbj (გადამოწმებულია, 13.03.2025)
Larson, Deborah Welch., Alexei Shevchenko. „Russia says no: Power, status, and emotions in foreign policy," Communist and Post-Communist Studies, Vol. 47, No. 3/4, (September/ December 2014), https://shorturl.at/tOxPI (გადამოწმებულია, 09.03.2025.)
Macron, Emmanuel. Interview,The Economist, (7.11.2019), https://shorturl.at/jwQQ5 (გადამოწმებულია, 10.03.2025)
Marcus, Jonathan. „ Macron pushes for true European army" BBC, (6 November 2018), https://shorturl.at/W63yZ (გადამოწმებულია, 10.03.2025)
Madhani Aamer and Zeke Miller, „US: Iranian troops in Crimea backing Russian drone strikes" Associated Press, (October 21, 2022), https://shorturl.at/xg3mZ (გადამოწმებულია, 13.03.2025)
Maślanka, Łukasz. „President Macron proposes a European defence initiative," Center for Eastern Studies, (29.04.2024), https://shorturl.at/zxaGh (გადამოწმებულია, 10.03.2025)
Mearsheimer, John J. „Why the Ukraine Crisis Is the West's Fault: The Liberal Delusions That Provoked Putin," Foreign Affairs 93, no. 5 (2014), https://shorturl.at/IUsov (გადამოწმებულია, 09.03.2025.)
Mulder, Nicholas. The Economic Weapon: The Rise of Sanctions as a Tool of Modern War, New Haven and London, „Yale University Press", 2022.
Moravcsik, Andrew. „Taking Preferences Seriously: A Liberal Theory of International Politics," International Organization, Vol.51,No.4 (Autumn, 1997),https://shorturl.at/hbwTi (გადამოწმებულია, 10.03.2025)
Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China, „China's Position on the Political Settlement of the Ukraine Crisis" (February 24, 2023), https://shorturl.at/w7ZkF (გადამოწმებულია, 11.03.2025)
Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China, „Foreign Ministry Spokesperson's Regular Press Conference," (March 15, 2022) https://shorturl.at/PJhz9 (გადამოწმებულია, 11.03.2025)
Maizland Lindsay and Clara Fong, „Why China-Taiwan Relations Are So Tense," Council on Foreign Relations, (January 15, 2025), https://shorturl.at/AdW0p (გადამოწმებულია, 11.03.2025)
Moore, Charles. „Assad's downfall exposes Russia's true weakness"The Telegraph, (09.12.2024), https://shorturl.at/ZzGWJ (გადამოწმებულია, 13.03.2025)
NATO, „Defence Expenditure of NATO Countries (2014-2023)," (July 07, 2023), https://shorturl.at/xcSXJ ; 230707-def-exp-2023-en.pdf (გადამოწმებულია, 13.03.2025)
NATO, „Madrid Summit Declaration,"(June 29, 2022) https://shorturl.at/QAyE9 (გადამოწმებულია, 10.03.2025)
Putin, Vladimir. „On the Historical Unity of Russians and Ukrainians," (July 12, 2021), https://shorturl.at/dl5Qy (გადამოწმებულია, 02.03.2025)
Parello-Plesner, Jonas. „The Russian Invasion Sparks a Strategic Reassessment: Taiwan Learns From Ukraine," GMF, (March 14, 2023), https://shorturl.at/R6i8u (გადამოწმებულია, 11.03.2025)
RTV, „Атака была внезапной -Что известно о гибели российских миротворцев в Карабахе", (21.09.2023), https://shorturl.at/hyaBX (გადამოწმებულია, 13.03.2025)
Soldatkin, Vladimir and Olesya Astakhova. „Russia exports almost all its oil to China and India" Reuters,

(December 27,2023) https://shorturl.at/i2uV0
Sharma, Samrat. „Russia has India and China to thank for saving its economy amid forever war with Ukraine," New Delhi, (Feb 25, 2025), https://shorturl.at/xT3z3 (გადამოწმებულია, 10.03.2025)
Stuenkel, Oliver. Post-Western World: How Emerging Powers Are Remaking Global Order, Cambridge: „Polity Press", 2016.
Trenin, Dmitri. „Russia in the Middle East: Moscow's Objectives, Priorities, and Policy Drivers," Carnegie Endowment for International Peace, (5.04.016), https://shorturl.at/OCJQ1 (გადამოწმებულია, 13.03.2025)
Тасс, „Путин и Пезешкиан подписали договор о стратегическом партнерстве," (17 января, 2025), https://shorturl.at/OgwHp (გადამოწმებულია, 13.03.2025)
United Nations, General Assembly, „ES-11/1. Aggression against Ukraine," (2 March 2022), https://shorturl.at/Awdq0 (გადამოწმებულია, 09.03.2025.)
United Nations, „Security Council Fails to Adopt Draft Resolution on Ending Ukraine Crisis, as Russian Federation Wields Veto" (25 February 2022), https://shorturl.at/rP296 (გადამოწმებულია, 09.03.2025.)
U.S. Department of the Treasury, „Treasury Sanctions Russia's Central Bank, National Wealth Fund, and Ministry of Finance," (February 28,2022), https://shorturl.at/zlf71 (გადამოწმებულია, 11.03.2025)
U.S. Department of Defense, „Taiwan Enhanced Resilience Act," (December 2022), https://shorturl.at/TyGpK (გადამოწმებულია, 11.03.2025)
United Nations, „Black Sea Grain Initiative Joint Coordination Centre" https://shorturl.at/QWTYs (გადამოწმებულია, 14.03.2025)
Wendt, Alexander. „Anarchy Is What States Make of It: The Social Construction of Power Politics," International Organization 46, no. 2 (1992), https://shorturl.at/4amiE (გადამოწმებულია, 09.03.2025.)
Walt, Stephen. „The Top 5 Things the Next President Needs to Know About Foreign Policy," Foreign Policy, (December 7, 2015) https://shorturl.at/5MFXK (გადამოწმებულია, 09.03.2025.)
Waltz, Kenneth N. Theory of International Politics, „Addison-Wesley", 1979).
White House, „National Security Strategy," (12.11. 2022), https://shorturl.at/zcMOb (გადამოწმებულია, 11.03.2025)
Zhang, Junhua „China and Russia: Toward an alternate financial system," gisreportsonlin, (October 21, 2024), https://shorturl.at/xvoud (გადამოწმებულია, 11.03.2025)
БРИКС XVI Саммит Казанская декларация, „Укрепление многосторонности для справедливого глобального развития и безопасности," (Казань, Российская Федерация 23.11. 2024), https://shorturl.at/osMmU (გადამოწმებულია, 14.03.2025)
Интерфакс, „Путин подписал закон о ратификации договора о стратегическом партнерстве РФ и КНДР„ (9 ноября 2024), https://shorturl.at/LN7FJ (გადამოწმებულია, 14.03.2025)
федеральный закон, „О ратификации Договора о всеобъемлющем стратегическом партнерстве между Российской Федерацией и Корейской Народно-Демократической Республикой" № 374-ФЗ, (Москва, Кремль, 09.11.2024), https://shorturl.at/GgoL6 (გადამოწმებულია, 14.03.2025)

ბლოკჩეინთა ინტერჰერაბელურობა: CHAINLINK-ის CCIP და მისი მნიშვნელობა

გიორგი კაკაშვილი
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების
ასოცირებული პროფესორი,
ინჟინერიის დოქტორი ინფორმატიკაში

აბსტრაქტი

ბლოკჩეინ ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იზრდება მათი გამოყენების არეალი, განსაკუთრებით დეცენტრალიზებული ფინანსების (DeFi), არაჩანაცვლებადი ტოკენების (NFT) და Web3 აპლიკაციების სფეროში. ეს ტექნოლოგიები ხელს უწყობენ ტრადიციული ფინანსური და ციფრული ეკოსისტემების გარდაქმნას, უზრუნველყოფენ გაძლიერებულ უსაფრთხოებას, გამჭვირვალეობას და ცენტრალიზებული ინსტიტუტებისგან დამოუკიდებლობას. თუმცა, მიუხედავად ბლოკჩეინის პოტენციალისა, მისი ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა ინტერჰერაბელურობაა, ანუ სხვადასხვა ბლოკჩეინ ქსელებს შორის მონაცემთა და აქტივების შეუფერხებელი მიმოცვლა.

ამჟამად, ბლოკჩეინები ძირითადად იზოლირებულად ფუნქციონირებენ, რაც მათ შორის პირდაპირი კომუნიკაციისა და თანამშრომლობის შესაძლებლობას ზღუდავს. სხვადასხვა ქსელები ხშირად იყენებენ განსხვავებულ კონსენსუსის მექანიზმებს, უსაფრთხოების პროტოკოლებს და მონაცემთა სტრუქტურებს, რაც ართულებს მათ შორის ეფექტური კავშირის დამყარებას. ეს შეზღუდვა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ სექტორებში, სადაც სხვადასხვა ბლოკჩეინის ურთიერთქმედება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, მაგალითად, მრავალბლოკჩეინიანი DeFi პლატფორმები, გლობალური გადახდის სისტემები, მიწოდების ჯაჭვის მართვა და ციფრული იდენტობის სერვისები.

სტატია განიხილავს ინტერჰერაბელურობის არსს, მის გამოწვევებსა და არსებულ ტექნოლოგიურ გადაწყვეტებს. ყურადღება გამახვილებულია სამი ძირითადი მიდგომის შედარებაზე: Chainlink CCIP, Cosmos IBC და Polkadot XCMP. Chainlink CCIP ეფუძნება დეცენტრალიზებულ Oracle ქსელს და უზრუნველყოფს უსაფრთხო, მასშტაბურ და მოქნილ კროს-ჩეინ კომუნიკაციას. თავის მხრივ, Cosmos IBC და Polkadot XCMP ძირითადად შეზღუდული ეკოსისტემებისთვისაა განკუთვნილი, რაც მათ მოქნილობას ზღუდავს.

ბლოკჩეინ ინტერჰერაბელურობის მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა დეცენტრალიზებული ფინანსების კონტექსტში, სადაც კროს-ჩეინ აქტივების მიგრაცია და ტრანსაქციები სულ უფრო მოთხოვნადი ხდება. ინტერჰერაბელური გადაწყვეტილებები, როგორიცაა CCIP, უზრუნველყოფენ მაღალ უსაფრთხოებას, თავიდან იცილებენ „ბრიჯინგის“ სუსტი წერტილების ექსპლუატაციას და საშუალებას აძლევენ სხვადასხვა ქსელებს ურთიერთქმედება სტანდარტიზებული და უნივერსალური პროტოკოლების მეშვეობით.

კვლევა წარმოაჩენს ინტერჰერაბელურობის თანამედროვე მიდგომებს და მათ გავლენას ბლოკჩეინ ინფრასტრუქტურის ეფექტურობაზე. განიხილება ის მექანიზმები, რომლებიც ამცირებენ ტრანსაქციების ხარჯებს, ზრდიან უსაფრთხოებას და აჩქარებენ მონაცემთა გადაცემას. CCIP პოზიციონირდება როგორც ინოვაციური სტანდარტი, რომელიც ხელს უწყობს უფრო ინტეგრირებულ და მოქნილ ბლოკჩეინ ეკოსისტემებს, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია დეცენტრალიზებული აპლიკაციებისა და ფინანსური სისტემების მდგრადი განვითარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ბლოკჩეინი, ინტერჰერაბელურობა კროს-ჩეინ კომუნიკაცია, ჭკვიანი კონტრაქტები, ტექნოლოგიები, ინოვაცია.

BLOCKCHAIN INTEROPERABILITY: THE SIGNIFICANCE OF CHAINLINK'S CCIP

Giorgi Kakashvili

Associate Professor of Bachelor's Program in Informatics of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of Engineering in Informatics

Abstract

With the advancement of blockchain technologies, their application areas are expanding, particularly in the fields of decentralized finance (DeFi), non-fungible tokens (NFTs), and Web3 applications. These technologies contribute to the transformation of traditional financial and digital ecosystems by ensuring enhanced security, transparency, and independence from centralized institutions. However, despite blockchain's potential, one of its major challenges is interoperability, meaning the seamless exchange of data and assets between different blockchain networks.

Currently, blockchains primarily operate in isolation, limiting direct communication and collaboration between networks. Various networks often use different consensus mechanisms, security protocols, and data structures, making efficient interconnection difficult. This limitation is especially critical in sectors where cross-chain interaction is essential, such as multi-blockchain DeFi platforms, global payment systems, supply chain management, and digital identity services.

This article explores the concept of interoperability, its challenges, and existing technological solutions. The focus is on comparing three major approaches: Chainlink CCIP, Cosmos IBC, and Polkadot XCMP. Chainlink CCIP is based on a decentralized oracle network and provides secure, scalable, and flexible cross-chain communication. In contrast, Cosmos IBC and Polkadot XCMP are primarily designed for restricted ecosystems, limiting their flexibility.

The significance of blockchain interoperability is particularly evident in decentralized finance, where cross-chain asset migration and transactions are becoming increasingly in demand. Interoperable solutions like CCIP ensure high security, mitigate vulnerabilities associated with "bridging" mechanisms, and allow different networks to interact using standardized and universal protocols.

This study highlights modern interoperability approaches and their impact on blockchain infrastructure efficiency. It examines mechanisms that reduce transaction costs, enhance security, and accelerate data transmission. CCIP is positioned as an innovative standard that fosters more integrated and flexible blockchain ecosystems, which are crucial for the sustainable development of decentralized applications and financial systems.

Keywords: Blockchain, Interoperability, Cross-chain Communication, Smart Contracts, Technologies, Innovation.

შესავალი

ბლოკჩეინ ტექნოლოგია სწრაფად ვითარდება და ციფრული სამყაროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინოვაციად ყალიბდება. დღევანდელი ბლოკჩეინ ეკოსისტემა მოიცავს მრავალ დამოუკიდებელ ქსელს, რომლებიც კონკრეტული მიზნებისთვის გამოიყენება. მაგალითად, Ethereum ძირითადად ჭკვიანი კონტრაქტებისა და DeFi-სთვისაა განკუთვნილი, Bitcoin – ციფრული ღირებულების შესანახად, ხოლო Binance Smart Chain (BSC) უზრუნველყოფს დაბალი საკომისიოებით ტრანზაქციებს და ხელს უწყობს DeFi-ს განვითარებას. ამასთან, Polkadot და Cosmos ორი წამყვანი პლატფორმაა, რომლებიც ცდილობენ ბლოკჩეინების ურთიერთქმედების გაძლიერებას.

თუმცა, ამ ქსელებს შორის პირდაპირი კავშირი პრაქტიკულად არ არსებობს. ბლოკჩეინები, მიუხედავად მათი წარმატებისა, ძირითადად იზოლირებულად ფუნქციონირებენ და სხვადასხვა ქსელებზე ინფორმაციის, მონაცემებისა და აქტივების გაცვლა რთულია. არსებული გადაწყვეტები, როგორიცაა „ბრიჯები“ (bridges) და მულტიჩეინ პროტოკოლები, ხშირად უსაფრთხოების ან მოქნილობის პრობლემებს აწყდებიან, რაც ბლოკჩეინ ინტეგრაციის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება.

ბლოკჩეინ ინტერპერაბელურობა სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ემსახურება. იგი გულისხმობს სხვადასხვა ბლოკჩეინ ქსელებს შორის მონაცემთა, აქტივებისა და ინფორმაციის გაცვლის უნარს, რაც მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის.

ინტერპერაბელურობა ბლოკჩეინ ტექნოლოგიის განვითარებისთვის გადამწყვეტი ფაქტორია. ის შესაძლებელს ხდის dApps-ის მრავალ ბლოკჩეინზე მუშაობას, ფინანსური პროდუქტების ინტეგრაციას, უსაფრთხო და დეცენტრალიზებულ გადანაცვლებას, ასევე ქსელებს შორის რესურსების ოპტიმიზაციას. ამ გზით, ბლოკჩეინ ეკოსისტემა უფრო მოქნილი, მასშტაბური და ეფექტური ხდება. ქსელი, რომელიც ბლოკჩეინებს გარესამყაროს მონაცემებთან აკავშირებს. იგი უზრუნველყოფს სანდო მონაცემთა მიწოდებას, უსაფრთხო ტრანსაქციებს და ინტერპერაბელურობას. Chainlink-ის CCIP (Cross-Chain Interoperability Protocol) ახალ სტანდარტს ამყარებს, რომელიც სხვადასხვა ბლოკჩეინებს შორის ინფორმაციისა და აქტივების გაცვლას შესაძლებელს ხდის, ინარჩუნებს უსაფრთხოებასა და დეცენტრალიზაციას. ამგვარად, ბლოკჩეინ ინტერპერაბელურობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა შესაძლებელია დაიძლიოს, რაც ბლოკჩეინ ტექნოლოგიებს უფრო მოქნილ და მასშტაბურ ეკოსისტემად აქცევს.

ძირითადი ნაწილი

ბლოკჩეინების შეზღუდული ურთიერთქმედება სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, რაც ზღუდავს dApps-ის, ფინანსური პროდუქტებისა და ციფრული აქტივების მოქნილობას. Ethereum, Bitcoin, Binance Smart Chain და სხვა ქსელები დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ და ერთმანეთთან პირდაპირი კავშირი არ აქვთ. შედეგად, აქტივების გადაცემა რთულდება, მასშტაბურობა იზღუდება, ხოლო არსებული ხიდები (bridges) და მულტიჩეინ პროტოკოლები ხშირად არ არიან საკმარისად უსაფრთხო.

ინტერპერაბელურობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია DeFi-ს, NFT-ებისა და Web3 აპლიკაციებისთვის, რადგან ის უზრუნველყოფს ქსელებს შორის მონაცემთა და აქტივების მარტივ გადაადგილებას, ზრდის ლიკვიდობას და აუმჯობესებს მომხმარებელთა გამოცდილებას.

ამჟამინდელი გადაწყვეტილებები, როგორიცაა ბრიჯები და მულტიჩეინ პროტოკოლები, ნაკლებად უსაფრთხოა და მოქნილობის პრობლემებს ქმნის. სწორედ ამიტომ ჩნდება Chainlink-

ის CCIP, რომელიცმიზნად ისახავს უსაფრთხო, მასშტაბურ და ეფექტურინტერპერაბელურობას, რაც Web3 ეკოსისტემის განვითარებას კიდევ უფრო დააჩქარებს.

Chainlink-ის CCIP ბლოკჩეინ ინტერპერაბელურობის ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური გადაწყვეტაა, რომელიც სხვადასხვა ქსელებს შორის მონაცემთა და აქტივების გადაცემას უზრუნველყოფს. ბლოკჩეინების იზოლირებულობა მნიშვნელოვან გამოწვევას ქმნის, რადგან მონაცემების გადატანა ტრადიციულად მოითხოვს ცენტრალიზებულ შუამავლებს ან დაუცველ ბრიჯებს (bridges), რომლებიც ხშირად ჰაკერული შეტევების სამიზნედ იქცევა. CCIP კი ამ პრობლემას დეცენტრალიზებული Oracle ქსელის მეშვეობით აგვარებს. CCIP-ის ფუნქციონირება ეფუძნება რამდენიმე ძირითად კომპონენტს:

- Oracle ქსელი – დამოუკიდებელი კვანძები უზრუნველყოფენ ბლოკჩეინებს შორის მონაცემთა გადაცემას, ამოწმებენ მათ სისწორეს და უსაფრთხოებას.
- მიმღები და გამგზავნი სმარტ კონტრაქტები – თითოეულ ბლოკჩეინზე განთავსებული კონტრაქტები, რომლებიც ტრანზაქციების დამუშავებასა და მონაცემთა სინქრონიზაციაზე აგებენ პასუხს.
- უსაფრთხოების მექანიზმები – CCIP იყენებს მრავალდონიან გადამოწმებას და დამატებით უსაფრთხოების პროტოკოლებს, რაც ჰაკერული შეტევების რისკს ამცირებს.

CCIP-ის გამოყენება Solidity-ისთვის საშუალებას იძლევა სხვადასხვა ბლოკჩეინებს შორის ინფორმაციისა და აქტივების უსაფრთხო გადაცემას. ქვემოთ მოცემულია კოდის ფრაგმენტი, რომელიც ამ პროცესს აღწერს:

```
// SPDX-License-Identifier: MIT
pragma solidity ^0.8.19;
import “@chainlink/contracts/src/v0.8/CCIPSender.sol”;
contract CrossChainSender is CCIPSender {
   constructor(address router) CCIPSender(router) {}
```

აღნიშნული კოდი გამოიყენებს CCIPSender კონტრაქტს, რომელიც Chainlink-ის CCIP პროტოკოლთან დაკავშირებას უზრუნველყოფს. CCIPSender კონტრაქტი უზრუნველყოფს მონაცემთა გადაცემას სხვადასხვა ბლოკჩეინებს შორის, რაც არის CCIP-ის მთავარი ფუნქციონალობა.

შემდეგი ფუნქცია, sendMessage, უზრუნველყოფს შეტყობინების გაგზავნას სხვადასხვა ბლოკჩეინზე, ხოლო პარამეტრები განსაზღვრავს სამიზნე ბლოკჩეინს, მიმღების მისამართსა და მონაცემებს:

```
function sendMessage() external {
   uint64 destinationChain = 56;
   address receiver = 0xabcdef1234567890abcdef1234567890abcdef12;
   string memory message = “Hello from Ethereum to Binance Smart Chain!”;
   bytes memory data = abi.encode(message);
   _sendMessage(destinationChain, receiver, data); }}
```

CCIP გამოყენება Solidity-ში საშუალებას აძლევს ბლოკჩეინებს შორის უსაფრთხო და ეფექტური მონაცემთა გადაცემას. ზემოთ მოცემული კოდის ფრაგმენტში, ფუნქცია sendMessage გადმოსცემს შეტყობინებას Ethereum-დან Binance Smart Chain-ზე.

Chainlink-ის CCIP უზრუნველყოფს მონაცემთა და აქტივების უსაფრთხო გადაცემას დეცენტრალიზებული Oracle-ების საშუალებით, რომლებიც ამოწმებენ და ინკოდებენ

ინფორმაციას, რათა გარანტირებულად გადავიდეს სწორი და დამოწმებული მონაცემები ერთ ბლოკჩეინზე მეორეზე. ეს ამცირებს მავნე ეფექტებს და შესაძლო შეტევებს. ინტეგრაცია სხვადასხვა ბლოკჩეინში მარტივია, რადგან Oracle-ის არქიტექტურა და სტანდარტები უზრუნველყოფს რამდენიმე ბლოკჩეინის კომუნიკაციას და ოპტიმიზაციას. ასეთი მიდგომა საშუალებას აძლევს ბლოკჩეინებს მუშაობდეს ერთიან ქსელში, რაც უფრო მოქნილს და მასშტაბურ ინფორმაციას აქცევს. ქსელი დაცულია Oracle-ების მიერ, რომლებიც დეცენტრალიზებული და ავთენტიფიცირებული არიან, რაც უზრუნველყოფს მონაცემების სისწორეს და რისკების მინიმუმამდე დაყვანას.[1]



სურ. 1. ჯვარედინი ქსელების ინტერპერაბელურობის პროტოკოლი

CCIP-ის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი რისკების მართვის ქსელი არის, რომელიც ახდენს ტრანზაქციების მონიტორინგს, მათი სიზუსტის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

როდესაც ბლოკჩეინ X-დან ბლოკჩეინ Y-ში მონაცემები ან აქტივები იგზავნება, პროცესი მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს:

- გამგზავნი (Sender) ბლოკჩეინ X-ზე იწყებს ტრანზაქციას.
- CCIP მიმმართველი კონტრაქტი მონაცემებს აგზავნის Chainlink-ის ქსელში, რომელიც იყენებს Oracle-ს გადაცემის დასადასტურებლად.
- რისკების მართვის ქსელი სკანირებას ახდენს შესაძლო შეცდომებზე, როგორიცაა დუბლირებული შეტყობინებები, არასწორი თანხები, შეუთანხმებელი ჯვარედინი შეტყობინებები, არასაკმარისი კონფირმაციები და სხვა.
- გადამოწმებული ინფორმაცია იგზავნება ბლოკჩეინ Y-ში, სადაც CCIP მიმმართველი კონტრაქტი და მიმღები საბოლოოდ ასრულებენ ოპერაციას.

რისკების მართვის ქსელის მნიშვნელობა ამ ქსელის მეშვეობით CCIP უზრუნველყოფს უსაფრთხო, გამჭვირვალე და სანდო ჯვარედინ ოპერაციებს, რაცკრიტიკულად მნიშვნელოვანია მრავალბლოკჩეინიანი აპლიკაციების და დეცენტრალიზებული ფინანსური (DeFi) სისტემების გამართულ მუშაობისთვის.

რისკების მართვის ქსელის მუდმივი მონიტორინგი ამცირებს ჰაკერული თავდასხმების, ქსელური ხარვეზების და არასწორი ტრანზაქციების რისკს, რაც CCIP-ს ერთ-ერთ ყველაზე

1 DevHub, docs.chain.link. https://docs.chain.link/ccip/architecture?utm_source=chatgpt.com, 2025.

დაცულ ჯვარედინ კომუნიკაციის პროტოკოლად აქცევს.

ბლოკჩეინ ინტერპერაბელურობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე ტექნოლოგიებში, განსაკუთრებით DeFi, NFT-ებში და Web3-ის განვითარებაში. მრავალ ბლოკჩეინზე დაფუძნებული DeFi პროექტები საჭიროებენ აქტივების შეუფერხებელ გადატანას სხვადასხვა ქსელს შორის, რათა მომხმარებლებმა შეძლონ ფინანსური ოპერაციების უფრო ეფექტურად და უსაფრთხოდ შესრულება. ტრადიციული ბრიჯებისგან განსხვავებით, ინტერპერაბელურობის ახალი მიდგომები ამცირებენ რისკებსა და ხარჯებს.[2]

NFT-ების მიგრაცია ბლოკჩეინებს შორის ციფრული საკუთრების მოქნილობის გასაღებია. მომხმარებლებს შეუძლიათ ერთი ქსელიდან მეორეზე მარტივად გადაინაცვლონ, შეინარჩუნონ საკუთრების უფლებები და ისარგებლონ სხვადასხვა ეკოსისტემის უპირატესობებით.

ინტერპერაბელური მექანიზმები ტრანსაქციების ხარჯებს ამცირებენ და სისწრაფეს ზრდიან. ტრადიციულად, ბლოკჩეინებს შორის ოპერაციები გულისხმობდა მესამე მხარეების ჩართვას, რაც ხარჯებს ზრდიდა. ახალი პროტოკოლები კი საშუალებას იძლევა, რომ ტრანსაქციები მინიმალური საკომისიოებით და მაქსიმალური სისწრაფით შესრულდეს.

Web3-ის განვითარებაში ინტერპერაბელურობა დეცენტრალიზებულ აპლიკაციებს (dApps) აძლევს შესაძლებლობას, ერთდროულად იმუშაონ მრავალ ბლოკჩეინზე, რაც ამარტივებს მონაცემთა გაცვლას და მომხმარებელთა გამოცდილებას.

სტატიაში რეკომენდებულია გრაფიკული გამოსახულებები, რომლებიც ასახავს DeFi ქსელებს შორის აქტივების გადაცემას, NFT-ების მიგრაციას, ტრადიციული და ახალი ტრანსაქციის ხარჯების შედარებას, და Web3 აპლიკაციების ურთიერთქმედებას სხვადასხვა ბლოკჩეინებში. ეს ვიზუალური ელემენტები მკითხველს უკეთ გააცნობიერებინებს ინტერპერაბელურობის მნიშვნელობას.

CCIP, Cosmos IBC და Polkadot XCMP განკუთვნილია ბლოკჩეინებს შორის ინტერპერაბელურობის უზრუნველსაყოფად, თუმცა განსხვავდებიან არქიტექტურით და ფუნქციონირებით:

Cosmos IBC ფოკუსირებულია ცალკეული ბლოკჩეინების კომუნიკაციაზე Cosmos Hub-ის საშუალებით. მას აქვს მაღალი მასშტაბურობა, თუმცა შესაძლოა პრობლემები წარმოიშვას სხვადასხვა ბლოკჩეინების ურთიერთობაში.

Polkadot XCMP გამოიყენებს Relay Chain-ს, რომელიც აერთიანებს პარაჩეინებს. Polkadot-ის უპირატესობა უსაფრთხოება და ეფექტურობაა, მაგრამ მისი გამოყენება შეზღუდულია მხოლოდ Polkadot ეკოსისტემის ფარგლებში.

CCIP Chainlink-ის Oracle ქსელის მეშვეობით უზრუნველყოფს კროს-ჩეინ ოპერაციებს, რაც საშუალებას აძლევს მრავალ ბლოკჩეინებს მარტივად გაუზიარონ მონაცემები. CCIP-ს აქვს მოქნილობა, რადგან არა მხოლოდ ერთ ეკოსისტემაში, არამედ სხვადასხვა პლატფორმებზე მუშაობს.

CCIP-ის მთავარი უპირატესობა ის არის, რომ იგი არ არის შეზღუდული ერთი ეკოსისტემით, რაც მას უფრო მოქნილ და მრავალფეროვან სისტემად აქცევს. ასევე, Chainlink-ის Oracle ქსელის მხარდაჭერა უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და საიმედოობას. უკეთესად ინერგება მრავალ ეკოსისტემაში და უზრუნველყოფს ძლიერი ინტერპერაბელურობის მხარდაჭერას, მაშინ როცა Cosmos IBC და Polkadot XCMP სპეციალიზირებულნი არიან კონკრეტულ ეკოსისტემებში.[3]

2 TokenMinds Team, https://tokenminds.co/blog/nft-development/cross-chain-nft-marketplace, 2024, (გადამოწმებულია, 03 08, 2025).

3 Alexei Zamyatin, https://alexeizamyatin.medium.com/interoperability-deep-dive-xcmp-vs-ibc-vs-optics-e365c72180cb, 2024, (გადამოწმებულია, 03 08, 2025).

დასკვნა

ბლოკჩეინ ინტერპერაბელურობა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ გამოწვევას თანამედროვე დეცენტრალიზებულ სისტემებში, რომლის მიზანია სხვადასხვა ბლოკჩეინ ქსელებს შორის მონაცემთა, აქტივებისა და ინფორმაციის ეფექტური და უსაფრთხო გაცვლა. ამ საკითხის გადაჭრისთვის სხვადასხვა პროტოკოლები და ტექნოლოგიები, როგორიცაა Chainlink CCIP, Cosmos IBC და Polkadot XCMP, წარმოგვიდგენენ განსხვავებულ მიდგომებს, რომლებიც ერთმანეთს იყოფიან როგორც არქიტექტურით, ისე ფუნქციონირებით.

Chainlink CCIP, რომელიც ეფუძნება დეცენტრალიზებულ Oracle ქსელს, გამორჩეულია თავისი უსაფრთხოებისა და მოქნილობისთვის, რაც საშუალებას იძლევა მრავალ ბლოკჩეინებს შორის სანდო და ეფექტური ოპერაციების განხორციელება. ამ პროტოკოლის გამოყენებით, შესაძლებელია მონაცემების და აქტივების მარტივი, სწრაფი და უსაფრთხო გადაცემა სხვადასხვა ეკოსისტემებს შორის, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს Web3 და DeFi სისტემების განვითარებას. გარდა ამისა, CCIP-ის მიერ უზრუნველყოფილი გადამოწმებისა და რისკების მართვის მექანიზმები მნიშვნელოვნად ამცირებს ჰაკერული თავდასხმების და მონაცემთა გადაცემის სიმცდარის რისკებს.

Cosmos IBC და Polkadot XCMP უზრუნველყოფენ კროს-ჩეინ კომუნიკაციის გადაწყვეტილებებს, თუმცა მათი ფუნქციონალობა შეზღუდულია მხოლოდ საკუთარი ეკოსისტემებით. Cosmos IBC ცალკეული ბლოკჩეინების კომუნიკაციისთვის განკუთვნილია, თუმცა მას შეიძლება აწუხებდეს შერწყმული ქსელების ურთიერთქმედების პრობლემები. Polkadot XCMP კი, შეზღუდული ამოცანებით, უზრუნველყოფს უსაფრთხო და ეფექტურ ინტერპერაბელურობას Polkadot-ის ეკოსისტემაში, მაგრამ მისი გამოყენება აღემატება მხოლოდ ამ შეზღუდული ქსელის ფარგლებს.

Chainlink CCIP-ს აქვს მნიშვნელოვანი უპირატესობა ამ ტექნოლოგიებთან შედარებით, ვინაიდან იგი საშუალებას აძლევს ბლოკჩეინებს მუშაობდნენ ერთმანეთთან, განსხვავებული პლატფორმების და ეკოსისტემების პირობებში. Chainlink-ის Oracle ქსელის სტანდარტიზებული არქიტექტურა, მისი სიმწიფე და სანდოობა ქმნის უფრო მოქნილ და მასშტაბურ ინტერპერაბელურობის ქსელს.

ამგვარად, CCIP წარმოადგენს მომავლის უფრო ინტეგრირებულ, უსაფრთხო და ეფექტურ ინტერპერაბელურობის სტანდარტს, რომელიც ხელს შეუწყობს ბლოკჩეინ ტექნოლოგიების კიდევ უფრო ფართო დანერგვას და განვითარებას, როგორც Web3 და DeFi სისტემებში, ისე სხვა დეცენტრალიზებულ აპლიკაციებში.

ბიბლიოგრაფია

Chainlink, https://chain.link/education-hub/blockchain-interoperability-challenges?utm_source=chatgpt.com, 2025, გადამოწმებულია 03 08, 2025.

Chainlink, https://docs.chain.link/ccip, 2024, გადამოწმებულია 03 08, 2025.

DevHub, docs.chain.link. https://docs.chain.link/ccip/architecture?utm_source=chatgpt.com, 2025, გადამოწმებულია 03 08, 2025.

Babu Pillai, Kamanashis Biswas, "Cross-chain interoperability among blockchain-based systems using transactions." The Knowledge Engineering Review, 2020.

Raj, Adi Ravi, ibcprotocol.dev, https://ibcprotocol.dev/blog/comparative-analysis-dissecting-ibc-and-ccip?utm_source=chatgpt.com, 2024. გადამოწმებულია 03 08, 2025.

TokenMinds Team, https://tokenminds.co/blog/nft-development/cross-chain-nft-marketplace. გადამოწმებულია 03 08, 2025.

Zamyatin, Alexei, გადამოწმებულია 03 08, 2025. https://alexeizamyatin.medium.com/interoperability-deep-dive-xcmp-vs-ibc-vs-optics-e365c72180cb, 2024, გადამოწმებულია 03 08, 2025.